644/
1962/5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

5

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - კოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს სსრკ ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

1962

მაისი

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

შინაარსი

საბჭოთა პრესის მედროშე — 3

გ. ჩარკვიანი — დიდი ლენინის გაზეთი (ლექსი) 7

ა. ბოგომოლოვი — „პრავდა“ (ლექსი) 8

ა. ლორთქიფანიძე — ცაბუნია (ნოველა) . . 9

რ. გეფანიშვილი — ჩვენი უკანასკნელი თამაში (რომანი. გაგრძელება) 17

გ. შაქიშვილი — ზაფხულის ღამის ქრონიკა (პოემა) 40

რ. ჭეიშვილი — ლუკა პაჩიოლოს ცხოვრების უკანასკნელი წლები. (მოთხრობა) . . 57

ი. ჩადუნელი — ცხოვრების ზღურბლზე (რომანი. გაგრძელება) 63

ა. კალაძე — ყორანი (ლექსი) 75

ო. მამფორია — ლექსები 79

ბაშნიკი

დ. ჯაკაბიშვილი — ბაიდა (მოთხრობა) . . 82

თ. გოდერძიშვილი — მოთხრობები . . . 98

პიონერული ორგანიზაციის 40 წელი

ა. ლაარსაბიშვილი — ადამიანები არ იკარგებიან, გაგარინის რაზმელები . . . 112

ჩვენი ადამიანები

ვ. ხულაკაური — [illegible] . . . 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. ნიკოლაიშვილი — გაზეთი „პრავდა“ და ქართველი საზოგადოებრიობა . . . 125
ო. გაჟანიძე, დ. თუხარელი — ალექსანდრ გერცენი 129
კ. თეთლაშვილი — ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ 135
ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე — ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები საქართველოზე . . 139

სპორტი

ა. კუშნირი — ნონა გაფრინდაშვილი . . . 151
თ. ნორგეი — ევერესტზე (ნარკვევი. გაგრძელება. თარგმნა ლ. ჩხეიძემ) 153

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია:
კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, ვ. ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პრესის მედროშე

იგი ყველაზე უფრო პოპულარული გაზეთია მოეელ მსოფლიოში. იგი ყველგანაა. მისთვის არ არსებობს საზღვრები, მთები, ოკეანეები. მას კითხულობენ მოსკოვის მეტროში და თბილისის ბარაჩოებზე, პარიზის გარეუბნებში და სიერა-მაესტრას მთებში, ტოკიოს ქუჩებში და ლომბარდიის ველებზე... იგი ჩვენი სახელოვანი და საყვარელი გაზეთია, — გაზეთი „პრავდა", საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომ ტეტის ორგანო.

„პრავდის" ორმოცდაათი წლისთავი ღირსსახსოვარი მოვლენაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ეს დღე საბჭო ეთ პრესის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის დიდი დღესასწაულია.

საყვარელი გაზეთი შედის მილიონობით ადამიანის სახლში და შეაქვს სიმართლე და სიბრძნე, იგი შედის, როგორც ძველი მეგობარი, მრჩეველი და თანამოაზრე, როგორც წინამძღოლი, რომლის სიტყვასაც ენდობი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

იგი შედის მილიონობით ადამიანის სახლში, ანათებს შორეულ სივრცეს და ფილა უფრო ნათელია, შორეული — უფრო ხელშესახები, მიუწვდომელი — მისაწვდომი. იგი დიდი სიმარტლეა, პარტიის სინდისი, გამარჯვებათა მახარობელი, ჩვენი საბჭოთა ცხოვრების დიდი მემატიანე. იგი ყოველთვის ჩვენთანაა, როგორც სიხარულის, ისე განსაცდელის ჟამს, ბრძოლისა და გამარჯვების წინა ხაზზე.

მისი ყოველი ფურცელი ჩვენი გმირული დღეების გიგანტური კარდიოგრამაა.

„პრავდა" ჩვენი პარტიის ძლიერი და დაუღალავი რუპორია, რომელიც ადამიანებს შრომისა და შემოქმედებისაკენ, მშვიდობისა და მეგობრობისაკენ მოუწოდებს. იგი ამათრახებს ძალადობას, სიბნელესა და კაცთმოძულეობას.

„პრავდას" ხმა მთელს მსოფლიოს ესმის. ეს ხმა მეგობრებში აღფრთოვანებას იწვევს, მტრებში — შიშს.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი სახელოვანი „პრავდა". იგი შეგვესისხლხორცა. „პრავდა" საბჭოთა ადამიანების, ყველა კეთილი ნების ადამიანის საყვარელი გაზეთია და უკედავი ლენინის იდეების მედროშე.

„პრავდის" ისტორია სისხლხორცეულად დაკავშირებულია ჩვენი ხალხის ისტორიასთან. ლენინის შემოქმედებით აზრით შთაგონებული იგი მშრომელთა მშობლიურ გაზეთად იქცა. „პრავდა" მათ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ცეცხლით გაჩირაღდნებულ ოქტომბრის დღეებში და ბრძენი მრჩეველი იყო ქვეყნის გარდაქმნისათვის დაძაბული შრომის დროს.

„პრავდამ" გაიარა სახელოვანი გზა. მის ფურცლებზე გადიგრილა მთელმა ჩვენმა ისტორიამ — პეტერბურგის ბარიკადებზე რევოლუციური ბრძოლებიდან კოშენაზების მშენებელთა პროგრამის პროპაგანდამდე, კომუნისტური შაბათობებიდან ადამიანის კოსმოსში გაფრენამდე.

თუ რა არის „პრავდა" მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, შეიფლიათ თქვენ დიდი სამამულო ომის ჟანრისკაცებმა, რომლებიც ხარბად კითხულობდნენ მის ყოველ სტრიქონს სმოლენსკისა და ბრიანსკის ტყეებში...

მთელს დედამიწას ედება „პრავდის" სუნთქვა და მაჯისცემა, მას ყველგან მიაქვს საბჭოთა ადამიანების სანუკვარი ფიქრები და გრძნობები, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის ძლიერი სურვილი, ჩვენი რისხვა მათდამი, რომლებიც ხალხთა შორის ურთიერთობას ამწვავებენ.

„პრავდა" ჩვენი თანამედროვეობაა, ჩვენი დღევანდელი დღეა, ჩვენი ცხოვრების დაძაბული რიტმია. „პრავდა" საბჭოთა ადამიანებისათვის ნათელი კომუნისტური მომავლის გაზეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნახევარი საუკუნის წინათ, მაშინ, როცა ვ. ი. ლენინის ხელძღვანელობით ბოლშევიკი ფურნალიტების პატარა ჯგუფი საფუძველს უყრიდა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო გაზეთს, მაშინ, როცა იყოფობდა და ხვეტებად ლაგდებოდა მისი პირველი ნომერი, ცოტას თუ შეეძლო წარმოედგინა მისი ბრწყინვალე მომავალი, მისი ახლანდელი მსოფლიო მნიშვნელობა. სახალხო მასების ბზვრთებული მოძრაობა, გაფფრებული კლასობრივი ბრძოლები. 1917 წლის ოქტომბრის ღამეში „ავრორას“ ქვემეხების ქუხილი, საბჭოთა სახელმწიფოს დაბადება, სოციალიზმის გამარჯვებები, ჯერ მხოლოდ წინ იყო. ლენინური პარტიის შებრძოლოა, — ემიგრაციაში, იატაკქვეშ, ციხეებში, გადასახლებაში ჯერ კიდევ ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის და ყაყანობდნენ გულმოდგინე და დაუცხოოელ პროპაგანდისტებულ და ორგანიზატორულ მუშაობას მუშათა კლასის რევოლუციური ძალების გაერთიანებისა და შემზადოებისათვის. გაზეთმა „პრავდამ“ დაარსებიდანვე მკეეერად განსაზღვრა და ჩაპოალითა თავისი იდეური პოზიციები: „მუშათა კლასმა უნდა იცოდეს სიმართლე! — ახე იყო ნათქვამი 1912 წლის 5 მაისს გამოსული მისი პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში — მუშურმა გაზეთმა „პრავდამ“ უნდა უპასუხოს თავის სახელწოდებას: ამით ინი შეასრულებს თავის დანიშნულებას“.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე „პრავდამ“ მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი, მბრძოლელია სიეკვრული და აღიარება, იგი რაზმადდა მასების მეფის თვითმპყრობელობის ყიაღლმდეგ საბრძოლველად, ბოლშევიკების ხელში გაზეთი გადაიქცა მოეღვარე ჩირაღდნად, რომელმაც გაუნათა ხალხს ბედნიერებისათვის ბრძოლის გზა. მიუხედავად სასტიკი პოლიციური რეპრესიებისა, „პრავდა“ აღწევდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, აღვიძებდა მუშათა კლასის ზნრს და მზრომელთან მიჰქონდა ბოლშევიკური სიმართლე.

„პრავდის“ მთელ მოღვაწეობას წარმართავდა პარტია, პირადად ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ლენინი იყო „პრავდის“ სული და გული. მისი შთამაგონებელი და ხელძღვანელი. მან საუკეთესო გაზეთს მოაბმარა მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია, პოლიტიკური ბელადის სიპრძნე და ეურნალისტის ბრწყინვალე ტალანტი. „პრავდა“, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელძღვანელობდა, გვიჩვენებდა პარტიული მგზნებარების, კომუნისტური იდეურობისა და პრინციპულობის, მარქსიზმისადან უმეიერესი გადახვევებისადმი შეურიგებლობის მაგალითს. იგი იყო შემტევი გაზეთი, მასებთან უალრესად მჭიდროდ დაკავშირებული, მზრომელთა ინტერესებისათვის უანგარო მებრძოლი. „პრავდაში“ მუშათმხენენ ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო ძალები. გაზეთის გარშემო იარაზებოდა ასობით და ათასობით მუშა და სოფლის კორესპონდენტი.

გაზეთი პეტერბურგში გამდოდდა. რომ უფრო ახლოს ყოფილიყო გაზეთთან, ვლადიმერ ილიას ძე პარიზიდან კრაკოვში გადმოვდა. მიუხედავად სიძნელეებისა, იგი პრაქტიკულად ხელძღვანელობდა რედაქციის მუშაობას, წარმოადგენდა გაზეთის ძირითად პუბლიციტურ ძალას, განსაზღვრავდა მის იდეურ, თეორიულ და პოლიტიკურ მიმართულებას. 1912 — 14 წლებში ლენინმა „პრავდაში“ დაბეჭდა 280-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. ე ი. ფაქტიურად თითქმის ყოველ ნომერში გამოდიოდა.

„პრავდამ“ შეითვისა რუსეთის მარქსისტულ-რევოლუციური პრესის, თავისი წინამორბედების, „ისკრისა“ და „ზვეზდის“ შესანიშნავი ტრადიციები და იქცა მუშათა მასებისათვის ყველაზე უფრო გაბედულისა, წმიდათა-წმიდისა და რევოლუციური სიმბოლოდ.

„პრავდა“, როგორც ლენინური პარტიის ერთგული თანაშემწე, იყო მებრძოლი ორგანო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვებისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრობის ისტორიაში. „პრავდის“ ფურცლებზე აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების კომუნისტური გარდაქმნისათვის რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორიული ეპოქა.

საამოალაქო ომის წლებში „პრავდა“ ეხმპრებოდა პარტიას მუშათა, გლეხთა, მოწინავე ინტელიგენციის დარაზმვაში, საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად, მისი თავდაცვის გასაძლიერებლად, უცხოელთა ინტერვენციისა და თეთრგვარდიელთა განსადგურებლად აღანთებდა ხალხის მასების სულისკვეთებას, ადიდებდა მზრომელთა მგირთას ფრონტზე და ზურგში. ლენინის მგზნებარე მოწოდებებს, მის სტატიებს — სოციალიზმის გამარჯვების უფიეკი რწმენით გამსჭვალულ სტატიებს — „პრავდა“ აცნობდა საბჭოების ახალგაზრდა ქვეყნის მზრომელებს. „პრავდა“ ულიობლად ამხილებდა გამოიშველებსა და ფრაქციონერებს, რომლებიც ცოლობდნენ აეცდინთ პარტია ლენინური გზიდან. იგი იყო პარტიის ერთგული თანაშემწე, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. „პრავდა“ მთელ თავის ძალებს ახმარდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრას, იგი მტკიცედ იცავდა პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, თანამი-

ძოვებულად და დაუცხრომლად იბრძოდა ლენინის მიერ შემოშავებული სოციალიზმის აშენების გეგმის — მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის კოოპერირების, კულტურული რევოლუციის გეგმის განსახორციელებლად. ხალხთა შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. საბჭოთა ხუთწლედების პერიოდში იგი მხურვალედ ეხმარებოდა ხალხის ინიციატივას, ადიდებდა მუშათა და კოლმეურნეთა შრომის საგმირო საქმიანობას.

„პრავდა“ მძლავრი იარაღი იყო დიდი სამამულო ომის ხუთნიან წლებში, როცა გაფორეჩულ ბრძოლებში წყდებოდა ჩვენი სამშობლოს, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი, კომუნიზმის ბედი.

„პრავდის“ ფურცლები საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის მატიანედ იქცა. ახლა, როდესაც განვლილი წლების „პრავდის“ კომპლექტებს ვფურცლავთ, ნათლად წარმოგვიდგება ის გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიარა. გაზეთის ფურცლებს ეფინება რევოლუციური შეტაკებებისა და ბრძოლების ცეცხლი, პირველი ახალმშენებლობებისა და ძლიერი კოსმიური ზომალლეების გუგუნი.

ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრება აღბეჭდილია სახელოვანი ბოლშევიკური გაზეთის ფურცლებზე. „პრავდა“ ცხოვრებაში განუხრელად ატარებდა ლენინურ ხაზს, ეწეოდა გადამწყვეტ ბრძოლას ყველა ჯურის ფრაქციონერებისა და გამოშვებულების წინააღმდეგ. „პრავდის“ ფურცლებზე ასახულია ისტორიაში გაუგონარი პროცესი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისა.

აქტიური, მრავალფეროვანი და ყოველისმომცველი იყო „პრავდის“, მთელი ჩვენი პრესის საქმიანობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები, რომელთა მიზანი იყო კომუნიზმის გამარჯვების დაჩქარება. „პრავდა“ განუხრელად ახორციელებდა ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს პროლეტების კულტის შედეგების დასაძლევად, ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების აღსადგენად.

„პრავდა“ წარმატებით ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და დაუცხრომლად ეწევა კომუნისტური პარტიის იდეების პროპაგანდას, რაზმავს მახვეს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის საბრძოლველად, ეხმარება პარტიას ახალი ადამიანის — კომუნისტური იდეოლოგიისა და მაღალი მორალის ადამიანის აღზრდაში.

დიდია გაზეთ „პრავდის“ როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საქართველოს მშრომელებმა გაზეთის გამოსვლის პირველ დღეებიდანვე შეიყვარეს „პრავდა“. ბევრი ქართველი რევოლუციონერი აქტიურად მონაწილეობდა „პრავდის“ მუშაობაში. საქართველოს ბოლშევიკები თავიანთ რევოლუციურ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდნენ ლენინური „პრავდის“ მითითებებით. „პრავდა“ ფართოდ ვრცელდებოდა საქართველოს მუშებში, რომლებსაც ის თავიანთი ინტერესების დამცველად და თავიანთ საყვარელ გაზეთად მიიჩნევთ.

საქართველოს მშრომელები ერთხმად გაპკეკნენ ლენინური პარტიის მიერ ნაჩვენებ გზას — ბედნიერებისა და თავისუფლების გზას.

საქართველოს ბავშვები და ქალაშვილები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი ხაზეინოდ აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — ლენინური „პრავდის“ 50 წლისთავს. „პრავდის“ გზა სოციალიზმის გამარჯვებათა დიადი გზაა და ამიტომ „პრავდის“ დღესასწაული მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია.

ქართველი ახალგაზრდობა, საქართველოს კომკავშირელები, რომლებმაც სულითა და გულით მოიწონეს XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა და შეუფდნენ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმის განხორციელებას, შეუწყლებელი ყურადღებით უსმენენ „პრავდის“ ხმას და მოუთმენლად ელიან მის ყოველ ნომერს.

„პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლას ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა რევოლუციური გაზეთფუფლის „პირველი მერცხალი“ უწოდა. მართლაც „პრავდის“ დაბადება გახდა მაუწყებელი კაცობრიობის გაზეთფუფლისა, რომელიც დიდი ოქტომბრის დღეებში დაიწყო.

ორმოცდაათი წლის მანძილზე „პრავდამ“ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღზარდა მრავალი გაზეთი და ჟურნალი, რომლებსაც მსოფლიოს ყველა კუთხეში მიაქვთ სიმართლე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებათა შესახებ.

ჩვენი პრესის ძალის დადმრტელი წყაროა მისი ურყევი კავშირი ხალხთან, მისი განუყოფელობა ხალხისგან. საბჭოთა პრესის მუშაკები კომუნიზმისათვის მებრძოლთა დიადი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიის ერთერთი მნიშვნელოვანი რაზმია, პარტიის დამხმარე და სამიდო თანაშემწე.

საბჭოთა პრესა ნამდვილად სახალხო პრესაა, მას ხალხი ქმნის და იგი ხალხს, კომუნიზმის დიად იდეალებს ემსახურება.

„პრავდის“ სტარიქონები ჩვენი დიადი ეპოქის ცხოვრებით სუნთქავს. გაზეთი აღადგენენ თავის მეთხუთველებს, წარმართავს მათს ენერგიასა და შემოქმედებით ძალას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. საბჭოთა ადამიანების წინაშე, საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე იგი ხსნის სიცოცხლის უსასრულო და ნათელ გზას და ესაუბრება იმ სულიერ კმაყოფილებაზე, რომელსაც ადამიანი განიცდის სოციალისტურ საზოგადოებაში. წყარო საბჭოთა პრესის აღმავლობისა და სიბრძნისა, თავისუფლებისა და სიმართლის უსაზღვრო ერთგულებისა არის მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრება.

„პრავდა“ მთელ მსოფლიოს ფენს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებს შუქს, კომუნისტური პარტიის დიად სიმართლეს, რომელიც მშრომელთა ფიქრებსა და ინტერესებს გამოხატავს. ჩვენს ეპოქაში, სოციალიზმის ტრიუმფალურ გამარჯვებათა ეპოქაში „პრავდას“ მაღლა უჭირავს ლენინური დროშა, კომუნიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, იგი დაუცხრომელი ქომაგი და პროპაგანდისტია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისა, მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ლენინური პოლიტიკისა. იგი აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებთან, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებთან, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ მთელ პროგრესულ ძალებთან საბჭოთა ადამიანების ძმური სოლიდარობის -განმტკიცებას, იგი გულსწყრომით ამხელს იმპერიალიზმის მხეცურ არსს, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს კაცთმოძულეობის ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

„პრავდის“ პირველი ნომერი 5 მაისს გამოვიდა. მეცნიერული კომუნიზმისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ეს თარიღი ორგვარად ღირსსახსოვარია: „პრავდის“ გამოსვლამდე თითქმის ასი წლის წინათ და სწორედ 5 მაისს დაიბადა კარლ მარქსი.

ის, რომ დიდი მარქსი და რუსეთის ბოლშევიკების საბრძოლო გაზეთი მაისის ერთდროიმავე დღეს დაიბადნენ, მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლიური ხასიათის დამოხვევაა და, რა თქმა უნდა, პეტერბურგის მუშებს, რომლებმაც აიწევეს ყოველდღიური მუშათა გაზეთი, და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვით „ჩაიდინეს უზარმაზარი, — გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული საქმე“, ძალიან კარგად ეცოდოთ, რომ ისინი ამით პატიოს სცემდნენ დიდი მასწავლებლის ხსოვნას, რომლის უკვდავი იდეებისთვისაც მთ პრომაგანდა უნდა გაეწიათ.

„პრავდა“ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მარქსიზმთან დაკავშირებული იყო არა მარტო ამ სიმბოლიური თარიღით, არამედ მთელი თავისი არსებობით, ყოველი სტრიქონით... თვითმპყრობელურ-პოლიციური ჩაგვრის ძმიმე დღეებში „პრავდას“ ჯერ კიდევ არ შეეძლო წაემძღვარებინა კომუნისტური მანიფესტის ამაყი სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეს სიტყვები მის პირველ გვერდზე გაჩნდა 1917 წლის დაუფიწყარ დღეებში. მაგრამ მარქს — ენგელს — ლენინის იდეას — ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანების იდეას — „პრავდა“ თავისი არსებობის პირველივე დღიდან ქადაგებდა.

მარქსიზმის დიადმა რევოლუციურმა იდეებმა საფუძველი ჩაუყარეს გაზეთს, რომელიც მოწოდებული იყო თვალები აეხილა ადამიანებისათვის; ეთქვა სიმართლე და ეს ხვალინა მათთვის, თუ როგორ უნდა გამხდარიყვნენ საკუთარი ბედის ბატონ-პატრონები.

ასეთ გაზეთზე ოცნებობდა მარქსი. იგი ძალლონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ შეექმნა სამართლიანი მუშური, კომუნისტური გაზეთი, რომელიც გაადვიძებდა კაცობრიობას და მოწყლიის ხალხებს ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა.

ახლა კი „პრავდის“ გვერდით დგას ათასობით კომუნისტური გაზეთი. ისინი მიაბიჯებენ იმ მარქსისტულ-ლენინური გაზეთის სახელოვანი გზით, რომელსაც ახლა ორმოცდათი წელი შეუსრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი ჩარკვიანი

დიდი ლენინის გაზეთი

ამოდის მზე და შენს მოსვლას ნიშნავს,
მზის სხივებივით მოგვაწვდი აზრებს.
...დღე იყო შავი, შენ როცა იშვი
და ამობრწყინდი ამღვრეულ ცაზე.

კაცურად ჭიმე ჭაპანი მძიმე,
გწვავდა სიცხე თუ გსუსხავდა ყინვა,
შენ გვიდვიძებდი მომავლის იმედს
და გვასწავლიდი რა ვართ და ვინ ვართ.

მერე კი, გახსოვს, ბარიკადებზე
თოფებით ხელში როცა ვდგებოდით,
შენ ჩვენთან ერთად მაშინ დადექი
და ჩვენთან ერთად ტყვიებს ხვდებოდი.

გახსოვს, ხომ გახსოვს წლები შენების —
სტახანოველებს დღენი ბადებდნენ,
მაშინაც სწორ გზას შენ გვიჩვენებდი,
შენ იყავ ჩვენი გულისნადები.

და ისევ ომი...
ერთად ვიომეთ,
სანგარში ღამე ერთად ვათენეთ,
სისხლით ენამავდით ყოველ კილომეტრს
და მაინც მტრების დროშა გავთელეთ.

გული ცხელი გვაქვს, როგორც ივლისი,
დიად ეპოქის გვიხმობს მიზნები,
კვლავ ერთად ვივლით, როგორც გვივლია,
და მალე მივალთ კომუნიზმამდე.

...ასრულებ იმას, რასაც გვპირდები,
ხარ და იქნები მუდამ ასეთი,
როგორც მზე, ხალხებს ისე ჭირდები
დიდი ლენინის დიდი გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაღე ბობოხიძე

„პრავდა“

ნახევარი საუკუნე
გვაწრთობდა და გვამხნევებდა,
სწვავდა ბნელეთს და უკუნეთს,
შეენაბადა ღამეს ხევდა.

სიყვარულის გზად და ხიდად
მივიჩნიეთ. წინ გვიძღოდა;
შეუდრეკელ ქედს არ ხრიდა,
ჩვენი გულის დარდს იცნობდა.

განვლო ვრცელი გზა დიადი,
მისი კითხვა არ მოგვწყინდა,
ლენინური განთიადი
მისი შუქით ამობრწყინდა...

დაუცხრომელ ბრძოლის გზაზე
გულთან გვქონდა მანათობლად;
გავიმარჯვეთ. შრომის გაზეთს
ვინ არ ჩათვლის კვლავ მახლობლად!

ის პარტიის დიდ პროგრამით
კვლავ წინ გვიძღვის, გზებს გვინათებს;
ჩვენთან არის დღით და ღამით,
შთაგვაგონებს დიდ სიმართლეს!

ის პატრონობს, ის ამხნევებს
ყველა ქვეყნის ჩაგრულ ერებს;
ქარიშხლიან ზღვებს აღელვებს,
ახლად ანთებს ჩამქრალ კერებს.

შრეიდობა და მეგობრობა
მის ფურცლებზე აწერია,
ებრძვის ხალხთა შორის მტრობას,
კვლავ სიკეთის დამცველია.

ჩვენც სიწმინდე ქართულ ენის
მისი სიბრძნით შევინახეთ;
მით ვადიდებთ უკვდავ ლენინს,
გამარჯვების დროშებს ვარხევთ...

კონსტანტინე ღორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაკეტი

ნახატი დ. ერისთავისა

ნოველა

როდესაც წვიმს (თუმცა იმერეთში როდის აღარ წვიმს მარტსა და აპრილში)

როდესაც წვიმს და რიონის ჭალიდან წამოსულ ქარს მიწაზე დასტადასტად ჩამოაქვს ატმისა და ტყემლის ყვავილი, პატარა ცაბუნია დედას ეკითხება:

— დე, მოვიხურო შენი ღაზლი?

— კი, შვილო.

ცაბუნია უმალ გამოსწვეს ძველი კარადის უჯრას და თითქოს იქიდან თეთრი ბატი ამოფრინდაო, ოთახში ღუნღულა ღაზლი გაიფრიალება და უხილავ ნაპერწკლებს გაჰყრის.

ღაზლი სულ ახალია. მისი მოუთელავი ბეწვი ჯერ კიდევ შუშხავს თავკისერს, სამაგიეროდ ცაბუნია შიგ ისე თბილად გაეხვევა, ღაზლიდან მარტო ჭორფლიანი ცხვირი და ბუხართან დაბრაწული წვივები მოუჩანს.

მამის ნაქონი ცხვირიანი კალოშები კარებთან უცდის პატარა გოგოს.

— ე, ჩაიარა აბულაძის ძღაბმა! — ამბობენ მეზობლები, როდესაც ნაწვიმარ თემშარაზე იმ დიდი კალოშების ტყაპუნს გაიგონებენ.

ლელვების უბანში ყველამ იცის, ამ სისხამ დილაზე საით მიიჩქარის პატარა ცაბუნია. ბათუმის მატარებელს უნდა დახვდეს. სანიტარულ ვაგონს.

თუ საშველი დაგვადგა და ცოტა გამოიდარა, ცაბუნია ყვითელ სანდლებს მხარზე გადაიკიდებს და ორღობეში ფეხშიშველი მიტინტილებს.

ნაწვიმარ გუბეს, რა თქმა უნდა, ვვერდს არ შეუვლის. შორიდანვე გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევა და ზედ გადაევლება. ხანდახან მანძილს ვერ მოზომავს, ნახტომი შეეძ-ლება და წუმპეში ტყაპანს მოადენს.

თუ ამ დროს ცაბუნიას ვინმემ თვალი შეასწრო, პატარა გოგო სირცხვი-ლის ოფლში გაიწურება, ცრემლს ჩუმად გადაყლაპავს და ასევე ჩუმად გზას გაუდგება.

ქალაქის აფთიაქთან, საიდანაც მთავარი ქუჩა იწყება, ცაბუნია მხარზე გადაკიდებულ სანდლებს ჩამოიღებს და განა ტრიტუარის კიდეზე ჩამოჯდე-ბა, ან აფთიაქის კედელს მიეყრდნობა, როგორც სოფლის ქალებმა იციან, — ცალ ფეხზე ხტუნვით სანდლებს გაუჩერებლად ჩაიცვამს და სადგურისაკენ მოჰკურცხლავს.

იმ წელიწადს თერმეტი შეუსრულდა ცაბუნიას.

ახლაც თვალწინ მიდგას წინდის ჩხირივით თავიდან ბოლომდე ერთნაი-რად გათლილი გოგო, მისი გრძელი წვრილი მკლავები და მუდამ გადატყავე-ბული წვეტიანი იდაყვები.

ცხვირსა და ლოყებზე ჯარბად მოსდებოდა ჩალისფერი ჭორფლი, თით-ქოს ზედ მთელი საცერი ქატო შეაყარესო.

დრო ალბათ თავისას გააკეთებს — ცაბუნია გაიზრდება, ლამაზი და მოხ-დენილი ქალი დადგება... შარშან კი, როდესაც აბულაძის ბავშვი პირველად დამანახვეს, იგი ერთი უშნოდ აკანჭული გოგო იყო, როგორც უმეტეს შემ-თხვევაში მისი ასაკის გოგონები არიან.

სამტრედიის სადგურში ცაბუნია ყველას ეცოდება და რაწამს წითელქუ-დიანი მორიგე თვალს მიეფარება, პატარა გოგოს ხელს დაუქნევენ და სანი-ტარულ ვაგონში შეუშვებენ.

ცაბუნია დახუთულ კუპეში შეიხედავს და ჩუმად იკითხავს:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბიძია?

წამლის, ჩირქისა და მყრალი თუთუნის სუნი გულს ურევს პატარა გო-გოს, მაგრამ მან იცის, ცოტა ხანში ამ სუნს შეეჩვევა და აღარ შეაწუხებს.

და სანამ სამანევრო ორთქლმავალი სანიტარულ ვაგონს ჩიხში ჩააყენებს, ცაბუნია თითქმის ყველა კუპეს ჩამოივლის და დაჭრილ ჯარისკაცებს გამო-ელაპარაკება.

— მეხუთე თვეა მამისაგან წერილი არ მიგვიღია. აბულაძეა ჩვენი გვარი. ხომ არ გინახავს სადმე?

— სახელი რა ჰქვია მამაშენს!

— ვალიკო.

— ვალიკო აბულაძე? არა, შვილო, არ მინახავს.

— კარგი, ბატონო.

ვაგონის ვიწრო დერეფანში სანიტრებმა უკვე გამოიტანეს რაღაც ყუთე-ბი, საკაცეები, ყავარჯნები, მაგრამ როგორც ლანდი არაფერს არ წაქცევს და არავის არ შეაწუხებს, პატარა გოგოც ასევე ჩუმად გადადის ერთი კუპედან მეორეში და ისევ ისმის მისი მორიდებული ხმა:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბიძია?

2

ძველი სამტრედიის გზაზე, ამაღლების ბორანთან, სადაც ომის წლებში ბროწეულების მიხვეულ-მოხვეული ორღობე აჩეხეს და განიერი თემშარა გა-იყვანეს, ცხოვრობდა ერთი ახალი მოსახლე ვალიკო აბულაძე.

მაისიდან გვიან შემოდგომამდე ვალიკო მწონავად მუშაობს ჩაის ფაბრიკაში.

მწვანე ფოთლის კრეფა რომ მოილევა, კაცი ერთი-ორი დღე ოჯახში მიიხედ-მოიხედავს, — შეშას მოიტანს, ლიმონის ხეებს შეფუთვნის, სახურავზე კრამიტებს გაასწორებს, ბოგირთან დგუბებულ წყალს გზას გაუკვალავს, მერე ჯიბეში პასპორტს ჩაიდებს და რკინიგზას მიაკითხავს.

დიდ სატვირთო სადგურში სამუშაოს რა გამოლევს, მეტადრე თუ ჯანიანი კაცი ხარ და ხელებში ცეცხლი გიკიდია, და ვალიკო აბულაძეც დუყის პირველ შემოსვლამდე ამ ვეება ფარდულებში მუშაობს.

მზე რომ გადაიხრება, ბოლოშეკეცილ ჯვალოს ტომარას თავზე წამოიხურავს, ილიიაში თორნის პურებს ამოიდებს და შინისაკენ გაუტევს.

სახლამდე სრული ორი კილომეტრია. თუ ვალიკო სადგურიდან ფხიზელი წამოვიდა, ამ გზას, ძალიან დაღლილიც რომ იყოს, ნახევარ საათში გაივლის. მაგრამ ხანდახან ძმაკაცებთან ერთად სადგურის ბუფეტში შეუხვევს და კარგად გადაჰკრავს.

მაშინ ის ორი კილომეტრი ისე გაიწელება, ორი საათიც აღარ ეყოფა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ღვინოში ვალიკო აბულაძეს ცოტა ოცნება უყვარს. ოცნებაში წასული კაცი კი, რასაკვირველია, ჩქარა ვერ ივლის. და იგიც ნელა მიბანდალებს ხან თოვლუკაში, ხან ლურჯად ჩაგუბებულ ბინდში... ღვინისაგან შეხურებულ თავს ათასი ფიქრი და ზმანება უფორიაქებს.

მერე და როგორი აწყვეტა იცის ნებაზე მიშვებულმა ფიქრმა. სადღა არ წაგიყვანს, რას არ დაგიხატავს, მაგრამ ვალიკო აბულაძეს გულში ყველაზე ღრმად ერთი რამ გამოუსკვნია, — რაიმე ხელობა შეისწავლოს, რომ ჩაის ფაბრიკაში ზამთარ-ზაფხულ სამუშაო ჰქონდეს.

იმ წელიწადს კიდეც შეჰპირდნენ, სადამოს კურსებზე მოგაწყობთო, მაგრამ დაიწყო ეს საშინელი ომი და ვალიკო აბულაძის ოცნებას ნიადაგი გამოეცალა.

... ცაბუნია მამას წერილს ხშირად უგზავნის. საღამო ჟამს თხას რომ მოწველის და ჭურჭელს დარეცხავს, ახრჩოლებულ ნავთის ლამპას ქაღალდს ჩამოაფარებს, მძინარე უჩა სინათლემ არ შეაწუხოს, და მაგიდას მიუჯდება.

დიდხანს სწერს. ქიმიურ ფანქარს ენის წვერით მალმალე ასველებს და პირდაპირ ხატავს თვითეულ ასოს.

„ჩვენში ყინვები დაიწყო. წუხელ ოთახში წყალი გაიყინა და კოკა შუაზე გადაიყარაო.

„ბიცოლა მეტიას უფროსი ბიჭი ცალფეხა დაბრუნდაო.

„დედამ შემოგითვალა, უჩა დაარიგე, დიდ ბიჭებს რკინიგზაზე დაჰყვება და ვაშლის ჩირს იპარავსო.

„წუხელ დიდი შიში ვნახეთო. ფანჯარა კარგად ვერ დავაბნელე, ქუჩაში სინათლე გასულიყო და ღამის ყარაულები მთელი ღამე გვიფშტვენდნენო.

„საშურიამ გეოგრაფიის სახელმძღვანელო დამიკარგაო...

ასე ესაუბრება ცაბუნია ქერჩის მთგორებში გადაკარგულ მამას. ცისა და ქვეყნის ამბავს შეატყობინებს, მხოლოდ ერთ რამეს არ მისწერს, — რომ ოჯახს ცხოვრება უჭირს, რომ შეშა გამოელიათ და წაქის ფაფა სანატრელი გაუხდათ.

მეორე დილას გაღვიძებას ვერ მოასწრებს, უმცროსი ძმა უჩა-ბიჭი თავს დააცხრება.

— რა მისწერე მამას! კიდევ დამაბეზღე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავი დამანებე, ბიჭო. არავითარი წერილი არ დამიწერია!

— აბა ეს რა გაქვს ტუჩებზე! ჩაიხედე სარკეში.

ქალაქში საპონი წამლად არ იშოვება. მარტო თბილი წყალი კი ლილისფერ ზოლს ვერ მოერია. ბაკი პატარა წინწყალი მაინც დარჩა ქვედა ბაგეზე.

ბოლო წერილი ყირიმის ფრონტიდან მიიღეს. მერე მთელი ხუთი თვე გავიდა, ფოსტალიონს ერთხელაც არ დაუძახნია აბულაძის ჭიშკართან.

დედა ავად იყო. ერთხელ აბრეშუმს ბეღლის ფოთოლი რომ გაუშალა, ჩელტი ჩაემტვრა და ჩამოვარდა. ფეხი მოტეხა. საავადმყოფოდან თაბაშირის არტახში გაკრული მოიყვანეს. საწოლი ფანჯარასთან დაუდგეს და როდესაც ქუჩაზე ნაშუადღევს ფოსტალიონი ჩაივლის, დედა ცაბუნიას დაუძახებს და ეტყვის:

— წადი შვილო, გაიგე, წერილი ვინ მიიღო. იქნებ ვინმე მამაშენის ამბავს იწერება...

მერე ქალაქში ხმა გავრცელდა, ქერჩიდან დაჭრილები ჩამოჰყავთო, ცაბუნია ცისმარე დღე სამტრედიის სადგურზე იყო, მაგრამ კაცი ვერ იპოვნა მამის მნახველი, თითქოს ეს უღვთო ომი მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ვალიკო აბულაძე ამ ქვეყნიდან უკვალოდ გაექრო:

ასე მიილია წვიმისნი აპრილი.

ბაზრობის დღე იყო, ხალხი სადგურში ბლომად ირეოდა. ცაბუნიამ ცოტა დაიგვიანა და სანიტარულ ვაგონთან ვეღარ მიაღწია. აქეთაც მიაწყდა, — იქითაც მიაწყდა — ყველა მხრიდან გამოაგდეს და სადღაც ბამბის ნაკრაულებთან მიშეჭკეს.

— გამიშვი, ბიძია, შენი ჭირიმე! — დაეღრიჯა გოგო ვიღაცის განიერ ზურგს.

— მოიცა, გოგო გვერდები ნუ დამამტვრიე! — უყვირა მან.

ცაბუნიამ ერთი-ორჯერ წაისლუკუნა, მერე თავი დაღუნა და ფიცარში ბურღი რომ შეიჭრება, ისე გამწარებული შეიჭრა ხალხში...

დაჭრილები უკვე გადმოჰყავდათ. წყალსაწნევ კოშკთან წითელჯვრიანი მანქანები თუხთუხებდნენ.

ვიღაც დედაკაცმა ხალხი გამოარღვია, საკაცესთან მიირბინა, დაჭრილ ჯარისკაცს სასთუმალთან ტკბილიკვერში გახვეული ჯანჯუხები დაუწყო, თან ისე ამოიოხრა, პირდაპირ გული ამოაყოლა.

ცაბუნიამ ერთ წუთში ჩამოუარა ბაქანზე გაფენილ დაჭრილებს. ყველანი ხალისიანად გამოელაპარაკნენ, იმედიანი სიტყვა უთხრეს, ერთმა სალდათმა თავი-შაქრის ნატეხიც კი ჩაუდო ხელში, მაგრამ პატარა გოგო ამჯერადაც მეტი ვერაფრით გაახარეს. ვალიკო აბულაძეს ისინი არ იცნობდნენ.

ცაბუნიამ ბაქანზე ცოტახანს კიდევ მოიცადა.

ვითომ რაიმე სასწაულს ელოდა?

არა. მან ეგრე იცოდა, აქაურობას ასე უცბად ვერ მიატოვებდა. ეს უცნობი ჯარისკაცები, წამლებისა და თუთუნის სუნი, მატარებლის რახრახი, — მთელი ეს ორომტრიალი დაკარგულ მამას ისე ცხადად მოალანდებდა, პატარა გოგო აღელვებისაგან სულს ვერ მოითქვამდა.

უეცრად ვიღაცამ დაუძახა.

— პატარა ქალო!

ლერწმის მსუბუქ საკაცედან წითელულვაშებიანმა ჯარისკაცმა თავი წამოსწია და გოგონას ხელი დაუქნია.

ცაბუნია მივიდა. დაჭრილს მარჯვენა ფეხი რუმბივით ედო ბალიშზე. ცხვირის ნესტოები ისე დალეოდა, შიგ ლანდი გადიოდა.

— რა არის შენი ვალიკო აბულაძე, — ჰკითხა მან.

— მამა.

— მერე რა გატირებს, პატარა ქალო! მამაშენი კარგად არის. წამოსვლის დღეს ვნახე და თქვენთან დამაბარა, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე არაფერი მიჭირსო...

ეს უთხრა და თვალი ისე ოინბაზურად ჩაუკრა, თითქოს თვითონაც თერთმეტი წლისა იყო.

მამაშენი კარგად არისო!

ცაბუნიას ჭორფლიან ლოყებზე ცხელი სისხლი შემოასკდა, ყურებმა წივილი დაიწყო.

დაჭრილმა მკრთალად გაუღიმა და კიდევ რაღაც უთხრა, მაგრამ გულის სიღრმემდე შეძრულ გოგოს მეტი არც-არა გაუგონია, არც-არა დაუნახავს.

სიხარულის ელდამ ადგილიდან ისე მოსხლტა, სანდალზე შესაკავი გაუწყდა. მეორე სანდალიც უმალვე წაიძრო და ფეხშიშველი მოჰკურცხლა.

„შინ, ჩქარა, შინ! დედა გავახარო...

წითელჯვრიანი მანქანები ხიდზე გადადიოდნენ, როდესაც გაწეწილი, ოფლად გაღვარული ცაბუნია ორღობეში შეიჭრა.

3

ჯერ კიდევ შარშან, სანამ ქერჩის უბედურება თავს დაგვატყდებოდა, რკინიგზელთა დასასვენებელი სახლი დაკეტეს, სამი მხრიდან მწვანედ შეღებული მესერი შემოავლეს, (მეოთხე მხრიდან რიონი ჩაუდიოდა დასასვენებელ სახლს) ალაყაფის კარებთან ჭრელად მოხატული პატარა ბუდრუგანა დადგეს და ზედ თუნუქის აბრა ჩამოჰკიდეს:

„ჰოსპიტალში შესვლა სასტიკად აკრძალულია.“

ბუფრუგანას უკან ნაბადგადაფარებულ სკამლოგინზე მოხუცი ყარაული ოჯდა. მუხლებზე პატარა კარდალა დაედგა და ცხელ შეჭამანდს ნელ-ნელა ხვრეპდა.

ხელი უკანკალებდა. წვენი რომ არ დაეღვარა, კოვზს ქვემოდან შავი პურის ნატეხი ამოაფარა და პირთან ისე მიიტანა.

ჭამის დროს უფროსი კაცის შეწუხება არ შეიძლება, უზრდელს დაგიძახებენ.

ცაბუნია მესერს მოეფარა და სანამ ყარაულმა კოვზი არ გალოკა და ცარიელი კარდალა ხის ტოტზე არ ჩამოჰკიდა, გოგოს ერთი ხმა არ გაუღია. მერე კი ალაყაფთან მიირბინა და ყარაულს უთხრა:

— გამიშვი რა, ჩემო ბაბუ!

მოხუცმა ტუჩპირი მოიწმინდა, წვერზე ხელი ჩამოისვა და შიგ ჩარჩენილი პურის ნამცეცები ჩამოიბერტყა.

— ვისთან მიდიხარ, გოგო?

— ერთი დაჭრილის ნახვა მინდა.

— ვინ არის, შვილო, რა გვარია!

— გვარი არ ვიცი, ბაბუ. მამაჩემის ამხანაგია.

ცაბუნიამ ალაყაფის კარებში დატანებული პატარა ჭიშკარი შეაღო და სულმოუთქმელად მოუყვა ყარაულს გუშინ დილას სამტრედიის სადგურში მომხდარი ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაიტ, შე გლახა, შენა! — ალერსიანად დატუქსა მოხუცმა: — გვარს კითხეი რავა დაგავიწყდა!

ცაბუნიამ დიდი ქალივით ღრმად ამოიოხრა.

— დედაც გამიწყრა! ჯერ ცრემლები გადმოყარა და მკოცნა და მკოცნა. მერე მომდგა და შავი დღე დამაყენა. „ახლა რა გვშველება, ის კაცი როგორღა ვიპოვნითო!“ ძლივს დავაწყნარე, ნუ გეშინია, ქვესკნელს გავხეთქავ და ვიპოვნი-მეთქი.

— უყურე ამას! — სთქვა მოხუცმა და ცაბუნიას მხარზე ხელი დაადო: — შენ რომელი აბულაძეების გოგო ხარ, გაღმელებისა თუ ხვლიკიტლეკიების?

— ხვლიკიტლეკიების. — უგულოდ გამოუტყდა ცაბუნია.

თუ გინდა აბულაძის გოგოს სამუდამოდ თავი შეაძულო, აი სწორედ ეს გაახსენე, მათი გვარიშვილობის დამამცირებელი სახელი. მერე ციდან ვარსკვლავი რომ მოუწყვიტო, იგი შენსკენ არ გამოიხედავს.

ახლა კი ვითომ არაფერი — გულმა საწყენი აღვილად დაიდუღა.

— აბა პაჭულია აბულაძის შვილიშვილი ხარ შენ? — ჩაიცინა ყარაულმა: — კარგად ვიცნობდი ბაბუაშენს. დიდი წუწურაქი ვინმე იყო, ცხონებული. ერთხელ სამურზაყანოში ხე-ტყის საკრელად წამიყვანა და კინაღამ სიმშილით მომკლა. მაგან შეარცხვინა თქვენი გვარი, თორემ მანამდე აბულაძეებს საგინებელ სახელს ვინ აკადრებდა! იცი, რა ჰქნა ბაბუაშენმა? ხე-ხე-ხე...

იცის, როგორ არ იცის. ერთხელ ყანაში სადილი რომ მიუტანეს, ლობიოს ქოთანში თურმე ხვლიკი ჩაუვარდა.

პაჭულიამ არც აცივა, არც აცხელა, ლობიოში ამოვლებულ ხვლიკს ხელი სტაცა და პირში **გამოისვაო, ხმა დაუგდეს** მეზობლებმა.

„არც შენი მინდა, არც ჩემსას გაგატანო!“ ჩაიბურდღუნა და ხვლიკი გვიმრებში გადაადგორა...

ასე იყო თუ ისე, იმ დღიდან კი შეარქვეს პაჭულია აბულაძეს ეს საჯაყი სახელი — ხვლიკიტლეკია.

— ფეხის ნაბანი წყალი რომ გეთხოვა, იმას არ გაიმეტებდა მეზობლისათვის! ხე-ხე-ხე.

მეტისმეტი სიამოვნებისაგან მოხუცმა ერთი დაიკრუსუნა და სიცილისაგან აცრემლებულ თვალებში მუჭი ამოისვა.

მერე რატომღაც ხელი ჩაიქნია, სული მოიბრუნა და სთქვა:

— რა ვქნათ ახლა! რომ არ ვიცით, ის კაცი რომელ პალატაში დაწვინეს!

— ერთი რომ შევხედო, მაშინვე ვიცნობ, იმისთანა წითელი ულვაშები აქვს! ორ სიტყვას ვეტყვი და გამოვალ, არ შევაწუხებ.

— არა, შვილო, მე რომ გაგიშვა, იქ მაინც გაგაჩერებენ და მეც საყვედურს მეტყვიან. შენ აქ მომიცადე. მე წავალ და მორიგე ექიმს ვნახავ.

ჭიშკარს ურდული გაუყარა და წაიდა.

კარგახანს შეაგვიანდა. ცაბუნიას გული ცხრაჯერ გაეპარა, სანამ ყარაული დაბრუნდებოდა.

— ეგერ ხედავ, ხეივნის ბოლოში ქალი რომ დგას, — სთქვა მოხუცმა და ცაბუნია დაფნის ბუჩქებისაკენ მიაბრუნა: — გუშინდელებს ის გაჩვენებს. აბა გაიქეცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

მედიცინის სამსახურის კაპიტანს ამხანაგ იოსელიანს

ამხანაგო კაპიტანო, ამ ბარათს გწერს უფროსი სერჟანტი არჩილ მესხი მეორე ქირურგიული პალატიდან.

არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ რა ვქნა, ჩემი საქმე ისე წავიდა, ამ ჰოსპიტალში აღარ დამედგომება. რამე უნდა მისაშველოთ და სხვაგან გადმიყვანოთ, არ დავეძებ, სადაც იქნება, ოღონდ კი ამ ქალაქს მომაცილეთ.

თქვენ შეიძლება ჩემი სათხოვარი ავადმყოფი კაცის ჭირვეულობად მიიჩნიოთ, საქმე გამოლევია და ჭკუას ძალას ატანსო, მაგრამ ნუ დაიზარებთ, ეს წერილი ბოლომდე წაიკითხეთ და შემდეგ გამასამართლეთ.

თქვენ ალბათ იცით, რომ ჩემთან ხშირად დადის პატარა გოგო ცაბუნია. იმ საწყალს ჰგონია (და სხვებიც დარწმუნებული არიან), რომ მე მამამისის მეგობარი და ფრონტელი ამხანაგი ვარ.

სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

ცაბუნიას მამა მე თვალითაც არ მინახავს, არც ფრონტზე და არც სხვაგან. მისი სახელი და გვარი პირველად აქ გავიგონე, სამტრედიის სადგურზე, როდესაც ცაბუნია დაჭრილებს მამის ამბავს ეკითხებოდა.

ვხედავ — ჩვენი ვაგონის კიბესთან პატარა გოგო დგას. ხეს ტოტი რომ მოტყდება და ზედ მიაჭენება, ასე საცოდავად მობუზული და ცრემლს ჩუმად ყლაპავს.

გული ამიდუღა ამ სურათმა, და მეც ბევრი აღარ მიფიქრია, დავუძახე და ვუთხარი, მე ვიცნობ ვალიკო აბულაძეს, ამას წინათ ვნახე და კარგად არისმეთქი.

შეიძლება შევცდი, არასწორად მოვიქეცი, ამხანაგო კაპიტანო, მაგრამ იმ წუთში მე ისე მინდოდა მისი გახარება, დანუგეშება... აზრადაც არ მომსვლია, თუ ის ორი სიტყვა ამ ცეცხლში ჩამაგდებდა.

ეს მოხდა იმ პარასკევს.

მეორე დღეს ჭრილობა გამიშუქეს და ექიმს ვესაუბრები — უცბად კარი გაიღო და პალატაში დაბარებულივით ცაბუნია არ შემოვიდა?!

დამინახა თუ არა, გახარებული მომვარდა.

— მიცანი, ბიძია? მე ვალიკო აბულაძის გოგო ვარ. — მითხრა და ხელი ჩამომართვა.

საკვიელი წამიხდა. „გიცანი პატარა ქალო, როგორ არ გიცანი, მაგრამ რა გიყო ახლა, მეტი სათქმელი რომ არაფერი მაქვს!“ გამიელვა თავში.

— გუშინ როგორ დავიბენი, ბიძია! მამას ამბავი კარგად არც კი მიკითხავს. ლაპარაკით ხომ არ შეგაწუხებთ?

რა მექნა, გამოტეხილად მეთქვა, მამაშენს არ ვიცნობ-მეთქი! მაგრამ მის თვალებს რომ შევხედე, ტანში ამბურძგნა. ის თვალები ისე ბრწყინავდნენ და ჩემგან იმდენ სიხარულს ელოდნენ, რომ სიმართლის სათქმელად ენა აღარ მომიბრუნდა.

— დაჯექი, გენაცვალე, — ესლა ვუთხარი და სკამიდან წამლის შუშები გადავალაგე.

კიდეზე ჩამოჯდა, ერთი შემომცინა და სმენად გადაიქცა.

მე ჯერ ქისა ამოვიღე და ერთი-ორი წუთი პაპიროსის გაწყობას მოვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომე, მერე ასანთს დავუწყე ძებნა, მაგრამ სანამდე გინდა ეძებო! ცაბუნია თვალებში მომჩერებია...

სული მოვიკრიფე, ერთ უძირო გუდას თავი მოვხსენი და იქიდან რა არ ამოვალაგე! ჩემი და ვალიკო აბულაძის პირველი შეხვედრა, ჩვენი დამბომბილება, თუ როგორ გაითქვა სახელი მამამისმა ფაშისტებთან ბრძოლაში...

ცაბუნია გასუსული მისმენდა. ბოლოს სთქვა:

— კი მარა, ამდენხანს ერთი სიტყვა რომ არ მოიწერა, ნეტავი რას ფიქრობს, დედაჩემი არ ეცოდება?!

მოდი და გაეცი პასუხი ამ კითხვაზე. არადა, გაჩუმებაც არ შეიძლება.

— ყური დამიგდე პატარა ქალო, — ისევ ქისა ამოვიღე და სანამ თუთუნს შევახვევდი, ფონიც ვიპოვნე: — ზოგჯერ ჯარისკაცს საგანგებო დავალებას მისცემენ და სადმე შორს გაგზავნიან. იქიდან არამცთუ წერილს, მოკითხვასაც ვერავის დაბარებ! ან შეიძლება გზაში ფოსტა დაბომბეს. ომია, რას იზამ!

...ასე გავები მახეში ამხანაგო კაპიტანო. ეს პატარა გოგოც ისე შემეჩვია და მომენდო, თითქოს მისი ღვიძლი ნათესავი ვიყავი. ხან მარტო შემოვა პალატაში, ხან პატარა ძმას მოიყვანს... გუშინწინ სკოლის ამხანაგები დამაყენა თავზე, გაიგონეთ, რა მამა მყოლიაო... მერწმუნეთ ამხანაგო კაპიტანო, დილას რომ გავიღვიძებ, მეტს არაფერს ვფიქრობ: დღეს ცაბუნია მოვა და მზად უნდა დავხვდე. და მეც ვწევარ და ვთხზავ მამამისის გმირობის ამბებს. ვ ა ლ ი კ ო ა ბ უ ლ ა ძ ე მ ტ ა ნ ს ც ე ც ხ ლ ი წ ა უ კ ი დ ა. ვ ა ლ ი კ ო ა ბ უ ლ ა ძ ე მ დ ა ჭ რ ი ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ი გ ა დ ა ა რ ჩ ი ნ ა. ვ ა ლ ი კ ო ა ბ უ ლ ა ძ ე მ ტ ყ ვ ე მ ო ი ყ ვ ა ნ ა...

დავიღალე ამხანაგო კაპიტანო. არ შემიძლია ამდენი გამოგონება. თარაც მეშინია, არაფერი ავურ-დავურიო, არაფერი შემეშალოს, თორემ ეს ჩემი გუდა ხელად დაიფშუტება და ყველაფერი გამოაშკარავდება. მერე ცაბუნია? ისევ მე წავალ ამ ქალაქიდან. ასე აჯობებს. ცაბუნია კი ელოდოს მამას... ომში ყველაფერი მოსავალია, ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და... ის კაცი აგერ არ მოდის ცოცხალი და ტანმრთელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ბექანიშვილი

ჩვენი უსინდისილი თაყვაში

8 8 8 ?

რომანი

ტელეფონმა დარეკა. რვეული გვერდით გადავდე და უხალისოდ ავიღე მილი.

— გისმენ.

— ბიძინა ხარ? გამარჯობა, ბიძინა! როგორა ხარ, ბიძინა! სადა ხარ, კაცო, რომ ვეღარ გხედავ. დაფნის გვირგვინი დაიდგი თავზე და უბრალო მოკვდავთ აღარა კადრულობ? წავიკითხე წერილი შენი გამოფენის შესახებ. მაღარიჩი შენზეა! ცაში ხარ, ძმაო, აყვანილი და რაღა გიჭირს! ძველი მეგობრების დავიწყება კი არ ვარგა, ბიძინა, არა, — მომაყარა ვიღაცამ სხაპასხუპით.

— ბოდიში, მაგრამ ვინ ლაპარაკობს? — ვკითხე გაოცებულმა.

— ვეღარა მცნობ, არა! ეხ, რას იზამ, ასეა, დაფნის გვირგვ...

— უკაცრავად, მე ვმუშაობ ახლა!

— ჟორჟიკა ვარ, კაცო, ჟორჟიკა.

— ჰმ! — ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

ჟორჟიკა ერთი იმ მხატვართაგანია, ვინც ოცი წლის ყალბი დიდების მერე დარწმუნდა, რომ მხატვრობა მისი მოწოდება არ იყო და სჯობდა, კარგი ზეინკალი ან შოფერი გამოსულიყო. ყველასთან შინაური კაცია, ასეა ჩემთანაც, მით უმეტეს, რომ ხანდახან ოთახს მითმობს... ყოველთვის ასეა, მომაბეზრებელი და სულელურია მისი ბეჭუტური, მაგრამ მაინც ვუსმენ და ვერ ვაწყვეტინებ. აი როგორ მრავლდებიან უსაქმურები.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 3, 4.

საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საღამოს მოვალ, ბიძინა, არ მოიწყინო. ნუ გეშინია, ჩემს ხარჯზე ... ვალთ, რა სახე ჩამოგტირის! შენს მაგივრად მე ვიხდი ხელოვნების მაღარიჩს! აბა, კარგად მენახე, „პაკა“!

ტუ... ტუ... ტუ...

მძიმედ დავუშვი მილი. სიგარეტი მოვძებნე, მოვუკიდე და კითხვა განვაგრძე.

ნაცნობ-მეგობრებში ყველგან ბიძინას სახელი მესმის. უმრავლესობა მოწიწებით იხსენიებს. არ ვიცი რა ნახეს ასეთი. მე, ჯერჯერობით, აღტაცების ძომგვრელს ვერაფერს ვამჩნევ.

ყველა ჩემი ამხანაგი ბიძინასთან ადვილად პოულობს საერთოს, მე კი მიჭირს. იქნებ იმიტომ, რომ ისინი ბიძინას იცნობენ როგორც მხოლოდ მხატვარს, მე კი, მხატვართან ერთად, ქმარს. პირადი ცხოვრება ბევრ საიდუმლოებას ხდის ფარდას, ამის გაგება არ უნდა ზოგიერთს. მე მათ ვერ შევეკითხები, რადგან სასულელია ჩემი ქმრის ამბავი სხვას ეკითხო. თანაც არა მსურს ყველაფერი გაზიარებული და ჩაწიაწიკებული მქონდეს მასთან. რაღაც ხომ უნდა დარჩეს გულში სათუთი და სანეტარო... სიყვარულში ბოლომდე თუ ყველაფერი ითქვა, მაშინ ის სიყვარული კი არა, მხოლოდ მმაჩის მიერ დადასტურებული ქორწინებაა... ცოლ-ქმარი გოგლიმოგლივით არ უნდა გაითქვიფოს ერთმანეთში. თითოეულმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და რაღაც საკუთარი, თორემ ისე ძალიან მოსაწყენი და ერთფეროვანი იქნება ცხოვრება. სწორედ ეს არ ესმით სანებლიძეებს და პირველ რიგში ბიძინას. საერთოდ ისინი ბევრს მსჯელობენ და ნაკლებს გრძნობენ. მე არ შემიძლია ჩემი თვითეული ამოსუნთქვის ან კოცნის ანგარიში წარვადგინო. სიყვარულმა ბალანსი არ იცის, მით უმეტეს, მე ბუღალტერია სასტიკად მეჯავრება. ხშირად ვზიავრ მოწყენილი, მეც არ ვიცი, რატომ. შემომიჩნდებიან: რათა ხარ ასე, იქნებ... და იწყება მრავალნაირი გამოკითხვა და ეჭვი. იმის მაგივრად, რომ ვიმხიარულო, მოწყენას ზედ შეუერაცხყოფაც ემატება და გულმოკლული ვტირი.

გახევებული ვიჯექი. არ ვიცოდი რა იყო ეს, წერილის ნაგლეჯი თუ ღღიური, მაგრამ წაკითხულმა დაადასტურა ჩემი ეჭვები. რვა წლის ერთად ცხოვრების მერე ორივე ცალ-ცალკე მივხვედრილიყავით, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა.

28

30 ნოემბერი, 1937 წ.

ჩემო ძვირფასო ნანა!

ეხ, ჩემო ნანა, შენ თუ არ შემოგჩივლე, სხვას ვის გავუზიარო ჩემი დარდები, ხოლო შენ კარგად იცი, ჩემი დარდი ყოველთვის საზოგადოებრივი წუხილით არის გამოწვეული და არა ობივატელური კარჩაკეტილობით.

ხაზზე მუშაობა მთელი დატვირთვით მიდის, მაგრამ ხალხი აღარ არის და რა ვქნა! ან მე როგორ გადავრჩი, საოცარია. მაგრამ გადავრჩი? ვინ იცის კიდევ რა მოხდება! ვისაც ხელის განძრევა შეეძლო, ყველას ციხეში უკრეს თავი. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მე სხვა გზა არა მაქვს და სხვა გზას ჩემი პარტიული სინდისიც არ მომცემს, მე უნდა განვაგრძო სოციალიზმის საქმე, რადაც არ უნდა დამიჯდეს! დე, რეგოლუციის მტრებმა რამდენიც უნდა ისისინონ. თუ მე რამე დამემართება, იცოდე, ნანა, შენს პატიოსნებას და შენს სინდისს ვაბარებ ჩემ შვილებს...

ძალიან მიხარია სამსახურში შენი წარმატებანი, გისურვებ ჯანმრთელობას და მუშაობის უნარს ჩვენი საერთო მიზნისათვის, კომუნიზმისათვის!

დამიკოცნე ბავშვები და ჩემი სახელით უთხარი, რომ კარგი პიონერები და მომავალში მტკიცე კომუნისტები იყვნენ. მადლობა გადაეცი ყველას, ვინც მოკითხვას მითვლის.

კომსალმით არჩილი

---

17 სექტემბერი

ჩემო არჩილ!

ერთი კვირაა, რაც სწავლა განახლდა სკოლაში. წლევანდელი ზაფხულის არდადეგები ძალიან შინაარსიანი გამოდგა. ბავშვები ბანაკში მყავდა.

წელს პირველი წელია, რომ სრული ხელფასი მეძლევა და უკვე „დიპლომიანი“ მასწავლებელი მქვია. რომ იცოდე, როგორ მიხარია. არა მარტო ის, რომ სრულ ხელფასს ვიღებთ, არამედ რომ შეეძელით ჩვენი მიზნის მიღწევა და უმაღლესის დამთავრება. ახლა რაღას იტყვიან ყველა ჯურის ჭორიკანები, ჩვენისთანა ახალგაზრდებზე რომ ამბობდნენ: მაგათ სიყვარული საღლაბუცოდ უნდათო?! ახლა ხომ დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი?! ახია იმათზე, ახი!

შენ, რა თქმა უნდა, უკვე ორი წელია ინყინერი ხარ და მე, ახალბედა სპეციალისტს, როგორც ყოველთვის, ალბათ ჭკუის სწავლებას დამიწყებ. რა უშავს, რომ შენ ცოტა ადრე დაამთავრე, სამაგიეროდ კაცი ხარ და მეტი გარჯა გმართებს.

ოჯახში ყველა მშვიდობიანად ვართ. ოთარი და ბიძინა სკოლაში დადიან. გივი საბავშვო ბაღში დამყავს. ვენაცვალე ოთარს, სულ მე დამემგვანა ხასიათით. ისეთი წესიერი და გამგონეა! როგორც დიდ ადამიანს, ისე ვუბარგებ სადილის დამზადებაა თუ ოთახის მილაგება, ძმებსაც პატრონობს და უვლის. ვმრომობთ და ვცხოვრობთ, როგორც შეგვიძლია.

მოიწერე მანდ რა ამბებია. მშენებლობაზე ისევ ტექნიკის ნაკლებობაა, თუ უკეთ გეხმარებათ მთავრობა? ყველაფერი დაწვრილებით მოიწერე, მე სკოლაში და აქაც, ეზოში, ყველას ვუთხარი, ჩემი ქმარი უმოკლეს რკინიგზას აშენებს-მეთქი მოსკოვამდე. ახლა თუ ბაქოზე ვუველით და ოთხი დღე გვინდა, როცა სამტრედია-სოჭის გზა გაიხსნება, სამი დღე დაგვჭირდება-მეთქი. არ დამიჯერეს, ერთი დღით როგორ შემოკლდება გზა, ნეტავ რამდენიმე საათით მაინც შემოკლდეს, მადლობელი ვიქნებით, თორემ ამდენი ჯაყჯაყით გვერდები დაგვეჟეჟაო. ჩემი სახელით და ჩვენი მეზობლების სახელით გთხოვ, არჩილ, მალე დაამთავრო სამუშაო, რომ ხალხს ეშველოს და გვერდები აღარ დაეჟეჟოს მატარებელში...

კარგად იყავი. მოკითხვა ჩემი სკოლის პედკოლექტივისაგან და ჩვენი მეზობლებიდან. შორიდან ხელს გართმევს კლიმენტი ქირია.

შენი ნანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29

ქუდი დავიხურე და ქუჩაში გამოვედი. კართან თურმე ჟორჟიკა იყო დადარაჯებული. მტაცა ხელი და სიტყვისუთქმელად გამაქანა რესტორნისაკენ.

— ასე რატომ იხევ ყველაფერს? — ვკითხე ჟორჟიკას.

— ჩემი მეგობრების წარმატება არ უნდა აღვნიშნო? როგორ, იმ წერილს დასველება არ უნდა?!.

„ინტერიტაში“ შევედით. ხალხი საკმაოდ იყო. ჟორჟიკას ოფიციანტები მიესალმნენ. სამზარეულოდან შეფ-მზარეულმაც გამოჰყო თავი, ხელი დაუქნია და მგონია მენიუ ანიშნა.

დავსხედით. ოფიციანტი ყოჩაღად და უხმაუროდ შლიდა სუფრას, ჟორჟიკა მეზობელ მაგიდასთან მსხდომ ნაცნობებს ხმამაღლა ანეკდოტებს უამბობდა, მე უაზროდ მივჩერებოდი აკივკივებულ ხალხს. ღვინით ცხვირგაწითლებული მამაკაცები ერთმანეთს ეფიცებოდნენ სიყვარულსა და ერთგულებას, ეს ყველაფერი ისეთი ნაცნობი და ძველი ფანდები იყო, რომ რადაც მოვიმიზეზე, ჯერ ვესტიბიულში გამოვედი და მერე ქუჩაში.

ლუდის ბარებთან ჯგუფ-ჯგუფად იდგა შეზარხოშებული ხალხი, მათ ხინკლისა და პროვინციის სუნი უდიოდათ. ზოგი უდარდელი დარდიმანდის როლს თამაშობდა, ზოგი ბედნიერი რაინდისას, ზოგსაც კბილები უკაწკაწებდა გამორჩენის სურვილით.

ვუყურებდი მათ და მეჩვენებოდა, რომ მეც მათი ჰაერით ვსუნთქავდი. ფეხს ავუჩქარე, ტროლეიბუსში ავედი და მალე, ჩემდა უნებურად, ვაკის პარკში ამოვყავი თავი. დაბნეულმა მიმოვიხედე. სიბნელეში რაღაც დაფას მოვკარი თვალი. შევხედე: დაფაზე ეხატა თოჯინასავით გამოპრანჭული, უსიცოცხლო კაცი, რომელსაც ხელში შემნახველი სალაროს წიგნაკი ეჭირა და ამბობდა: „დაისვენეთ შავი ზღვის კურორტებზე! იმოგზაურეთ საკუთარი მანქანით! შეინახეთ ფული შემნახველ სალაროში!“

მე მოწყვეტით დავეცი სკამზე და ვიგრძენი, რა სასაცილო და პაწაწინა ვიყავი ამ ტრიალ ქვეყანაზე.

30

ოთახში დედა შემოვიდა. ზედ არ მიყურებს. გამოცდილებით ვიცი, ეს უკვე გაბრაზების ნიშანია. ყურადღება რომ არ მივაქციო, „გულცივსა“ და „დაუნდობელს“ მიწოდებს. რომ გაგეძრახო, კვლავ გაიმართება დიალოგი დედა-შვილობაზე, კაცთმოყვარეობაზე, მოვალეობაზე და საერთოდ, ისეთ რამეებზე, რაც ჩვენ არ გვეხება და განყენებული მორალის საგანია. მერე ეს პათეტიური სცენა დასრულდება ქვითინით — რომ ყველა შვილი ულმობელია მშობლების მიმართ, რომ მე დაუსრულებლად მაღლობელი უნდა ვიყო, რომ ორი ხელი მაქვს, ორი ფეხი, ორი თვალი და ერთი ცხვირიც და არც ერთი ხსენებული ნაწილი ჩემი სხეულისა არ გამხდარა უბედური შემთხვევის მსხვერპლი. მე განა ამას დავაფასებ? ახლაც კი, როცა თავად მშობელი ვარ და ვგრძნობ პირველ გულისტკივილს შვილისაგან, ახლაც ვერ გამიგია, როგორ უნდა მოვექცე დედას!

გასუსული ვზივარ. დედა ჩვეულებრივზე სწრაფად დადის ოთახში და კვლავ ზედ არ მიყურებს. უნდა ვიჩქარო, თორემ საცაა იფეთქებს. მე კი არც მელოდრამის თავი მაქვს და არც, მით უმეტეს, სოფისტური მსჯელობისა. ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერს სჯობია ჩუმად გავიძურწო აქედან. აი როგორც ბავშვობაში: მურაბაში რომ მოვიპარავდით და დამფრთხალი ვიპარებოდით შინიდან.

ის იყო ოთახიდან გავდიოდი, რომ დედამ მომაძახა:

— ბიძინა, მოიცა ერთ წუთს!

ნამდვილად დავიღუპე. შვიდ საათზე პაემანი მაქვს, ახლა კი შვიდის ნახევარია. თუ საუბარი ხუთ წუთზე მეტს გაგრძელდა, დავიგვიანებ და ქანა მეორედ აღარ მოვა. განა იმისთანა ალქაჯს დავაჯერებ, რომ განგებ არ ვიგვიანებ?

კარიდან შემოვბრუნდი და ვგრძნობ, ცალ ფეხზე ვცმუკავ. დედა, რა თქმა უნდა, მამჩნევს.

— თავზე ნუ მადგახარ. დაჯექი.

დავეშვი. აბა, ეს პატივისცემაზე მეტია. მართალია, უხეში ვარ, მაგრამ დედა მიყვარს. თუ არა სიყვარული, ვის ვაპატიებდი ამდენ ჭირვეულობას! სიყვარულთან ერთად შიშიც არის, დიახ, ერთგვარი შიში და მორიდება, რომელიც ბალღობიდან ისე მტკიცედ მაქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ხანდახან ფიცხი კამათის დროს სილასაც ველოდები.

— სად მიდიხარ, ბიძინა?

თხუთმეტი წელი იქნება, რაც დედას ამგვარი რამ აღარ უკითხავს ჩემთვის. მრავალგზის ვიყავი გაფრთხილებული და ასეთი კითხვა აღარ იყო საჭირო. როგორც ჯარისკაცი გარნიზონიდან წასვლის დროს, ზუსტად და გასაგებად ვამბობდი წასვლის ადგილს, დროს — როდის დავბრუნდებოდი, და დავგვიანების შესაძლებლობას. კარგი ბიჭი ვიყავი და არ შემესრულებინა ჩემი ნათქვამი! მე ყოველთვის ვასრულებდი და იშვიათად თუ ოჯახური განრიგი დამერღვიოს. ამიტომ დედა მენდობოდა და სჯეროდა ჩემი.

ვიგრძენი, დედა მიმიხვდა სად და რისთვის მივდიოდი, ამიტომ თავის დასაღწევად ყველაზე იოლი და ყველაზე სულელური გზა ვარჩიე.

— არსად, — მივუგე გულგრილად.

მეგონა, დედა ნატას ახსენებდა, მაგრამ ის წამოდგა, რითაც გამაგებინა, რომ საუბარი დასრულებული იყო, და უხალისოდ თქვა:

— ნუ დაგავიწყდება, რომ შვილი ბუყავს. დანარჩენი შენ იცი.

ხასიათი წამიხდა. პაემანზე რომ არ წავსულიყავი, ქანას სამუდამოდ დავკარგავდი, ასეთ ხასიათზე წასვლა კი არ მინდოდა. დაბნეული შევყურებდი ბუხრის თავზე თეთრი მინანქრიან ლარნაკს და რატომღაც ქანას სავსე მხრები მაგონდებოდა.

წამოვდექი. დამშვიდობება დედასთანაც კი ყოველთვის კაზიონური გამომდის. ვარჩიე უსიტყვოდ გასვლა ოთახიდან, რაც, ჩემი აზრით, ახლა ყველაზე მიზანშეწონილი იყო.

ქუჩაში დაბნეული მივდიოდი. ერთ-ორ ნაცნობს მგონი სალამზე არ ვუპასუხე, ფარდულში სიგარეტები ვიყიდე, მაღაზიის წინ ვიღაც მოხუცებულს შემთხვევით მხარი გავკარი და სანამ ბოდიშს მოვასწრებდი, უცნობმა ბეჭედივით მომაკრა: „ნახალ! ვასკრესნი დურაკ!“

ჟორჟიკას ბინაზე, სადაც ქანას უნდა შევხვედროდი, გასაღები დათქმულ ალაგას დამხვდა. ცოტა ნერვიულად გავალე კარი, მაგრამ შევედი თუ არა ოთახში და სიგარეტს მოვუკიდე, დავშვიდდი. მაგიდაზე და საწოლზე ნივთები საჩქარევლად, ჩემი გემოვნებით გადავალაგე და როცა ამ ფაციფუცს მოვრჩი, ვნებით გულაძგერებული ავიტუზე ფანჯარასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯრიდან ქუჩა არ ჩანდა, ისე რომ აქედან ჟანას ვერ დავინახავდი, მაგრამ ფანჯარაში ცქერა ყველაზე მეტად ამოკლებდა უსაშველოდ გაგრძელებულ წუთებს.

მეზობელი ოთახიდან ბავშვის ხმა ისმოდა. ეტყობა გაკვეთილს სწავლობდა. ნამტირალევი, ხრინწიანი ხმით კითხულობდა ლექსს:

ვიშ გაზაფხული, მზე, ყვავილები...

ბავშვს მალიმალ აწყვეტინებდა ვიღაც მოზრდილი ადამიანის ხმა.

— შვილო, როცა ამბობ „ვიშ“ ორივე ხელი უნდა გაშალო, ამით სიხარულს გამოხატავ.

— დედა „გამოხატავ“, რა არის?

— მერე გეტყვი, ისწავლე ახლა ლექსი.

— დედა, ახლა მითხარი რა!

— ისწავლე ლექსი, შე სასიკვდილევ.

— მითხარი რა... — სლუკუნებდა ბავშვი.

— ჭირი შენს თავს, ხახვი დამეწვა...

ისმოდა კოვზის ფხაკუნი. თვალწინ მედგა დისასხლისის გაქონილი კაბა, ჩამოშლილი თმა, მოუვლელი ხელები... და ის ქალი, რომელიც არ ჩანდა, უცბათ ისე შემძაგდა, რომ გამიკვირდა კიდეც.

ვიშ გაზაფხული, მზე, ყვავილები...

გარეთ ნოემბრის მოქუშული დღე იდგა. დილიდანვე სცრიდა. ნაცრისფერი ედო ყველაფერს. ფანჯრის მინები გალალებულიყვნენ და ოთახში რამდენ ნაბიჯსაც გადავდგამდი, სხვადასხვა ხმაზე წკრიალებდნენ. ტახტის ქვეშ ჯუჭყიანი წინდები ეყარა, ტახტზე პურის ნამცეცები და ოაღაც საეჭვო საგნები. მათი გასუფთავება ჭირივით დამეზარა. ამიტომ ავწიე ტახტზე გადაფარებული ფარდაგი და ოთახის კუთხეში ჩავბერტყე.

ტახტს გული ფანერით ჰქონდა დაკერებული. ამ ფანერაზე ათი ერთმანეთში ჩამჯდარი წრე იყო შემოხაზული. წრეებში ციფრები ეწერა. ცენტრში, სულ პატარა წრეში, ათიანი ეწერა.

საიდან გაჩნდა ეს სამიზნე დაფა აქ, საოცარი იყო. დაფა ტირის თოფით იყო დაცხრილული. ყველაზე მეტი ათიანს ჰქონდა მოხვედრილი. დავინტერესდი, დავაკვირდი. რა მალე დაიჭერ კაცს ტყუილში! ათიანი ვიღაცას ლურსმნით დაეხვრიტა. ალბათ რამდენი იდავეს ერთ დროს ამაზე!..

„ეორეიკა ბოლომდე ყალბი დარჩა ცხოვრებაში“, — გავიფიქრე და გარკვევით დავინახე, კარს გარედან ვიღაც მოაწვა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. სუნთქვა შემეკრა. ისეთი დაუოკებელი მოლოდინით მივაჩერდი კარს — თითქოს იმ კარიდან ცხოვრების ყველა საიდუმლო ერთად უნდა შემოსულიყო. მინდოდა დამეძახა — მობრძანდით, მეთქვა — მოდი, ან არაფერი არ მეთქვა, მივსულიყავ და კარი გამეღო, მაგრამ ამის ნაცვლად ბარბაცით წაველ უკან, საწოლს მოვეჯიდე და მოწყვეტით დავეშვი. კარი გაიღო და ოთახში ჟანა შემოვიდა.

არ ავმდგარვარ. ხელით ვანიშნე მაკინტოში გაეხადა და ახლოს მოსულიყო.

ჟანა დაჯდა, ეტყობა საგულდაგულოდ მომზადებულიყო ამ შეხვედრისათვის. თმა ბიჭურად ჰქონდა დაყენებული. სისხლით სავსე ღაწვებს ერეოლა გადაჰკრავდა და ეს უფრო სანდომიანსა და სანატრელს ხდიდა. მოკლე კაბა მუხლებს ვერ უფარავდა. მკვრივი თეძოები ამაღელვებლად გამოკვეთოდა გემოვნებით შეკერილ კაბაში.

— მოდი, ჩემო... — ხმადაკარგულმა წაკიჩურჩულე, ხელი მოვხვიე, მთე-

ლი სხეულით მივიზიდე და ხარბად ჩავკოცნე. ჟანამ არ მიპასუხა. თავს იქნევდა. იცილებდა ჩემს ტუჩებს. მე ხან ყურმალაებზე ვკოცნიდი, ხან კისერზე და ხანაც ყელში. მერე ორივე ხელი წელზე მოვხვიე და ავიტაცე.

წყნარი, უძირო თვალებით შემომხედა. ვგრძნობდი მის სხეულს როგორ ეკიდებოდა ცეცხლი. მერე მხრებზე მომეთათუნა და შებერილი თითქოს ცოტა შესიებული ტუჩებით მაკოცა.

— კარი დაკეტე, — თქვა მიბნედილმა.

31

13 ოქტომბერი, 1933 წ.

ჩემო ძვირფასო არჩილ!

ძალიან მიხარია, რომ ინსტიტუტში მოეწყვე და საერთო საცხოვრებელშიც ასე კარგად დაბინავდი. მომწონს რომ ამხანაგებიც შენი ხასიათისა შეგხვედრია. რაც შეეხება ჩემს სწავლას უნივერსიტეტში, სიმართლე გითხრა, ძალიან გამაკვირვა შენმა წერილმა და ორი დღე ვტიროდი. როგორც შენი წერილიდან გავიგე, იანვარში არის შესაძლებლობა უნივერსიტეტში შესვლისა, ეს არის ჩემთვის მთავარი, დანარჩენი რამ ძალიან მაწუხებს და მადარდებს, მაგრამ არა იმდენად, რომ აზრი შევიცვალო. მე თბილისში ვიმსახურებ და ვისწავლი კიდეც, ჩემი ხელფასის ნაწილი ნუთუ არ მეყოფა ბინის ქირად? შენც ყმაწვილო, იმიტომ გაგიჭირვებია, რომ დასწრებულ განყოფილებაზე შეხვედი და სამსახური მიატოვე. ვიდრე აქ იყავი, სულ სხვანაირად ჭიკჭიკებდი. გორში ბევრი დამემოწმება შენი ამხანაგი, რომ მტკიცედ გვონდა გადაწყვეტილი სამსახური და სწავლა შეგეთავსებინა, ახლა რა დაგემართა, მოგეწონა სტუდენტობა თუ იმდენ სტიპენდიას ვაძლევენ, რომ შენს ხელფასს სჯობია? ან იქნებ აღარ გახსოვს, რომ ცოლ-შვილი გყავს? იქნება დაგავიწყდა ჩვენი ტიკტიკა ოთარი და ბიძინა? არ ვიცი ამაზე რა პასუხს მომცემ. შენ დასწრებულიდან დაუსწრებელზე უნდა გადახვიდე, იმსახურო ისევ, მეც ვიმსახურებ და ასე ვისწავლოთ. მაშინ ბინის დაქირავებასაც შესძლებ, სწავლასაც და ცხოვრებასაც. ის რამ გაფიქრებინა, რახან უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ადგილი არა აქვთო, მე ცალკე დამექირავებინა და შენ კი საერთო საცხოვრებელში ყოფილიყავი? ღმერთო ჩემო, რა სულელები ხართ კაცები! ერთ ქალაქში გვეცხოვრა და ცალ-ცალკე? ხა, ხა, ხა! რატომ, რა მოსაზრებით? მხოლოდ შენი სისულელე გამო. მოკლედ, ეს გადაწყვეტილია: იანვრიდან თბილისში სამსახურს მიშოვნი, შენც იმსახურებ, ბინას დავიქირავებთ და ვისწავლით. როდემდე უნდა ველოდო, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში სიხარულს, ნუთუ ჩემი ბედნიერება აღარ უნდა მოვიდეს? საერთო საცხოვრებელში დარჩენა რატომ გინდა, ეს ჩემთვის გასაგები. აქ ამბავი მოიტანეს, თბილისში თხებივით გაკოჭილი ისეთი გოგოები ყოფილა, კაცები სულ გადარეული არიანო. ალბათ დღე და ღამე ეკურკურები ამათ და ფოქსტროტებში ცვეთ ფეხსაცმელს. მე, რა თქმა უნდა, აღარ მოგეწონება, პროვინციელი მასწავლებელი თბილისელ სტუდენტს. დაიფიცე, ხომ უკვე სხვას უზიარებ დარდებს, ჰა, შე უსინდისო...

ცრემლები მახრჩობს, ძლივს ვწერ, მაგრამ იძულებული ვარ გიპასუხო, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ მე ვარ შენი კანონიერი ცოლი.

ფეხსაცმელი ასე მალე გაგიცვდა, ორ თვეზე უკეკე? გაგიცვდებოდა, რასაკვირველია, დღე და ღამე ვალსებს ცეკვავ... ოხ, ღმერთო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენი დრამწრე სულაც არ მაინტერესებს. ეშმაკსაც წაუღია ყველა ყაჩაღი და მასხარა. ვინ გითხრა, შენი თავი სცენაზე შემყვარებოდეს? შე საწყალო, მოკარნახე იყავი, სცენაზე შენი ყურებიც კი არ გამოჩენილა, სხვას რომ ატყუებ, მეც ხომ არ გინდა მომატყუო! მე შენი არტისტობა კი არა, შენი პატიოსნება მიყვარდა, მაგრამ რა მწარედ მოვტყუვდი...

მჯერა, შენ უკვე სხვას უზიარებ დარდებს, მაგრამ შვილები მაკავებს და რა ქენა.

შენი კანონიერი მეუღლე ნანა

---

7 ოქტომბერი

ჩემო ნანა!

როგორც წინა წერილში გწერდი, მშვიდობით ჩამოვედი თბილისში, ინსტიტუტში უგამოცდოდ მომიღეს და საერთო საცხოვრებელშიც მომცეს ბინა. ოთახში, სადაც მე ვცხოვრობ, ჩემ გაოდა სამი ამხანაგია კიდევ. სამივენი კომკავშირლები არიან, ერთი მე ვარ კომუნისტი და ამიტომ გასაგებია, ჩემი ყოველი ნაბიჯი, პარტიული თვალით, სანიმუშო უნდა იყოს მათთვის. ეს ყმაწვილები ჰაპიროსს არ სწევენ, ღვინოს არ სვამენ, ისე რომ ჩვენი საზოგადოების წესიერი და აქტიური წევრები არიან, და, შეიარაღდებიან რა საპირო ცოდნით, დაკვრითი წესით განაგრძობენ სოციალიზმის შენებას.

მე შენს შესახებ მივიკითხ-მოვიკითხე, უნივერსიტეტში ლიტერატურის ფაკულტეტზე იანვრიდან მგონი ექნებათ მიღება, მაგრამ მთავარია ჯერ შენ თბილისში ადგილი იშოვო, უფრო აღრე ბინა იშოვო და მერე გადავწყვეტოთ ეს საკითხი. ხედავ ახლა, ჩემო კარგო, რამხელა სიძნელეები გველობება წინ?!.

საერთო საცხოვრებელში მოწყობა ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ადგილები ცოტაა. შენთვის საჭირო იქნება ბინის დაქირავება. მე კი საერთო საცხოვრებელში ვიცხოვრებ; ალბათ გამიგებ, აქ მატერიალური მხარეა მთავარი, შენ მარტო კუთხესაც დასჯერდები ვისმეს ბინაზე და ნაკლებს გადაიხდი, ორივემ რომ დავიქირაოთ, მაშინ გამოდის, რომ ოჯახი ქირაობს და ფასსაც ერთი ხუთად გადაგვახდევინებენ. ამას ყველაფერს უნდა დაუფიქრდე და ასწონ-დასწონო. ხომ არა სჯობია თავის შეკავება და მოცდა იქამდე, სანამ საერთო საცხოვრებლის საქმე გამოსწორდება? ჩვენ ხომ ბურჟუები არა ვართ. დიპლომი კაპიტალად გვინდოდეს, შენ ცუდ ადგილს არ მუშაობ, იქნება მოგეცადა ცოტახანს?

მე არა მიშავს-რა. ფეხსაცმელი დავაკერებინე. შარვლის ტოტებზე სქელი ნაჭრები გამოვაკერე, რომ გვიან გაცვდეს, ასე აკეთებს ყველა სტუდენტი. ვჭამ დღეში ორჯერ. სასადილოში სამჯერ და ოთხჯერაც ფეიძლება ჭამა, მაგრამ ხომ იცი, ყოფიერება ჰქმნის ცნობიერებას...

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, აქ თვითმოქმედი წრეებია და მე დრამწრეში ჩავეწერე. უნდა დავდგათ აკაკის „თამარ ცბიერი“. მე „მასხარას“ როლი მომცეს. ცოტა არ მესიამოვნა ეს ამბავი, რადგან „თამარ ცბიერსა“ და „მეფეს“ კომკავშირლები ასრულებენ, სხვა როლებს უპარტიო ამხანაგები და ჩემთვის შეუფერებელი მომეჩვენა „მასხარას“ როლი. მაგრამ რეჟისორმა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრა, ეს დრამწრეა და არა კულაკობასთან ბრძოლაო, ჩვენ როლებს ნიჭის ზეხედვით ვანაწილებთო...

რას იზამ, გავჩუმდი! რეჟისორია და რას ეტყვი! ეტყვი და ისეთ რეგვენად გამოგაცხადებს, რომ მთელ დრამწრეში თავი მოგეჭრება. მე ვუთხარი, შილერის „ყაჩაღებში“ ფრანცს ვთამაშობდი და ახლა სამასხარაოდ გამიხდამეთქი საქმე... „სადაც შენ ფრანცი გათამაშეს, იქ ჰამლეტიც რომ გეთამაშა არ გამიკვირდებოდაო“, — მომიგო.

ჩემო ნანა, ნუ დამიმალავ და პირდაპირ, ბოლშევიკურად მითხარი: განა ასეთი უნიჭო ვიყავი სცენაზე? აბა შენ რატომ შეგიყვარდი? შენ ამასაც კი მირჩევდი ერთ დროს, კოტე მარჯანიშვილთან მიდი, იქნება დასში აგიყვანოსო! ეს ვიღაც ახალგამომცხვარი რეჟისორი კი რეებს მეუბნება. არა უშავს, მოვითმენ. მე ინტრიგა არა მჩვევია. თანაც ჩემი მთავარი ამოცანაა ვისწავლო და კარგი ინჟინერი გავხდე. ყაჩაღებიც მისთვის დამითმია და ბანდიტებიც...

კარგად იყავი, ნანა. კომსალმით არჩილი.

32

ლელას მე ხშირად არ ვხვდებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, ქვეშეცნეულად ყოველთვის მასზე ვფიქრობდი. ამას არ ვუმხელდი საკუთარ თავსაც კი, მეგონა ეს ისევ ჭაბუკური გატაცება იყო და წლები დავიწყების ბურუსს გადააფარებდა, მაგრამ ის, რის დავიწყებასაც ვცდილობდი, ყოველდღე უდიდესი სიცხადით მეხატებოდა თვალწინ. ლელა განუშორებლად თან მდევდა, თითქოს საღღაც ჯერ გაუმხელელ საიდუმლეობისაკენ მიმითითებდა, მპირდებოდა იმ უხილავი სამყაროს აღმოჩენას, რასაც მე მთელი სიცოცხლე ვნატრობდი.

მეჩვენებოდა, ნატა თუ მიყვარდა ოდესმე, მიყვარდა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც საერთო ჰქონდა ლელასთან, ხოლო ქანას იმიტომ ვეტრფოდი, რომ თავდავიწყების წუთებში ისიც ლელას მაგონებდა. ლელა იდუმალი ორეულივით იჯდა ჩემში, საიდანღაც შიგნიდან მიყურებდა, მითვალთვალებდა და თითქოს თითოეულ ჩემს ნაბიჯს ამოწმებდა. როცა რამეს ვაკეთებდი, ჩემდა უნებურად, ამ უჩინარ ორეულს უნდა დავკითხებოდი. როცა რაიმე მსურდა, მისი უხილავი თვალების შუქში უნდა წამეკითხა განაჩენი და ასე, ყოჯელდღე და ყოველწუთს, ვგრძნობდი როგორ მოლიანად მიპყრობდა ლელა, ჩემი სურვილის წინააღმდეგ მისი ერთგული და მორჩილი ვხდებოდი. ეს არ მინდოდა, ეს ეწინააღმდეგებოდა ჩემს ცხოვრებას, ნატას, ფიქრებს, ტკივილებს და იმედებს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ უჩინარი ორეული ფიქრის საშუალებას არ მაძლევდა, ის ფიქრის გარეშე იყო ჩემში ჩამოსახლებული, ჩემს გულს განაგებდა, და როცა გონება ცივად რაიმეს წყვეტდა, ის ერთი ხელის დაკვრით ანადგურებდა ამ გადაწყვეტილებას. არ მინდოდა გამოვტეხოდი საკუთარ თავს, მაგრამ ვიცოდი, ეს ნამდვილი სიყვარული იყო. ნამდვილი, მაგრამ უბედური. მე და ლელამ თითქოს მაშინ ვიგრძენით ერთიმეორის სიყვარული, როცა ერთმანეთი დავკარგეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

11 აპრილი, 1932 წ.

სალამი ჩემს სიცოცხლეს ნანას!

რა დაგემართა, ჩემო ნუგეშო? განა კანონიერი მეუღლისაგან ასეთი ცივი და ეჭვით სავსე წერილი შეიძლება? ჩვენ ხომ შეყვარებულები აღარა ვართ— არამედ ცოლი და ქმარი. მაშასადამე უფრო მეტი მოთმინება და თავშეკავება გვმართებს.

სოფელში თუ გინდა წასვლა, შენს ამ სურვილს მეც თანავუგრძნობ. აი როგორც კი დაიწყება სკოლაში არდადეგები, მაშინვე გამოიცვალე ჰაერი. თუ გინდა ბორჯომში წავიდეთ, რამდენი ხანია შენ გინდა ბორჯომის ნახვა. განა მე შენს დასვენებას ხელს არ შევუშყობ? აბა, რისთვის ვშრომობ, ჩემო იმედო, თუ შენ არ იქნები კმაყოფილი და ბედნიერი? ძალიან გთხოვ ასეთი მავნე აზრები განდევნო და კვლავ ენდო და დაუჯერო შენს ერთგულ მეუღლეს, როგორც აქამდე გჯერდა და ენდობოდი.

რა არის ეს გაუთავებელი ეჭვი და ბუზღუნი? რით ვეღარ დარწმუნდი ჩემს გრძნობაში და ჩემს უმწიკვლო პატიოსნებაში. სხვა არა იყოს რა, მე უკვე კომუნისტი ვარ და თავს არ მივცემ ნებას ისეთი რამ ჩავიდინო, რაც ჩირქს სცხებს ბოლშევიკის მაღალ სახელს...

რაც შეეხება ჩემს „მოხალისეობას", როგორც შენ ირონიულად უწოდებ, ამაზე ახლავე მოგახსენებ. შენ იცი, რომ რაიონში დარჩა ბევრი ურჩი გლეხი, ეგრეთ წოდებული „საშუალო" გლეხი, ხომ გასწავლიან პოლიტწრეში? ასეთი გლეხი ჯერ კიდევ მერყეობს და არ უნდა არტელში შევიდეს. მართალია, ასეთი გლეხების საერთო საქმეში ჩაბმით არტელს ბევრი რამ შეემატება. მაგრამ ამ შემთხვევაში პარტიას და, მაშასადამე, მე, მის რიგით ჯარისკაცს, საქმის მატერიალური მხარე არ გვაინტერესებს. მართალია, შენ პარტიული არა ხარ, მაგრამ კომკავშირელი ხარ და შეიძლება ამის შენთან თქმა: თუ „საშუალო გლეხი არტელში არ შევიყვანეთ, ის მუდმივად მერყევი ელემენტი იქნება, მისი სახით ყოველთვის გვეყოლება ფენა, რომელიც იოლად შეიძლება წამოეგოს კულაკის ანკესს და ბოროტ კონტრრევოლუციას. ხედავ, რამხელა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს „საშუალო" გლეხის დროულად შესვლას არტელში? შენ ჩემს ამ პატრიოტულ ნაბიჯს „მოხალისეობას" უწოდებ. მოხალისე ნამდვილადა ვარ, მხოლოდ ამ სიტყვის კარგი და კეთილშობილი გაგებით. რატომ დარჩი ყველაზე მეტხანს, სწარმოო პრაქტიკა ხომ დამთავრდაო, — მწერ შენ. ჩემო ცელქო, რა მნიშვნელობა აქვს ვადებს, როდის დამთავრდა საწარმოო პრაქტიკა. მე ბიუროკრატი ხომ არა ვარ, საათსა და დღეს ვუყურო. ხომ გახსოვს მაიაკოვსკი:

მე მგელივით გამოვხრავდი ბიუროკრატიზმს...

ჩემი ამხანაგები თუ ყველანი ჩამოვიდნენ, ეს ჩემთვის ძალიან ცოტას ნიშნავს, რადგან მე პარტიული სინდისი მალაპარაკებს და როცა ვხედავ საქმეს სჭირია ჩემი თავი, მაშინ არავითარი მითითება არ მინდა, თავად „გავიხანგრძლივებ" სამუშაოს. ბალღი ხომ არა ვარ, იმ სულმოკლე ადამიანებს მივბაძო, ვინც არცხვენს ბოლშევიკის სახელს და მაშინ, როცა სოფელს ასე ვჭირდებით ჩვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავდა თუ არა ყავლი, შინისკენ მოუსვეს. რისთვის? რატომ? იმიტომ, რომ უფრო მალე ჩაეხუტონ თავიანთ ცოლებს.

მე აქ არავინ არ გამიჩენია და ჩემს დარდებს საკუთარი თავის მეტს ვერავის გავუზიარებ, რადგან ვინც აქ დავრჩით, ყველანი ისე ვართ მუშაობით ყელამდე ავსებული, რომ პირადი გრძნობებისთვის არა გვცალია. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შენ დამავიწყდი, ან შენი სიყვარული გამინელდა. პირიქით, ჩემო ნუგეშო, ისე ძალიან მინდა შენთან ყოფნა, შენთან საუბარი, შენთან ალერსი, რომ ხანდახან ცრემლიც კი მერევა... წელიწადება გადის, რაც ხელი მოვაწერეთ და ზედიზედ სულ სამი კვირა არ ვყოფილვარ შენთან... ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია შენთვის, მაგრამ დამოჯერე, ჩემთვის ორჯერ უფრო ძნელია... შენ მაინც შენს წრეში ხარ, შენს ამხანაგებში, სადაც ყველა ერთი აზრითა ხართ შეპყრობილი და საბჭოთა ჰაერით სუნთქავთ, მე კი ვებრძვი ყველ კულაკსა და ბანდიტს, მაუზერის ტუჩს ვკოცნი ყოველ დილით შენი ტუჩების სანაცვლოდ... ცოტაც მოითმინე, ჩემო იმედო, და ყველაფერი კარგად იქნება.

მე, რამდენადაც ვიცი, შენ ჯერ არ უნდა გემშობიარა, ვიცი აგრეთვე, რომ უჩემოდ ფეხმძიმედ ვერ გახდებოდი, ამიტომ ვინაიდან ჯერ ძალიან ადრეა ბავშვზე ფიქრი, შენც თავი შეიკავე ნაადრევი დედაშვილური გარჯისა და ცრემლისაგან. ჯერ რაცა გვყავს, მაგათ მოვუაროთ კარგად და მერე ვნახოთ.

შენი „კუზჯარობისაგან“ ღმერთმა დამიფაროს. რაც თავი მახსოვს, სულ ჩემი ხელით ვიკეთებ საჭმელს და ვუვლი საკუთარ თავს, ალბათ ისევე იქნება მომავალშიც, რადგან ჩვენი მჩქეფარე საუკუნე ხშირად არ გვანებივრებს ერთად ყოფნით... ამიტომ შემცდარი ხარ იმ აზრში, ვითომ მე რაღაც ბილწ საწადელს მივაღწიე და ახლა... საერთოდ, ჩემო ცელქო, შენ ცოტა მეტად უნდა გახდე თანამდროვეც... ახლა ტრისტანისა და იზოლდას დრო არ არის! ახლა ბრძოლის საუკუნეა და ჩვენც, როგორც ამ დროის შვილები, უნდა შევეგუოთ ამას.

შენ ჩემი ხელმოწერაც აღარ მოგწონს. ამაშიც უნდა შევიტანოთ კორექტივი. ჩვენი ურთიერთობა უფრო სერიოზული და საქმიანი უნდა იყოს. ჩვენ რევოლუციის რომანტიკოსები უნდა ვიყოთ და არა მეშჩანური იდილიისა. ამიტომ ჩვენი წერილების ხელმოწერაც დროის შესაფერი უნდა იყოს.

კიდევ გიმეორებ, რომ მე დარდებს არავის არ ვუზიარებ საკუთარი თავის მეტს...

არ გასულელდე და ასეთი ბავშვური შეკითხვა არ გაუგზავნო „ახკომს“, თორემ ჟურნალისტები ხომ იცი რა მოურიდებელი ხალხია, მე კი არა, შენ მოგკრიან საქვეყნოდ თავს მეშჩანური წეწუნისათვის.

სულ რომ გაბუტული იყო და მიმატოვო კიდეც, მე მაინც მეყვარები და სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნები.

კომსალმით არჩილი

---

4 აპრილი

გამარჯობა ჩემო არჩილ!

ჩემო ძვირფასო მეგობარო, თუ ფიქრობ, რომ ცოლ-ქმრული მოვალეობა მხოლოდ ქორწინებით ამოიწურება, ძალიან შემცდარხარ. სიმართლე გითხრა, მომბეზრდა მარტობა, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ გამიგია, მოლოზანი ვარ თუ გათხოვილი ქალი... მინდა სადმე სოფელში წავიდე და დავისვენო. შენ კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა ცოლს ეს პატარა სურვილი შეუსრულო, მოხალისეობას იწყებ და საწარმოო პრაქტიკას თვითნებურად იგრძელებ. ყველა შენი ამხანაგი 30 მარტისთვის ჩამოსული იყო. შენ რა დაგრჩა მანდ, რომ ვეღარ მოათავე? მეყო შენი აქტივისტობა, არა მგონია პარტიაში იმას გეუბნებოდნენ, ცოლი დაივწყე და მხოლოდ ჩვენ გვემსახურეო. ბოლოსდაბოლოს, ხალხმა შეიძლება ათასი რამ იფიქროს. რატომ გიყვარს ჯორიკანების ლაქლაქი, რატომ აძლევ ყველას საბაბს გასაკილად? იქნებ შენ ეს გსიამოვნებს, ბოდიში, მაგრამ დღემდე არ ვიცოდი. ან იქნებ დიდი ვაჟკაცობა გგონია, ცოლი ამდენი ხნით მიატოვო და საზოგადოებრივ საქმეს თავი გადაეკარ! საქმე მეც მიყვარს და სკოლაში შენზე ნაკლებად არ ვმუშაობ, მაგრამ ქმარი არ დამივიწყებია. თუმცა, მე სულელს, შეიძლება სულ ტყუილად მგონია შენი თავი პატიოსანი და საქმისათვის დამწყვარი. ვინ იცის, მანდ ტყეში ვინმე გაიჩინე და იმას ეტორღიალები. იცოდე, ამის მსგავსი რომ გავიგო, გიჯობს თვალით აღარ დამენახო. მე ზოგიერთი ქალი არ გეგონო, მიღალატო და მე მაინც „შენი ჭირიმე“ გითხრა. ჭირიც შენს თავსა და ჯანდაბას!

მართლა, შენ სულ აღარა ფიქრობ ჩვენს ბავშვებზე, რომელსაც ათასი ჩასაცმელ-დასახური სჭირდებათ. ასეა, კაცები მიაღწევენ საწადელს და მერე ცოლი მხოლოდ „კუხარკად“ უნდათ. რას იზამ, მეც იმათი ბედისა ვყოფილვარ და განგებას ვერსად გავქცევი.

აღარც წერილებს იწერები ხეირიანს, აღარც შენს გუნება-განწყობილებაზე მწერ, სახელსაც როგორ აწერ — „არჩილი“ — თითქოს მეფე იყო. რატომ აღარ მომწერე, როგორც წინა წერილებში მწერდი, „შენი კანონიერი და ს ა ბ ო ლ ო ო მეუღლე არჩილი?“

არა, შენ ნამდვილად სხვას უზიარებ დარდებს! აბა, რას მივაწერო ამდენი დაუდევრობა და უყურადღებობა. იცოდე, საქვეყნოდ თავს მოგკვრი, „ახკომის“ რედაქციაში გავგზავნი წერილს და შევეკითხები: წესიერი ქმარი ასე უნდა იქცეოდეს, როგორც შენ თუ არა. მერე რაღას იზამ?

სანამ არ მოიშლი ასეთ საქციელს, სულ გაბუტული ვიქნები.

შენი უბედური მეუღლე, გულმოკლული ნანა.

34

ჟანა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქალის მადლი მაგრძნობინა ჭაბუკობისას. ეს მახსოვდა და მინდოდა იმ ტკბილი წუთების მოგონება.

მაგრამ ჟანა ის აღარ იყო. გათხოვებას და ქმართან მიჩვევას ისეთი თვისებები შეეძინა მისთვის, რაც მე არ მესმოდა და უცხო იყო. ჟანას დავიწყებოდა ქალიშვილური გიჟური ტრფიალი და ზრდადასრულებული ქალის სინებივრით ინაწილებდა სარეცელს. მე კი ცეცხლი მინდოდა, გადარევა და გაგიჟება, სულმოუთქმელი ტრფობა, ჭაბუკური სულსწრაფობა და ამჩატება. რატომღაც მეგონა, რომ წლები, რაც ჟანას მაშორებდა, რაღაც უცნობს, მოულოდნელსა და სანაღვლოს მომტანად, მაგრამ ჩვეულებისამებრ დავრწმუნდი, რომ პირველი აფეთქების მერე ყველა ქალი ერთნაირი იყო. მე სიახლე, სიკერპე, თუნდ სიჯიუტე მინდოდა, მინდოდა რაღაც წუკოთხავი წამეკითხა და უნახავი მენახა. მაგრამ სასწაული არ მოხდა. არ გასულა ათი წუთიც, რომ უკვე ვნანობდი ჟანასთან შეხვედრას.

ვატყობდი ჩემს თავს, ბოლოხანს უცნაური ჟინიანობა დამჩემდა. მე ისეთ მოთხოვნილებებს ვუყენებდი ქალებს, რისი შესრულებაც მათ არ შეეძლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდავიწყებით ვეძებდი სიახლეს და ჯერ განუცდელ ნეტარებას, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო იყო. ცეცხლს ყინული მოსდევდა, გატაცებას — გულგრილობა, სიყვარულს — ზიზღი. რამდენიმე შეხვედრის მერე ჩემთვის უკვე აღარ იყო საინტერესო.

ვერც ქანამ შესძლო ჩემი რწმენის დამსხვრევა. ქალმა ეს იგრძნო და საყვედურით წაიჩურჩულა:

— გამოცვლილხარ.

— მე თუ შენ?

— ალბათ ორივე.

ჟორჟიკას საწოლი რატომღაც ნამიანი იყო და ნაფტალინისა და ჭუჭყის სუნი უდიოდა. სუფთა, აზიზი, სურნელოვანი ქანა ამ კონტრასტს უფრო აძლიერებდა. უცბათ, შემძაგდა ყველაფერი და ისე მომინდა სუფთა ჰაერზე გასვლა, კინაღამ დავიყვირე.

მეზობელ ოთახში ბავშვი მოღლილი ხმით მარცვლავდა:

ვიშ გაზაფხული, მზე, ყვავილები...

— გოგო, კარტოფილი მომაწოდე, რით ვეღარ ისწავლე ეგ ლექსი, — უყვიროდა ის ქალი, წეღან რომ ხახეი დაეწვა.

ქანა შეიშმუშნა. ვამჩნევდი, მასაც წაუხდა გუნება. ძალიან ფრთხილად და ნაზად თმებზე მიველაციცე და ვკითხე:

— დიდიხანია გათხოვდი?

— სამი წელია.

— გიყვარდა?

— არ ვიცი. მარტო ვიყავი. მარტო მეშინოდა.

— გოგო, ვერ გაიგე, კარტოფილი მომაწოდე, — მოისმა მეორე ოთახიდან.

— საწყალი, — წავიჩურჩულე ბრაზიანად.

— მარტობა უფრო ძნელია, — თქვა ქანამ.

მე არაფერი ვუპასუხე. საოცრად მინდოდა გარეთ გასვლა.

— კაცები ყველა ერთნაირი ხარო, — სიანჩხლე გაერია ქანას ხმაში.

— ეგოისტები?

— უფრო უარესი: უხეშნი.

— მე ცუდი არაფერი მიკადრებია.

— შენ ვერც გრძნობ, რა გააკეთე.

— რა?

— ვიცი ამ წუთებში გეზიზღები, მაგრამ არ გაოფნის იმდენი ტაქტი, რომ ეს ზიზღი ჩემს წასვლამდე მაინც დაფარო.

— არ მეზიზღები, — ვთქვი გულწრფელად.

— არა ვარ ის, რაც გეგონე, არა?

— ნუ ვიქნებით პირდაპირი.

— მითხარი, ხომ მართალი ვარ?

— არ ვიცი.

— ძალიან კარგად იცი. მე ვერაფერს გამომაპარებ.

— მხოლოდ მე?

— ყველა მამაკაცი.

— გეღირსოს, გოგო, მომიტანე კარტოფილი! — გაისმა მეორე ოთახიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 ნოემბერი, 1930 წ.

სალამი არჩილ!

გამარჯობა, არჩილ, როგორა ხარ. გისურვებ კარგად ყოფნას, ბედნიერ ცხოვრებას და ჯანმრთელობას, რაც უპირველესია ადამიანისათვის.

— მე, მართალია, მჯერა, რომ ჩვენი სიყვარული საბოლოოა, მაგრამ ხომ იცი, ზოგიერთი ახლანდელი ვაჟი ფიქრობს...

---

28 სექტემბერი

სალამი ჩემს ძვირფას ნანას!

ოხ, ჩემო ერთგულო, თვალწინ მიდგას ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა და ენატრობ კიდევ შეგხვდე. სხვა, ჩემი იმედო, როგორა ხარ, ხომ არა დარდობ, რაიმე ცვლილება ხომ არ მომხდარა შენს მიმდინარე ცხოვრებაში. იმედია, ჩემი მდგომარეობა გაინტერესებს, რადგან ყოველ წუთს მინდა ვიცოდე რაიმე შენს შესახებ.

ჩემო ნანა, მე რომ შენი დარდი მინდოდეს, განა გეტყოდი, არ იდარდო-მეთქი? მაგრამ შენ ჩემი წერილი შებრუნებით გაგიგია, ან გინდა რომ გამაბრაზო. არა, გენაცვალე, მე იმ მიზნით კი არ მოგწერე, დარდი რაზე გეტყობა-მეთქი, რომ შენთვის დარდი მინდოდა გამეჩინა, არამედ მხიარულს გხედავდი და სხვა არაფერი. ჩემო ნუგეშო, არავითარ შემთხვევაში სიმხიარულეს არ დაგიშლი, განა ჩემი წერილი იმას ნიშნავს, რომ აღარ შეგატყობინებ ჩემს დარდებს? მეგონა, რომ უმჯობესი იყო ჩემი დარდი ჩამეკლა გულში და შენც არ დამედარდინებინე და არა იმიტომ, რომ სხვას ვუზიარებ დარდებს. ნუ ხარ ასეთი ეჭვიანი. ერთ ღამეს ტკივილებმა ძალიან შემაწუხეს და ალბათ იმისი ბრალი იყო, შენც რომ ნაღვლიანი წერილი მოგწერე. ახლაც, ამ წერილს რომ ვწერ, ძალიან მახველებს და დედაჩემი მეუბნება, რა დაგემართოო. მეც სრული რწმენა მაქვს იმისი, რომ თუ ავად გავხდი და დავწექი, არ დამივიწყებ და წერილის საშუალებით მაინც გამამხნევებ.

შენ, ჩემო იმედო, ზოგიერთი ჩემი სიტყვა ცუდად გესმის. როცა „ცელქოს“ გეუბნები, ამით, როგორც ბავშვს, გიალერსებ, შენ კი გგონია, რომ უფრო მეტი სიდარბაისლე გმართებს და შინაპერასავით იბუსები. არა, ჩემო კარგო, ჩემი ყოველი სიტყვა, თვით გაცვეთილი და ულიმღამოც, შენთვის სულ სხვანაირ სიობოს იძენს. დამიჯერე, მე შენზე ვფიქრობ დღე და ღამე და შენით ვსუნთქავ.

გწერს შენი საბოლოო შეყვარებული არჩილი

---

14 სექტემბერი

სალამი არჩილს!

გამარჯობა, არჩილ, როგორა ხარ, ძალიან გწყენია, რომ გკითხე ჯანმრთელობა, ახლა გეკითხები, მართლა გტკივა თუ არა ყელი, სიმღერაზე მაგის გულისათვის არ მოხველდი? არა გრცხვენიან, რომ იწერები: „დარდი რაზე გეტყობაო“? თუ სულ ჩამოქრუშული ვიქნები და ვიტირებ, შემეტყობა დარდი და თუ არა, არა? განა შენ არ იცი, რომ „სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა?“ როცა შენ იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავი და ვმხიარულობდი, უნდა დაკვირვებოდი ჩემს გამომეტყველებას, როგორი ვიყავი. მაგრამ შენ მხოლოდ სიმხიარულე დაინახე და მოწყენილობა კი არა. არა გრცხვენიან? განა გწყინს, რომ მე ვმხიარულობ? მე თუ ვმხიარულობდი, მხოლოდ იმიტომ, რომ შენს დარდს ჩემი დარდიც არ მიმატებოდა. შენ კი რას იწერები: ჩემს დარდს აღარ გაგაგებინებო! ალბათ იმიტომ, რომ სხვა გყავს გულისტოლი და მას უზიარებ, ის არის შენი დარდების გამქარვებელი... არა უშავს, ალბათ ასეთი ბედი მაქვს, ხომ იცი, შე უსინდისო, მე შენს სინდისზე ვარ მონდობილი, როგორც გენებოს ისე მოიქეცი და ვისაც გენებოს, შენი დარდი იმას გაუზიარე, მე კი ჩემსას როგორმე მოვუვლი.

არჩილ, საღამოს კლუბში მოხვალ თუ არა? მაგრამ თუ ყელი გტკივა, ნუ იმღერებ, უფრო აბტკივა და იმას, ვისაც შენ დარდებს უზიარებ, გულს დასწყვეტ. მე რომ გავიგე შენი ყელის ტკივილი, ისე დამედარდა, დედა არ წამიწყმდეს, ჩემდა უნებურად, ვიტირე... მეორე დღესაც რომ ვერსად გნახე, კიდევ ვიტირე და ახლაც ვტირი... შენ კი დარდებს სხვას უზიარებ!

თავს მოუარე, გენაცვალე, ნუ გაუძალიანდები ავადმყოფობას, თუ დასწოლი, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი და ვისაც გენებოს. შენი დარდი იმას გაუდასჯაბნის და მოქუფრავს.

რა ვქნა, მეც ძლიერ მინდა შეხვედრა, მაგრამ ვერ ვახერხებ. მართალია, მე თავად არ მინდოდა წამოსვლა წარმოდგენაზე, მაგრამ ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობა კიდევ ხომ არ დაგვიბრუნდება, ვიდრე ახალგაზრდები ვართ, უნდა გავიხაროთ ამ ცხოვრებით-მეთქი.

კარგად იყავი და მშვიდობით. არჩილ, გენაცვალე, ზევით ცოტა რაღაცეები დავწერე და არ გეწყინოს, ჩემო იმედო. მე შენი ვარ სიკვდილამდე, შენი და შენი.

ნანა.

შენ კი დარდებს სხვას უზიარებ.....

---

1 სექტემბერი

სალამი ჩემს ძვირფას ნანას!

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ნანა! მე შენ დარდს ვერაფერში გატყობ და არც მინდა ასეთ მდგომარეობაში იყო, რადგან შენზე ცუდად მოქმედებს ამდენი ნერვიულობა. შენი სახე სულ მუდამ მხიარული უნდა იყოს, რათა ჩემთან შეხვედრისას დარდიანი გული გამიხაროს. მართლაც, როცა რაიმე დარდი მაწუხებს და ამ დროს შენ შეგხვდები, შენი თვალების ერთი ელვარე შემოხედვა საკმარისია, რომ გუნება შემეცვალოს. მეტადრე ეს უკანასკნელი ორი დღე ნეტარების წამებია, რადგან, ჩემო ნუგეშო, შესაძლებლობა მეძლევა, გნახო და გესიყვარულო. თუმცა ამასაც ვერიდები, ხშირად შემოხედვა ვერ გამიბედია, ხომ იცი... თვითონ გიგიბ. დღეს, ლიტწრის მეცადინეობაზე სამჯერ შეგხედე, თითო შემოხედვა ჩემთვის ძვირფასი იყო, რადგან სწორედ იმ დროს შენც შემომხედავდი ხოლმე და ერთმანეთს სიტყვეთ თუ არა, თვალებით მაინც ვაგრძნობინებდით ჩვენს გულისნადებს. განა არ შეგეძლო, ნანა, უფრო გულღიად გაგეღიმა და ამით ნუგეში გეცა? მაგრამ მიგიხვდი, შენც ჩემსავით მოკრძალების თოკებითა ხარ შეკრული და ამ საზღვრისათვის ვერა და ვერ გადაგიბიჯებია. მაგრამ უსალმობა და ხმისამოუღებლობა რაღა არის? ესეც მოკრძალებაა? ბოლოს და ბოლოს, მონარქიას ხომ არ ვებრძვით, რომ ასეთი კონსპირაცია დავიცვათ! სალამზე არ უნდა მიპასუხო? ეს უკვე მეტისმეტია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერიდან მეცოდინება, ჩემო ცელქო, რომ ჩემი პირადი დარდებიც ერთად შეგაწუხო, რადგან საჭირო არაა ორივემ ვინერვიულოთ. განა ეჭვი გვეპარება ერთმანეთში? ჩვენ ეს აღარ გვეთქმის, რადგან ის, რაც შესაძლებელია ქაღალდის საშუალებით მივიტანოთ ერთმანეთის გულთან, ამ წერილებით მიგვაქვს. თუ ასე მოსაბეზრებელია ეს წერილები, გამონახე სხვა საშუალება, სად შეიძლება ერთმანეთს პირადად შევხვდეთ და დადი სიამოვნებით გითანგრძნობ. თუ, ჩემო იმედო, არა გაქვს საშუალება, არც მაგაზე დაგემდურები. ნუ მომწერ წერილს, მაგრამ თუ გავდი რამდენიმე დღე და ერთმანეთს ვერ შევხვდით, იცოდე, მაშინ როგორმე უნდა იპოვო დრო და წერილი მომწერო.

მე, ჩემო კარგო, მხოლოდ ჩვენი მომავალი მასულდგმულებს, რომ როდისმე ჩვენი გაჭირვება უკან დარჩება და ხალხთან ერთად, როგორც ბრძოლაში, ისე მშვიდობაში, ვიქნებით საზოგადოების სასარგებლო წევრები.

მშვიდობით, გენაცვალე, კარგად იყავი! უკვე ღამის პირველი საათია, მე არ მეზარება წერა, ოღონდ ხვალ დილით სასწავლებელში უნდა წავიდე და წიგნებს უნდა გადავხედო. ნუ იდარდებ. ამ წერილსაც, როგორც ყოველთვის, შეინახავ. გწერს არჩილი.

---

18 აგვისტო

სალამი მარად და მარად ჩემს ერთგულს!

მივიღე შენი წერილი, რის წაკითხვის მერე აუწერელ მდგომარეობაში ჩავვარდი. რატომ გგონია, რომ შენი ახალგაზრდობა ტანჯვაში უნდა გაატარო, განა ასეთმა უბრალო შემთხვევამ უნდა მოგტეხოს და გაგანადგუროს? არა, ჩემო იმედო, მაგისთანა დაბრკოლებები და არასასიამოვნო ამბები ბევრი შეგვხვდება ცხოვრებაში და ყველაფერზე რომ ასე ვიდარდოთ, სად წავა ჩვენი საქმე! შენ ხომ კარგად იცი, შენი დარდი იგივე ჩემი დარდია და რატომ იწერები, მარტო მე უნდა ვიდარდოო. თუ სადარდებელია, ერთად ვიდარდოთ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სადარდებელი ბევრი არაფერი არ არის, მაგრამ ისიც მართალია, გატეხილი პური არ გამთელდებაო. კარგი, გავათავოთ ახლა ამაზე საუბარი.

არჩილ, რამდენი ხანია ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ, იმალები თუ რა არის, ბოლოს და ბოლოს, ვერაფერი გამიგია! თუ პირადად არ შევხვდებით და ერთმანეთს პატიოსნად თვალებში არ შევხედავთ, იქნება წერილებში ვტყუით? რა ამ სიტყვის პასუხია და შეიძლება არ მინდოდეს წარმოდგენაზე წამოსვლა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ შენ გნახო... რომ იწერები, არ მეწყინება, წერილი რომ დაადგინაო, მე, როგორც იცი, წერილს დაწერას ყოველთვის მოვახერხებ. გამოგზავნა მიჭირს, ფოსტით ხომ ათასში ერთხელ ვგზავნი, რადგან ჩვენს ამ პატარა ქალაქში საკმარისია ფოსტით ორი წერილი გაგზავნო, მაშინვე ქვეყანა გაიგებს... კაცის ხელით გამოგზავნა კი არც ისე იოლია. ისე რომ წერილებიც გაძნელდა ჩვენთვის. მაგრამ რას იზამ. ყველაფერს უნდა გავუძლოთ.

ჯანმრთელად მენახე. შენი ნანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 აგვისტო

სალამი ჩემს ძვირფას ნანას!

ეჰ, ჩემო ნანა, ალბათ ასეთი ბედისა ვარ, რომ ჩემი ახალგაზრდობა სულ ტანჯვაში უნდა გავატარო. ვიღებ კალამს ხელში და ვფიქრობ, ამ ჩემ დაწერილ სიტყვებს სხვისთვის თუ არა, შენთვის მაინც ექნება, ჩემო ცელქო, ფასი. ეჰ, შენ. ჩემო ერთგულო, ნუ იდარდებ, რაც ჩემი მოუფიქრებლობით დავაშავე, დე, მე დავიტანჯო. დე, სულ დაღონებული და დარდიანი ვიყო, ეს მე მეკუთვნის მარტო სატანჯველად, ისე როგორც შენ მთელი არსებით გეკუთვნი. ნანა, ნუ ცდილობ — ნუ ჩემ ურთიერთობის ერთადერთი საშუალება — წერილები — მოისპოს. თუ გინდა დამიგვიანე წერილები, ოღონდ ნუ გამაგონებ ამ სიტყვებს: სულ წერილები ხომ არ უნდა ვწეროთო. ნუ, ნუ მომიხსენ ამ ერთადერთ იმედს, ჩემო ნუგეშო!

რაც შეეხება წარმოდგენის დადგმას, ჩემთვის სულერთია, ოღონდ შენ რომ იძახი, არ მოვალო, ეს კი არ არის ლამაზი. უნდა მოხვიდე, იქნება პირადი შეხვედრით გამიქარვო დარდები. მე რომ მოგწერე, შეიძლება სამსახური დავიწყო-მეთქი, ამით იმას კი არ გეუბნებოდი, არტისტობას ვიწყებ და დაწესებულებაში სამსახურზე ალარ ვფიქრობ-მეთქი. მაგრამ მაინც, რაც შეეხება შენს რჩევას სცენის დარგში, თანახმა ვარ. ჩემო იმედო, თმა როგორც გენებოს, ისე მოიჭერი, მოკლესახელოებიან კაბაზე ფიქრიც შენთვის მომინდვია. კომკავშირელი რომ იყო, მაშინ უფრო მკაცრად დაიცავდი სახოგადოებრივ ნორმებს, მაგრამ რახან არა ხარ... ოღონდ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც შეეფერება სინდისიერ ქალს და სრულწლოვან შეყვარებულს! მე ამ შემთხვევაშიც არაფრის დამშლელი არა ვარ. მაგაში მეც გითანაგრძნობ, რომ ერთმანეთს უნდა გავუგონთ. ჩემო ცელქო, როგორც წინათ მოგწერე, ნუ აქცევ ყურადღებას ნურც შენი უფროსების ლაპარაკს და ნურც „მეთვალყურეებისას“. ენას ძვალი არა აქვს, იჭორაონ, სანამ არ მოწყინდებათ. შენ ხომ იცი, რომ წმინდა ხარ შენს გრძნობაში, სხვა ნურაფერი ნუ გადარდებს.

თუ შეიძლება, ნანა, ერთი გამაგებინე, ვინ მოგიტანა ამბავი, ქალებს ეარშიყებიო. მე დიდიხანია, რაც ქალებს ალარ ველაპარაკები ისე, როგორც შენა გგონია და ნურც იფიქრებ იმ ოხერ სიტყვა „ღალატზე“. ჩემო ერთგულო, შენ საპასუხოდ ე. ი. „მიყვარდეს ერთი და ვიტანჯო მისთვის“ გეტყვი პუშკინის სიტყვებს, „მე ერთს მივენდე და მისი ვიქნები სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდეო“. ნანა, რატომ გგონია, მე თუ მოვკვდები, შენ მთელ სიცოცხლეს ქალწულობაში გაატარებ, ხოლო მე კი ერთ კვირაში დაგივიწყებ? ეს არ იფიქრო, გენაცვალე, გჯეროდეს, რომ ერთნაირად გვიყვარს ერთმანეთი.

როგორც ყოველთვის, იმედი მაქვს, ამ წერილსაც შეინახავ.

გწერს შენი საბოლოო შეყვარებული არჩილი.

---

27 ივლისი

ჩემო არჩილ!

არჩილ, მე რომ გუშინ საღამოს დაგინახე, ისეთი გაბრაზებული და დარდიანი არასოდეს არ მინახიხარ. ხომ იცი, შენი დარდი იგივე ჩემი დარდია და მართლაც, გუშინდელს აქეთ არ ვიცი რა მდგომარეობაში ვარ. არავინ არ მინდა რომ დამელაპარაკოს, მინდა მარტო ვიყო ჩემ თავთან და ჩემ დარდთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, ყველაფერი ეს უხასიათობის ბრალია, რად გაუჩინე შენს თავს დარდი ან რად გამიჩინე მე.

შენი ნანა

---

25 ივლისი

ჩემო ნანა!

დღეს დაბაში ჩვენი კოლექტივი წარმოადგენს ვ. თოდუას პიესას — „მე ფიცი მიმიცია“ — რეჟოლუციური დრამა 3 მოქმედებად. ანტრაქტების დროს დაუკრავს სასულე ორკესტრი, შენ ხომ ცეკვა გიყვარს, ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ მოახერხებ მოსვლას. გიმეორებ, რომ მე არ გაიძულებ, თუ შენი სურვილი იქნება.

შენი წერილი რომ მომცა ზნინამ, ვკითხე, შალიკოსთანაც ხომ არ არისშეთქი და როცა ვიპოვე, ამან ძალიან გამამხიარულა და ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ შენ სიტყვის მთქმელიც ხარ და შემსრულებელიც. ზინასთან ცოტახანს დავრჩით. იქიდან პირდაპირ შალვასთან ჩაველ, შინ დამხვდა და ყველაფერი ვუამბე. საუბრის დროს შალვას ვთხოვე რამე დაეკრა, ის ხომ ძალიან კარგად უკრავს როიალზე. ბევრი რამ დაუკრა, მათ შორის „მხოლოდ შენ ერთს“ და „თავო ჩემო“. ყველა ამის შემდეგ კიდევ ვისაუბრეთ, მერე მე შინ დავბრუნდი. რამდენიმე დღეა კლუბში არ ვყოფილვარ, დღესაც მიდის ახალი კინოსურათი სამ სერიად „მისს მენდი“. მე ახლა შინა ვზივარ და წერილს გწერ. ნუ დამემდურები პატარა წერილზე, მომიკითხე ყველა შენი ამხანაგი, იყავი კარგად. თავს გაუფრთხილდი. ნუ იდარდებ, თორემ შენი დარდი მეც მადარდებს. თუ შესაძლებელია, ნურავის ნუ წაიკითხებ ამ წერილსაც.

გწერს არჩილი

36

ჟანამ ქვითინი დაიწყო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამის მოთმენა არასგზით არ შემეძლო.

— ნუ მართავ მელოდრამას, — ვთქვი და მაშინვე მივხვდი, რომ კილო ძეტისმეტად მბრძანებლური გამომივიდა, მაგრამ გაფრენილ სიტყვას ხომ ვეღარ დავიჭერდი.

— გაჩუმდი! — დაიყვირა ჟანამ. — შენ ცინიკოსი იყავი და ასევე დარჩი ბოლომდე. ამდენი ხანია არ გინახივარ, ნუთუ არაფერი არ გაინტერესებს ჩემი ცხოვრებიდან, არაფერი არ გახსოვს კარგი, რისი მოგონებაც შეიძლება...

— რატომ მოხვედი? — ცივად ვკითხე და საწოლზე წამოვიწექი.

— ვიცი, რასაც მეტყვი, — წამოიძახა ჟანამ. — ვიცი, ვიცი. არ უნდა მოვსულიყავი, არა! მაგრამ რახან მოვედი, ეს იმას არ ნიშნავს, შენგან ყველა დამცირება ავიტანო. მე დამცირებისათვის არ მოვსულვარ.

— მე არ მითხოვია მოსულიყავი. მე მხოლოდ გაცნობე, რომ დღეს შვიდ საათზე აქ ვიქნებოდი.

— ო, რა ამაყი ხარ. ვიცი, მაგით რაც გინდა თქვა. არ გითხოვია მოსულიყავი. მე თავად მოვედი. მაგრამ თუ არ გინდოდი, რატომ გამაგებინე შენი აქ ყოფნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარტო ვიყავი და იმიტომ.

— მაშ გინდოდი?.. — იმედით აევსო ქანას თვალები.

— მინდოდი, — ვთქვი და სიგარეტს მოვუკიდე. — მე ჩემი ჭაბუკობა მინდოდა გამეხსენებინა, ის ბავშვური, ახალგაზრდული ოცნებები, რაც ოდესღაც შენთან მაკავშირებდა. თურმე ეს ილუზია გამოდგა. მე არაფერი არ მქონია წარსულში. არც ახლა გამაჩნია რაიმე. ასე, ჰაერში გამოკიდული ვიყავი ყოველთვის.

— გქონდა და აღარ გახსოვს, დაივიწყე. ისევე დაივიწყე, როგორც მე!

— მე გულმავიწყი არასოდეს ვყოფილვარ.

— უმადური იყავი ყოველთვის.

— სიყვარულმა მადლიერება არ იცის. კმაყოფილი უნდა იყო.

— ეგოისტი ხარ!

— სიყვარულში ყველა ეგოისტები ვართ.

— მომეცი სიგარეტი, —თქვა ქანამ, ლოგინში წამოჯდა, მხრიდან ჩამოცურებული პერანგი შეისწორა და ათრთოლებული თითებით მოუკიდა.

— რა გვაქვს, ქალო, საჭმელი, — მოისმა მეზობელი ოთახიდან მამაკაცის ბოხი, ნაღვინვი ხმა.

— შავი ჭირი, — მიუგო ქალმა. გოგო, შე სასიკვდილევ, მომეცი მწვანილი ამ გაოხრებულ კარტოფილს დავაჭრა.

— ქალო, ახლა აკეთებ სადილს? — დაიღრიალა მამაკაცმა.

— დილით რომ გამოგზავნე ინდოური, ის შებრაწული გელოდება! შენ ილოთო და ხელფასი კახპებში ხარჯო, სადილს რითი გავაკეთებდი, კოო კი არა ვარ!

— ფუ, თქვენი! — რაღაც გაურკვეველი შეიგინა კაცმა, სკამი იატაკზე დაახეთქა და ოთახის კარი გაიჯახუნა.

მალე მეზობელი ოთახიდან მოისმა ქალის ტირილის ხმა.

ბავშვი გულმოდგინედ იმეორებდა:

ვიშ გაზაფხული, მზე, ყვავილები...

— გაჩუმდი, შე სასიკვდილევ! — ისტერიულად დაიკივლა ქალმა, მერე ეტყობა ახლოს მივიდა ბავშვთან და ხელი მოხვია, რადგან ასეთი რამ თქვა: — ჩვენ ორივე უბედურები ვართ, შვილო, მამაშენის ხელში. ის დღე დაიქცეს, მე რომ მაგას გავყევი ცოლად —ხოლო ცოტახნის მერე საოცრად ჩაშაქრული ხმით უთხრა: — შენ გაკვეთილი ისწავლე კარგად და მეც მალე მოვალ. თუ ვინიცობაა მამაშენი მოეთრია, უთხარი მეზობელთან გადავიდა-თქო.

ქანასთან მხარშექცევით ვიწექი, მაგრამ მალულად ვაკვირდებოდი. გულში აქამდე განუცდელი სიბრალული ვიგრძენი. ვიცოდი, ეს რომ გამემეღვნებინა, უფრო მოვუკლავდი გულს.

— ქანა — ვთქვი და წელანდებურად გულაძგერებულმა ხარბად შეეხედე ნამტირალევ ქალს.

ქანას თვალებში ნაცნობმა სხივმა გაიელვა. კვლავ აუთრთოლდა ტუჩები და ცეცხლი წაეკიდა ყვრიმალებს. იგრძნო უსიტყვო ლტოლვა. სიგარეტი იატაკზე დაგდო და ძალუმად მომეხვია:

— ჩემო გიჟო... ჩემო კარგო... — ჩურჩულებდა ხმადაკარგული.

მე მინდოდა მის თოვლივით ქათქათა მხარზე დამელია სული.

ვიშ გაზაფხული, მზე, ყვავილები...

სლუკუნებდა მეზობელ ოთახში ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატა საწოლზე თვალებდახუჭული, გატრუნული იწვა. დღის შთაბეჭდილებებს გუგები ცხელი ცრემლით აევსო. ვატყობდი, არ უნდოდა ხმის ამოღება, თითქოს რაღაც უჩინარი ჭრილობა ჰქონდა და ოდნავი ხმაურიც კი გაღიზიანებდა. ამ სიჩუმეში სურდა დაძირვა, დაფიქრება, მთელი იმ ამბის აწონ-დაწონვა, რაც ასე უცბათ მეზივით გავარდა და მისი დალაგებული და დამშვიდებული ცხოვრება შესცვალა. ნატას თავისი თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა რა მოემოქმედნა, ვისთვის მიემართა, როგორ აეხსნა ის, რაც მოხდა. თავისდაუნებურად ცრემლები ჩამოსდიოდა. უნდოდა თავი შეეკავებინა, გაჩუმებულიყო, გულისთქმა ჩაეკლა, მაგრამ ვერ ახერხებდა და ბავშვივით ქვითინებდა.

ჩვენი ახალნაქირავები ოთახის გვერდით მეზობლები ხმაურობდნენ. პატეფონზე დამტვრეული ფირფიტა ფხაუნნობდა.

თავზაღუნული ვიჯექი. ჭუჭყიან იატაკს ისე დაჟინებით დავცქეროდი, თითქოს მეტი დარდი არაფერი მქონდა. ხმას არ ვიღებდი. მეგონა საუბრით ამ უეცარ გაყუჩებას დავარღვევდი, იმ უხილავ ძაფს გავწყვეტდი, რითაც ის დუმილი იყო შეკერილი. „ცრემლი გულს მოულობს“, —ვინუგეშებდი თავს და მიუხედავად იმისა, რომ აუტანელი იყო ასე ჯდომა და ისტერიკის მოლოდინი, მაინც გაყურსული ვიჯექი, არ ვინძრეოდი.

მეზობლებმა ხუთჯერ დააბრიალეს ის გატეხილი ფირფიტა, ნემსი ისე დაბლაგვდა, რომ პატეფონი ორთქმავალივით ქშინავდა და ვიშვიშებდა.

— უსინდისო, — თქვა უცბათ ნატამ, ერთ წამს თავი აიღო, დაღლილი, დაწოლილებული თვალებით შემომხედა და ისევ აქვითინდა.

„მართლაც უსინდისო და თანაც სულელი ვარ, —გავიფიქრე, — მაინც რამ ჩამადებინა ჯიბეში ჟანას ის ქარაფშუტული წერილი. ახია ჩემზე, ახი“!

— მე ასეც ვიცოდი, სლუკუნით თქვა ნატამ.

მთელი ღამე უძილო და მშფოთვარე იყო. ერთხანს კიდევ ყურს ვუგდებდი ცოლის ქვითინს, რაღაც სანუგეშო თუ საბოდიშო ვთქვი, მაგრამ იმდენად ყალბი იყო ჩემი ყოველი სიტყვა, რომ საკუთარი თავისა შემრცხვა. ვარჩიე გაჩუმება, დავწექი და გავირინდე.

არ მეძინებოდა. ქუთუთოებს ერთმანეთს ისე ვაწებებდი, რომ მერე გახელა მიჭირდა, ყურებზე ხელს ვიფარებდი, ღარ მინდოდა ამ ქვითინის მოსმენა... ოთახში რაღაც გლუვი, ყვითელი ფერი ირეოდა; თვალებში ყვითელი საგნები ბრჭყვიალებდნენ და ვეღარ გამეგო, მეძინა თუ მეღვიძა.

უცბათ მომეჩვენებოდა, რომ დიდიხანია მეძინა, თვალს გავახელდი და კედელზე დაკიდებულ საათს მივაჩერდებოდი. ერთხანს მეზმანა პროექტორებს მანათებდნენ, ვიღაცეები იცინოდნენ, ტაშს უკრავდნენ. მე გულზე ფერადი აფიშა ამეკრა, ქალაქს ვუვლიდი და გამვლელ-გამომვლელს ვაჩვენებდი. ისინი ზედაც არ უყურებდნენ, ჩუმად იცინოდნენ და ქილიკობდნენ.

ვეღარ გავძელი ლოგინში. წამოვდექი, უხმაუროდ ჩავიცვი და დერეფანში გავედი. ნატა არ ამდგარა. არც უკითხავს ამ შუაღამეს სად მივდიოდი. ის მართლაც ძალიან იყო შეურაცხყოფილი.

ღამის ორი საათი იყო. ქალაქში ღამეს ეძინა. როგორც შავი, ლიბრიანი ზღაპრული არსება, უცნობი და ამაზრზენი იყო ეს ათასჯერ ნანახი და გათენებული ღამე. თითქოს ქალაქისთვის თავზე უზარმაზარი სარქველი დაეხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავთ, ხოლო ჰაერი მშვარტლითა და მტვრით გაუვსიათო — ისეთი მძიმე და სულისშემხუთავი იყო უძრავი სიმყუდროვე.

არ მინდოდა შინ დაბრუნება. „მართლაც ბილწი ადამიანი ვარ. არ დაკარგვევ იმ ჩემი ნაქირავები ოთახის სპეტაკ სიმყუდროვეს. ღირსი ვარ ნატამ არ მიმიშვას, ღირსი! რა საწყალია პატიოსანი ქალი“...

ნოტიო ნისლში მჭრქალი ფანრები ციმციმებდნენ. მანქანები ჩუმად დასრიალებდნენ. ყრუ, ამაზრზენი სიჩუმე იყო. მე კი მეჩვენებოდა, რომ ამ სიმყუდროვეს ვიდაცის ცივი კივილი ჰკვეთდა. კიოდა რაღაც თუ ვიღაც, ხან შორს, სადღაც ცხრა მთას იქით, ხან აქვე, ყურისძირში... ჩემს სულში. კიოდა საზარლად, კვნესითა და ვაებით, და ამ კივილში იწოდა რაღაც მეტად ნაზი და სათუთი, მისაფერებელი და საალერსო, იწვოდა და ვერ დამწვარიყო, ისიფერი ბოლი ასდიოდა, ეს ბოლი ფარავდა ცას, ავსებდა ქუჩებს და ამ ნოტიო ნისლთან ერთად ფოთოლგაცვენილ ჭადრებს ტანზე ეხვეოდა. უნებურად ყურებზე ხელს ვიფარებდი, არ მინდოდა ეს საშინელი ხმა მომესმინა, რა იყო ეს, ბრმა სწრაფვა თუ უხილავი წინათგრძნობა, მოსვენებას რომ არ მაძლევდა?

დილამდე ვიხეტიალე ქუჩაში, რვა საათზე კი ღრმად დარწმუნებულმა, რომ ნატა შინ არ მიმიშვებდა და მეც, ჯერჯერობით, მისასვლელი პირი არა მქონდა, ახალი ოთახის საქირავებლად ძველი მაკლერები მოვინახულე.

თბილისელი მაკლერები, ეს კბილებჩაყვითლებული, გაუთავებელი ქაქანით პირზე ქაფმოდებული ქონდრის კაცები, ჩვეულებისამებრ ყრუდ ახვეულებდნენ, აქეთ-იქით დამფრთხალი იყურებოდნენ, უფულოდ ნამიჯს არა სდგამდნენ და კლიენტს სახეში ეჭვიანად მისჩერებოდნენ.

— პატარა ოთახი მინდა, ერთი კაცისათვის,—ვუთხარი „ჭრელ გიგუშას“.

— პატარა რა არი, ბიძინაჯან, იმხელა მაინც არ გინდა, რომ ნაშა მიიყვანო! ნახალოვკაში ერთი კუკლა ოთახი მაქვს, შენ რომ გაგიხარდება ისეთი, გულით მოგეწონება რაღა! სიყმეს გეფიცები, რაღაც სჩასტლივი სლუჩაიმ მოგიყვანა...

ქირა რომ მითხრა, ელდა მეცა. მოკიბულ-მოკიბული ლაპარაკი შევაწყვეტინე და მკვახედ ვუთხარი:

— ოღონდ ჭერი ჰქონდეს და საქათმეშიც შევალ! სად მაქვს მაგდენი ფული.

— როგორ სადა გაქვს, შე დალოცვილო, ორი კვირის წინ თუ იქირავე, მაშინ გქონდა და... — იღრიჭებოდა გიგუშა, ყვითელ კბილებს აჩენდა და ცვრად აწუტებდა.

ნამდვილ მიზეზს ვერ ვეტყოდი გიგუშას, ის კი არ მეხსნებოდა და წამდაუწუმ „ნაშებს“ ახსენებდა.

სამი მანეთი ჩავუდე ჯიბეში და ვუთხარ, მაღარიჩი ჩემზე იქნება-მეთქი. გიგუშამ ეს რომ გაიგო, არღანი წოდმა დააბრუნა.

— გარეუბანში რა გინდა, ეგეთი ზნატნი ხუდოჟნიკი ხარ! ღამე პალტოს გაგხდიან... იქ სულ გორსალები ქირაობენ, შენ რა, სტილნი არა ხარ? გალავინსკენ არ გინდა?

— სადაც გინდა იყოს, ოღონდ ჩქარა, — მოთმინება მელეოდა.

ჭრელმა გიგუშამ ქეჩო მოიფხანა, თვალები ეშმაკურად მოჭუტა, იაფფასიანი, მძაღე სიგარეტი გააბოლა და მითხრა:

— ეგრე არ გამოვა, ჩვენი ძმა! ეს ბინაა — ქათამი კი არ არის. შიგ რომ შეხვალ, იგეთი უნდა იყოს, თვალსა და გულს გაუხარდეს. ვა, ჩემი მუშტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ, რომ მოგატყუო, მერე სიფათში უნდა მომაფურთხო? დაიცადე რაღა, ფეხებში ატომნი დვიგატელი ხომ არ გიდგას?!.

დღის თორმეტი საათი იყო. ჩვენ უკვე მთელი დილა დავდიოდით და ოთახი ჯერ კიდევ არ ჩანდა. გიგუშამ თბილისის ორი-სამი უბანი მომატარა. ჯიბრზე სულ ძველი კედლები, ჩამონგრეული ჭერი, იატაკაყრილი და კარ-ფანჯარა ჩალეწილი ოთახები მხედებოდა; მათ რომ ვუყურებდი, გულს მეყ-რებოდა და ვჩქარობდი მალე გამოვსულიყავი. გიგუშა კი მოთმინებისა და ნებისყოფის სიმტკიცისაკენ მომიწოდებდა.

— ეს ოთახი ხომ დილას ვნახეთ, — წამოვიძახე უცბათ გამწარებულმა.

— ვინავატი ვარ, ჯვარზე ხომ არ უნდა გამაკრა, — ქვეშ-ქვეშ იცინოდა გიგუშა.

ბოლოს მიმალვა უნდოდა გიგუშას, მაგრამ გახუნებულ პალტოში ხელი ჩავავლე, კედელზე ლავაშივით ავაკარ და ვუთხარი:

— კაცი მეგონე, მაიმუნი ყოფილხარ!

— კარგი ჰო, რეებს უბნობ, — თავი განზე მიჭქონდა გიგუშას.

— რაც გეყურება.

— რა პროკურორივით თვალებს მიბრიალებ!

ბოლოკა ცხვირში ხელი ჩავავლე და მივწი-მოვწიე.

— დაიცა ვა, ეს რა აგრესივნი ყოფილხარ, ცხვირი ნუ მომაგლეჯე, პრაკტით კი არა მაქ ნაყიდი! — იდორბლებოდა გიგუშა.

— ახლავე ოთახს მიშოვი, — მუჯლუგუნი წავკარ და თვალი დავაშტერე.

სითამამემ გასჭრა. გიგუშამ ერთ საათში ვაკეში სახლის პატრონთან მომა-რიგა.

ოთახში იდგა ერთი გასაშლელი საწოლი, ძველებური კამოდი, ორი ფეხებმომტვრეული სკამი და გრამაფონი.

ჩანდა, დიასახლისს ახლა დაელაგებინა ოთახი. იატაკი ჯერ ისევ სველი იყო. გალუმპულ, თაგვისაგან შეჭამულ ფიცარს მწლაკე სუნი ასდიოდა. კედ-ლებიდან მჭვარტლი და აბლაბუდა ჩამოეღო, მაგრამ სიჩქარეს თავისი კვალი დაემჩნია, ზოგან კედელი ისევ შავად დარჩენილიყო; დაბუნდულიო ფანჯარა ქუჩაში გადიოდა. ფანჯრის ნახევარი მიწას ეფარებოდა, ნახევარში გამელელ-თა ფეხები ჩანდა. შმორისა და ნესტის სუნი იდგა. ციოდა.

გული შემეკუმშა. როგორ უნდა მეცხოვრა აქ?

ნაღელიანად მიმოვიხედე ირგვლივ და მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ მთელი დღე არაფერი მეჭამა. კარი გამოვაღე და ქუჩაში ამოვედი.

ის იყო გასტრონომში შევდიოდი, რომ ვიღაცამ ხელი მომკიდა. შევხედე. შევკრთი.

— ჟანა!..

— ჰო, მე ვარ, ვეღარ მიცანი?

ნატა მომაგონდა. მინდოდა ხელი მეკრა ჟანასათვის, მეთქვა, რაც მისმა ბარათმა შემამთხვია, მაგრამ არ ვიცი შემრცხვა თუ დავიბენი, ხმა ვერ ამოვიღე.

— სად მიდიხარ? — მკითხა ჟანამ და ისე მომიჭირა თითები, რომ მთელ სხეულს წინანდებურად მოედო ცეცხლი.

— აქ, გასტრონომში. საჭმელი უნდა ვიყიდო.

— შენ, როგორც მახსოვს, არასდროს არ ყიდულობდი საჭმელს. ცოლმა ხომ არ გამოგაგდო?

— რა სისულელეა, — წავიბურტყუნე გაურკვევლად.

— ხომ მართალი ვარ, ბიძინა, — გახარებული ტიკტიკებდა ქანა, — შე საწყალო, წამოდი, გიყიდო საჭმელი, შენ ხომ არჩევასაც ვერ მოახერხებ.

მომკიდა ხელი, გასტრონომში ბავშვივით შემიყვანა და მაყიდინა იმდენი რამ, რაც ერთი კვირა მეყოფოდა.

ისევ ქუჩაში გამოვედით.

— ამდენს როგორ წაიღებ, მოგეხმარები, — წამჩურჩულა და ნაჩქარევად მაკოცა.

უარი რომ მეთქვა, დავიეჭვებდი, თან წამეყვანა და უნდა გამეცა ჩემი საიდუმლო. ვიფიქრე, სანამ სახლამდე მივალთ, რამეს მოვახერხებ-მეთქი და ქანასთვის უარი არ მითქვამს.

გაბითურებული მივდივარ ქუჩაში. მგონია ყველა მე მიყურებს. ფეხი ძერევა. რამდენჯერმე ქანა შემეშველა კიდეც, რა გემართება, არ წაიქცეო. ვატყობ, ისევ და ისევ სასწორზე დევს ჩემი პატიოსნება და ჩემი ნამდვილი გრძნობა.

უცბათ ჩემს ახალ „ბინასთან“ შევჩერდი.

— აბა, ნახვამდის, ბიძინა, გნახავ, როცა დალაგებული იქნები, — მითხრა ქანამ, სწრაფად მიტრიალდა და წავიდა.

მინდოდა დამეძახა, გამოვკიდებოდი, მაგრამ ამ დროს მაღაზიის ვიტრინაში დავინახე ჩემი თავი უამრავი სანოვაგით დატვირთული და ბრაზით კბილები დავაკრაჭუნე.

გიჟივით შევვარდი ოთახში, ავიღე ქუდი და რაღაც წვრილმანი, წეღან კამოდის უჯრაში რომ ჩავყარე, სახლის პატრონს მივუგდე ორი მანეთი და წავედი ჩემი ნამდვილი სახლისაკენ. დღეს შემეძლო ნატასთან მისვლა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შაჯგელაშვილი

...

შენ, ჩემო ცრემლო — უკვდავთა საფლავს
დასადინარო და დიდო ცრემლო,
იშვილე,
შერთე შენს მღვრიე ტალღებს
ეს ერთი ცრემლიც, ანკარა ცრემლი,
მცირე, უცნობი და უსახელო.
შენ, ჩემო ლექსო,
ქვეყნად სიცოცხლე —
დიდხანს სიცოცხლე თუ გიწერია,
ააგე ძეგლი ანკარა ცრემლის,
დაუნგრეველი, ამტანი ქამის,
მცირე, უცნობი და უსახელო...
შენ, დიდო ძეგლო,
უკვდავთა ძეგლო,
შენ დაიფარე პატარა ძეგლი,
მცირე, უცნობი და უსახელო,
ერთი უცნობი გოგონას ძეგლი!

*

დგას ათას ცხრაას სამოცდაერთის
ცხელი ზაფხულის ჩუმი საღამო.
ქარგახანია მზემ დაისვენა,
მზე ორიალეთის მთებს მიეფარა...
ალბათ იღლება ის დიდი თვალიც,
ცის დიდი თვალი —
მზეს რომ ვეძახით.
ის იქანცება სხივების ფრქვევით,
ქვეყნიერების და ჩვენი ცქერით.
მეც დავიღალე ამდენი შუქით,
აურზაურით, დიდი სინათლით.
დიდი ქალაქის მხურვალე შუქით —
ქუჩის ალმურით მეწვის თვალები.
და მიხარია, როცა მზე ჩადის
და ლოდინივით გრძელდება ჩრდილი,
წყდება ხმაური და შეღამება
მიახლოვდება სიჩუმესავით.
როს დასავლეთის მეწამულ ფერებს,
სხვადასხვა ფერის ჩრდილებს და ფერებს
შორით გასცქერის ალმოსავლეთი
შემოღამების შავ სათვალეში.
მე მიხარია, როცა მზე ჩადის
და მცირე კენჭიც ამაყობს ჩრდილით,
და გახურებულ ქვაფენილებზე
აბიბინდება დუმილის ხავსი.
სიჩუმე არის ფიქრების დედა,
მოვა თუ არა —
იღვიძებს ფიქრიც,
სამალავიდან გამოდის ფრთხილად
და ჩემს გარშემო სიარულს იწყებს.

*

სადღაც ქალაქის დიდ სამრეკლოზე
უკვე მეოთხედ რეკავს საათი.
რეკავს საათი და მაინც სძინავთ
ნთელ პროსპექტებს, ბნელ შესახვევებს,
ქუჩების პირას ბნელი სახლები,
დიდი სახლები —
დგანან და სძინავთ,
თითქოს შეუსვამთ დუმილის ბანგი —
და გიკვირს,
ვისთვის რეკავს საათი!
ამ დროს მე თითქოს მივიწევ ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემი ფიქრის მაღალ კოშკიდან
ვათვალიერებ შავი ჭოგრიტით
დიდი ქალაქის დეკორაციებს.
სხვაგვარად სუნთქავს თბილისი ღამით
და მისი გულიც სცემს სხვანაირად,
ვუსმენ და ვუმზერ, დუმილით ვუმზერ,
და ჩემი ფიქრი —
როგორც რენტგენი
უცებ აშუქებს დიდი სახლების,
სახურავების, კედლების შიგნით.
ბნელი ფანჯრების, მძიმე ფარდების,
მჭიდროდ ჩარაზულ ჭიშკრების მიღმა
დღიური დრამის მდუმარე სცენას.
დუმილით ვუმზერ და ცხადად ვხედავ
უხილავ ფერებს, უჩინარ საგნებს...
და იწერება ცის პერგამენტზე
ზაფხულის ღამით დიდი ქრონიკა.

*

სადღაც, ქალაქის დიდ სამრეკლოზე
უკვე მეოთხედ რეკავს საათი.
რეკავს საათი და ყველას სძინავს,
სძინავს შენს მტერსაც და მეგობარსაც.
სძინავთ სიზმრებში საყვარელ ბავშვებს,
ერთგულ მეუღლეს და ორგულ ქალებს —
დავიწყებულებს, დაუვიწყართაც,
ვინც მოსვენებას არ გაძლევს დღესაც
ვინც დაივიწყე და აღარ გახსოვს,
ვინც დაივიწყე და მაინც გახსოვს...
შორს,
სამრეკლოზე რეკავს საათი...
შენ გიხარია, რომ ყველას სძინავს,
და შუაღამის დიდ სიჩუმეში
შენი ფიქრების ისმის ხმაური.

დღეიდან ვიწყებ ქრონიკის წერას,
ჩემი ფიქრების ქრონიკის წერას.
მოკლე დღეების, გრძელ ღამეების
ქრონიკის წერას.
ქრონიკას ვიწყებ ჩვენი დროიდან,
ძველ ამბებს ალბათ ოდესმე დავწერ.
დავწერ ყველაფერს, რაც მაღელვებდა,
რაც მაფიქრებდა სიჭაბუკეში,
დავწერ ყველაფერს, რის თქმაც
მინდოდა,
მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი.
ჯერ ისევ ფეთქავს გული ძლიერად,
სუნთქავს, მიმოდის, იძვრის და ყივის,
და მოუთმენლად მოელის ფიქრთა
ყინულის დნობას და წყალდიდობას.
დადგება ქამი, მე ვიტყვი ჩემი
მზის ამოსვლის და ჩასვლის სიმღერას,
ვიტყვი ერობაშად, სულმოუთქმელად
ჩემი შუადღის ყველა სიმღერას.
მაგრამ ეს შემდეგ... ჯერ არ დამდგარა
ქამი ანდერძის და აღსარების.

სხვა არის ჩემი ქრონიკის თემა:
ბევრი ვიფიქრე და დიდხანს ვწერდი,
გულისტკივილით და სევდით ვწერდი
ერთი პატარა გოგონას ამბავს.
დიახ, მე ვწერდი, ვწერდი და ვხვევდი,
გულისტკივილით და ბოღმით ვხვევდი.
რადგან ჩემს ნაწერს, ფიქრებს და
სიტყვას
არ ჰქონდა მადლი, არ ჰქონდა ეშხი,
არ ჰქონდა ძალა იმ მწარე წამლის —
სპეტაკ ქალაღდში გახვეულ წამლის,
რომელსაც უნდა ეხსნა გოგონა...

შენ, კრიტიკოსო, შუბლს ნუ შეიკრავ.
უცებ ნუ ასტეხ დავიდარაბას,
ნუ დამიჩლუნგებ გაბედულ კალამს,
ნუ შემაშინებ სანატრელ სტამბას,
ნუ ჩაჰკირკიტებ ცალკე სტრიქონებს,
ნუ მიშლი ოხვრას, გულის მიმოხრას.
წაუკითხავად ნუ მიწყებ ძრახვას,
კეთილი არის ჩემი განზრახვა.

ვიცი, სიკვდილი გაშინებს ძლიერ,
ტაბუ დადე სიკვდილის თემას,
სიძულვილს,
მტრობას,
მეგობრის ღალატს,
ძლიერ სიყვარულს, ტკივნის ანთებას —
და სხვა ათასგვარ დავიდარაბას,
რაც შეიძლება ჩვენს დროშიც მოხდეს.
ჩვენ, ზოგი ადრე და ზოგი გვიან
წავალთ, გავხდებით მდგმურები მიწის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ალბათ ცრემლებს
ჩვენც დაგვაყრიან,
ვინც დატირების ვიქნებით
ღირსი!
როგორ გავზომო ცრემლის საწყაო,
ან რით გავზომო,
გრამით თუ მისხლით
ან თუ გულს მოსწყდა უეცრად ოხვრა—
კეთილშობილი სუნთქვა გულისა,
რა ვქნა,
არ უნდა ამოვიოხრო,
არ გითხრათ —
გული მეთანაღრება,
თავი მიბრუის და სუნთქვა მეკვრის.
მითხარი,
როგორ გავზომო სევდა,
სად დავდო ფიქრის ბეჭე და საზღვარი,
თუ მენაღვლება,
თუ მეოხრება —
შენი ნებართვით ამოვიოხრო?
ამოვიოხრო მხოლოდ ნახევრად?
ნახევარ გულით როგორ ვიმღერო,
რა ეშველება გულის ნახევარს,
რომელსაც უნდა ოხვრაც, სიმღერაც...
ნახევარ ფიქრით როგორ ვიფიქრო,
რა ეშველება ფიქრის ნახევარს?
მე მთელი გულით მინდა ცხოვრება,
ნახევარ გულით როგორ ვიცხოვრო?

მაგრამ, ჯერ პირველ ნათქვამს
მივხედოთ,
მასთან მივიდეთ რითაც დავიწყეთ...
დღეიდან ვიწყებ ქრონიკის წერას,
ჩემი ფიქრების ქრონიკის წერას,
ვწერ, როგორც პროზას,
უბრალოდ, დინჯად,
ლამაზი თქმების დაუხარჯავად,
გზადაგზა ხშირად ვღალატობ რითმას,
ვწერ ისე, როგორც ფიქრი მკრნახობს,
ვწერ ისე, თითქოს ვიღაც მკარნახობს,
ჩემზე ძლიერი და გონიერი,
მე მეჩქარება, სათქმელი მახრჩობს,
გული არ უცდის სიტყვის გარანდვას...

ნუ მკითხავთ, რატომ გავუწყერ რითმას,
დავთმე დროებით თუ სამუდამოდ.
ეს მე არ ვიცი, ეს ფიქრებს უნდათ,
ვნებიან ფიქრებს, ფიქრიან ფიქრებს,
ფორიაქიან, სიცხიან ფიქრებს —
ეს ჩემი ლექსის აღსასრულია!

და ისე, როგორც ცხელი აგვისტოს
დიდი შუადღის მძვინვარე მზეში
ვაჟაცის მკერდი ვეღარ ისვენებს,
ბორგავს, პერანგში ვეღარ ეტევა,
ნატრობს სიგრილეს და გაშიშვლებას —
ლექსსაც მოსწყურდა თავისუფლება,
სიშიშვლე ძვლების, სიშიშვლე ხორცის,
ბორკილ ლეწავენ ლექსის მკლავები,
ხარბად სუნთქავენ ლექსის ფილტვები—
მოსწყურებიათ სულ სხვა ჰაერი!

ჰო, აპატიეთ უცნაურ ფიქრებს
ეს სითამამე — ღალატი რითმის...
თორემ ჰა, რითმაც ადვილად ითქმის!
შეუნდეთ სიტყვას ლაღი ნავარდი,
სულყველაფერი... ისიც შეუნდეთ,
თუ თეთრი ლექსი —
როგორც ჭაღარა
ამ ჩემს ქრონიკას გამოერია.
მაინც რა არის ეს თეთრი ლექსი —
სიჭაბუკე თუ სიბერე სიტყვის?

თუ რითმა არის ლექსის მარილი,
რად გვეზარება აღზევანს წასვლა?
თუ რითმა არის ლექსის ბორკილი,
რად გვეზარება ბორკილის მსხვრევა?

მე დავინახე ჩემი ფანჯრიდან
შავკაბიანი მწუხარე დედა.
ქვაფენილებზე გაშლილ ჩრდილებზე
ის ფეხაკრეფით მოაბიჯებდა.
მისჩერებოდა უაზროდ წერტილს,
უცხო თვალისთვის უჩინარ წერტილს,
მოაბიჯებდა სიჩუმის გვერდით
და მისთვის ახლა იყო სულერთი —
ქვაფენილებზე იწვნენ ხეები
თუ მოქანავე ხეთა ჩრდილები...

ის თითქოს იდგა და მოდიოდნენ
ჩემი ფანჯრისკენ მისი თვალები.
ჰო, ასე ჩანდა...

მხოლოდ თვალები,
დაჭრილი ვეფხის მქისე თვალები.
ბნელში ელავდნენ მისი თვალები,
ბოკვერ დაკარგულ ვეფხის თვალები,
დიდრონნი, მწყრალი, შეუბრალები
ახლოვდებოდნენ ვეფხის თვალები.
მე გამახსენდა და შემეშინდა...
უეცრად შევკრთი, მივბრუნდი სწრაფად,
მაგრამ მე ვგრძნობდი —
ბნელი ქუჩიდან
ვიღაც უმზერდა ჩემ ფანჯრის რაფას.
ვინ იცის, იქნება არცი უმზერდა...
და ვთქვი, გუშანამ მიმტყუნა ალბათ.
მან რა იცოდა, თუ ვინმე სწერდა
მისი პატარა გოგონას ამბავს!
მან რა იცოდა, თუ მაღალ სახლის
ფართოდ გაღებულ ფანჯრების მიღმა
იჯდა უცნობი მაღალი კაცი
და ყოველ ღამე შეუსვენებლად,
სულმოუთქმელად სწერდა და სწერდა
ადრე დაღუპულ გოგონას ამბავს?
მან არ იცოდა...
მაგრამ მე ვგრძნობდი,
ის იდგა ქვემოთ, ის იდგა ჩუმად,
ის იდგა ბნელი სიჩუმის გვერდით
და სევდიანი მწყრალი თვალებით
მისჩერებოდა მაღალ ფანჯარას...

მან არ იცოდა...
მაგრამ ვინ იცის,
იქნებ იცოდა, იქნებ იცოდა?

ამ უბანს ერქვა ვარდისუბანი,
ახლაც განთქმული არის ვარდებით,
წითელ ვარდებით, თეთრი ვარდებით,
ლურჯი და თეთრი იასამნით...
აპრილში,
როცა იხსნება ზეცა,
მაისში,
როცა იძახის მიწა,
და მათრობელა სურნელი დგება
იავარდის და იასამნისა,
აქ ბულბულების გაისმის ყეფა,
ზოგჯერ ყივილიც ისმის მამლისა.
ამ უბანს ერქვა ვარდისუბანი,
მე შევეზარდე მის მყუდრო უბეს...
როგორც მთაწმინდას ჰქვია მთაწმინდა,
როგორც დიდუბეს ჰქვია დიდუბე —
ამ უბანს ერქვა ვარდისუბანი.

შემდეგ უწოდეს მას კაცის გვარი,
ვარდის სახელი მას აღარ ჰქვია,
მაგრამ ვარდები სხვადასხვაგვარი,
სხვადასხვა ფერის ვარდი და ია
ეზო-ბაღებში, შესახვევებში
წითლად, ისფრად მაინც ანთია.
მაინც თბილისში ყველაზე ადრე
ამ ძველი უბნის ყოველ შენობას,
ყოველი სახლის ერდოს და სარკმელს
ულოცავს გუნდი პირველ მერცხალთა
ითფენობას და ვარდფენობას.
აღარ ამშვენებს ძველი სახელი
ახალ ეზოთა ჭიშრეს და აბრებს...
მაგრამ ის შერჩა პოეტის ხსოვნას
ვით სიჭაბუკის რამ სახსოვარი.

არის წუთები, როდესაც გული
მოულოდნელად შეიგრძნობს ტკივილს,
წაგიღებს ჯავრი და სინანული
და თითქოს სულში ვიღაცა კივის...
მოულოდნელად წაგიღებს სევდა,
ატკივა ხორცი და გტეხავს ძვლები,
ირგვლივ
ვერავის,
ვერაფერს ხედავ,
გგონია წუთი და გადის წლები.

და შეგძაგდება სიმღერაც, ლექსიც,
დაიხერება გულის სარქველი,
რადგან ამქვეყნად არავის ესმის
ძახილი შენი და სიტყვა წრფელი.
ატკივა ხორცი და გტეხავს ძვლები,
მოდის სიბერე,
დრო უღვთოდ მიჰქრის,
გადის დღეები, თვეები, წლები,
ბედნიერების ერთ წუთზე ფიქრით.
იმ ერთადერთი წუთის იმედით,
რომელსაც არ აქვს განი და სიგრძე —
როდესაც ვიღაც მოვა და გეტყვის:
მე გავიგონე და რაღაც ვიგრძენ!
მე გავიგონე შენი ძახილი,
შენ აღმადგინე, შენ გამაღვიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გავიგონე შენი ძახილი,
ძახილში ჩემი ტკივილი ვიგრძენ!
ბედნიერების იმ წუთზე ფიქრით,
როდესაც ვიღაც უცნობი კაცი
მოგესალმება ავსებულ ჭიქით,
გავიღიმებს და უსიტყვოდ დასცლის...

*

ამგვარი ფიქრით, ამგვარი ნატვრით
მე დავდიოდი მაისის მზეში,
ჩემი ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში.
ცხელოდა, იყო შუადღის ჟამი.
მე ჩავუარე ერთ მწვანე ეზოს,
ხმა შემომესმა, შეეჩერდი წამით,
დაუფიქრებლად და უმიზეზოდ.
და უმიზეზოდ...
რადგან ამ დილით
სულ უმიზეზო ეჭვი და ფიქრი
მე შეძახოდა დროის, მანძილის,
ნაცნობ ქუჩების, თბილისის იქით..
გოგებაშვილის წყნარ შესახვევში,
ცისფრად შეღებილ მესერს გადაღმა —
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში
ლექსს კითხულობდა ვიღაც ხმამაღლა.
სარკმელთან იჯდა ქერა გოგონა,
ორი ნაწნავი ეფინა მკერდზე,
და თითქოს ქვეყნის, მზის გასაგონად
იმეორებდა ხმამაღლა ლექსებს.
ის კითხულობდა და კითხულობდა,
შეისვენებდა და განაგრძობდა,
აღფრთოვანებით ის კითხულობდა
ამ ლექსის გარდა ვერაფერს გრძნობდა.
ის იყო სადღაც... ის იყო მარტო.
შორს იყო ქუჩა, შორს იყო სახლი,
ის ვერ ხედავდა იასამნის რტოს,
მის ფანჯარაში ლურჯად გადახრილს.
ის ვერ ხედავდა, ვერ გრძნობდა ვერვის,
ისე ამბობდა თავის სიმღერას
და ვერ ამჩნევდა ხეს მოფარებულ
მისი ფიქრების უცნაურ მზვერავს.
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში
მე იმ გოგონას ვუსმენდი როცა —
ცხადად ვხედავდი მაისის მზეში
თოვლით დაფენილ ტრიალ მინდორსა.
...თოვლით დაფენილ ტრიალ მინდორსა
თითქოს ღრმა ძილით ჩასძინებოდა...
ის მიდიოდა და მიდიოდა
და მიაპობდა თოვლსა და ნამქერს,
მაისის მზეში ის მიდიოდა
და მიაპობდა თოვლსა და ნამქერს.
სადღაც შორს, თოვლში მოჩანდა სკოლა,
ელავდა ზოლი მკრთალი შუქისა,
პატარა თითებს უვლიდა ჭრეოლა
ყინვის და მისი ბაქიბუქისა.
და მეც მციოდა, მეც მაშინებდა
თეთრი სიჩუმე უსაზღვრო თოვლის.
შორს კი, სადღაც შორს, ჩანდა იმედად
პატარა სკოლა და ბუხრის ბოლი.

*

და გამახსენდა უეცრად ღმერთი,
ცეცხლი რომ უზის თვალთა
მშუქრებად —
ბოროტი ღმერთი,
ატომის ღმერთი,
დღემუდამ წარღვნით რომ ემუქრება
ამ მწვანე ეზოს და ცისფერ მესერს,
ამ წყნარ ქუჩაში მიმავალ მგზავრებს,
ქერა გოგონას, მის ქართულ ლექსებს,
მის ოცვარდებს და იასამნებს.
ღმერთო,
შენ ჩვენო კეთილო ღმერთო,
ქართული სიტყვის მფარველო ღმერთო,
გონიერების,
მშვენიერების,
ბედნიერების მფარველო ღმერთო —
ღმერთო,
მიცოცხლე ქართული სიტყვა,
არ გაგონო ხმა გუგუნისა,
გარდაუვლინე წარღვნა და სიტყვა
აწ და მარადის და უკუნისად!

*

და წინდაუკან ვიდოდი დიდხანს
გავარვარებულ მაისის მზეში.
ისმოდა მხოლოდ ჩემი ფეხისხმა
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში.
არ მიმიხედავს, ვგრძნობდი იდუმალ,
ვხედავდი ფიქრის იდუმალ თვალით,
ღია ფანჯრიდან მიმზერდნენ ჩუმად
დიდი თვალები პატარა ქალის...
უცებ გაისმა ჭიშკრის ჭრიალი
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში...

ციისფერ მესერთან იდგა გოგონა,
იასამნის რტო ეჭირა ხელში.
და მის თაფლისფერ დიდრონ თვალებში,
მის მოალერსე კეთილ თვალებში,
ამ წუთით შემკრთალ ბავშვურ
თვალებში —
ჯერ ისევ კრთოდა სითბო და ეში
სარკმელში გულით ნათქვამი ლექსის.
ის წამოვიდა ყოყმანით, ნელა,
და ჩემ წინ თავი დახარა ოდნავ,
და გაღიმებით, სიტყვის უთქმელად
იასამნის რტო გამომიწოდა.
უცად გაბრუნდა. მე დავრჩი მარტო,
შეგკრთი და სიტყვა ვეღარ დავძარი.
მინდოდა მეთქვა,
რას ნიშნავს... რატომ?
ვისი ხარ, ვინ ხარ, პატარა ქალო?
ენა დამება და სახტად დავრჩი
და მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი.
. . .
თუმც მისი სახის კარგად დანახვა —
დამახსოვრება ვერ მოვასწარი,
გულს მაინც შერჩა და მახსოვს ახლაც
მკრალად გაკრული წარბების ბწკარი.
მკრალად გაკრული წარბების ბწკარი
და თეთრი ზოლი გაყოფილ თმების.
დაფიქრებული და მომღიმარი
გოცებული დიდი თვალები.
თუმც მიზიდავდა თვალები თბილი,
მაინც აშუქებს დიდი ხნის აქეთ
ორი ელვარე ნაფოტა კბილი
ღიმილით ოდნავ გაპობილ ბაგეს.
უცად გაბრუნდა, ვერ მოვასწარი,
მაგრამ ხსოვნაში ცოცხლდება ლანდი —
ბეჭებზე ორი ქერა ნაწნავი,
ორი ნაწნავი და ორი ბანტი.
სხვა ყველაფერი შეუბრალებლად
მიმოიფანტა ხსოვნის ბურანში,
რადგან თვალების, მხოლოდ თვალების
მოახლოვებას მე ვგრძნობდი მაშინ...

გოგებაშვილის წყნარ შესახვევში,
პატარა ქუჩის დიდ სიჩუმეში —
დაფიქრებული ვიდექი დიდხანს,
იასამნის რტო მეჭირა ხელში.
და მაღლდებოდა სული ზეცამდე,
მესმოდა რეკა იდუმალ ზართა,
თითქოს არ მეგრძნოს, არ განმეცადოს
ადრე და შემდეგ... ამ წუთის გარდა.
მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის,
მაგრამ დუმილის უსაზღვრო სივრცემ
მე დამბრუნა მისი ჩუქრრული,
მე გავიგონე და რაღაც ვიგრძენ.

მე გავიგონე მისი ჩურჩული
და თითქოს გული შებრუნდა წალმა —
ჩუმი ღიდინით შეეუდექ ალმართს,
ჩემი ფიქრის და ოცნების ალმართს.

. . . . . .

მაგრამ ვაი რომ ის ალარ არის...
უეცრად გაჭრა პატარა ქალი.

მხოლოდ გამხმარი იასამანი —
იმ ერთი წუთის მოსაგონარი
აქამდე შერჩა პოეტის ოთახს,
მძიმე ფიქრებით ავსებულ ოთახს,
მტკრიან წიგნებით სავსე მაგიდას,
ვნებით, ოცნებით გადამწვარ ჰაერს,
თამბაქოს კვამლით გაბოლილ ჰაერს...

და როცა ქარის ამოქროლება
იასამნის რტოს შეარხევს ოდნავ
სიტყვასთან ბრძოლით დაქანცულ
პოეტს
ესმის შრიალი იმ ერთი წუთის,
ბედნიერების იმ ერთი წუთის,
დაუვიწყარი და კარგი წუთის.

მზე თრიალეთის მთებს მიეფარა,
კარგა ხანია მზემ დაისვენა...
მე ისევ ვუსმენ ზაფხულის ღამის
სიცხიან ფიქრებს.
ვუსმენ და ვუმზერ.
სადღაც, ქალაქის დიდ სამრეკლოზე
ისევ ხმამაღლა რეკავს საათი.
რეკავს საათი და მაინც სძინავთ
ნათელ პროსპექტებს, ბნელ
შესახვევებს.
ქუჩების პირას ბნელი სახლები
დიდი სახლები დგანან და სძინავთ —
თითქოს შეუსვამთ დუმილის ბანგი,
და გიკვირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის რეკავს საათი!
უსმენ და გიკვირს... ფიქრობ და ხვდები,
ის რეკავს შენთვის.

*

სიჩუმეკ, ჩემი ფიქრების დედავ,
ამიშრიალე ოცნების ფრთები,
ამიხმაურე შშვიდი ფიქრები,
ცდაში დავმარცხდე თუ დავმარცხდები!
მე შენ საათის რეკვაში გხედავ,
დიდი ქალაქის ჩურჩულში გხედავ,
ჩემი ფიქრების და პპპიროსის
კვამლით გაბოლილ ოთახში გხედავ,
თუკი რამ მითქვამს —
შენ მათქმევინე,
მიშველე,
ახლაც ჩამიდგი ენა,
მიშოვე სიტყვა და მომეც ფრთები,
სიჩუმეკ,
შენ ხარ ჩემი სამრეკლო,
ჩემი ფიქრის და ლექსის სამრეკლო!

შორს,
აიდაპოს მშვენიერ შტატში
მოულოდნელად გავარდა თოფი —
ტყვიაში თურმე სიკვდილს ეძინა...
მან გაიღვიძა და მოჭკლა კაცი,
ვინც წინა ღამით ხედავდა სიზმრად
წითელფაფრიან, უდაბნოს ლომებს
და სანადიროდ ემზადებოდა.

ის სანადიროდ ემზადებოდა,
სიზმრად ხედავდა უდაბნოს ლომებს,
მაგრამ დაცინვით უმზერდა ლულა —
ტყვიაში თურმე სიკვდილს ეძინა.
კაცს გაღვიძებულ დილაადრიან
ჰქონდა სურვილი, ჰქონდა მიზანი.
მაგრამ ლულიდან ცბიერმა ტყვიამ
ევას თვალივით გამოიხედა...
ტყვიასაც თურმე სტანჯავს მიზანი
სახელის შოვნის და ოკეანეების
და ცივ ყალბში ჩამოსხმის დღიდან
არჩეულ ნიშანს დაცინვით უმზერს.

კაცის გონებით და ხელით შექმნილს
გამოპყოლია ბუნება კაცის —
მასაც სურს იყოს ცნობილი ქვეყნად,
მონატრებია სახელი მკვლელობ...
ჯავრი კლავს უგზოდ დაკარგულ ტყვიას
და დავიწყების ედება ხავსი.
ვით სიკვდილის წინ უმიზნო კაცი
თავის გაჩენას წუევლის და ნანობს.

არის ნათელი და ბნელი ტყვია,
ბნელი დაეძებს ღირსეულ ვაკაცს,
მისი მსხვერპლია ხალხის რჩეული,
მისი გმირი და მისი მოძღვარი...

შორს,
აიდაპოს მშვენიერ შტატში
მოულოდნელად გავარდა თოფი —
ტყვიაში თურმე სიკვდილს ეძინა.
ამ ბნელმა ტყვიამ მე გამახსენა
ბოროტი ტყვია —
ილიას მკვლელი.
და მიკვირს ძლიერ, რად
ვუფრთხილდებიო.
რისთვის ვინახავთ საგურამოში.
დაცინვით ვკმაზერს ვერაგი ტყვია,
როგორც იუდას ცბიერი თვალი,
და ავაზაკთა ნათითურებზე
ალბეჭდილია სირცხვილის ჟანგი.

შორს,
აიდაპოს მშვენიერ შტატში
მოულოდნელად გავარდა თოფი —
მაგრამ ვერ მოჭკლა ხალხის რჩეული.
ის მოკვდა მთებში ბრძოლით დაღლილი
უკანასკნელი თეთრი ვეფხვივით.

ასევე უცებ —
ორი წლის წინათ,
პოეტმა სცადა ცისკენ გაფრენა,
ცაში სიკვდილი, თავის გაწირვა,
გალეგენდება და გაზღაპრება...
მან წინა ღამით იხილა სიზმრად
მეუწყვიმელი მთაწმინდის მთები —
და ჩამოესმა ყივილი ცოდან,
მძლავრი შრიალი არწივის ფრთების.
იმ არწივივით გაფრენა ცისკენ
გულსაც სწყუროდა, სულსაც
სწყუროდა,
სწყუროდა ძლიერ, დაუსაბამოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდეგანოდ, უსასრულოდ!
მას იზიდავდა დიდი მთაწმინდა
და სივრცეებში დაკრული ტაში,
მონუსხულივით ცისკენ გაფრინდა
სული არტისტის, ჟინიან ბავშვის...
წამოდგა როგორც ხიმიკაური
და მიეგება აღსასრულს გზაში.

არა, მას შუქი დიდ სიამეთა
არ მოჰკლებია თბილისის მზის ქვეშ,
არც კიეშნიან ცისფერ ღამეთა
ტეხვა, თენება თბილისის ცის ქვეშ.
დიდი ხმაური და მდუმარება
ნაცნობ ქუჩების და ნაცნობ ხეთა,
უცნობ ქუჩების იდუმალება,
ახალი წყნეთი და ძველი მცხეთა...
ჭვრეტა ლამაზი გადასახედის —
ვერის დაღმართის და ვერის ხიდის.

დილაადრიან ვერის ბაზარში
კვალა-გამოვლა გაღეღილ მკერდით,
არ მოსწყენია ხმათა ხავერდი,
სუნი ალვერდის,
თქმა ალვერდის,
ბაზარში, დახლთან დალოცვა ხალხის
და ყრუნტელი პირველი არყის. .
არ მოსწყენია საქართველოსაც
მისი სიცოცხლე და მისი ეში,
მისი სიმღერა და მისი ლოცვა,
კიპარისივით მაღალი ლექსი.
არ მოსწყენია, მაგრამ სხვა არის,
ალბათ სხვა არის... სიკვდილი ცარ.

მიუწვდომელი, გაუგებარი —
ის სიცოცხლეზე უკეთესია, ...
პოეტისათვის კარგი სიკვდილი
უკანასკნელი კარგი ლექსია!
და როცა იგი დამსხვრეულ ფრთებით,
გატეხილ შუბლით ჩვენს წინ ესვენ. —
მე გავიფიქრე,
ის არის ცაში,
ის არც ყოფილა, ის მოგვეჩვენა.

მაგრამ შუადღე, დიდი შუადღე
მე მიმაჩნია შექების ღირსად:
თან მოაქვს რაღაც დიდი და კარგი
მის ხორშაკიან პაპანაქებას.

დიდ მზეში თბება დამზრალი ძვლები,
მზევდება კაცის სისხლი და ხორცი,
გვაშრება ტანზე ოფლი და ჟუჟყი,
შორდება სხეულს, მტვერდება მზეში.
ყველა სხეულში და ყველა ნივთში,
ბალახში, ხეში და წვიმის წვეთში,
ახლად წამოსულ თოვლის ფანტელში
მისი სხივები დაფარფატებენ...
ახლად ამოსულ მინდვრის ყვავილში
ზის ანდამატი და მზეს იზიდავს,
მეპადურივით მზის სხივებს იჭერს.

მზისკენ. დიდ მზისკენ, მხურვალე
მზისკენ,
გავარვარებულ შუადღის მზისკენ —
ზამთრის ყინვების, სიცივის შემდეგ
ხელებგაწვდილი მივილტვით ყველა:
ძლიერი კაცი, სუსტი პეპელა,
კვირტი დამზრალი, ხე ნაზამთრალი,
რომ გამოვტაცოთ მზეს ჩვენი წილი
ჩვენი არჩივი სითბო და შუქი.
მისი სინათლე და სითბო გვშია,
ვსუნთქავთ მზის სხივებს და მის
ოხშივარს.
მზის სხივი შედის გათოშილ ფესვში,
მიწიდან მისი ჩურჩული გვესმის,
მზის სხივი შედის კაცის ძარღვებში,
მზის სხივი შედის კაცის თვალებში.
სისხლივით შედის ვაზის ლერწებში,
ფოთლებს და მტევნებს ეალერსება,
ალბათ ამიტომ გვთბობს და გვთენთავს,
გვაბორიალებს და გვათრობს ღვინო...
ყველაზე მეტი მზე თვალებშია,
ფართოდ გახელილ ქალის თვალებში.
ალბათ ამიტომ გვათბობს თვალები,
ალბათ ამიტომ გვათრობს თვალები!
მზე დიადია, ყველას გვეყოფა
მისი ნექტარიც და მისი შხამიც,
როცა მზეში ვართ, მზეში დავდივართ,
ჰგავს საუკუნეს გავლილი წამი,
მაინც სიხარბით იზრდება გული —
ჩვენი სურვილის საწყაო ვრცელი.

მზე ლამაზია, როცა ამოდის
და უფრო კარგი — როდესაც ჩადის.
მე შორით ვეტრფი მის დაბადებას
და ვესალმები მის ლამაზ სიკვდილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვყოფნის სხივი მზის ნაბოძები,
არ გვყოფნის წამი მზის ნაბოძები —
და სხვა უცნაურ სასწაულს ველით.
ელავს, აშუქებს, მიდდევთ და ვლტვივთ.
მისკენ ვისწრაფვით და გვინდა მეტი,
მზისკენ გაწვდილი თვალები გვტკივა,
მზისკენ გაწვდილი ხელები გვეწვის.

ოდესღაც, დიდი ლაშქრობის წინ
მათრახის ცემით
დააცხრო თურმე დიდმა ქსერქსემ ზღვა
ბორგნეული...
ზღვა ბოროტია,
მრისხანე და შეუპოვარი,
დაუნდობელი —
დაგმობის და გაკიცხვის ღირსი,
ის თავის ძალას უგუნურად იყენებს
ხშირად.

ამბობენ —
იგი კეთილია... მან ხომ მებადურს,
ღარიბ მებადურს მარგალიტი დიდი
აჩუქა.

ზღვა ცხოვრებაა —
ზოგს უღიმის, ზოგს ემუქრება.

ზღვის პირას ჭაბუკს ტალღამ დაჰკრა და
გააბრუა,
მუხანათურად მიეპარა, კლდეს
მიანარცხა...
ზღვა ბობოქრობდა,
იგი მაინც წამოდგა ფეხზე.
სტკიოდა ძვლები,
იგი მაინც წამოდგა ფეხზე.
სტკიოდა ხორცი,
იგი მაინც იღიმებოდა...
იღიმებოდა,
მას რცხვენოდა —
ეთქვა: მიშველეთ.
ეთქვა ხმამაღლა —
ვიღუპები, მოდით, მიშველეთ!
ტალღა ითრევდა, ახრჩობდა და...
იღიმებოდა.
ის უხერხულად და უმწეოდ იღიმებოდა,
ფეხებქვეშ ქვიშა გაურბოდა,
იღუპებოდა.

იღუპებოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა.
ის უხერხულად და უმწეოდ იღიმებოდა.
ნაპირზე იდგნენ მეგობრები და ხელს
უქნევდნენ,
მათ სწამდათ მისი ვაჟკაცობა, ძალა
ვეფხური,
კარგად ხედავდნენ მის უცნაურ
განწირულ ღიმილს,
და მაინც მშვიდად მის გამოსვლას
ელოდებოდნენ.

ის გრძნობდა —
ბედი ღალატობდა...
ზღვა ბობოქრობდა.
და ვერ გაბედა, ვერ გაბედა, ვერ
დაიძახა.
ვერ დაიძახა —
ვიღუპები, მოდით, მიშველეთ!
ვერ დაიძახა...
მეგობრები იდგნენ ნაპირზე.
ის იხრჩობოდა და უმწეოდ იღიმებოდა.

და იგი ისე დაიღუპა, არ თქვა
მიშველეთ,
არ თქვა —
მიშველეთ...
ასეთია ბედი ამაყთა.

. . . . . .

მახსოვს, მეც ერთხელ სიჭაბუკეში
ზღვამ მომიტაცა, მაგრამ გადავრჩი...
და ხშირად ვფიქრობ —
როგორ გადავრჩი,
იმგვარ ღელვაში, იმგვარ წარღვნაში.

* * * * * *

ცაზე მზე იყო. დღე იყო მშვიდი
და არსაიდან ველოდი ავდარს.
მე მივცურავდი, ძალღონეს ვცდიდი,
ზღვა იყო წყნარი და მიზიდავდა.
არად ვაგდებდი პატარა ღრუბელს,
მქონდა იმედი მუხლის და მკლავის.
მე მეძახოდა ზღვის თბილი უბე,
ლურჯი ცისა და ზღვის შესართავი.
ღონე მერჩოდა, სურვილი მქონდა,
ზღვას მივაპობდი მკერდით ძლიერით,
მეგონა, მალე გამოჩნდებოდა
უსაზღვრო სივრცის დასალიერი,
მეგონა, მალე დავინახავდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულსხვა სივრცეებს და სულსხვა
ნაპირს,
შორს, შორს მოჩანდა ნატვრის ნახატი,
მისკენ მეძახდა ოცნება სწრაფი.
მაგრამ უეცრად მძლავრმა ქარბუქმა
გამოროტებით ზღვას დაუბერა.
იიმღერა წყალი. ზეცა გამუქდა.
მზე დააბნელა შავმა ღრუბელმა.
იდუმალ ძალით და წაქეზებით
ღრუბლიდან მეხმა მესროლა ელვა,
თვალებში გამკრა ცეცხლის კვესები...
და ზღვამ ბორტად დაიწყო ღელვა.
თურმე მრისხანე პოსეიდონი
მითვალთვალებდა ღრუბლების ტახტით.
უმალ ტალღები დასძრა დიდრონი
აბორგებული ქარიშხლის ლახტით.
ალბათ შეშურდა უცნობ ჭაბუკის
დაუდგრომელი ოცნების ძალა,
მზეს მოეფარა, ჩამიქრო შუქი,
ზღვაზე ნავარდი არ დამაცალა.
არ მოველოდი ამგვარ შერისხვას,
მყის ნაპირისკენ ვიბრუნე პირი.
სივრცემ წყვდიადის ფრთები შეისხა,
არ დამანახა შორი ნაპირი.
მრისხანე ღმერთის და ზღვის ხარხარზე
ვიგრძენ, დაღუპვის ყამმა დარეკა...
და მოდიოდა ტალღა ტალღაზე
ჩემ შესამუსრად და წასალეკად.

მაგრამ ოდითგან ღმერთების მსგავსად
ძალა ჰქონია ადამის ძესაც —
ქვითინის ნაცვლად სიმღერა დავძარ,
სიმღერა ვუთხარ ღრუბლიან ზეცას.
ზეცის გუგუნში და ზღვის გრგვინვაში
გულაღმა მწოლი ვამბობდი ლექსებს
და სიკვდილის წინ ვმღეროდი ზღვაში
გამარჯვებაზე და სიცოცხლეზე.
და გაცოფებულ ტალღების ხმაურს,
წამებას სულის, წამებას ხორცის
მე შევყურებდი როგორც სასწაულს
და როგორც ჩემი ოცნების ქორწილს.
გაოგნებული და დაქანცული
და გაროზგილი ტალღების ცემით
მე მივცურავდი როგორც ნაფოტი
და შევცქეროდი ცას გოცებით...
არად ვაგდებდი ზღვის აზვირთებას,
გამოროტებულ ტალღების კივილს —
და აღარ ვგრძნობდი სულის კირთებას,
სულის წამებას და ხორცის ტკივილს.
რადგან იმედი მე მქონდა ერთი,
რომ ჩემი ბედის განწირულ ხომალდს
იხსნიდა ისევ მრისხანე ღმერთის —
პოსეიდონის რისხვის დაცხრობა.

და მართლაც თითქოს ამის დასტურად
ჩამოეცალა ღრუბელი მზესა,
მრისხანე ღმერთმა ზღვა გადასცურა,
ჩადგა გრიგალი, გამოჩნდა ზეცა.

მაგრამ სად არის, რად დავივიწყე
ჩემი პატარა პოემის გმირი —
გოგონა,
ვისაც ვარდისუბანი
ეტრფოდა როგორც მაისის ყვავილს?
ვინც იასამნის ცისფერი ტოტით
ესალმებოდა ზეცაში მფრინავს
და უგზავნიდა უცხო მთაგორებს,
შორეულ ქვეყნებს, უცხო ქალაქებს
საჩუქრად თავის მშვენიერ ღიმილს.

ვინც ყოველ დილით, ადრიან დილით,
პატარა სახლის ღია სარკმლიდან
გაუღიმებდა ფართო ფანჯარას,
სადაც უცნობი მაღალი კაცი
შეუსვენებლად; ღდითა და ღამით
ებრძოდა ფიქრებს, სიცხიან ფიქრებს,
ვნებით, ოცნებით ავსებულ ჰაერს,
თამბაქოს კვამლით გაბოლილ ჰაერს.
სწერდა და შლიდა, სწერდა და შლიდა
ქაღალდზე შავად გაკლებულ ხნულებს,
დასჩერებოდა დახოცილ აზრებს,
გადამწვარ ბწკარებს და თეთრ
ხარვეზებს.
დასჩერებოდა დაღლილ თვალებით
ნათურის ირგვლივ დახოცილ პეპლებს,
თამბაქოს ფერფლით მოთხვრილ
მაგიდას
და ნამწვავებით სავსე საფერფლეს.

რად დავივიწყე... ის ხომ იმ დღიდან,
იმ უცნაური შეხვედრის დღიდან,
იქცა იმედის იდუმალ სხივად,
პოეტის უთქმელ სიმღერად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც განგებით, უცნაურ ბედად
გამოკრთა შუქი ცთომილ ვარსკვლავის
და დაეკვებულ სულის იმედად
გადმომაწოდა რტო იასამნის.
აი, ეს იყო, მხოლოდ ეს იყო
უსიტყვოდ თქმულის თავი და ბოლო,
მისი გმირობა მხოლოდ ეს იყო
და თავგანწირვაც ეს იყო მხოლოდ.

*

მე ვერ ვუმღერე იმ თეთრი ვეფხის,
დაღლილი ვეფხის ღონიერ ტორებს,
ვერა ვთქვი კარგად, არ მეყო ძალა,
ვერ ვუთხარ ქება მის ძლიერ ხელებს,
ტყვიით დაცხრილულ და ძლიერ
მკლავებს,
მწველ იარებით და ჭრილობებით
დაფარულ გულმკერდს, ჩამტვრეულ
ნეკნებს...

შავი მანქანის თეთრ კლავიშებზე
კაკუნით, ცემით დაბეგვილ თითებს,
ხარებთან მებრძოლ ტორეადორის
რქებით დაბასრულ ძარღვიან მაჯას.
ვინც მოუხმობდა თავისუფლებას
და ამხნევებდა დაჩაგრულ ერებს.
ვინც სიკვდილის წინ ძმად გაეფიცა
პატარა კუბას და ფიდელ კასტროს...
ვინც ესპანეთის თაკარა მზეში,
შორეულ გზებზე და მაღალ მთებში,
ფართო ქუჩებში, დიდ მოედნებზე,
ერკინებოდა მძვინვარე ხარებს,
ვინც საფრანგეთის გაშლილ ველებზე
და იტალიის მშვენიერ ცისკვეშ
ებრძოდა ხარებს, ცოფიან ხარებს...

მათ აგიყებდათ მკაცრი ყიჟინა
და მისი სიტყვის წითელი ფერი,
ერეკებოდა სიტყვის მახვილით,
იმორჩილებდა დიდი სიმღერით.
და ისე მოკვდა, ისე დასრულდა
მისი ცხოვრების დიდი ფიესტა —
ვერა ვთქვი კარგად...
თუმც გულით მსურდა,
ვერ მივიტანე სიმღერა მზესთან.
ვერა ვთქვი ქება დალეწილ ფრთებისა
ცამდე აწვდილი მაღალი ფიქრის,
კიპარისივით მაღალი ლექსის,
სიცოცხლის იქით, სიკვდილის იქით,
სამღერებელის დღესაც და ხვალაც,
საგონებელის ხვალაც და ზეგაც,
სიმღერის —
ჩვენი დიდი დროების,
დღესაც და ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც,
იმის იქითაც დარეკილ ზარის,
მისი გუგუნის და მყუდროების.
მოკვდა... დასრულდა დიდი სიმღერა,
ის მიეგება აღსასრულს გზაში,
მხოლოდ მან შესძლო სიმღერა ცაში,
მხოლოდ მან შესძლო სიკვდილი ცაში.

როცა ბავშვებით სავსეა სახლი,
როცა ბავშვებით სავსეა ეზო,
გული ყოველთვის მათკენ მეძახის,
მაგრამ... უთქმელად და უალერსოდ.
ჩემს ირგვლივ მათი ძახილი ისმის
და მეც ვიღაცა მეძახის მამას.
მიყვარს ბავშვები ჩემიც და სხვისიც,
მაგრამ სიყვარულს რატომღაც ვმალავ.
ასეთ სიყვარულს რად უნდა მალვა?
მაგრამ რატომღაც ვერ გამომთქვამს.
ალბათ ასეთი ვიქნები სანამ —
სანამ ცოცხალვარ და სული მიდგას.

ალბათ ამიტომ უცნობ გოგონას
შორი ღიმილით და შორი სალმით
მივაცილებდი ჩემი ფანჯრიდან
და კმაყოფილი ვიყავი ამით.
შორი ღიმილით და შორი სალმით...
გვიან გავიგე, რომ ერქვა თამარ.
და მე მჯერიდა, რომ მან ან იცოდა —
იცოდა, რისთვის დაარქვეს თამარ...
ჩვენი შეხვედრა ცხოვრების გზაზე
ნათესავ სულთა შეხვედრას გავდა,
რაღაც ძლიერი და რაღაც ნაზი
ჩვენ შორის იდგა და გვიზიდავდა.
შემომხედავდა ბავშვური რიდით,
გზადმიმავალი თავის სწორებთან
და რაღაც, ძლიერ კარგი და დიდი,
ჩვენ შორის იდგა და გვაშორებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავდი, როგორ ხედებოდა გუნდა
მაღლა აწეულ პალტოს საყელოს,
ეფინებოდა ქერა ნაწნავებს,
ყურის ბიბილოს, ატმისფერ ლოყას —
და ამშვენებდა მის ბავშვურ ღიმილს
მსუბუქი თოვლი, სპეტაკი თოვლი...
ეჰ, რა კარგია... იფრქვევა თოვლი
და მოჰქრის შენკენ ნასროლი გუნდა.
გამოგიტყდებით —
ვამჩნევდი შორით —
მის ტოლ გოგონებს სწყინდათ და
შურდათ,
რადგან ბიჭები ყველას არ სთვლიან
პირველი ფიფქის და გუნდის ღირსად,
მისსს ვარდს და გუნდას ესვრიან
ფარულად გული აირჩევს ვისაც!
მისსს ვარდი და თოვლის გუნდა —
თუ დამიჯერებთ, ორივ ერთია,
ორივეს გულით დახვედრა უნდა,
ორივ ბედია!
არ გეტკინება თუნდ მოგხვდეს ათგან,
ყურის ბიბილო აგიწვას თუნდაც,
არ გეწყინება. იღიმი... რადგან
ჭაბუკის გული თან მოსდევს გუნდას.
იღიმი, მიხვალ, გული გაქვს ღია,
და წამწამებზე გეფრქვევა თოვლი,
მისსს ვარდად იქცევა ტყვიაც
თუ სიყვარულით არის ნასროლი!

*

შენ არ იცოდი; გოგონავ კარგო,
შენი ბავშვური ღიმილის ძალა,
ცისკენ გაწვდილი პატარა ხელის
და ისამნის ღიმილის ძალა!

შენ ახარებდი მიწაზე პოეტს,
შენ ამხნევებდი ზეცაში მფრინავს,
და რკინის ფრთებქვეშ გაშლილ
მთაგორებს,
უცხო ქალაქებს და უცხო ქვეყნებს,
მგზავრების ფეხქვეშ გაფენილ ქუჩებს,
მთებზე გადავლილ ღრუბლებს და
ჩრდილებს,
სოფლის ბოგირებს და რკინის ხიდებს,
ხიდებზე ზანტად მიმავალ მგზავრებს,
უძილო მგზავრებს, ჩქარ მატარებლებს
ეფინებოდა ღიმილი შენი...

შენ არ იცოდი, გოგონავ კარგო,
იმ მშვენიერი ღიმილის ძალა,
ჩემკენ გამოწვდილ პატარა ხელის
და ისამნის ღიმილის ძალა.
შენ არ იცოდი, გოგონავ, კარგო,
შენი ღიმილის ეშხი და ძალა,
შენი ღიმილის და ისამნის
ლურჯი ღიმილის ეშხი და ძალა.
შენ არ იცოდი... თუმცა ვინ იცის
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი...

შენ არ იცოდი... თუმც სილამაზემ
რადაც ფარული გუმანით იცის.
ხანდახან იგი უცხო თვალებით
საკუთარ ღიმილს უმზერს, განიცდის.

იქნებ არ იცის, იქნებ არ იცის?
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი...
ალბათ არ იცის მშვენიერებამ!
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი...
ალბათ არ იცის მშვენიერებამ
საკუთარ თვალთა ეშხი და ძალა,
ალბათ ამიტომ თავის გარშემო
მრავალ ოცნებას, ნატვრას, იმედებს,
საჭვრეტად მოსულ გულებს და
თვალებს
შეუბრალებელ ღიმილით მუსრავს.

ალბათ არ იცის... ალბათ არ იცის.
და როს შეიცნობს საკუთარ ძალას,
როცა მიხვდება, უმალვე ჰკარგავს,
უმანკო ღიმილს, მიმზიდველ ჯადოს,
პირველი თოვლის მშვენიერებას.
შენ არ იცოდი... შენ არ იცოდი!
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი.

*

გახსოვს ის ბიჭი, პირველი თოვლი
პირველი გუნდით ვინც მოგილოცა?

პირველი თოვლის პირველი გუნდით
და გულისძგერით გამთბარი გუნდით.

გუნდას თან გაჰყვა ფერმკრთალი ბიჭის,
შეცივნულ ბიჭის ნათითურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზად შეეხო ქერა ნაწნავებს
ფერმკრთალი ბიჭის ნათითურები.

პირველი თოვლი დაეფრქვა მხრებზე,
გოგონას მხრებზე გამთბარ ნაწნავებს.

ნაზად შეეხო გამთბარ ნაწნავებს
ფერმკრთალი ბიჭის ნათითურები...
თითებს კი თოვლში სციოდათ ძლიერ.

გოგონამ იგრძნო ნაზი შეხება
გამხდარი ბიჭის თბილი თითების...
თითებს კი თოვლში სციოდათ ძლიერ.

გოგონა შეკრთა და მოიხედა.
სხვა არაფერი. მან მოიხედა.
მან მოიხედა და გაიღიმა...
არა, მას ჰქონდა სახე გამწყრალი,
თვალები დიდი —
განრისხებული.
მაგრამ თვალებში, კეთილ თვალებში,
მის განრისხებულ დიდრონ თვალებში
ფერმკრთალი ბიჭი ხედავდა ღიმილს,
პირველი თოვლის მშვენიერ ღიმილს,

მირბოდა იგი და ნაწნავებზე
თბილი თითების შეხებას გრძნობდა...
თითებს კი თოვლში სციოდათ ძლიერ.
. . . . . .
შენ არ იცოდი, გოგონავ კარგო,
შენი ღიმილის ეშხი და ძალა.
შენ არ იცოდი... თორემ იმ დილით
იმ ბიჭს ღიმილით არ შეხედავდი.
შენ არ იცოდი, შენ არ იცოდი.
იქნებ იცოდი, იქნებ იცოდი?
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი...
იქნებ იცოდი, იქნებ იცოდი,
იქნებ იცოდი, შენი უბადლო
თვალების ძალა, ღიმილის ფასი
...დადის და ფიქრობს მაღალი კაცი.
დადის და ფიქრობს, ახლაც არ იცის,
და ვერც გაიგებს და მაინც გმადლობს!

და ერთხელ ისე ჩამოდნა თოვლი,
ისე აჭრელდა მთაწმინდის კალთა,
შორეულ ცათა და ზღვათა მოვლით
მზის თვალი ისე ამობრიალდა.
ისე წვიდა თოვლიც, ზამთარიც
და გაზაფხლური ისე დაბრუნდა —
ქერა ნაწნავებს, მაღალ საყელოს
არ მოხვედრია არც ერთი გუნდა.
ისე აყვავდა ეზოში ვარდი,
იასამანი თეთრად და ლურჯად,
თამარის ხმა და მისი ნავარდი
აღარ უგრძვნია პატარა ქუჩას.

ის იწვა ჩუმად რბილ სარეცელზე,
გულაღმა იწვა და გათეთრებულ
ჭერს შესცქეროდნენ დიდი თვალები —
უდროო ფიქრით, მაცთური ბედით
გაოცებული დიდი თვალები.

ის იწვა მაღალ თეთრ პალატაში,
თეთრად შეფეთქილ კედლთა შორის,
ფართოდ გალებულ ფანჯარის ახლოს,
უცხო ლოგინზე და უცხო ჭერქვეშ...
იწვა გულაღმა და გასქეროდა
ცას გაოცებულ დიდრონ თვალებით.
დიახ, ფანჯრიდან მოჩანდა ზეცა,
თბილისის ზეცა, მაღალი ზეცა,
ვარსკვლავიანი, ლურჯი, უნისლო,
დაუსაბამო და უსასრულო...
მან არ იცოდა, რომ არის ქვეყნად,
რომ არის ქვეყნად ძლიერი სენი,
დაუძლეველი და შემმუსრავი,
უხსენებელი და დაუხსნელი.

მან არ იცოდა, მაგრამ ყველაფერს
ეუბნებოდნენ დედის თვალები,
ეუცარ ელდით და შეშფოთებით
პირგამეხებულ დედის თვალები.
სხვათა მკურნალის, სხვათა მშველელის
და ყოვლისშემძლე დედის თვალები...
ის გრძნობდა რაღაც დაუძლეველის
და გარდუვალის მოახლოებას,
რადგან ის რაღაც —
ყოველდღიურად
შეუბრალებლად სპობდა მის ღიმილს.

ის იწვა ჩუმად და გათეთრებულ
ჭერს შესცქეროდნენ დიდი თვალები,
ჩაფიქრებული, ბედის ცვალებით
გაოცებული დიდი თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ კი იმავ მთვარიან ღამით
ეხეტებოდა ქუჩებში ბიჭი,
დაონებული, ფერმკრთალი ბიჭი...
შეწუხებული, ფერმკრთალი ბიჭი
მიაბიჯებდა და სწუხდა ძლიერ,
მისჩერებოდა თბილისის ზეცას,
ლურჯი მინდვრების უსაზღვრო
სივრცეს,
მიაბიჯებდა და აკლდა რაღაც.
მიბარბაცებდა ფეხის ბორძიკით
და აკლდა რაღაც კარგი და დიდი —
დაუსაბამოდ,
ფიქრის საზღვრამდის,
სულის საზღვრამდის,
უფრო შორს, იქით,
უსაზღვროების შავ მინდორს იქით...
ის მიდიოდა ფეხის ბორძიკით.

. . . . . .

ის მოდიოდა თეთრ გვირილებში,
თეთრ გვირილებში, ვარდისფერ კაბით.
გვირილებს გული ჰქონდათ ყვითელი.

ხელში ეჭირა ერთი გვირილა,
გვირილას გული ჰქონდა მზისფერი.

ის მოდიოდა და თეთრ გვირილებს,
ლამაზ გვირილებს ფეხს არიდებდა.

მწვანე მინდორზე თეთრ გვირილების,
თეთრ გვირილების ცვიოდა თოვლი,
მაგრამ არავინ ესროდა გუნდას.

. . . . . .

დაღონებული ფერმკრთალი ბიჭი
იდგა, უმზერდა და სწუხდა ძლიერ...

ის სწუხდა ძლიერ, დაუსაბამოდ,
სულის საზღვრამდის, იმ საზღვარს
იქით...
მას აკლდა რაღაც უსაზღვროდ დიდი
და მიდიოდა ფეხის ბორძიკით.

ღია სარკმელთან მაღალი კაცი
იდგა, ფიქრობდა და სწუხდა ძლიერ...

ირგვლივ იგივე იყო ყოველი
და სასაფლაოს გალავნის ქვემოთ
ისევ მოჩანდა პატარა ქუჩა,
ლურჯი მესერი და მწვანე ეზო,
დაბალი სახლი და ისამნის
ღია ფანჯრისკენ წასული ტოტი.

იგივე იყო ირგვლივ ყოველი.
იდგა პოეტი და სწუხდა ძლიერ.
ის სწუხდა ძლიერ, მას აკლდა რაღაც,
რაღაც პატარა და ძლიერ დიდი.
თვალს აყოლებდა ზეცაში მფრინავს,
იდგა, ფიქრობდა და სწუხდა ძლიერ.

სწრაფად მიჰქროდა ცაზე მფრინავი,
უმზერდა მიწას და სწუხდა ძლიერ.
ის მიფრინავდა და აკლდა რაღაც,
იჯდა საჭესთან და სწუხდა ძლიერ.

იგივე იყო ირგვლივ ყოველი
და გაშლილ ფრთებქვეშ,
ფოლადის ფრთებქვეშ —
ძველ სასაფლაოს გალავნის ქვემოთ
ისევ მოჩანდა ნაცნობი ქუჩა,
მაღალი სახლიც, დაბალი სახლიც,
შავი ასფალტი და მწვანე ეზო,
ლურჯი მესერი, ღია ფანჯარა...

ის მიფრინავდა და სწუხდა ძლიერ,
რადგან ღიმილი, კარგი ღიმილი
აღარ მიჰქონდა ძლიერი ფრთებით,
შორეულ მთების, უცხო ქვეყნების,
მწვანე მინდვრების და ქალაქების
მოწმენდილ ცაზე, უღრუბლო გზაზე.

ღია სარკმელთან იდგა პოეტი,
იდგა, ფიქრობდა და სწუხდა ძლიერ...
თუმცა იცოდა,
რომ სადღაც, ვიღაც
და არა მარტო სადღაც და ვიღაც —
ათასგან, ბევრგან, ყველგან და ბევრი
ღამეთა ტეხვით, დღისით, დღედაღამ,
გამოღამებულ,
დაღლილ თვალებით —
თავის შეწირვით, გზნებით და ვნებით,
თავდახრილი და ჩაფიქრებული
ეძებდა წამალს, ის მწარე წამალს,
მომაკვდავ ბავშვის გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მიდიოდა... მან ეს იცოდა,
მან ეს იცოდა და სწუხდა ძლიერ.
ის სწუხდა ძლიერ, რომ მიდიოდა...
შეუბრალებლად დრო მიდიოდა.

და ჩაბნელებულ თეთრ პალატაში
ფიქრობდა დედა...

არ არის ღმერთი...
ნუთუ არც იყო?

არ იყო ღმერთი,
არ არის ღმერთი.

არ არის ღმერთი და არც იქნება.
ოჰ, არც იქნება, რომ მისმა ნებამ
გადაარჩინოს გოგონა ერთი.

მიმოიხედა... არ იყო ღმერთი,
არც კაცში იყო ღმერთის გონება,
რომ დამდგარიყო გოგონას გვერდით
და შეემუსრა ბოროტი სნება.

არც კაცში იყო გონება ღმერთის,
მან ვერ შემუსრა შავი სიკვდილი,
და მის მაგივრ გოგონას გვერდით
თეთრ სარეცელზე ჩამოწვა ჩრდილი...

ხოლო ცა იყო ღრმა და უძირო
შავ ვარსკვლავებით ამოვსებული,
და ტელეფონი ღამეს უძილოს
უყეფდა, რეკდა გაოცებული.
ბნელ კაბინეტში წკრიალით ჩქარით,
იდუმალ ხელის განკარგულებით —
ხან მოთმინებით,
ხვეწნით,
მუდარით,
ხან —
მოთმინებადაკარგულივით.
ვის უძახოდა, ვის მოუხმობდა
ერუანტელივით გამბმული ზარი,
ვის აბრალებდა,
პასუხს ვის სთხოვდა —
სიკვდილს?
სიცოცხლეს?
ორივეს ერთად...

ორივეს ერთად და ყველას ერთად
ეკითხებოდა და პასუხს სთხოვდა.
ღამეთა ტეხვით, დღისით, დღედაღამ,
გამოღამებულ დაღლილ თვალებით
წუთით წათვლემილ ფერწასულ ექიმს,
ფიქრებთან ბრძოლით დაქანცულ
პოეტს,
თბილისის ცაზე გადავლილ მფრინავს,
ქვეყანას მძინარს და ძილში მღვიძარს —
ყველას უხმობდა გაბმული ზარი,
ეკითხებოდა და პასუხს სთხოვდა.

მაგრამ არავინ არღვევდა დუმილს,
არვინ შეაღო ოთახის კარი
და მიტოვებულ უძილო ყურმილს
აცახცახებდა გაბმული ზარი.

— მოკვდა...
თქვა ჩუმად მოწყალების დამ-
ჩუმად თქვა, გულში...
ჩუმად თქვა, მაინც გაიგო დედამ.
გაიგო, მაგრამ თქმა ვერ გაბედა.

— მოკვდა...
ამოხდა ბურანში ექიმს
და შეშლილივით ტელეფონს დასწვდა.
შეწყდა წკრიალი, შეწყდა მუდარა,
მაგრამ ძახილი ბნელ ქუჩებს გასცდა.

— მოკვდა...
შეწუხდა ცაში მფრინავი
და სევდიანად დახედა თბილისს.

— მოკვდა!..
გაისმა ქუჩის ძახილი.
ვეღარ გაუძლო დუმილს და ლოდინს,
ძახილი მისწვდა პატარა ეზოს,
დაბალი სახლის ღია ფანჯარას
და იასამნის შეირხა ტოტი.

— მოკვდა!..
ხეების გამოძახილი
მაღალი ფანჯრის მიაწყდა რაფას,
ფეხზე წამოდგა დაღლილი კაცი
და ფანჯარასთან მივიდა სწრაფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევით, ქალაქის ბნელ სიჩუმეში
უძრავად იწვნენ ჩრდილები გრილი.
მოაბიჯებდა მწუხარე დედა
გაფითრებული და თმაგაშლილი.

*

ნუთუ მის ხელებს და მის გონებას
ვინც შეეჯიბრა დროსა და მანძილს,
უსაზღვრო სივრცის დასამონებლად
ვინც გააფრინა ზეცისკენ კაცი,
ვინც უხილავი, უჩინო მტვერი,
მტვერზე უჩინო, მტვერის ნაწილი
აქცია ცეცხლად და მისი გრგვინვით
ქვეყნიერებას დაუფრთხო ძილი,
ვისი ხმაც, ვისი გულის ნაკვეთიც
ამ ქვეყნად პირველ სიტყვად გაისმა,
ვინც არაფრისგან დაანთო ცეცხლი —
ცეცხლი — ნაშობი არარაისა,
ვისაც პირველად გაუჩნდა ქვეყნად
გონების თვალი და ცნობის თვალი,
გაუძლო მეხთა და ზვავთა შეხლას,
ადუღდა,
აწრთო უტეხი რვალი,
ვინც შეუცნობელ ვარსკვლავთა შორის
ოცნება თვისი გაათავხედა
და ცის ჰორიზონტს დაადო ტორი
ბნელ სივრცეებში გადასახედად,
ვინც ააყვავა უდაბნო ვრცელი:
ადამის მოდგმის ოცნება ძველი.
ვინც შეახეთქა ერთმანეთს მთები,
დაბადა ზღვები დააშრო ზღვები —

არ შეუძლია დააშროს ცრემლი,
პატარა ცრემლი, ის ჩუმი ცრემლი?
ნუთუ ამ ქვეყნად ყველაფრის
მძლეველს
პატარა ხელის არა აქვს ძალა —
მოწშინდოს ცრემლი, დააშროს ცრემლი,
რომელსაც დედა გმირულად მალავს?
ოჰ, შეუძლია... უძლეველია
მისი ოცნება დიდი, ფრთამალი,
უძლეველია მისი მარჯვენა:
მას შეუძლია იფიქროს, მისწვდეს
და მოიტანოს ქვეყნად წამალი —
ის ერთი მუჭა მწარე წამალი
მომაკვდავ ბავშვის გადასარჩენად...
მაგრამ ის ველარ უშველის თამარს.

მწარე წამალი სჭირდება მაინც —
სჭირდება დედას, რადგან არ სჯერა,
რომ ძლიერია გონება კაცის,
რომ ძლიერია კაცის მარჯვენა!

სასაფლაოსკენ პატარა კუბო
დიდი მანქანით მიჰქონდათ ნელა.
დიდი სახლის წინ ნაცნობ ქუჩაზე
მან ჩაიარა უკანასკნელად.

ჩუმად მიჰქონდათ თეთრი ვარდები,
ლურჯი იები, იასამნები.
და ისე სწუხდა ვარდისუბანი,
თითქოს გაზაფხულს მისასვენებდნენ.

იავარდებში, იასამნებში,
თეთრ გვირილებში იწვა თვალები.
ბედის ცვალებით გაუხარელი
და დახუჭული დიდი თვალები.

ვარდებში იწვა მისი ღიმილი,
როგორც კვირილით გამწყდარი სიმი,
იავარდები, იასამნები
მისასვენებდნენ მშვენიერ ღიმილს.

ნაცნობ ქუჩაზე, დიდი სახლის წინ
მან გაიღიმა უკანასკნელად...

არ გაჰყოლია მაღალი კაცი,
თუმც ბევრს ფიქრობდა და სწუხდა
ძლიერ...
ის სწერდა, სწერდა ცრემლით და
განცდით.
ის სწერდა გულით და სწუხდა ძლიერ.

და დასცქეროდა ღამის ნათურას,
ჩამქრალ ნათურას, დახოცილ პეპლებს,
ნამწვავებივით გადამწვარ პეპლებს,
პეპლებს, დახოცილს მუხანათურად,
მტერიან მაგიდას, დახოცილ ფიქრებს
და ნამწვავებით სავსე საფერფლეს.

დამთავრდა გრძელი ღამის ქრონიკა,
ცხელი ზაფხულის ღამის ქრონიკა,
სიცხიან ფიქრთა, ფიქრიან ფიქრთა,
ფორიაქიან ფიქრთა ქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენდება... მაგრამ კვლავ დაღამდება,
მოვა სხვა ღამე, მოვა სიჩუმე...
მოვა და დავწერ სხვა ღამეების,
გრძელ ღამეების ფიქრთა ქრონიკას.

და გახუნდება ზაფხულის ტახტი.
გაივლის სიცხე, მზეც გახუნდება.
მივეგებები ქარვისფერ დღეებს
და შემოდგომის ქრონიკას დავწერ.

მოვა ზამთარი. პირველი თოვლი.
მოვა და დავწერ ზამთრის ქრონიკას.

გავა ზამთარიც და გაზაფხულის
და გაზაფხულის დადგება ჯერი,
მარტის, აპრილის, მაისის ჯერი,
და გაზაფხულის ქრონიკას დავწერ.

ასე ვუმღერებ
გაზაფხულს,
ზაფხულს,
შემოდგომას და თოვლიან ზამთარს,

და ჩემთან ერთად თქვენც შემოივლით
ჩემი ცხოვრების ცხრაველს და
ცხრამთას.

და ჰა,
ქალაქის დიდ სამრეკლოზე
აღარ ხმაურობს და სდუმს საათი.
თენდება, ქუჩის ხმაურმა შთანთქა
მისი ძახილი და გულის ძგერა.
ელნათურები ქრებიან ჩუმად
და შენობები ახლენ თვალებს.

იღვიძებს უკვე დიდი თბილისი,
მას სიჩუმეში ეძინა დიდხანს...
დამთავრდა ერთი ღამის ქრონიკა,
შენც გაიღვიძებ და წაიკითხავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ნუკა ძარიელიოს ცხოვრების უკანასკნელი წლები.

ქალაქი აია აჯამეთის ტყის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ქალაქ აიაში, ისე როგორც ყველგან, უფროსი ბუღალტრები ადგენენ თვიურ, კვარტალურ და წლიურ ბალანსებს. უფროსი ბუღალტერი არის ის პირი, რომელიც განაგებს საბუღალტრო აღრიცხვას საწარმოსა ან დაწესებულებაში და რომელიც ხელმძღვანელობს წვრილ-წვრილ ბუღალტრებს ან მათ ჯგუფს.

სიტყვა Buchhalten ხმარებაში შემოსულა 1498—99 წლებში. ვენის სახელმწიფო არქივში ახლაც ინახება იმპერატორ მაქსიმილიანე პირველის ბრძანება, სადაც აღნიშნულია, რომ იგი, მაქსიმილიანე პირველი, დავთარმწარმოებელსა და მწერელს ქრისტეფორე შტრეხერს დღეიდან უწოდებს Buchhalten-ს.

*

შუადღეა, ცხელა, მზე აჭერს დაუნდობლად გრიშა ნემსაძე უკაცრიელი ქუჩის ტროტუარზე მოდის. გრიშას თეთრი ტილოს ფეხსაცმელები და კარაქისფერი, ჩინური აბრეშუმის კიტელი აცვია. თავზე ახურავს ჭილის ქუდი. მოდის და წინ არც იყურება: უფრო ქვაფენილს აშტერდება.

გრიშა ნემსაძე მსუქანი კაცია. 27 წელია, რაც ქალაქ აიას ერთ რიგითს საწარმოში უფროს ბუღალტრად მუშაობს. 27 წელი ერთსა და იმავე თანამდებობაზე და ერთს შენობაში გაატარა ამ კაცმა. უმაღლესი დედაქალაქში დაამთავრა და იქვე, დედაქალაქშივე დატოვეს ასპირანტად. ნემსაძე საიმედო ასპირანტი იყო: ფიქრობდნენ, რომ წინ წავიდოდა. იგი წერდა შრომას „ლუკა პაჩიოლოს ცხოვრების უკანასკნელი წლები“. ყველამ, დიდმა და პატარამ ვიცით, რომ ლუკა პაჩიოლო ავტორია მსოფლიოში პირველი საბუღალტრო წიგნისა — „ტრაქტატები ანგარიშებზე და ჩანაწერებზე“, მაგრამ მისი ცხოვრების ბოლო წლები ბუნდოვანებითაა მოცული. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რამდენად სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოზულ საქმეს გააკეთებდა გრიშა ნემსაძე, ქვეყნად რომ ოდესმე ბენედიქტე კოტრული არ გაჩენილიყო... ვინ იყო ეს ბენედიქტე კოტრული და რა ასეთი გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა ამ კაცმა, მასაც მოგახსენებთ, მხოლოდ ქვემოთ. გრიშა ნემსაძემ ასპირანტურას თავი დაანება და მშობლიურ ქალაქ აიას დაუბრუნდა. რა მიზეზით? — ეს შეკითხვა გულუბრყვილოა. რა შუაშია მიზეზი, როცა კაცს საკუთარი ბედი დააქანებს აქეთ-იქით.

გრიშამ აიაში დაიწყო მუშაობა. დაცოლშვილდა. მეცნიერულ მუშაობაზე ხელი არ აუღია; უნდოდა თავისი შრომა ბოლომდე მიეყვანა. ღვინის სმაშიც გამომეღვაწა ნიჭი: ერთი ორჯერ სუფრა ისე კარგად წაიყვანა, რომ კარგი თამადის სახელიც დაიგდო. წლები გავიდა და გრიშა დაფიქრდა: თამადად ვარ ქვეყნად გაჩენილი თუ მეცნიერადო. ამ ორი მონათესავე მცნების შედარება იმწამსვე სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ ამ საკითხებზე რომ დაფიქრდა, ეს ფაქტია.

ბენედიქტე კოტრული იყო ცნობილი იტალიელი ანგარიშმწარმოებელი. ბენედიქტე კოტრულმაც დაწერა შრომა ბუღალტერიაზე. ეს წიგნი ნეაპოლის სახელმწიფო არქივში ინახება, ხელნაწერის სახით.

როდესაც ნემსაძე თავის შრომას ასრულებდა, მოხდა ასეთი რამ: მეგობარმა ბუღალტერმა, რომელიც სამრეწველო ქალაქ გვიშტიბში ცხოვრობდა, გრიშას გადმოუგზავნა ფრიად საინტერესო მასალები, რომელმაც იდრესატი ძალიან დაიფიქრა. მასალებს თან დართული ჰქონდა მოკითხვის ბარათი, რომელიც ასე იწყებოდა: „ამხ. ნემსაძეს“. გამოგზავნილ ქაღალდებში დასაბუთებული იყო, რომ პირველი საბუღალტრო წიგნის ავტორი არა ლუკა პაჩიოლო, არამედ ვიღაც ბენედიქტე კოტრული ყოფილა. კოტრულის დათარიღებული ხელნაწერი წიგნის მიხედვით დასტურდებოდა, რომ ბენედიქტეს შრომა შექმნილია 36 წლით ადრე, ვიდრე ლუკა პაჩიოლოს „Tractatus de computis et scripturis“ დაიწერებოდა. ამ ამბავს გრიშამ ჯერ თითქოს ყურადღება არ მიაქცია, რადგან: 1. ლუკა პაჩიოლო მაინც ლუკა პაჩიოლო იყო; 2. პაჩიოლო მაინც პირველი ნაბეჭდი წიგნის ავტორად რჩებოდა, და 3. რაც მთავარია, დიდი მათემატიკოსი ლუკა ლერნარიო და ვინრის მეგობარი იყო. როგორც ხედავთ, ეს სამი ჭეშმარიტება საკმარისზე მეტია იმისთვის, რათა ლუკა პაჩიოლოს დამსახურებას ჩრდილი არ მიადგეს, მაგრამ გრიშა ნემსაძემ მაინც გული აიყარა თავის შრომაზე: მეცნიერებასაც მიანება თავი; თავის საწარმოს, ოჯახს, შვილებს, ნათესავებს, მეგობრებს და თამადობას გადაყვა. ეს ყველაფერი ბენედიქტე კოტრულს გადაუბრალა. კაცმა რომ თქვას, რა შუაში იყო ნეაპოლელი ეაჭარი და დავთარმწარმოებელი ბენედიქტე კოტრული.

*

გრიშამ ჭიზკარი გააღო და ეზოში შევიდა. იმ დღეს შაბათი იყო; იმ თვის ჩვიდმეტი რიცხვი. გრიშა ონკანთან მივიდა, კიტელი გაიხადა და გვერდგამომხმარ მსხლის შემტვრეულ ტოტს მიაკიდა; შემდეგ ცხვირსახოცი დასველა, სველი ნაჭერი მელოტ თავზე შემოიდო, ქვაზე დაჯდა და დაფიქრდა.

აივანზე სიცხით გათანგული, ნამძინარევი ქალიშვილი გამოვიდა. ქალიშვილს თხელი კრეპერჟეტის ხალათი ეცვა; ხალათი კოჭებამდე ჰქონდა შეხსნილი და ვარდისფერი პერანგი მოუჩანდა. ქალიშვილი აივნის რიკულზე გადაწვა და მამამისს დაუწყო თვალიერება. გრიშა წამოდგა, დაფიქრებული შევიდა სახლში. ქალიშვილი შეჰყვა. კარაქისფერი კიტელი ხეზე დარჩა მიკიდებული.

ოთახში პატარა, მრგვალ მაგიდას გრიშას ცოლი უჯდა. მაგიდაზე საოჯახო ალბომი იდო. ალბომს მოქარგული მატერია ჰქონდა გადაფარებული. ცოლი და-

ფურცლულ, ძველთაძველ წიგნს კითხულობდა. ფანჯრებზე ჭილოფის ფარდები იყო ჩამოფარებული. ეტყობოდა მზე ახლახან მიდგომოდა სახლის იმ მხარეს და ჭილოფის ფარდები აბაკურივით იყო განთებული. ოთახში შედარებით გრილოდა. გრიშამ პამდორისფერ იატაკზე გაიარა და მეორე ოთახში გავიდა. ცოლმა ერთი ახედა მეუღლეს, მერე ისევ კითხვა განაგრძო.

იმ დღეს არ უსადილნიათ. დედას და ქალიშვილს ჭამის თავი არ აღმოაჩნდათ: ცხელოდა და ეს საქმე აგრილებამდე გადადეს. გრიშას ვაჟი ბუხუტი ისედაც არასოდეს არ იყო სადილობის დროს შინ. ოჯახის მამა კი არაფრით არ გამოვიდა მეორე ოთახიდან. საწერ მაგიდას მიჯდომოდა, წინ თავისი დაუმთავრებელი შრომა ედო, ტანზე ბადებერანგი ეცვა. გრიშას საიდანღაც ამოექექა იისფერხაზებიანი, ოცი წლის წინათ მიგდებული, დამტვერილი თაბახის ფურცლები და გაშტერებული დაჰყურებდა. ცოლ-შვილმა რამდენჯერმე შეახსენა: სადილი ჭამეო. როცა გრიშამ ხმა არ ამოიღო, ცოლმა და ქალიშვილმაც თავი დაანებეს. მათ იცოდნენ, რომ გრიშას ჭამაზე მორცხვობა არ უყვარდა, თვითონვე მოძებნიდა თავის ულუფას და მშრალზე არ დარჩებოდა. ეს კი იცოდნენ, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ვინ იყო ლუკა პაჩიოლო, ლუკა, რომელიც მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი საბუხალტრო წიგნის ავტორი და ლეონარდო და ვინჩის მეგობარი იყო.

გრიშამ თაბახის ფურცლები გადაარჩია, ერთი სუფთა ფურცელი გვერდზე გადადო. ამ ქაღალდზე მხოლოდ ერთი სიტყვა — სივერსი — ეწერა. ამ გვარის ქვეშ მსხვილი ხაზი იყო გავლებული. გრიშამ კარგახანს უყურა ამ ფურცელს, მერე გაიღიმა. ნემსაძე სივერსზე აპირებდა მონოგრაფიის დაწერას; იმ სივერსზე, რომელმაც ჩვენში გამეფებული მარტივი ბუღალტერია ორმაგ ბუღალტერიაზე გადაიყვანა, დავთარწარმოება საბალანსო სისტემით შეცვალა. მართალია, გრიშა არც ისე დიდ მოვლენად თვლიდა სივერსს, მაგრამ ამ ცნობილი ეკონომისტის მიმართ იგი განსაკუთრებულ მოკრძალებას ამეღავნებდა: ერთი მიზეზის გამო. როცა სივერსი დედაქალაქიდან აიაშიც ჩამოვიდა, გრიშა მაშინ შვიდი თვის ყოფილა. სივერსი გრიშას მამის, ყარამან ნემსაძის ოჯახსაც ესტუმრა თურმე. ეს მაშინ იმდენად დიდი მოვლენა ყოფილა, რომ შვიდი თვის ბავშვს ჩამოსული კაცის სახე ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში: საკვირველი კია.

ოთახში ქალიშვილი შემოვიდა.

— მამა!

— უ!

— გესმის?!

— ო!

ქალიშვილი ფანჯარასთან სკამზე მოკალათდა და ნიკაპი რაფას ჩამოადო.

— მე მკითხე რამე? — ჩაილაპარაკა გრიშამ.

— რა თქვი?

— ა, რა გინდა?

— ვიღაც კაცი იყო, კოპიტნარიდან ვარო... გასვენებაში დაგპატიჟეს. — უთხრა ქალიშვილმა.

— მე?

— ჰო.

— მოკვდა ვინმე?

— აღბათ...

— რას მეუბნები?!. ჭადრაკული ჩაწერის ხერხი... — გრიშამ დაამთქნარა, ჯიბიდან ოთხად დაკეცილი გაზეთი ამოიღო და მთქნარებითვე ჩაათვალიერა ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომდე. შემდეგ დივანზე წამოწვა, გაზეთი სახეზე დაიფარა და იმწამსვე ჩათვლიმა.

— დაიწყებს ახლა ხვრინვას. — თქვა ქალიშვილმა.

— გადი გარეთ! — ამოიხრიტინა სახეგრადმძინარე მამამ.

ერთი წუთის შემდეგ გრიშა მართლაც ახვრინდა. ქალიშვილი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. დედამისი ისევ კითხულობდა რომანს. მეორე ოთახიდან გრიშას ხმა გამოდიოდა: ხვიი-ო, ხვიი-ი, ხრრრ... ხრრრ...

— რაღა ექნათ ახლა! — თქვა ქალმა და წიგნი დაკეცა.

დედა-შვილი აივანზე გავიდა. აივანზე გრძელი მერხი იყო. მერხქვეშ ენაგადმოგდებული, უჯიშო ძაღლი იწვა. ამ ძაღლს სახელი არ ერქვა. ოჯახში ეძახდნენ: — მწუ! გადი! მოდი! წადი! — ანდა უბრალოდ, როგორც კაცს, ისე ელაპარაკებოდნენ.

დედა-შვილი აივანზე დაჯდა. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, პატარა ნიავმაც დაუბერა ქვეკივიდან. შემდეგ გრიშას ხვრინი გაფუჭებული რადიოს ხმასავით გამოვიდა გარეთ.

ეძინა, ხვრინავდა გრიშა ნემსაძე და ესიზმრებოდა ეკონომისტი სივერსი; ის სივერსი, რომელმაც მარტივი ბუღალტერია ორმაგ ბუღალტერიაზე გადაიყვანა და რომელიც 1912 წელს ყარამან ნემსაძის ოჯახში მოხვდა სტუმრად. მისი სახე გრიშას ახლაც კარგად ახსოვს. მართალია, გრიშას მეხსიერება 4 — 5 წლიდან იწყება, მაგრამ იმ პატივცემული კაცის სახე შვიდი თვისამ დაიმახსოვრა. შვიდი თვის გრიშა იწვა აკვანში და უყურებდა სივერსს. გრიშას წითელი სპანი ეფარა: აკვნის ტარზე შინდისფერი კაკალები ეკიდა.

აივანზე რადიოს ხმამ მოიმატა. შეწუხებული დედა და შვილი ეზოში ჩავიდნენ, მსწლის ჩრდილში კოინდარზე ჭილოფი გაშალეს და დასხდნენ.

გრიშა ნემსაძე უხსოვარი დროიდან ხვრინავდა, ხვრინავდა მაშინაც, როცა შრომას წერდა და ორი შვილით პატარა ოთახში ცხოვრობდა: მაშინ ცოლი ამაზე არ საყვედურობდა. ჩვენი გმირი მთელი ომის განმავლობაში ხვრინავდა. მაშინ ქალაქ აიასა და მის გარეუბანში რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს. ოჯახში ეშინოდათ ბომბების. ომის შემდეგ, როცა ნემსაძე 10 წელი სახლს აშენებდა და მერე ვოგო-ბიჭს უმაღლესში აწყობდა, მაშინაც ხვრინავდა. ცოლი და ქალიშვილი ამ პოლო დროს შეწუხდნენ. მთელი სახლის შვიდ ოთახში (აივნის ჩაუთვლელად) დასაძინებელ ადგილს ვეღარ პოულობდნენ. „ცალკე ცხელი ჰაერი, გვახრჩობს, ცალკე ხვრინვა. ეს კაცი სუქდება და ხვრინვას უმატებს“, — ამბობდა ცოლი. გრიშა ალიონზე მიდიოდა სამსახურში. შვილებს თერთმეტ საათამდე ეძინათ. ცოლიც გვიან დგებოდა. გრიშა სამსახურიდან მოდიოდა დაღლილი. შვილები ამთავრებდნენ უმაღლესს. ორივე იღებდა სტიპენდიას. გრიშა ადრე იძინებდა. დანარჩენები გვიანობამდე არ წვებოდნენ. უკვირდათ: ამ კაცს ასე ადრე რა აძინებსო. ბიჭი ბუხუტი შუაღამისას მიდიოდა შინ. შემდეგ დათვივით იძინებდა და მამამისის ხვრინვაც არ ესმოდა. ეუბნებოდა კიდეც მამას: არაფერს არ ხვრინავ, გიგონებენო.

გრიშას ცოლმა ხვრინვა პრობლემად აქცია. იყო დღეები, როცა გრიშა თავაუღებლივ აჩხაკუნებდა საანგარიშოს; მის ოჯახში ხვრინვაზე იყო ლაპარაკი.

საპარაში აფეთქებდნენ ატომურ ბომბს.

— ქალიშვილი უნდა გაზრდიდეს, ბიჭმა უნდა მოიყვანოს ცოლი: ვინ შემოვა ჩვენს ოჯახში! — ამბობდა გრიშას მეუღლე.

ცოლის ნათესავები მოდიოდნენ გრიშას ოჯახში და ლაპარაკობდნენ ხვრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზე. შემდეგ დედაკაცები თამაშობდნენ ლოტოს, დიასახლისს ურჩევდნენ ქმა-რი საავადმყოფოში დაეწვინა.

გრიშას თხოვეს გაეკეთებინა ოპერაცია. დაუსახელეს რამდენიმე ქირურგი. გრიშა ამ წინადადებაზე იღიმებოდა.

გრიშას შვილები ამთავრებდნენ უმაღლესს, იღებდნენ სტიპენდიას, მაგრამ მაინც ყოველდღე მამამისს თხოვდნენ ფულს. ოჯახში სულ ფული იყო საჭირო. გრიშა იღებდა ზედმეტ სამუშაოს. გამოცდილი სპეციალისტი იყო და ქალაქში ათასგვარ საექსპერტო და საკონტროლო სამუშაოს ავალებდნენ.

ერთხელ გრიშას მისმა მეზობელმა და მეგობარმა საქონელმცოდნემ, რომელიც მისი სახლის წინ ცხოვრობდა, უთხრა:

— რა არის, რაფერ ხვრინავ, სახლის მაგივრად სამსახურში მძინავს. — გრიშამ სიმწრით გაიცინა. ამის შემდეგ ოთახის ფანჯრებს მჭიდროდ კეტავდა, რათა მეზობელ საქონელმცოდნეს, რომელსაც პაგანინის სმენა ჰქონდა, მისი ხმა არ გაეგონა.

*

აგვისტოს თვე იყო. პარასკევი დღე. ცხელოდა უფრო მეტად, ვიდრე იმ შაბათს. თბილი ნიავი ასფალტზე დაგებულ ხმელ ფოთოლს აქეთ-იქით აქანებდა. ეზოში გამხმარ ბალახს ტრუსის სუნი ასდიოდა.

ცხელოდა გრიშა ნემსაძის ოჯახში. აივანზე ენაგადმოგდებული ძაღლი ეგდო; ამ ძაღლს, რომელსაც სახელი არ ერქვა, კუდზე ტალახი ჰქონდა მიმხმარი. უკვირდათ: ამ გაგანია სიცხეში ტალახს სად ნახულობსო. ცოლი ოთახში რომანს კითხულობდა. ქალიშვილი ონკანთან კაბას ირეცხავდა. ბუხუტის რეზინის მილი ეჭირა ხელში და გადაყვითლებულ კოინდარს ასველებდა. ეზოში გრიშა შემოვიდა. გრიშას კარაქისფერი კიტელი ეცვა. ცხვირზე ცხვირსახოცი ხელი ჰქონდა აფარებული. და-ძმას გაუკვირდა: ასე ადრე რამ მოიყვანაო.

გრიშა ონკანთან მოვიდა, ჭილის ქუდი მოიხადა, დაიხარა და ბიჭს ანიშნა: თავზე დამასხიო. ბიჭმა ჯერ თავზე მიუშვა წყალი, მერე კისერშიც ჩააყოლა. კუდუსუნამდე უწია გრიშას წყალმა, მერე ფეხებშიაც გამოქონა. კაცი უსიამოდ შეიშმუშნა, წელში გაიმართა, სველი კიტელი ზურგზე მიეკრა. ბიჭი და გოგო სიცილით დაიხოცნენ. გრიშამ რაღაც ჩაიბურდღუნა და ხორხიდან უცნაური ბგერები ამოუშვა. შვილებმა შეამჩნიეს: მამას ცხვირზე ათ-ფად დაკეცილი ბანდი ედო; ბანდს ჭრელი ცხვირსახოცი ფარავდა.

გრიშა აივანზე ავიდა, ბიჭმა ონკანი დაკეტა. გოგომ საპნიანი ხელები ჩაიბანა. ორთავენი მამას გაჰყვნენ. ძაღლმა მისალმების ნიშნად ყოველშემთხვევაში გააქნია ტალახშემხმარი კუდი. ცოლმა ქმარს პირველად ცხვირზე შეხედა. მერე გაიფიქრა: ასე ადრე რამ მოიყვანაო.

გრიშა ნემსაძემ ოპერაცია გაიკეთა. ამ დილით ნაცნობმა ქირურგმა პოლიპები ამოაჭრა. გრიშას ორი დამე არ ეძინა; პირით სუნთქავდა, ცხვირი მჭიდროდ ჰქონდა აკრული.

მესამე საღამოს გრიშამ სახვევები მოიხსნა და დაწვა. ყველაფერი ეს უბრალოდ მოხდა. ოჯახში მოუთმენლად ელოდნენ მის დაძინებას. სართულ-ნახევრიან სახლში აუწერელი მოლოდინი იდგა. ელოდნენ იმ შედეგს, რაც ამ უჩვეულო ოპერაციას უნდა მოჰყოლოდა. თვითონ ბუხუტიც დაინტერესდა: მთელი ღამე არ დავიძინებო, თქვა. ბუხუტის იმედი ჰქონდა, რომ მამამისი ისევ ახვრინდებოდა და ეს ამბავი წინასწარ ჰგვრიდა სიამოვნებას. ამ სიხარულს სიტყვიერადაც ამყღავნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს ძალიან ჩვეულებრივად დაღამდა. ნელ-ნელა გამოჩნდა ცაზე ფოთოთოხლისფერი ვარსკვლავები. მერე მთვარეც გაილანდა ფოლადისფრად.

ყველაზე ადრე ბუხუტის დაეძინა. შემდეგ დანარჩენებმაც ჩათვლემეს. გრიშა ნემსაძე ფიქრობდა მხოლოდ. გრიშა ფიქრობდა სიყვარულზე — სიყვარულზე, არა როგორც ზოგად მცნებაზე, არამედ უბრალოდ, კონკრეტულად: თავის რომანულ დღეებს იგონებდა. ეს მოგონება სადღაც შორიდან მოდიოდა, მაგრამ მოდიოდა საგნობრივად. მოდიოდნენ მთვარის შუქზე მოგონებები. ესენი ყველა გრიშას შეეძლო დაეთვალა ან ხელით შეხებოდა რომელიმე მთგანს. გრიშა იგონებდა იმ ქალს, რომელიც უყვარდა. იმ ქალს გრიშა ეძახდა — **იმას** ან **ის.** ერთი სიტყვით, ნაცვალსახელში ატრიალებდა. გრიშას **ის** ადრე უყვარდა ისე რომანტიკულად, ისე უსაგნოდ, რომ ახლა უკვირდა თუ არა ეს ამბავი. ესეც ვერ გაგგო. ერთი კია: გრიშასა და **იმის** სიყვარულმა და ცხოვრებამ შემდეგ ისე თვალსაჩინოდ და ხელშესახებად ჩაიარა, რომ გრიშას მისი ბოლო წლების ცხოვრების ყველა მომენტი შეეძლო დაეთვალა, გაეყო, გაემრავლებინა. ახლა ის, ესე იგი მისი ცოლი, მეორე ოთახში იწვა. ვინც მეორე ოთახში იწვა, ის იყო ერთი და ნამდვილი, ხოლო **ის,** რომელიც უყვარდა, იყო უსახღვრო და არაკონკრეტული. სინამდვილეში **ის** იყო ის, რომელიც მერე მისი ცოლი გახდა, მაგრამ მისი ცოლი მაინც სხვა იყო და **ის** კიდევ სხვა.

შუაღამეზე ცოლს გამოეღვიძა. დედამ ქალიშვილს უთხრა: — შუაღამე გადავიდა, მამაშენს წყნარად სძინავს. მგონი გვეშველა.

ქალიშვილმა ვერაფერი გაიგო, ისე დაიძინა, ცოლმაც დაიძინა. გრიშამ გაიგონა ცოლის ჩურჩული.

...ამის შემდეგ გრიშას დიდხანს აღარ უფხიზლია. ძილმა თავისი ჰქნა. გვერდზე გადაბრუნდა და წყნარი ხვრინი ამოუშვა.

პირველად უსახლო ძაღლს გაეღვიძა. (მისი გარეთ გაგდება დავიწყებოდათ). ძაღლმა გაიზმორა, ტანი შეიბერტყა და წითელი ბალანი ნაპერწკლებივით გაყარა.

გრიშამ მოუმატა და მოუმატა ხვრინვას. ნახევარ საათში ცოლი და ქალიშვილი ფეხზე დადგნენ. ქალმა სინათლე აანთო. მძინებული პეპლები აიშალნენ და ნათურის ირგვლივ დაიწყეს ტრიალი. შეეცადნენ გრიშას გადვიძებასაც, მაგრამ ორი ღამის უძინარ ბუღალტერს მიცვალებულივით ეძინა.

მეზობელი საქონელმცოდნე ტრუსებისამარა გამოსულიყო ეზოში. მოკაუჭებული ფეხები ნაბდის ქეჩებში გაეყარა. სატინის ტრუსზე იარლიყი ეკერა. „ფრონტზე სანგარში მეძინა, ეს რას ხვრინავს ასე, რომ საწოლში არ მაძინებს!“ — ფიქრობდა ნერვებმოშლილი საქონელმცოდნე და ვარსკვლავებს უყურებდა.

გრიშა ნემსაძეს ესიზმრებოდა არა კაპიტალური შრომების ავტორი სივერსი, რომელმაც მარტივი ბუღალტერია ორმაგ ბუღალტერიაზე გადაიყვანა, არც მამამისი ყარამან ნემსაძე, არც **ის,** რომელიც უყვარდა, არც ქირურგი და არც ნეკაპოლელი დავთარმწარმოებელი ბენედიქტე კოტრული, არამედ ლუკა პაჩიოლლო — მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი საბუღალტრო წიგნის ავტორი და დიდი ლეონარდო და ვინჩის მეგობარი.

ქალაქ აიაში მაინც ცხელოდა. თბილი ნიავი ზანტად დადიოდა ქუჩებში. ფოლადისფერი მთვარე პრიალებდა ცაზე და ღამე დღესავით იყო განათებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორამ ჩაღუნელი

ცხოვრების ზღურბლზე

რომანი

თავი მეცამეტე

გურამი იმ დღეს მეორე ცვლაში მუშაობდა, ქუჩაში დაფიქრებული მიდიოდა. სანაპიროსკენ ჩაუხვია. ვიღაცამ დაუძახა. შეჩერდა, მეორე მხარეს გაიხედა, დაბალ ერთსართულიან სასადილოსთან დოინჯშემოყრილი ჯონდი იდგა და ხელს უქნევდა.

— გაუმარჯოს პარტორგანიზაციის მდივანს! — ირონიული ღიმილით მიესალმა ჯონდი.

— რა შუაშია აქ პარტორგანიზაციის მდივნობა?

— გამეხარდა შენი დანახვა, ჩემმა მზემ, ისე არ ჩამომართვა, თითქოს...

— სულაც არ შემპარვია ეჭვი.

— შეგიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ.

— მაგის დრო არა მაქვს, ფაბრიკაში მივდივარ.

— ჩემთან არა კადრულობ?

— რატომ ჯიუტობ, როდის იყო, შენთან სიახლოვეს გავურბოდი?

— მაშ, შემოდი! — ჯონდიმ გურამს მკლავში ხელი წაავლო და სასადილოში ძალით შეიყვანა. გურამმა შეატყო, აძახანაგი ნასვამი რომ იყო და წინააღმდეგობა აღარ გაუწია.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შესძახა უცნობმა ყმაწვილმა, რომელიც სასადილოს ბოლოში იჯდა და ცარიელ ჭიქას ღვინით ავსებდა.

გურამი მიესალმა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— ჯერ შემოსწრებისა დავალევინოთ, — გურამს სავსე ჭიქა მიაწოდეს.

მან ჭიქა ჩამოართვა, თუმცა ღვინის დალევის ხასიათზე სულაც არ იყო, მაგრამ ჯონდის განაწყენებას მოერიდა, დალოცა და ცარიელი ჭიქა ისევ ჯონდის მიაწოდა.

— ქეიფი გრძელდება! — წამოდგა უცნობი ახალგაზრდა, ჯონდის გადახედა და სადღეგრძელო წამოიწყო — ეს ჯონდის გულს რომ სულ მალე გაახარებს, იმ მზეთუნახავს გაუმარჯოს.

— ბიჭოს, შენ მგონია რაღაც გადაგიწყვეტია და ჩემთვის კი არ გითქვამს, — მიუბრუნდა ჯონდის გურამი.

— ვაი იმის დედას, ვინც ხელს შემიშლის, ძვლებიანად დავარბილებ! — დაიმუქრა ჯონდი.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— განა ასე გაქვს საქმე? — ჰკითხა გურამმა.

— ვითომ არაფერი იცოდე, რა თავს იკატუნებ?

— გამაგებინე, მე რა შუაში ვარ, რატომ მელაპარაკები ასე? — გაიკვირვა გურამმა.

— მოდი, თინას სადღეგრძელო შევსვათ. შენს მზეთუნახავს გაუმარჯოს! თუ ნებით არ იქნება, ძალა ხომ ჩვენს ხელთ არის? — განაგრძო უცნობმა ყმაწვილმა.

გურამს გუნება წაუხდა. არ ესიამოვნა ბიჭების ქარაგმული ლაპარაკი. საშუშაო მოიმიზეზა, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— არ გესიამოვნა, ვაჟბატონო, თინას ხსენება, მგონია გულიც შეგიჩტა, ალბათ არ ელოდი ამ შუადღისას, ჰა?

— ჯონდი, სად მომიყვანე, ან რას ჰგავს თქვენი საქციელი?

— არ მოგწონს? ძალად მოგაწონებთ.

— ჭკუაზე მოდი, ნუ თავხედობ!

— დამიხედეთ ამ სირისტიანს, — წამოიწია უცნობი — ჯონდი თუ დაგიჩაგრავს, ვაი დედაშენს ღმერთს! — და გურაშს თვალები გადმოუბრიალა.

— მადლობთ, ჯონდი! — გურამი წასასვლელად გამოტრიალდა.

— მოიცა. ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. დღეიდან თინა ჯონდის ეკუთვნის, თუ კიდევ გაგიბედნია ისეთი მეტიჩრობა, აი შენ რომ გიყვარს, კომსომოლებთან განხილვა, მაშინ რაც დაგემართოს, შენ თავს დააბრალე, — ისევ დაემუქრა გურამს უცნობი.

— ჯონდი, რაღ გადაგრია, მე თინასთან რა საერთო მაქვს?

— მაშ, რად გამოიდე თავი, რა გინდოდა, თავი რად მომჭერი ხალხში?

— უსამართლოდ თუ მოიქცევი, არც მერე დავტოვებთ თინას უპატრონოდ.

— კიდევაც იმუქრება, გამიშვით...

— მაგის დროც მოვა, ახლოს მილიციელია, არ ივარგებს ახლა.

— ფეხებზე მკიდია მილიციელიცა და ეგ მეტიჩარაც, გამიშვი, ერთი მაგის ღრიალი გაყურებინო.

ღვინით გაბოლენჩებული ჯონდი მზაკვრულად იღიმებოდა და გურამს უცქეროდა. გურამი მიხვდა, რომ ჯონდიმ წინასწარი განზრახვით მოაწყო ეს სცენა. უცებ მოტრიალდა და სასადილოდან გავიდა. კარებში ბიჭების დამცინავი ხითხითი მოესმა.

გურამი ვერ მიმხვდარიყო ჯონდის მტრულად შეხვედრის მიზეზს.

როგორ მოიქცეს, ახლავე მიიღოს გადამჭრელი ზომები და საქვეყნოდ თქვას ჯონდის ამბავი თუ პირადად მოლაპარაკება აჯობებს? საათზე დაიხედა. რამდენიმე წუთი აკლდა სამუშაოს დაწყებას. ნაბიჯს აუჩქარა და საამქროში შევიდა. მეორე ცვლის მუშები დაზგებთან ფუსფუსებდნენ. ის იყო ტანსაცმელი გამოიცვალა და დაზგისაკენ გაემართა და დირექტორიც წინ გადაუდგა. დირექტორს სათვალიანი, უპეებდაწითლებული, კოპწიად გამოწყობილი მამაკაცი ახლდა და დაკვირვებით თვალიერებდა გურამს. გურამმა იცნო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ინჟინერი გიგა ნებიერიძე.

ნებიერიძემ ძალდატანებით გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

— საგამომჭრელო საამქროში უკეთესია მუშაობა? — იკითხა მან.

— ღამაშების დამუშავება მოსაბეზრებელი საქმეა, — გურამს გაუკვირდა ნებიერიძის მოულოდნელი გამოჩენა.

— ფეხსაცმელების საპირეების გამოჭრა პასუხსაგები სამუშაოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა.

— ამხანაგო გურამ, ამ ფაბრიკაში თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ... — გაჩუმდა, გურამს მკლავში ხელი გაჩოსდო და საკუუნაოში გაიყვანა.

— ბევრი რამ, რა თქმა უნდა, თვალს სიამოვნებს, მაგრამ... — ისევ გაჩერდა — ხარისხს არ აქცევთ ყურადღებას. ფეხსაცმლის ხარისხი კი ჩვენი მთავარი ძიზანია.

— რას უწუნებთ? გუშინ ფაბრიკის დამხარისხებელმა მომიწონა ნაწუშევარი.

— ნუ ფიცხობთ.

— რახან ჩემს ნამუშევარზე ელაპარაკობთ, მისი ხარისხი უნდა დავიცვა კიდეც.

— ტყავის ეკონომიის ხარჯზე თქვენ მიაღწიეთ, რომ ყოველდღიურად ოცდაათ წყვილ საპირეს სჭრით.

— ოცდათხუთმეტს, — შეუსწორა გურამმა.

— თუნდაც ეგრე იყოს, — ნებიერიძემ გურამს ცალყბად გაუღიმა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ მეთოდით მუშაობა უკეთესია?

— რა თქმა უნდა, — დაუმოწმა გურამმა — ტყავს რაციონალურად გამოვიყენებთ, დანაკარგიც ნაკლები გვექნება და ზოგიერთებს გაუთვალისწინებელი ტყავის მარაგის მითვისების საშუალებას მოვუსპობთ.

— როგორ?

— აბა იკითხეთ ფაბრიკის ბუხჰალტერიაში, რამდენი დეცი ტყავის ეკონომია ჰქონდათ გასულ თვეში? იქ ამ საკითხზე პასუხს ვერ გაგცემენ.

— მაგითი რისი თქმა გინდათ?

— ამ თვის ნაჩვენებლებით საგამომჭრელო საამქრომ გეგმის ზევით ათასხუთასი წყვილი საპირე გამოჭრა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ საპირე ტყავის რაოდენობა არ გაზრდილა, პროდუქტი ეკონომიის ხარჯზე გაიზარდა.

— და მაინც ხარისხს ყურადღება უნდა მიაქციოთ, აი შეხედეთ?

— რას უწუნებთ?

— ლაქები და ნაფხაჭნები ზედაპირზე არ უნდა ეტყობოდეს.

— ლაქებსა და ნაფხაჭნებს გაცხელებული რგოლაკების საშუალებით მოვაცილებთ, ზედაპირი ჯერ ისევ გასაუთოებელია.

— თვალში გეცემა ადამიანს, ასეთი მასალით ფეხსაცმელი არ უნდა დავამზადოთ.

— თქვენ ზედაპირის გაპრიალებას უარყოფთ, გასაწმენდი სითხე მთლიანად სპობს ასეთ ხარვეზებს.

ნებიერიძე დადუმდა. თვალი მიაპყრო საგულდაგულოდ დამზადებულ საპირეებს და კიდევ ერთი მათგანი ამოარჩია. დიდხანს ატრიალა ხელში, ბოლოს ისევ გურამს მიმართა.

— მთელ რესპუბლიკაში ორი პროცენტი ეკონომიაა დაწესებული, თქვენ კი ექვს პროცენტს გვთავაზობთ, ვერ შეძლებთ, — ჩალაპარაკა ნირწამხდარმა და არც დამშვიდობებია, ისე გაშორდა.

გურამმა თვალი გააყოლა ნებიერიძეს და მიხვდა, რომ ამ ცერცვისფერ თვალებიან კაცს ეგრე ადვილად ვერ დაადწევდა თავს.

— ვნახოთ, — თავისთვის ჩალაპარაკა და დაზგასთან მივიდა.

გურამს ნესტორი მიუახლოვდა.

— არ გაგახარებენ, რომ არაფერი გამოსდით, ნამუშევარს გიწუნებენ. ძველ ნორმებს ვერ ელევიან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ᲨᲔᲚᲘᲙᲝ ᲛᲝᲮᲚᲜᲔᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲪᲔᲚᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲠᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲑᲐᲫᲐ.

„ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲗᲬᲔᲓᲔᲑᲜᲔᲑ“, — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲛᲐ ᲓᲐ, ᲓᲐᲮᲒᲐ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ.

— ᲘᲥᲜᲔᲑ ᲢᲧᲣᲝᲚᲐᲓ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲠᲗ? ᲘᲥᲜᲔᲑ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲣᲒᲔ?

ᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛᲛᲐ ᲣᲤᲠᲐ ᲛᲣᲧᲐᲝᲗᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ. ᲓᲦᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲮᲔᲓᲐ, ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲣᲨᲐ ᲘᲡᲔ ᲐᲛᲝᲣᲓᲒᲐ ᲒᲔᲠᲓᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲒᲝ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ? — ᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲡᲘᲜᲯᲘᲡᲐ, — ᲮᲘᲜᲯᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ.

— ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲝᲪᲓᲐᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲔᲢᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲐ.

— ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲮᲐᲠ ᲒᲣᲠᲐᲛ, ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲔᲧᲐᲠᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐᲮᲔᲖᲘᲗᲐᲜᲐᲡ, ᲐᲮᲚ ᲙᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ.

— ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲐᲐᲛᲓᲠᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲘᲒᲔ ᲛᲘᲪᲕᲘᲗᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲓᲐ, — ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡᲐᲗ ᲓᲐᲐᲧᲝᲚᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲛᲐ.

— ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲗᲚᲝᲐ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚ ᲜᲝᲠᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲔᲒᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲜᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ.

ᲒᲣᲠᲐᲛᲘ ᲠᲦᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲜᲝᲠᲛᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲐ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲩᲘᲓᲕᲘᲗ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲠᲝᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ, ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲗ. ᲒᲣᲠᲐᲛᲐ ᲙᲘ ᲔᲫᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲗ. ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲪᲔ ᲬᲐᲑᲐᲫᲔᲡ, ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲔᲛᲮᲠᲝ.

— ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘᲐᲜ? — ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ ᲘᲒᲘ — ᲝᲠᲘ ᲛᲘᲖᲖᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ. ᲐᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲔᲛᲘᲜᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲜᲓᲐ... ᲨᲐᲒᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ.

„ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲜᲣᲗᲣ ᲘᲡᲘᲪ? ᲘᲥᲜᲔᲑ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲑᲠᲛᲐᲓ ᲐᲮᲧᲝᲚᲜᲘᲐ? ᲬᲜᲐᲮᲝᲗ, ᲒᲐᲬᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ“, — ᲒᲐᲘᲪᲕᲚᲛ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ. ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ? ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲣᲬᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲡ ᲗᲣ... ᲕᲘᲪᲐᲠ ᲛᲝᲘᲡᲕᲔᲜᲔ, ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲔᲬᲝᲜᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ. ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲝᲭᲙᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ, ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲚᲐᲚᲛᲐ.

— ᲯᲐᲘᲣᲤᲝᲠ ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲢᲧᲐᲜᲐ.

— ᲙᲘᲓᲔᲕ ᲬᲣᲜᲐ?

— ᲐᲠ ᲘᲬᲘᲐᲠᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲘᲧᲝ!..

— ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲐᲛ ᲒᲘᲒᲐ, ᲛᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲝᲜᲝᲑᲓᲔᲓᲘ.

ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲛᲮᲠᲔᲑᲘ ᲐᲘᲩᲠᲐ.

— ᲛᲔ ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲜᲘᲐ, ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, — ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲣᲠᲩᲑᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲪᲘᲪᲐᲓ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲡ.

ᲒᲣᲠᲐᲛᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲣᲪᲔᲓᲘᲐ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲙᲝᲛ-ᲨᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ.

ᲛᲔᲠᲘ ᲦᲛᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲔᲒᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲡ.

— ᲛᲘᲛᲘᲦᲔᲑᲡ? — ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲒᲣᲠᲐᲛᲛᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავინ ჰყავს, მიბრძანდით.

ალექსანდრემ თავითფეხებამდე ჩაათვალიერა გურამი და სკამზე ანიშნა.

გურაშს ალექსანდრე შეცვლილი მოეჩვენა. თითქოს კუშტად უყურებდა, ჩვეულებრივადაც არ გაუღიმა.

„ამანაც იცის, მაშ მორჩა ყველაფერი, დამნაშავე ვარ“, — გაიფიქრა და მოუსვენრობამ შეიპყრო.

ალექსანდრე წამოდგა, მიუახლოვდა.

— რაზე შეწუხებულხარ? — ჰკითხა და საათზე დაიხედა.

— ძალიან დამტუქსეს, დამემუქრნენ კიდეც, — დაიწყო გურამმა და მთავარ ინჟინერთან მოიხდარი ამბავი დაწვრილებით მოუყვა.

— საგამომჭრელო საამქროში კომკავშირულმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, საშუალო განათლებით არიან, გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ, მაგრამ რა გამოვიდა. დირექტორი და სამინისტროს ზოგიერთი მუშაკი ხელს გვიშლიან, ამ დღეებში ერთი ახალგაზრდაც კი მოხსნეს.

ალექსანდრე გულდასმით უსმენდა. ამ დილით მასთან სამინისტროს წარმომადგენელი და ფაბრიკის დირექტორი იყვნენ. გურამის ნამოქმედარი სულ სხვანაირად დაუსურათეს.

მუშებს იბირებსო, თავის გარშემო ხალხს რაზმავსო, ისიც კი შეაპარეს, დირექტორობა უნდაო. დირექტორი გაგულისებული იყო. თავის მართლება იქიდან დაიწყო: უბრალო მუშა საუკეთესო სპეციალისტად ვიქციეთ და პარტორგანიზაციის მდივნად მისი კანდიდატურაც მე წამოვაყენეო. თითქოს მართალს ამბობდა დირექტორი, ეჭვს ვერ შეიტანდით. ალექსანდრე გურაშის გამოძახებასა და დატუქსვას აპირებდა. თავისი ფეხით მოვიდა, ყველაფერი უამბო. თითქოს გურამიც მართალია. დაკვირვებით ათვალიერებდა ახალგაზრდას ალექსანდრე, — არა, არ შეიძლება ამ ადამიანმა იმედი არ გამიმართლოსო, — ფიქრობდა. საიდან მოუაროს? მოუვლის, გაგზავნის სპეციალისტებს და ყველაფერს გაარკვევს, მართლაც თუ ისეა, როგორც გურამი ამბობს, ვიღაცეები სახელმწიფო ქონებას ითვისებენ. ალექსანდრემ ახლა უფრო დაკვირვებით შეხედა გურამს.

თავი მეთოთხმეტე

ფაბრიკაში ადრე მისულმა გურამმა წინა დღეს ჩატარებული პარტიული კრების ოქმს დახედა.

„ბოლოს და ბოლოს, ეს ფარატინა ქაღალდი საქმეს წინ ვერ წასწევს. ძველმარეობის გამოსასწორებლად ორი თვე ვივარაუდეთ. მაგრამ ეს ვადა თუ არ გვეყო, მაშინ რა უნდა ვიღონოთ? იქნებ აჯობებს თავი გავითავისუფლო? — გურამმა ოთახში ფართე ნაბიჯებით დაიწყო სიარული — მერე ამას რა მოჰყვება? უფრო გათავხედდებიან, მიისაკუთრებენ სახელმწიფო ქონებას, დაუსჯელად ინავარდებენ. არა, არა ასე არ ივარგებს“, — სკამზე ჩამოჯდა და კარგა ხანს წერდა.

ფაბრიკის ეზოში ხმაური გაისმა, მუშაობა იწყებოდა.

ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო და ორი ახალგაზრდა ვაჟი შემოვიდა. გურამს მიესალმნენ და გვერდით მიუსხდნენ. გურამი მოთმინებით ელოდა თუ რას იტყოდნენ მოსულები.

— ამ თვის შედეგები მაფიქრებს, ისევ ჩამორჩენაა, — დაიწყო გივამ, —

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩვენი საამქროს გამოშვებული პროდუქცია გასულ თვეში მთლიანად აღარ ...ცხეთ, ახალგაზრდებმა კი შეგასრულეთ გეგმა გადაჭარბებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც კვლავ ჩამორჩენა გვაქვს.

— რა არის ამის მიზეზი?

— მე ვფიქრობ, საამქროს მუშები დაინტერესებას არ იჩენენ, რადგან ფაბრიკა ჩამორჩენილია და წამახალისებელ ჯილდოს არ ელიან.

— მხოლოდ ჯილდოშია საქმე?

— არა გურამ, მუშებს გული გაუტყდათ. კარგსა და ცუდს რომ აღარ არჩევენ, ბეგრმა ხელი ჩაიქნია.

— მე მგონია, ხელის შემშლელები უნდა მოვიშოროთ და ახალგაზრდები უნდა მოვიყვანოთ.

— ასე არ ივარგებს, ელგუჯა, უნდა დავარწმუნოთ ისინი, სხვანაირად შეუძლებელია. ფაბრიკაში ბევრი მოწინავე მუშა გვყავს.

— ჩამორჩენილებიც.

— ჩამორჩენილების წყალობით მოწინავე მუშებიც იჩაგრებიან. თქვენ ის მითხარით, ბიჭებო, როგორ დავაღწიოთ თავი ამ ჩამორჩენას.

— გურამ! ასე არ ვარგა, თუ ზარმაცებს კუდს არ ამოვაძუებინებთ, არაფერი გამოგვივა.

— შენის აზრით, ვინც გეგმას ვერ ასრულებს, ფაბრიკიდან უნდა დავითხოვოთ?

— ყველა არა, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, ყველა მუშა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავარწმუნოთ და გავიყოლიოთ.

— რანაირად? არაფერი გამოგვივა. „ზოგიერთები“ დასცინიან ახალი შეთიდით ჩვენს მუშაობას. „სისხლი უდღეთ, რომ დამაჭრდებიან, მერე ვნახოთო“.

— მე ვიმეორებ, მუშების განთავისუფლება იმ დროს, როდესაც საერთოდ მთელს ფაბრიკაში მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა, ყოვლად დაუშვებელია.

— შენ რაც გინდა ისა თქვი და მე ასე მუშაობა აღარ შემიძლია.

— გაქცევა ხომ არ გინდა?

— ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ როცა კაცის სიტყვას ფასი არა აქვს, მაშინ ყველაფერი მოსალოდნელია.

— დღეს ვეღარა გცნობ.

— ვერც მე გცნობ. რჩევისათვის მოვედით, შენ კი...

— გივი! მე არ მომწონს შენი დამოკიდებულება ზოგიერთი მუშის მიმართ. ჩამორჩენილების გამოსწორებაც შესაძლებელია, მათი გათავისუფლების სასტიკი წინააღმდეგი ვარ და ბოლომდე ამ აზრისა ვიქნები.

— მაშ როგორ მოვიქცეთ, მე თავს არ ვიზოგავ, მინდა ფაბრიკა არ შევარცხვინო, ჩემს გვერდით რას აკეთებენ, ნეტავი გაექერინა, მიხედები, რატომ ვარ ასე გაბრაზებული. იქნებ განთავისუფლებაც ცოტა იყოს მათთვის.

— მჯერა.

— თუ გჯერა, კიდეც უნდა გამიგო. მათთან მუშაობა აღარ შემიძლია.

— ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა რას აპირებ? — გაბრაზდა გურამი.

ელგუჯა ამდენხანს წყნარად იჯდა, მაგრამ ნერვიულობდა და ხელში სათვალეს ათამაშებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გურამ! — დაიწყო ელგუჯამ — დირექტორთან შესვლა გადავწყვიტეთ, მე და გივიმ საკუთარი გეგმა შევიმუშავეთ. შენთანაც შემოვიარეთ, გვინდა, გაგაცნოთ, — ელგუჯამ სათვალე გაისწორა და ისევ გურამს მიუბრუნდა — თუ მოგვისმენ, კარგი იქნება.

— ასე არ ჯობია? — გურამმა მეგობრებს გაუღიმა და სკამზე ჩამოჯდა.

— ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, ადმინისტრაცია ზარმაცებს თუ არ მოგვაშორებს, მაშინ ზოგიერთები თვითონ გავშორდებით. ფაბრიკიდან კი არ წავალთ, ოციოდე ახალგაზრდა გავერთიანდებით, თვის ბოლოს გეგმები დიდი გადაჭარბებით გვექნება შესრულებული. ჩვენ გამოვიანგარიშეთ, თუ ისე ვიმუშავებთ, როგორც ახლა ვმუშაობთ, სასწაულებს მოვახდენთ.

— ესე იგი, ახალგაზრდული დამკვრელი ბრიგადის ჩამოყალიბებას მთავაზობთ, ხომ?

— არა, გურამ! მთლად ასე არაა. ჩვენი აზრით, ცუდი არ იქნება თუ ამ ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადას ვუწოდებთ. ჩვენ ხომ კომუნიზმის შენებლები ვართ, სახელწოდებაც ზედგამოჭრილია. რას იტყვი?

— ნამდვილად შესანიშნავი წამოწყებაა.

— ბრიგადაში მთლიანად ახალგაზრდობამ უნდა მოიყაროს თავი, თანაც მხოლოდ სანიმუშოებმა, როგორც შრომაში, ისე ცხოვრებაში. წარმოდგენილი ძალვს, სხვა საამქროებში დატრიალებული კორიანტელი. გამოსავალი აღარ ექნებათ, ან უნდა გაგვყვნენ, ანდა მართლაც განთავისუფლების მეტი აღარაფერი უშველით, — ელგუჯა აღტაცებული ლაპარაკობდა.

— კიდევ განთავისუფლება, დავანებოთ თავი ამ უკიდურეს ზომას, ჯერ ხომ არ ვიცით, რა მოხდება ფაბრიკაში. პირიქით, უკეთესი მომავლით უნდა დავაინტერესოთ, უნდა ვანახოთ ის სიკეთე, რასაც ახლადჩამოყალიბებული ახალგაზრდული კომუნისტური შრომის ბრიგადა მოგვიტანს.

— მაშ ასე, გადაწყდა.

— გადაწყდა.

— ნუ დავაგვიანებთ.

— გადადება არ ივარგებს.

— დირექტორს ახლავე გავაცნოთ.

გიორგი კაბინეტში მარტო იყო. გურამი და ივანისელი რომ დაინახა, მიესალმა და სავარძელზე მიუთითა.

გურამმა მოკლედ უამბო ახალგაზრდების გადაწყვეტილების შესახებ და დასძინა:

— კომუნისტური შრომის ბრიგადაში განსაკუთრებით ახალგაზრდები უნდა შევარჩიოთ, მათი მაჩვენებლები მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის.

— მეც ბევრს ვფიქრობდი, გამოსავალს ვეძებდი... — წყნარად ჩაილაპარაკა დირექტორმა, — თქვენი წინადადება საქმიანი მეჩვენება, რას იტყვით, ბრიგადირად ვინ დავნიშნოთ? — ორივენი გულდასმით შეათვალიერა — გივი, უარს ხომ არ იტყვი?

გივიმ მხრები აიჩეჩა.

— შევძლებ? რომ გამიჭირდეს?

— რას ვაკეთებთ, დაგეხმარებით, შე კაი კაცო, ხომ არ მიგატოვებთ.

გივიმ თავი დახარა, ეტყობოდა, ყოყმანობდა.

— გივის უფლება არა აქვს უარი თქვას ამ საპატიო მოვალეობის შესრულებაზე, — ჩაერია გურამი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მაშ ასე, გადაწყდა, — დირექტორმა ხელი გაუწოდა გივის. — ამხანაგო გიორგი! ერთ მტკივნეულ საკითხზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო, — დაიწყო გურამმა — დღემდე ჩვენ მუშებს საამქროების გამომუშავების მიხედვით ვაძლევთ ხელფასს. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, თუ მუშას ინდივიდუალური გამომუშავების მიხედვით გამოვუწერთ ხელფასს, უფრო დაინტერესდება.

დირექტორს შეეტყო, არ ესიამოვნა გურამის ეს წინადადება.

— არ გეთანხმები, გურამ! ყველას ხომ არ შეუძლია იმდენი გამოიმუშაოს, რამდენსაც, მაგალითად, თქვენ გამომუშავებთ?

— მე რა შუაში ვარ? — გაკვირვებით იკითხა გურამმა.

— თქვენ? მე ეს მაგალითი მიტომ მოვიყვანე, რომ დაგარწმუნოთ ამ წინადადების სიმცდარეში. თქვენ შესძელით და ორი პროცენტის ნაცვლად ექვსი პროცენტის ეკონომიას მიაღწიეთ. მერე აქედან რა გამოვიდა?

— ასეთ შედეგს ბევრმა მიაღწია, გამონაკლისი მხოლოდ მე არა ვარ.

— ვინც ვერ შესძლებს, იმათ რა ვუყოთ?

— უნდა დავეხმაროთ.

— გურამ, სიჯიუტე არ ვარგა, ზოგჯერ მეც უნდა დამიჯერო.

— გეთანხმები, გიორგი, მაგრამ ექვსი პროცენტის ეკონომია ბევრ წყვილ ფეხსაცმელს მატებს სახელმწიფოს. მერე და სად მიდის ახლა ამდენი დანაკარგი? რატომ უნდა ვიბრძოლოთ იმ ნორმების დასაცავად, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ შემოიღეს, როცა ნაკლებად კვალიფიციური მუშახელი გვყავდა და არც ასეთი ტექნიკური მოწყობილობით ვბრწყინავდით.

— თქვენის აზრით სად უნდა მიდიოდეს ტყავის დანარჩენი მარაგი? — იკითხა დირექტორმა.

— ჩვენთან ძალიან ბევრი კვალიფიციური მუშაა, მათ შეუძლიათ დაწესებულ ნორმებს კიდევ ექვსი პროცენტით გადააჭარბონ. ვინც არ აკეთებს, ან კვალიფიკაცია არ უწყობს ხელს, ან არ ინდომებს.

— ვითომ რა უნდა იყოს ამის მიზეზი? — იკითხა გიორგიმ.

— გამოგიტყდები და გულახდილად გეტყვი, — უთხრა გურამმა და ოთახში გაიარ-გამოიარა — ზოგიერთი მუშა ჩივის, რომ დღის ბოლოს საამქროს გამგე მამალაძე ტყავებს აგროვებს, ვითომდა საწყობში დასაბრუნებლად, სინამდვილეში კი არცერთი დეცი ტყავი არ ჩაუბარებია საწყობში, ამის შემდეგ რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ სწორედ მამალაძის საამქროში გვაქვს ჩამორჩენა?

— პირველად მესმის, — გაიოცა დირექტორმა — მერე მამალაძეს არაფერი უთხარით?

— რა თქმა უნდა, ვკითხე, თავი იმართლა, ტყავებს მაკულატურაში ვაბარებდიო.

— მერე თუ დაადგინეთ, როგორი ტყავი გაჰქონდა. იქნებ მართლაც მონარჩენი იყო?

— ხომ მოგახსენეთ, მუშებს გაუკვირდათ, იმათ ეგონათ საწყობში აბარებდა ტყავს მამალაძე.

— მამალაძეს კარგათ ვიცნობ, არაფერში შემიმჩნევია, — ნირწამხდარი ლაპარაკობდა დირექტორი — გურამ, ახალი ბრიგადის ჩამოყალიბება გივის შივანდოთ, თქვენც დაეხმარეთ. დანარჩენი შემდეგ გავარკვიოთ.

დირექტორის კაბინეტიდან ერთად გამოვიდნენ გივი და გურამი.

ელგუჯა, რომელიც მეგობრებს დერეფანში უცდიდა, მაოკენ წამოვიდა.

— არ უნდა იყოს ცუდი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისი რწმენა არა აქვს, ცოტა ენის ამყოლიც არის...

— არა, ბიუგბო, ჩვენი დირექტორი მხოლოდ ეუვიანია.

ამ ლაპარაკით მეგობრები გურამის კაბინეტში შევიდნენ...

— უპირველეს ყოვლისა, ბრიგადირობა მომილოცავს, — ხელი გაუწოდა გურამმა გივის, — იმედია, გვასახლებ, შენს ბრიგადაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, აბა შენ იცი, გივი.

— იმედი მაქვს, უარს არ მეტყვი შენს ბრიგადაში მუშაობაზე, — გაუღიმა ელგუჯამ ახალ ბრიგადირს — მოხუცება ბუზღუნით თავს მაბეზრებენ.

— ნესტორი აუცილებლად ჩაწერე, — მიუბრუნდა გივის გურამი.

— არ შეგვარცხვენს, ცოტა უფროსი კია, — დააყოლა გივიმ.

— ერიჰაა, შენ, მგონი სულ ახალბედებს გინდა მოუყარო თავი, არა ბიძია, ასე არ ივარგებს.

— არა, გურამ, გამოცდილი ამხანაგებიც გვჭირდებიან, უიმათოდ არ გამოვდგებით.

— თინა ტყემალაძე! ყოჩაღია, — მორიდებით წამოაყენა თავისი წინადადება გივიმ.

— ბიჭო, რა მორცხვად ლაპარაკობ. ბრიგადირი ხარ და ამიერიდან პასუხსაც შენ მოგთხოვენ. კადრები თვითონვე შეარჩიე. მერე ჩვენ არ გადმოგვაბრალო რამე, — გურამმა კარი გააღო, ბიჭები გარეთ გამოვიდნენ და ფაბრიკის შენობისკენ წავიდნენ.

— ჩემის აზრით, მათი სურვილის მიხედვით უნდა შეადგინო ბრიგადა, ასე აჯობებს.

— დამასწარი, გურამ, მეც ასე ვფიქრობ.

საამქროში შესულებს ახალგაზრდები შემოეხვივნენ. ბიჭებმა მათ თავისი განზრახვა შეატყობინეს.

— რას იტყვი, ჯონდი? — შეეკითხა გივი ჯონდის და მხარზე ხელი დაარტყა.

— რა მეთქმის, თუ მიკადრებთ, რატომაც არა, — წაილაპარაკა მან და გურამს გადახედა.

— იქნებ დიდთავაც ჩაეწეროს, — ელგუჯამ გივის თვალით ანიშნა მოშორებით მდგარ ყმაწვილზე.

უცებ ყველანი აყაყანდნენ. გივისკენ წაიწიეს.

— კმარა, — დაიძახა გივიმ, — ოცი კაცია, მეტის უფლება არა მაქვს.

შედგენილი ბრიგადის სია მეორე დღეს დირექტორს წარუდგინეს, გიორგიმ ბევრი ილაპარაკა და სიაში რამდენიმე მუშა შეატანინა. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

იმ დღეებში გურამს ცუდად ეძინა. საქმემ გაიტაცა და თავი დაავიწყდა. შედეგს მოუთმენლად ელოდა. ეს მისი უკანასკნელი ცდა იყო. ახალგაზრდებს უსათუოდ უნდა გიმართლებინათ მისი იმედები...

ბვიან გაელვიძა, მოთენთილი იყო. მაგრამ ივარჯიშა და უგუნებობაც გაუქრა. პირდაპირ საამქროში შევიდა.

— გურამ, ბიჭები ხალისიანად მუშაობენ, იმედი მაქვს გავამართლებთ ხდომას, — გახარებულმა ივანისელმა გურამი საამქროს გვერდით მდებარე საკუჭნაოსკენ გაახედა, — აბა შეხედე, გუშინდელი პროდუქციაა, ორასოცი პროცენტით შეესრულეთ დღიური გეგმა. ჯერ სადა ხარ!..

„თავისი ადგილი იპოვეს ბიჭებმა“, — გაიფიქრა გურამმა და საამქროს მუშები შეათვალიერა.

ბრიგადირი გვერდიდან არ შორდებოდა გურამს. დაწვრილებით უხსნიდა ყველაფერს. გურამმა შორიდანვე შეამჩნია ჯონდი, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე ეჩიდებოდა მას.

გურამი თვალყურს ადევნებდა ჯონდის. თავს აიშვა. სამსახურში აგვიანებდა, ხშირად ლოთობდა. თინამ შესჩივლა გურამს, ჯონდი არ მასვენებსო, ხშირად მიხვდება ქუჩაში მთვრალი და შეურაცხყოფასაც კი მაყენებსო, გურამმა გადაწყვიტა ჯონდის გამოსაუბრებოდა.

— გამარჯობა ჯონდი! — მიესალმა და გვერდით დაუდგა.

ჯონდიმ თავი უღიმღამოდ დაუქნია.

— რას მოგიწყენია, ხომ არაფერი გაწუხებს?

ჯონდიმ უნდობლად შეხედა გურამს.

— რა უნდა მაწუხებდეს, ძალიან კარგად ვარ, ექიმი არა მჭირდება.

— მუშაობამ ხომ არ დაგძალა?

— რას მატყობ სამაგისოს?

გურამმა ლაპარაკს თავი ვეღარ მოაბა და გაეცალა ჯონდის.

— გურამ!

გურამმა გივის მოხედა.

— ჯონდი სულ შეიცვალა, ვეღარ იცნობ, ხშირად უხეშობს, არ მემორჩილება. მინდა დირექტორს ვუთხრა, მაგრამ იქნებ გამოსწორდეს. გუშინაც მთვრალი მოვიდა, საუშაოზე არ დავუშვი. კინალამ მუშტი-კრივზე გადავიდა.

— მე მეგონა ჩემთან შემთხვევით მოუვიდა-მეთქი, როცა ბრიგადის წევრებს არჩევდი, განზრახ შევიკავე თავი, არაფერი გითხარი. აი თურმე რაგორ იქცევა!..

— მითხარი, რაშია საქმე?

გურამმა კითხვა აღარ გაამეორებინა გივის და დაწვრილებით უამბო იმდღევანდელი ამბავი.

— მერე და რატომ დატოვე უყურადღებოდ? სწორედ არ იქცევი გურამ! თავზე წამოგაჯდება, უარესს იზამს.

— სწორი ხარ, მაგრამ იქნებ შეიგნოს, ყოველთვის არ ვარგა ასეთი ამბის საქვეყნოდ გამოაშკარავება.

— მეგობარი ხარ ჩემი და ერთ საიდუმლოს გაგანდობ.

გურამი სმენად იქცა.

— თინას რომ რამე აუტეხოს, მე თავი ცოცხალი აღარ მინდა.

— შეყვარებული ხარ?

— ერთმანეთს პირობა მივეცით. უმაღლესს დავამთავრებ თუ არა, ვიქორწინებთ.

გურამს ჯონდის დაქადნება გაახსენდა. რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა. გივის რომ მოცილდა, გადაწყვიტა, ჯონდის მოლაპარაკებოდა. ცუდ ხასიათზე დადგა, საამქრო მაინც დაათვალიერა.

— ბიუბმა ასე მუყაითად თუ იშრომეს, სასწაულებს დავატრიალებთ, — გაიფიქრა გურამმა.

ამ საამქროში დაზგებიც კი უფრო უხეში და ტლანქი მოეჩვენა, სად იყო ის სიხალისე, რომელიც ახალგაზრდულ ბრიგადაში დატოვა...

ახალგაზრდები ცოტანი იყვნენ, უხალისოდ ელაპარაკებოდნენ.

— დროზე თუ არ მივიღე ზომები, ეს საამქრო ფაბრიკას ჩამოარჩენს, — გაიფიქრა გურამმა და ილარიონს შეეხმიანა.

— ძია ილიკო, ავად ხომ არა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკოს არცკი აუხედავს.

— ავად არა ვარ, მაგრამ არც კარგადა ვარ, — უპასუხა ილარიონმა.

— რა არის მაგის მიზეზი? — არ მოეშვა გურამი.

— ხალისი დამეკარგა, ცოლშვილის რჩენა მიჭირს, გასული თვის ნამუშევარი ორ კვირასაც არ გვეყო, აბა რა მაქვს სამხიარულო.

— აქ გამომუშავებაზე ხართ, თქვენზეა დამოკიდებული ყველაფერი, აბა ბუქთად ხომ არავინ გამოგიწერთ ხელფასს.

— ეხ, რა გითხრა, მუქთად არაფერი მინდა, რაც მეკუთვნის, ის მომცენ, ბეტს არ ვთხოულობ. სულერთია ამ ფაბრიკაში შრომას არ აფასებენ, მე რაღა თავი შევაკლა, — წუწუნებდა ილიკო.

— გულს ნუ გაიტეხ, — დაამშვიდა ოსტატი გურამმა და მოშორდა.

საამქროს უფროსმა გურამს მკლავში ხელი გამოსდო.

— ამხანაგო გურამ! ჭკუაზე შეგშლის ეს ხალხი, მუშაობა არ უნდათ, ხელფასზე კი სულ ბუზღუნებენ.

გურამმა ლაპარაკი აღარ აცალა და თვითონ შეეკითხა მამალაძეს.

— გეგმას თუ შეასრულებთ ამ თვეში?

საამქროს უფროსი მოიკუნტა და პასუხი რომ ვეღარ მოძებნა, ქეჩო მოიფხანა, გურამს ძალდატანებით გაუღიმა და ილიკოსკენ მიტრიალდა.

— ასეთი ადამიანებით გეგმას კი არა და... ანდა როგორ ვარსებობთ.

— კი მაგრამ აქ სხვა მუშებიც გვყავს, ნუთუ ერთმა ადამიანმა შეგიშალოთ ხელი? მაგის გამოსწორება არაა ძნელი საქმე.

— არა, ამხანაგო გურამ! — დაიწყო გურამის ლაპარაკით შემკრთალმა საამქროს უფროსმა, — აქ ერთიმეორეზე უარესებს მოუყარეს თავი, არაფერი გამოვა, ახალგაზრდობა სულ სხვაა. ამათზე არაფერი ჭრის, მარტო ხელმძღვანელობას აგინებენ.

გურამმა მკაცრად შეხედა მამალაძეს, თავიდანვე არ მოსწონდა იგი და ახლა მისმა სიტყვებმა უცებ შეაჯავრა ეს კაცი. როგორ შეიძლება ის ადამიანი ხელმძღვანელად მუშაობდეს, რომელსაც არცერთი მუშა არ უყვარს, არაფრის იმედი არა აქვს და ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული.

— ცუდს ნუ იფიქრე ჩემზე, თავს არ დავიზოგავ საქმისათვის.

გურამი წამოწითლდა. უნდოდა იქვე მკვახედ ეპასუხა მამალაძისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. მუშებს მოერიდა. სწრაფად მიატოვა საამქრო და დირექტორის კაბინეტში შევიდა.

ბუხჰალტერმა გურამი რომ დაინახა, სკამიდან წამოდგა და კაბინეტიდან ხმაამოუღებლივ გაძვრა.

— ბოდიშს ვიხდი, მგონი ხელი შეგიშალეთ, მაგრამ გადაუდებელ საქმეზე მოვედი, ვეღარ მოვითმინე.

— არაფერია, ბუხჰალტერი გეგმაზე მელაპარაკებოდა, — უხალისოდ მიუგო დირექტორმა.

გურამმა დაკვირვებით შეხედა დიდებულიძეს. ამ ბოლო დროს სულ გაძოცვალა დირექტორი, მასთან შეხვედრასაც გაურბოდა. ბუხჰალტერთან საუბრის შემდეგ მუდამ ამრეზილი ხედებოდა.

— არა უშავს, კომუნისტური შრომის ბრიგადა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, — გაგრძელა დაწყებული საუბარი დირექტორმა.

— მართალი მოუხსენებიათ, თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერ არის. მეორე საამქროში მამალაძეს უჭირს საამქროს გაძღოლა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ძველი მუშაა, გეტყობათ ჯერ კიდევ ახლოს არ იცნობთ, — ᲛᲔᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ტინა სიტყვა გიორგიმ.

— მამალაძეს ვერ ვენდობით... — დაიწყო გურამმა.

გიორგი გულისყურით უსმენდა. იგი სულ არ იყო იმის წინააღმდეგი, რომ მამალაძე შეეცალაო. დირექტორს სულ სხვა აწუხებდა. გურამი სახელს დღითიდღე იხვეწდა. დირექტორს გულში შემძვრალი ჭია ხრავდა და გურამის წინააღმდეგ აქეზებდა, გიორგი ბუნებით სუსტი ხასიათისა იყო, თუ ერთხელ ვინმეს ამოიჩემებდა, მერე მტრისას!.. ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘ, შვანგირაძე და საწყობის გამგე უსისინებდნენ დირექტორს გურამზე, შენს სკამს ეპოტინებაო და გიორგიც თავს ვეღარ იკავებდა და ხშირად უმიზეზოდ ეკამათებოდა გურამს.

— მამალაძის მოხსნა არ ივარგებს, წესიერი მუშაობა დაგვერღვევა, თანაც ზემოთ იჩივლებს, ამას შემოწმებები მოჰყვება. არც თქვენთვის იქნება კარგი, კუდებს გამოაბამენ.

„ეს ადამიანი მშიშარაც უნდა იყვეს“, — გაიფიქრა გურამმა. აბა რას იფიქრებდა, რომ დირექტორი მამალაძეს მოსარჩლედ დაუდგებოდა...

— ჩემის აზრით, დღესვე უნდა მოაშოროთ მამალაძე ფაბრიკას, საამქროში კი უფრო გამოცდილი და საქმის მცოდნე კაცი დანიშნოთ. სხვანაირად ვერ მოვიშორებთ იმ ლაქას, რომელიც ასე გვარცხვენს.

გიორგი დაკვირვებით უყურებდა აღელვებულ გურამს და ამ კაცში გრძნობდა იმ ძალას, რომელიც ადამიანებს სწრაფად იმორჩილებს.

„ამასთან ხუმრობა არ ივარგებს“, — გაიფიქრა და უცებ დაუტკბა გურამს.

— კარგი, გეთანხმები, ყველაფერში გეთანხმები, — თქვა დაფიქრებულმა გიორგიმ და ახალგაზრდას ძალდატანებით გაუცინა.

პარტორგანიზაციის მდივანი გაოცდა. გაუკვირდა, გიორგი რომ უყოყმანოდ დათანხმდა. მხიარულად გამოეთხოვა და გარეთ გამოვიდა. გურამის გამოსვლისთანავე დირექტორთან ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘ შეკუნცულდა.

დირექტორმა ყველაფერი უამბო.

— მაგ გამოუცდელმა ღლაპმა თავისი გაიტანა, ხომ გეუბნები დროზე იმოქმედე-მეთქი, თორემ მერე შენს თავს დაბრალებ. ეგ ბიჭი არ მომწონს, ამ მოკლე დროში ყველაფერს ალღო აუღია, მალე ჩვენც აგვიკრავს გუდა-ნაბადს და აქაურობას დაეპატრონება.

ალექსი ცოტახანს შეჩერდა, დირექტორს დააკვირდა. უნდოდა გაეგო, თუ მისმა ნათქვამმა როგორ იმოქმედა უფროსზე.

— ჩამორჩენილი ფაბრიკა მოწინავედ გადაიქცევა, ამის ინიციატორი კი ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი იქნება, შენ რა, მადლობას გეტყვიან თუ!.. მოგშვლიპავენ და მაგ ღლაპს დასვამენ შენს ადგილზე. ღმერთმა დასწყევლოს მაგისი თავი, ნეტავ რა თილისმა აქვს ისეთი, ყველას რომ თავს აყვარებს, — ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘ გაჩუმდა და გაცეცხლებულ დირექტორს შეხედა.

მოუსვენრად დადიოდა გიორგი კაბინეტში.

ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘ ხარობდა. პატარა კაცუნა ზეიმობდა, რომ დირექტორს საზრუნავი გაუჩინა და დამცინავად უყურებდა.

— წადი, — ხელით ანიშნა გიორგიმ ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘᲡ.

ალექსის არ დაუყოვნებია და სწრაფად გავიდა. გიორგიმ ძუნძულით მიმავალ პატარა ᲑᲣᲮᲰᲐᲚᲢᲔᲠᲘᲡ თვალი გააყოლა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაირო კაღაძე

ყორანი

What this grim, ungainly, ghastly, gaunt and
ominous bird of yore
Meant croaking „Nevermore".
Edgar Allan Poe

მზე რაა — მზერით ვერ წარმოიდგენ,
შუქი თუ ბნელს არ შეედარება, —
მწუხრი დაარქვი — გულს როცა იტკენ,
შუქი — წამიერ შენს ნეტარებას!
იმედს ლაჟვარდის ფერი ჰფენია,
უიმედობას ახშობს სიშავე,
მშვიდობის დილა მტრედისფერია,
ყვავ-ყორნით მხოლოდ ბნელს აღნიშნავენ...

მშვიდობას როგორ არ ვინატრებდი,
ქვეყნად მაშ რისთვის გამომარჯვნია! —
არა, ფიქრივით ფრთათეთრი მტრედი
სიმბოლოდ როგორ არ მიმაჩნია!
მაგრამ არწივი გვესვა ხელმწიფედ
და იმედს აგრე ვერ დავხატავდი, —
როგორ დავარქვა მტრედი ჩემს იმედს —
სწორედ არწივს ფრთებქვეშ გავთავდი!

გავთავდი? — არა! თავისგანწირვის
დრო თვით ჩემს ფეხრთით დასცეს მამებმა
და ვნახე გვირგვინ-აყრილ არწივის
დაუნდობელი დასამარება!
ახლა მეც მიყვარს ჩემს ირგვლივ როცა
დაეფინება ფრთათეთრი გუნდი
და იმ ბრძოლების სიმძაფრეს ვლოცავ,
კვლავ გულით როცა გულს დავუბრუნდი.

ვეალერსები ლექსებით მტრედებს
და აქვე, ახალ შენობის კართან
სხვა არაფერი არ მაიმედებს
თვით ამ შუქნათელ ცხოვრების გარდა.
ზამთარიც თითქოს ამ ერთ წამს ეძებს
ფრთების ფარფატით წამოვა ჩვენსკენ,
თოვლზე დაცვენილ პურის ნამცეცებს
თავაქოჩრილი მტრედები კენკენ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხიბლავთ მეტადრე ასეთი ხვავი
გუნდში ქურდულად შეჭრილ ბეღურებს
და ხის მახლობელ ტოტიდან ყვავი
შურით დასცქერის მათ ნაფეხურებს!
იხელთებს დროს და შეუნიშნავად
მოსწყდება ხის ტოტს ღრუბლის ნახევი
და კვლავ დათოვლილ მიწაზე შავად
დადის ვით განზრახ ნაკარნახევი!..

მე რა? — მეც ერთი მოქალაქე ვარ
და მირჩევნია ვთქვა ქალაქურად:
— ვხედავ და მიმძიმს... მე ჩემს ნახევარ
ცხოვრებას ომში ვთვლი დაკარგულად!
და ვგრძნობ, არაა გასაკვირველი,
ყბად ასაღებიც არაა თითქოს —
კაცმა ყოველთვის შავი ფრინველი
რომ ბედშაობად ამოიკითხოს.

ხომ გახსოვთ, მარად მოსაგონარი
სურათი თეთრად აქოჩრილ მტრედის,
და თვალუჩინატა ომის ყორანი
ჩასაქოლარი აჩრდილი მკვდრეთის!
ეს ორი ფერი თავს დასტრიალებს
გაჩენის დღიდან დედამიწასო, —
ცისქვეშ დარჩენილ ადამიანებს
დაგვძახის ედგარ პო და პიკასო!

მე რა? — მე ომის ნაიარები
მხოლოდ-და ლექსის ბწკარზე მაჩნია,
ლაღად იმ ცისქვეშ დავიარები
ფრენით რომ ფოლადს დაუფხაჭნია!
ხომ გახსოვთ მძაფრი ბრიალი ალის,
როცა დავძახეთ ავსულს არული,
მე დამრჩა ორი მილიონ თვალის
უთქმელი დარდი და სიხარული!

უნდა აქ მათი სიმართლეც ითქვას,
უნდა აქ მათი ხმაც ახმიანდეს,
ამიტომ არის რომ ყოველ სიტყვას
უკანასკნელი სუნთქვა მიანდეს!
ამიტომ არის რომ კარი-კარად
დავდივარ მე ამ ფიქრით გართული, —
ვაი მე, თბილისს თუ ნარიყალად
შემორჩენია ჩემი ქართული!

არა! მე ახალ თბილისს ვუმღერი
და შენობები ასცდნენ ჩარჩოებს,

ნუთუ წყალბადის შავი ღრუბელი
წაშლის ამ ქალაქს, ამ ხარაჩოებს!
არა, არ მჯერა! და უნებური
ფიქრია მხოლოდ, ფიქრი ფრთაშავი...
არა! — ბედს უკვე დაუფლებული
დგას უკვდავება მთაწმინდასავით!

არა, ცას ბინდიც არ დავუტოვოთ,
განათებული ვარ სინამდვილით,
მთაწმინდასავით მტრედებს უთუოდ
ისევ პიკასო ხატავს ამდილით...
დავდივარ. თვალი წამართვა ქუჩამ,
ლანდი ვარ? მზეში „ყოფნა არ მსურდეს!..
და მე ღამითაც თვალს აღარ ვხუჭავ
რომ საყვარელი დღე არ დასრულდეს...

ასეა... მაგრამ აქ ამასწინათ,
როცა შინ ისევ დავბრუნდი გვიან,
არ იქნა, დარდმა არ დამაძინა
და ღამით შუქი არ ჩამიქრია.
ჯერ კიდევ მარტი იდგა. ცოდა.
ქარმა კარგარეთ ხმა არ განაბა,
და განწირულად შემომწიოდა,
ფრთებივით სცემდა სარკმელს დარაბა!

როგორ არ უნდა შეკრთე მხილველი,
ნანობ გულდაგულ რომ არ ჩარაზე, —
ვით ორი ლანდი — ორი ფრინველი
მოაწყდა უცებ შუქს ფანჯარაზე.
აბა, რა იცი, რა მოეჩვენთ,
თქვა, განა თვალის შევლება კმარა,
ერთი იმ ყორანს ჰგავს, უეჭველად,
ერთხელ რომ უკვე დაგეჩხავლა „არა!“

ხოლო მეორე ოთახის ყვავილს
ყრუდ შემოჰყურებს მხრებდაკორტნილი,
აფრთხობს ქარყინვა თუ ავსულ ყვავის
მოკლე სულის თქმა, მოკლე ხროტინი.
შენ უცქერ, უცქერ მათ მოჩვენებას
და ნატრობ შენი ალალი ნდომით:
რომ შენს სიცოცხლეს, და შენს მშვენებას
აწ აღარავინ ერჩოდეს ომით...

და არ მთავრდება მათი არაკი,
არა, და ახლა არადაც მინდა...
ღამით ჩემს ირგვლივ ბრწყინავს ქალაქი
და მაღალ ანძით მღერის მთაწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადის ზამთარი, არხევს ყურთმაჯებს
და იმეორებს: — ბერიკაცი ვარ...
ქარი კი ისევ ცას აქუცმაცებს
და ბნელს ბუმბული თოვლად აცვივა.

დადის ზამთარი... მაგრამ გაზაფხულს
თვალები უკვე თოვლქვეშ ხედავენ,
ველი ხვალინდელ მზეს და რაც ამ გულს
ჩრდილად შემორჩა — იმას ვედავე!
და ბნელი ფიქრი თუ იმედს მიქრობს,
ნათელი — შუქად მომიფენია...
ვით ეგდარ პო და პიკასო ფიქრობს:
ყოფნა-არყოფნის ორი ფერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ მაჟუორია

გრემი

ძველ ნანგრევებზე დაუღვრია ბუნებას ცრემლი,
ცის მოზაიკას — ამ ვარსკვლავებს ასე ბრწყინავენ.
მოედინება ლოდებიდან
სუროს ჩანჩქერი
და ქვევით ერთვის ბალახების მწვანე მდინარეს.
ჩქეფდა სიცოცხლე...
მოსრეს,
მოჭლეს,
გაატიალეს...
ყორანთა ფრთებმა გადაფურცლეს ნეტარი დღენი. —
მეომარივით წევს მიწაში ქალაქი — გრემი,
თავზე დასტირის სისხლგამშრალი მემატიანე.
ვაბნეულ ქვებზე
თავწაკრული მიმოდის ნისლი,
ქარი აწყდება
დაშლილ სვეტებს გლოვის ნაღარით,
მიწა ბუხუნებს,
თითქოს ძვლების ჟრიალი ისმის,
იქნებ სიცოცხლეს უბრუნდება ნაქალაქარი...
არა, რაინდებს ისევ სძინავთ,
ალმების გიზგიზს,
რაშების ფლოქვებს
ღარ გააქვს მტერზე დგანდგარი...
სამარადისოდ,
საუკუნოდ
წასულა ძილში,
მაღალ კოშკების და ტაძრების საძმო საფლავი.
დადუმებულა,
დაშრეტილა
ედემი მწვანე —
აქ. ჩამარხულა ჩუქურთმები,
სიბრძნე ქართული...
ხავსიან ქვებზე არწივები ლესავენ ბრჭყალებს
და ნაქალაქარს აღვიძებენ ფრთების ფათქუნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ვით მებადური
ეწევა ბადეს
და ყრის ნაპირზე
დაწინწკლულ თევზებს, —
ასე ამოაქვს
გულიდან დარდი
ლექსს, წამონთებულს
ძვირფასო შენზე.
ამოაქვს სიტყვა,
ჯერ გაუმხელი
და აჩენს რითმას
ჩუქურთმის დარად.

მერე სტრიქონში
წუხილი ძველი,
ლესავს ახალი
ფიქრების დანას.
და როცა გრძნობა
დადნება გვიან,
თუ იმედივით
სულში არ ერთვის.
მე სასიკვდილოს
ვამსგავსებ ტყვიას,
ლექსის ბოლოში
მიჭედილ წერტილს.

ახალწლის ღამეს

ახლა სასტუმრო გემს ჰგავს ცარიელს,
ღუზა ჩაშვებულს, უეკიპაჟოს.
ნომრებში შუქი ალარ გიყმაყობს
და ლურჯ ვაზებში ძინავს ყვავილებს.
წასულა ყველა, არავინ არ ჩანს
ამ კიბეებზე ავლილ-ჩავლილი.
ადმინისტრატორს, — მარტოდ რომ
დარჩა,
მოსწყინდა გემის კაპიტანივით.
სახლში დაბრუნდა ყველა უვნებლად,
რომ დაიბედონ ტკბილი დღეები.

და საქმემოცლილ მეზღვაურებად
სხედან სართულის მორიგეები...
არა, არც მე ვარ მიუსაფარი,
მაგრამ აქ მინდა ღამე ვათიო.
თუკი მიმელის ვინმე ამ ღამით,
ვთხოვ, არ ეწყინოს და მაპატიოს...
მოვედი, ვნახე ქალაქი შენი,
ამ ახალიწლის ცისფერ ღამეში.
და მარტოდმარტო, სასტუმრო-გემით
მივცურავ თოვლის ოკეანეში.

მხატვრის ბედი

სერგო ზაქარიაძეს

შუქჩრდილების და ფერების ყღერა.
ახლა დარბაზში სინათლეს ფანტავს.
მაგრამ ნაღველის ტბა არის სცენა,
შავ ღრუბელივით ირხევა ფარდა.
და შენ სევდიან, გაბმული მზერით,
ჩაქერალ ღიმილში გაბნეულ ცრემლით,
წამებულ კაცის ცხოვრებას ხატავ.

ხატავ ჩაფერფლილ ჭაბუკურ ფიქრებს,
დამწვარი ბედის დაფლეთილ ტილოს.
ეით შავეთიდან მომსკდარი ზვირთი, —
არაყი სწამლავს გულსა და ფილტვებს.
შორი ოცნება ჭრაქივით ბოლავს,
ზნამსა და ქეძაფს აწვეთებს სულში,
დაუკარგია საწუთრის ნდობა,
ხელის კანკალით გამტყდარა ფუნჯი.

რამ გაამეფა მაინც ეს ფერი,
ეს ერთი ფერი კუპრივით შავი.
კახეთის რთველი, ჯეირნის ყელი,
თუ ორთაჭალის ბაღების ალი.
ამ ფერით არის გაზავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კრთი სამსხვერპლოდ გამზადებული
ვით უცოდველი, უშანკო კრავი.

ერთად გამწარდა ყველა სასმელი,
რაც გადაპკარი მიკიტნის დახლთან.
ის ქალი ისე აღარ გასვენებს,
ეს დაუნდობი ბედი რა გახდა.
აღარ გეშვება მარჯვენდამეხილს
და ძმაკაცებთან პურის გამტეხი,
თავად ცხოვრებამ გაგტეხა ახლა.

მკლავებში ჟონავს სარდაფის ნესტი.
ნისლივით თმებზე მიმხმარა ჭვარტლი.
და მეეზოვეს მრისხანე ფეხთით
მიწაზე დნება გამხდარი ლანდი.
ეედარ გიშველა ყალმის ჯადომა,
გვიან სცოდნიათ ფერებს დანდობა,
როცა არ ძალგიძს დანახვა მათი.

გვიან სცოდნიათ თურმე პატივიც.
აქ, უსახლოვ და იქ, უსამაროვ!
თუმც რა გინდოდა, სითბო პატარა,
დაკოდილ გულზე მცირე მალამო.
დასტური სიტყვა ნიჭის იმედად,
და სიყვარულის ღვთისთვის გამხელა.
მაგრამ მიწაც კი ვინ გაიმეტა,
გატანჯულ გულზე გადასაყრელად...

შუქჩრდილების და ფერების ქღერა,
მიწყდა, მინელდა ჩანგრეულ კართან.
ირმის თვალივით ჩამუქდა სცენა,
ალალ გულივით შეწუხდა ფარდა.
და შენ არწივო ქართული სცენის,
სადღაც, სულ შორს შორს გაბმული
მზერით,
მწარე ღიმილში გაბნეულ ცრემლით
სუნთქვა შეკრული ამთავრებ ხატვას...

ამთავრებ ხატვას... ამტყდარი ტაში —
ღონე მილეულს აგიხელს თვალებს.
მივდივართ და არ გვასვენებ გზაშიც.
ცახცახებ, შფოთავ, ახველებ მწარედ.
და ქარის ამტან, დარხეულ ზარით
ხეთა ჩრდილები იშლიან კარავს,
ძილი ერევა გადაღლილ ქალაქს,
და რეკლამებიც ხუპავენ თვალებს.

შენ კი არ გძინავს. იქ, სცენის მიღმა,
ჩანაღველებულ, ჩამჭკნარი სხივით,
ჩაგლურჯებია სახეზე გრიმი
და მოკრძალებით იშორებ ნიღაბს,
თუმც ვერ იშორებ იმ გულის ტკივილს.
ერთი ჭაღარაც აგენთო თმაში,
ეს ერთი ღამეც დამწვარი ღვივის.
და გვიან, მარტო მიჰყვები გამზირს,
შენს ფიროსმანს და საყვარელ
თბილისს.

დავით ჯავახიშვილი

ნაპირი



ნახატი **დ. ერისთავისა**

ბაიდა უდაბნო ადგილია კახეთში, ბოდბეს სამხრეთით, აუტანელი სიცხეებით გადახრუკული. შუა ზაფხულში აქ შეიძლება მთელი დღე იარო და სიცოცხლის ნიშანწყალიც ვერ შეამჩნიო. ვრცელი ტრამალები სევდისმომგვრელი ფერებითაა დაფარული. გახურებული ჰაერი წყალივით ლივლივებს ჰორიზონტზე და ზღაპრულ ელფერს ადებს დასიცხულ მიდამოს. სუსტი ნიავი გადამხმარ ბალახს გააშრიალებს დროდადრო, წყურვილისაგან დამსკდარი მიწა შვებით ამოისუნთქავს და... კვლავ სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდება ირგვლივ.

მიდიხარ... მიდიხარ... ბაიდა უსაზღვრო გეჩვენება, როგორც სამყარო.

ნამდვილი უდაბნოს მსგავსად, მასაც აქვს თავისი ოაზისი: ვერხვების, ტირფების, კოწახურის ლამაზ ჭალებში იორი ახალი ტუსაღის სიჯიუტით ფხეკავს თიხიან ნაპირებს და გველივით მიიკლაკნება.

სიცოცხლე ბაიდაში ამ ამღვრეულ მდინარეს მიუყვება და მას კანონი იცავს. დაფიქრებული თუ მისდევ ივრის ნაპირებს, ბევრჯერ შეკრთები მოულოდნელად: ხან შენგან შეშინებული კურდღელი წამოხტება ცხვირწინ და გულს გაგიხეთქავს; ხან წყალზე კენტად ჩამოსული კაკაბი გაიჭრება ცაში ტყეიასავით... უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში გონს მოსვლას ვერ მოასწრებ, გარკვევით მოგესმება: მძიმე ნაბიჯებით გიახლოვდება საიდანღაც მსხვილი ცხოველი... დათვი! — გაგიელვებს, გაირინდები და სისხლი გაგეყინება. მერე მიხვდები, რომ ეს შენივე დამფრთხალი გული ხმაურობს და ნაძალადევად გაიცინებ. მერე მოგაგონდება, რომ თანა გაქვს თოფი, ორლულიანი, ყოველშემთხვევისათვის დატენილი, უკვე ნამდვილად დამშვიდდები, მაგრამ... ხის ხმელი ტოტი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდანვე შეამჩნიე გზაზე რატომღაც და რომელსაც ფეხით გატეხვა დაუპირე, ზამბარასავით დაეხვა უცებ და შენს წინ აღიმართა.

გაურზა!

დამატებულობა ზღვარს აღწევს. თუ ვერ გაუძელი, გაურზა ელვასავით სწრაფია და დაგასწრებს. მასთან დამარცხება კი ხშირად სასიკვდილოა, ბაიდაში — უფრო ხშირად.

შენ არ იბნევი და თოფის ხმას ივრის გასწვრივ გაჟიმული ბორცვების ქედი უკან გიბრუნებს. კვლავ სიჩუმეა.

კვლავ სიჩუმეა. მხოლოდ ივრის შხუილი ისმის, მაგრამ იმდენად ობოლია ეს ხმა და იმდენად ერთფეროვანი, რომ სიჩუმეს თითქოს ვერც არღვევს.

შემოდგომაზე სიცხე იკლებს; იორი ცივდება და აგრილებს ჭალებს; მზის სითბო სასიამოვნო ხდება უკვე და გამოცოცხლება იწყება მაშინ ბაიდაში;

უფრო ხშირად შეხვდები წყალზე შორიდან ჩამორეკილ ცხვრის ფარას, შეხვდები და უზარმაზარი, ყურებდაჭრილი ნაგაზების მრისხანე ალაში მოექცევი. მაღალბობოხიანი თათარი მწყემსი, ჩობანი, გრძელ მათრახს გაატყლაშუნებს. შუსტვენს და ქოფაკებიც მორჩილად ჩამოგცილდებიან.

— სალამ! იოლდაშ!

— ალეიკუმ სალამ!—და ყვითელ კბილებს გამოგიჩენს; უფრო ხშირად ნახავ დაბურულ ჭალაში შეშა-ფიჩხის მოსაგროვებლად ახლოველი სოფლებიდან წამოსულ გლეხებს, ვის — ცხენით, ვის — უცხენოდ, უკან, ქამარში გაჩრილი გრძელტარიანი ცულით ან წალდით.

ივრის ნაპირას კოწახურის პაწია, გამუქვირავლე მტევნებით ლალისფრად დაზუნძლულ ბუჩქებს შორის მოულოდნელად წაეყრდები პატარა კარვებს. ეს გეოლოგიური ექსპედიციაა — თითქმის ყოველ წელს, სიცხეების მიუხედავად, გაზაფხულზე ჩამოდის და გვიანი შემოდგომის წვიმებამდე რჩება აქ. ყოველთვის ამ ადგილას ბინავდება თურმე, რამდენიმე მაღალი ვერხვისა და ტირიფის მუდმივ ჩრდილში; ფონტაც აქ არის იორზე.

არასოდეს ვყოფილვარ ბაიდაში აქამდე, ამ ექსპედიციას ჩამოვყევი პირველად, არც არაფერი გამიგია ან წამიკითხავს მის შესახებ. ამიტომ თუ დამიტოვა წარუშლელი შთაბეჭდილება ამ მხარემ. მოულოდნელად აღმოჩენილი სილამაზე უფრო გზიბლავს ყოველთვის, ვიდრე სახელგანთქმული და აღიარებული.

მინდა ხშირად არ მომიხდეს აქ ყოფნა, რათა შთაბეჭდილება არ გამიხუნდეს და ყველაფერი, რაც აქ მხიბლავს, ჩვეულებრივი არ გახდეს ჩემთვის. მხიბლავს: ბაიდას მაღუფარა სიწყნარე, გარეგნული ერთფეროვნება, მუდმივი სევდა. მე მინდა ჩავწვდე ამ სევდას, გავუგო რამე, გავიზიარო... ვერ ვახერხებ და საკუთარი სევდა მერევა.

არ ვიცი რა არის ეს სევდა, ვიცი მხოლოდ: იგი კიდევ უფრო ამშვენებს თავისებურად ლამაზ მიდამოს, ნისლად ედება საღამოობით დაბურულ ჭალებს, გახურებულ ჰაერთან ერთად ლივლივებს შუადღეზე და ღამის სიბნელეში შთანთქმული, დილის ნისლთან ერთად მცირე ხნით იფანტება...

ბუნებას ადამიანივით სძულს, როცა ვინმე ცდილობს მის სულში ჩახედვას და... ჩემს ფიქრებს კარავში შეუმჩნევლად შემოპარული ბაიდას უმთვარო ღამე ერევა.

I

თბილისიდან დილაადრიან გამოვედით. სიჩუმით გამოგვაცილეს ქალაქის ჯერ კიდევ ცარიელმა, გრილმა ქუჩებმა. მზე ამოსულიც არ იყო, როცა გომბორის გადასახვევი მარცხნივ დავტოვეთ და მალე სართიჭალა და პატარძეულიც უკან დაგვრჩა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შეუდარებელია შემოდგომა კახეთის გზებზე!

ვერავითარი პოეტური შედარება ვერ უახლოვდება სინამდვილეს. მხოლოდ საკუთარი თვალით ნანახი თუ გამოიწვევს შენში იმ აღტაცებას, რომელსაც ეს ქარვისფერი, ბარაქიანი შემოდგომა იმსახურებს. ან კი რა აღწერს გასაშრობად გამოკიდებული ჩურჩხელების, არყის სახდელი ქვაბებისა და ცეცხლის, რქაწითელისა და საფერავის ჯაგნებისა და აკიდოების სილამაზესა და სურნელებას?!

ჩვენი შოფერი გოგია ამ ადგილებში გაზრდილი ბიჭი იყო. რაც ჩვენთან დაიწყო მუშაობა, უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოში უხდებოდა ყოფნა; ჩანს მოენატრა თავისი მხარე და თითქოს მანქანასაც გადაეცა მისი განწყობა — მხიარულად მიჰქროდა აყვითლებულ ბუჩქნარსა და ხეებშორის გაკეთილულ გზაზე. ერთიორჯერ ავტოინსპექტორებმა აგვიწიეს ხელი; გოგია ოდნავ უნელებდა სვლას, გარეთ გამოყოფდა შავგვრემან სახეს და საგანგებოდ გაწერილებული ხმით ჭყიოდა:

— გეოლოგისტები მამყავს, გეოლოგისტები!..

ისევ მედიდური ხელის აქნევა და გზა ხსნილი იყო. (როგორც ყველა შოფერი, გოგიაც ავტოინსპექტორების ფსიქოლოგიის „ღრმა მცოდნე“ აღმოჩნდა.)

„გეოლოგისტები“ სამნი ვიყავით მანქანაში. კაბინაში მარინე იჯდა, ჩვენი ახალი თანამშრომელი, მეტად უცნაური ხასიათის გოგო, თან ნაზი, თან ქალა-ბიჭა, ოდნავ ჯიუტი და ძალიან ეშხიანი. იქნებ მისი ბრალიც იყო გოგიას ასეთი მხიარული განწყობილება?

ზევით ჯუნა და მე ვიჯექით.

ჯუნაც გოგიასავით შავგვრემანი იყო, მაგრამ ნაკლებად ჯმუხი, უფრო შუბლგახსნილი. რაღაცნაირად მოეხერხებინა ქალაქიდანვე გაუპარსავად წამოსვლა და ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ამით: მთელი გზა ხელით აწვალებდა შავი წვერით დაფარულ ნიკაპს. ყოველთვის ეზარებოდა პარსვა და არასდროს უშვებდა ხელიდან წვერის მოშვების შემთხვევას. ექსპედიციებში თვეობით არ იპარსებოდა ხოლმე და პირველყოფილ, ბანჯგვლიან ადამიანს ემსგავსებოდა. მე ძალიან მიყვარდა ჯუნა. ჩემთვის ის, იმ ადამიანთა მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ყოველთვის გიყვარს, ვისი იმედიც ყოველთვის და ყველაფერში გაქვს, ვისაც თითქმის ყველაფერს აპატიებ.

მე მიყვარდა მისი სერიოზულობა მუშაობის დროს, მისი გადამდები მხიარულება, მისი სრულიად ბუნებრივი ტაქტი ყველაფერში. მიყვარდა მისი ერთადერთი სუსტი ადგილიც: რატომღაც განიცდიდა თავის სიმაღეს და ბავშვურად ბრაზდებოდა ხოლმე, როცა „ტარაკანს“ ვეძახდი, განსაკუთრებით — სხვების გასაგონად. მე კი თითქმის არასოდეს მიმართავდი სხვანაირად და ისიც წინასწარ ბრაზდებოდა ჩემს დანახვაზე. მე ვგრძნობდი, მაინც ვუყვარდი... გვიხაროდა ერთად მუშაობა ექსპედიციებში, ერთად ქეიფი, ნადირობა...

ორივე ჩუმად ვიჯექით. მძღოლ ლაპარაკი მანქანით მგზავრობის დროს, როცა ქარი გტაცებს ხმას და უნდა იყვირო, რომ ვინმეს რამე გააგონო. ჩვენ ჩუმად ვიჯექით და მე სულ ჯუნაზე ვფიქრობდი რატომღაც. ვფიქრობდი და მეღიმებოდა. რა კარგია, როცა შენს გვერდით ასეთი საყვარელი და სიმედეო ადამიანია! შეუდარებელია ასეთი შემოდგომა კახეთის გზებზე! და არა მარტო კახეთის გზებზე!

. . . . . .

ფიქრებიდან მანქანის გაჩერებამ გამომარკვია.

— ჩაილური! — ამოგვძახა გოგიამ. — მე მამშვიდა და თქვენი არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაილურში თავისებური ბაზარი იცის. ის უფრო საქორწილო სუფრას მოგაგონებს, ვიდრე გასაყიდად გამოტანილი სანოვაგის გროვას...

უკვე ცხრა საათია, ჯერ კიდევ გრილა მაინც და კაცი სიამოვნებით გადაკრავს პატარა ჭიქით ჭაჭის საოცრად სურნელოვან არაყს, მერე ცივად მოხარშულ დედლის ბარკალს დააყოლებს... თუ ტკბილი გიყვარს — ჩურჩხელებიც ბევრია, ლეღვის ჩირიც, ოდნავ დამჭკნარი ყურძენი, სქელი თათარა...

ეს ბაზარი სიჩუმითაც გამოირჩევა სხვა ბაზრებისგან: უხმოდ სხედან, კალთებს არ გაგლეჯჯენ კახელი დედაკაცები: გინდა? — იყიდე და ღმერთმა შეგარგოს! არ გინდა? — და ისევ: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო!

— აბა! გოგია! — ამბობს ჯუნა, — არაყს მოეცალე!

— არა, ჯუნაჯან! მარტო ვსუნამ! — ეშმაკურად იღიმება გოგია.

მარინეს ერთ ხელში მოზრდილი აკიდო უჭირავს, მეორეში — უკვე მოკბეჩილი, დიდი ჩურჩხელა, და მანქანისკენ მიდის.

მე არ ვიცი რამ გამაბრუა, ჭაჭის არაყმა თუ...

— წავედით! — ამბობს გოგია.

...შეუდარებელია შემოდგომა კახეთის გზებზე!

II

ყოველი თვის ბოლოს თბილისში ჩავდიოდით ხოლმე ორნი, ანგარიშის ჩასაბარებლად, თან ნავთობისა და ქანების ნიმუშებით სავსე ყუთებიც ჩაგვქონდა. ორთა რჩებოდნენ და მუშაობას განაგრძობდნენ. ამჯერად ჯუნას და მე მოგვწია თბილისში ჩასვლა. ახლა მარინესთან ერთად ვბრუნდებოდით უკან. ის ახლახან გადმოსულიყო სამუშაოდ ჩვენს ინსტიტუტში და ჩვენს ჯგუფში ჩაერიცხათ. არ მინდოდა მისი წამოყვანა ბაიდაში, გაწვალდება-მეთქი — ვფიქრობდი... მარინე გაჯიუტდა და მაინც თავისა გაიტანა. გაწვალდება-მეთქი — ვფიქრობდი და კიდევ...

„გათავდა ჩვენი თავისუფლება, — გავიფიქრე მერამდენჯერ, — ახლა უკვე ვეღარ ვივლით ნახევრად შიშვლები. ბაიდაში კი ტანსაცმელი ფრიად ზედმეტ რაღაცად ეჩვენება ადამიანს. რას იზამ? ამასაც უნდა შევეგუოთ“...

— მე მეშინია ჩვენი „ერთობა“ არ დაარღვიოს მარინეს შემოჭრამ, — თითქოს ფიქრს მიმიხვდა და გამომიტყდა ჯუნა.

არ მოველოდი და გამიკვირდა, მითუმეტეს, თბილისში ყოფნისას ერთი სიტყვაც ვერ ვთქმევინე ჯუნას მარინეზე. ჩემს ყოველ შეკითხვას უცნაური შემოხედვითა და დუმილით პასუხობდა.

— აბა რას ამბობ, შე მართლა ტარაკანო!

ჯუნა გაბრაზდა და არაფერი მიპასუხა.

მეც გავჩუმდი.

კარგა ხანია რაც ბოდბე და მაღარო გავიარეთ, გზატკეცილიდან გადმოვუხვიეთ და ახლა თითქმის უგზოუკვლოდ მიჰყავს გოგიას მანქანა.

გარშემო ერთფეროვანი ტრამალებია, ყოველი ბორცვი მეორესა ჰგავს.

— სწორე მიდის? — დაეკვებული კითხულობს ჯუნა.

— აბა რა! გოგია და — გზა შეეშალოს?

და ისევ ვჩუმდებით.

მე ჯუნას სიტყვები ამეკვიატა და ვეღარ ვიშორებ: „მე მეშინია ჩვენი „ეობა“ არ დაარღვიოს“... რა სისულელეა! ჩვენ ორს შორის, ყოველ შემთხვევაში, მარინე ვერაფერს შეცვლის და... დანარჩენებისა კი რა მოგახსენოთ.

აი, ჩვენი ჭალაც გამოჩნდა. ყოველთვის შორიდანვე ვცნობ ჩვენს მაღალ ვერხვებს. იქ, კარვებში, გურამი და გიორგი გველოდებიან. დღეს ალბათ სამუშაოდაც არ გავიდოდნენ ჩვენს მოლოდინში.

გურამი საკმაოდ გულგრილია გოგოებისადმი, მაგრამ გიორგი?

მაინც რა უნდა მოხდეს ისეთი? ყველაზე უარეს შემთხვევაში: სამივეს შეუყვარდეს მარინე, რაც არა მგონია, რომ მოხდეს. თუნდაც ასე იყოს! მერე? როგორმე მორიგდებიან, თვითონ მარინე მოარიგებს, გათავდა და მორჩა! სისულელეა ამაზე ფიქრი!..

მანქანამ ფონი გადაიარა უკვე, ცოტახანს თიხიან ალმართზე იწვალა, ბოლოს სძლია ალმართს, გაივაკა და კარვების წინ შეჩერდა კიდეც. ერთ-ერთი კარვიდან წელზევით შიშველი გურამი გამოხტა და ხელებგაშლილი შემოგვეგება:

— სადა ხართ ამდენ ხანს, თქვე...

მარინე ახლაღა შეამჩნია, სწრაფად გაჩუმდა.

— უკაცრავად! ახლავე მოვალ... — დარცხვენილმა წაილუღღლუღა და კარვისკენ გაბრუნდა.

„დაიწყო!“ — გავიფიქრე მე.

მერე მე და ჯუნამ მანქანიდან ბარგი გადმოვტვირთეთ.

გურამს უკვე ჩაეცვა პერანგი და ხელმეორედ შემოგვეგება.

— გიორგი ძლივს გავადვიძე, ძილით გასკდა!

კარვიდან გიორგიც გამოვიდა. სახე შესიებული ჰქონდა ბევრი ძილით.

— გაიცანით, ბიჭებო, — ეთქვი მე, — ჩვენი ჯგუფის ახალი წევრი, მარინე.

— სასიამოვნოა. — გულღია ღიმილით თქვა გურამმა და ხელი ჩამოართვა.

— Мое почтение, мадмуазель! — ქუსლი ქუსლს მიარტყა გიორგიმ, თვალები გაუბრწყინდა.

მე მოველოდი ამას და მაინც გაბრაზდი. ჯუნასაც დაეტყო გაბრაზება.

ხუმრობა ვცადე:

— მარინე! ეს ჩვენი მზარეულია და ამიტომ გაეხარდა ასე თქვენი დანახვა, იმედი აქვს, რომ...

გიორგის მაინცდამაინც არ ესიამოვნა ჩემი „რეკომენდაცია“ და გამაწყვეტინა:

— იცით, მარინე, ესენი ზარმაცობენ და მართლაც მე მიხდება საუზმლის კეთება... და მართლაც იმედი მაქვს, რომ ცოტას მაინც მომეხმარებით, — თან ირონიულად გამიღიმა.

— რა თქმა უნდა, — სერიოზულად დაეთანხმა მარინე.

ჯუნა კარავში შევიდა.

— გურამ, — თქვა გიორგიმ, — კარავი გამაშლევინე.

— კარავი? რისთვის?

— მარინესათვის! — გაკვირვებული სახე მიიღო გიორგიმ, მერე ისევე დამცინავად გადმოგვხედა.

„დაიწყო ქულების დაგროვება“, — გავიფიქრე. მერე მარინეს ჩვენი ბანაკი გავაცანი:

— ეს სამზარეულოა, — მივუთითე ორ დიდ ქვაზე, რომელთა შუაც ნაცარი ეყარა.

— ეს — გზა „პირსაბანისკენ“... — ბილიკი იორზე ჩადიოდა.

— ეს — „წყალსაცავი“... — მიწაში ღრმა ორმო გვქონდა ამოთხრილი და შიგ, კასრით, სასმელ წყალს ვინახავდით სიგრილეში;

— ეს — „საწყობი“, ეს — მაგიდა, სასადილო... თქვენი „სახლიც“ უკვე მზად არის!

ბიჭებს კოხტად დაეჭიმათ ორადგილიანი პატარა კარავი.

— დიდი მადლობა, — გაუცინა მარინემ გიორგის და თავისი ზურგჩანთა და ჩემოდანი კარავში შეიტანა.

გიორგიმ დასაკეცი საწოლიც მოუტანა და უკვე მესამედ დაიმსახურა მარინეს ღიმილი და მადლობა.

„ო, რა მამაძაღლი ხარ!“ — გავიფიქრე მე და ჩვენს კარავში შევედი. ჯუნა თვალდახუჭული იწვა, მაგრამ მივხვდი, რომ არ ეძინა.

— დაიღალე?

— არა! — თქვა ჯუნამ.

— აბა რა მოგივიდა?

— არაფერი! თავი დამანებე!

გამიკვირდა, მაგრამ არაფერი ვუთხარი, მხრები ავიჩეჩე და ისევ გარეთ გამოვედი.

მარინე კარვის წინ იდგა და დამტვერილ ტანსაცმელს იბერტყავდა.

ბოგია მანქანის ქვეშ გაშხლართულიყო, რაღაცას უჩხიკინებდა, თან თავის საყვარელ ბაიათს ღიღინებდა.

გურამი ფიჩხის მოზრდილ შეკვრას მოათრევდა ჭალიდან.

გიორგი საუმელს აწყობდა ყუთებით გაკეთებულ პატარა მაგიდაზე:

— დღესაც მე მოგემსახურებით, ნამგზავრები ხართ, მერე კი — რიგრიგობით.

— სუფრა? დაგავიწყდა? — იხუმრა გურამმა.

„ეს ხუმრობაც მარინეს საყურადღებოდ თქვა“, — გავიფიქრე მე.

მარინე იღიმებოდა.

ვისადილეთ. გიორგის მომზადებულმა ჩახოხბილმა მარინეს მოწონება დაიმსახურა, მითუმეტეს, რომ ასეთი რჩეული კერძი მის პატივსაცემად იქნა მოფიქრებული.

საღამოთი, როცა დაბინდდა, დიდი კოცონი დავანთეთ და გარშემო შემოეუსხედით. მე გიტარაზე ვეცადე დაკვრა, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა, არც არავინ მთხოვდა დამეკრა, და გიტარა ისევ გვერდით გადავდე. გიორგი არავის გვაცლიდა ლაპარაკს, ათას მართალ და ტყუილ სასაცილო ამბავს გვიამბობდა, უფრო სწორედ — მარინეს უამბობდა, რადგან ჩვენ ეს ყველაფერი მრავალჯერ გვქონდა მოსმენილი. მარინეს გარდა არავინ იცინოდა, მაგრამ ეს კიდევ უფრო აშკარას ხდიდა გიორგის წარმატებას.

ჯუნა გულხელდაკრეფილი იდგა ფეხზე. მის უკან საოცრად გრძელი და მასავით მწუხარე ჩრდილი ეგდო მიწაზე. ჯუნა ცეცხლს ჩაშტერებოდა და ხმას არ იღებდა. თავის ტკივილი მოიმიზეზა — ყველაზე ადრე წავიდა დასაძინებლად.

ფიჩხს ალარ ვამატებდით და უკვე ქრებოდა კოცონი.

— ხვალ ადრე ვდგებით, მეგობრებო! — გააწყვეტინა გურამმა ოხუნჯობა გიორგის და ავიშალენით.

— მე პირველივე დღით უზომოდ კმაყოფილი ვარ, — უცნაური ღიმილით მითხრა მარინემ, — თქვენ კი არ გინდოდათ ჩემი წამოყვანა.

მერე ყველას საყურადღებოდ:

— ღამე მშვიდობისა!

მივხვდი, რომ ჯუნა მართალი ყოფილა გზაში და მარინემ მტრული გრძნობა აღმიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგიან წყალი დაასხა ცეცხლს, მერე სიგარეტი გააბოლა სიბნელეში და დასაძინებლად კაბინაში შეძვრა (ვერ გადავაჩვიეთ ამ შოფრულ ჩვეულებას!)

მგზავრობით დაღლილს მალე ჩამეძინა.

III

დილაობით ყველაზე ადრე მეღვიძებოდა. ველზე ცოტა ძილი მყოფნის და დილას ოდნავი ხმაურიც კი საკმარისია, რომ გამოვფხიზლდე.

ამ დილასაც შაშვის ჭახჭახმა გამაღვიძა. იმდენად გათამამებულიყო ბანაკის სიჩუმით, რომ კარვის კარამდე გაებედნა ხტუნვა-ხტუნვით მოსვლა და გაკვირვებული იხედებოდა შიგნით. როცა წამოვდექი, შეშინებული გაფრინდა.

ჯუნას საწოლი ცარიელი დამხვდა. თვალებს არ დავუჯერე, რადგან ჩვენში პირველი ზარმაცი იყო ჯუნა, ძლივს ვაღვიძებდით ხოლმე.

ჩავიცვი და როცა კარვიდან გასვლა დავაპირე, კარში ჯუნას შევეჩეხე. ბანაობაც მოესწრო იორში და — ჰოი საოცრებავ! — გაპარსულიყო კიდევაც. ამან იმდენად დამაბნია, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე, პირდაღებული ვუყურებდი.

— რას მიყურებ? — შემომიღრინა ჯუნამ.

არაფერი ვუპასუხე და კარვიდან გავედი.

ჯუნას ცეცხლიც დაენთო, დიდი ჩაიდანი მხიარულად შიშინებდა უკვე.

გრილოდა. სასიამოვნო იყო ცეცხლთან ახლოს დგომა, მაგრამ ეძლიე სიზარმაცეს და სირბილით ჩავედი მდინარესთან. ივრის წყალი ყინულივით ცივდებოდა ღამღამობით; გავუძელი მაინც, ვიდრე ტანი არ გამილურჯდა. როცა წყლიდან ამოვედი, სროლის ხმა მომესმა. გამიკვირდა და მერეღა მომაგონდა მხოლოდ, რომ მე თვითონაც ასე ვაღვიძებდი ხოლმე დანარჩენებს. კი მაგრამ...

— რატომ ისროლე, მარინეს შეეშინდებოდა!

— არა უშავს, მიეჩვევა! — რატომღაც გაღიზიანებულმა მიპასუხა ჯუნამ.

„აბა! აქ რაღაც სხვა ამბავია“, — გავიფიქრე მე.

გიორგი და გურამი ერთდროულად გამოვიდნენ კარვიდან.

— რომელი იყო ის ჭკვიანი, თოფი რომ ისროლა? — იკითხა გიორგიმ.

— მე, — გამომწევედ უპასუხა ჯუნამ.

გიორგი რაღაცის თქმას აპირებდა კიდევ, მაგრამ ამ დროს მარინეკ გამოვიდა გარეთ.

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო! — ღიმილით მოგვესალმა.

„სულ იღიმება“, — გავიფიქრე მე.

— რა მოკალით ამ დილაადრიან?

— „კარკადილი“, — ღვარძლიანად გაეცინა თავისავე ხუმრობაზე ჯუნას. მე გულიანად გადავიხარხარე.

გიორგიმ გაკვირვებული სახე მიიღო, მერე მარინესკენ მიატრიალა თავი, გაუღიმა და ხაზგასმული ზრდილობით ჰკითხა:

— როგორ გეძინათ?

— გმადლობთ, მშვენივრად.

„გიორგი ინარჩუნებს ტურნირის ლიდერობას“, — გავიფიქრე და ჯუნას გადავხედე. თვალი ამარიდა.

— გოგიას ეძინოს, — თქვა გურამმა, — დღეს ახლოს მივდივართ და მანქანა არ დაგვჭირდება.

მერე მაგიდას შემოვუსხედით და უხმოდ დავლიეთ ჩაი.

— მორიგედ ვინ რჩება? — ვიკითხე მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ! — თქვა გურამმა.

— სადილად რა დაგახვედროთ?

— რაც გინდა დაარქვი, — გადაიხარხარა გიორგიმ, — მაინც აჯაბსანდალი გამოგივა.

მარინეს გაეცინა.

ეს სრული სიმართლე იყო და მაინც გაბრაზდი. „რაღაც ღვარძლით ვეპყრობით ყველანი ერთმანეთს, — გავიფიქრე, როცა ბრაზმა გადამიარა, — ნუთუ მხოლოდ მარინეს ბრალია? რა შორსმჭვრეტელი ყოფილა ჯუნა“.

მარინე ისევ ილიმებოდა. ეს უმიზეზო ღიმილი ყველას თანაბრად გვეკუთვნოდა ჯერჯერობით და ალბათ სწორედ ეს ამწვავებდა „საშინაო მდგომარეობას“. ჩვენს ბანაკში, რაღაც უხილავი წინაღმდეგობანი გაჩნდა, გარკვევით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა ჯერ კიდევ.

„ყველაფერი თავისთავად გახდება ნათელი,—გავიფიქრე,—დროა საჭირო“.

— აბა, წავიდეთ! — თქვა გურამმა.

ბიჭებს ზურგჩანთები მოეგდოთ მხარზე. გიორგის საუზმეც გაემზადებინა.

— მე ჩაქუჩი არა მაქვს, — დამნაშავე ღიმილით თქვა მარინემ.

„ისევ ღიმილი! — გავიფიქრე მე. — ალბათ იცის, რომ ლამაზი კბილები აქვს და უხდება ღიმილი“.

— ჩემი ჩაქუჩი წაიღეთ, — შეეთავაზე.

— გმადლობთ, — ისევ გამიღიმა, — ნახვამდის!

— ნახვამდის! — ვუპასუხე და შეეამჩნიე, რომ მეც ვიღიმებოდი.

წავიდნენ.

მათი გზა აღმოსავლეთისაკენ იყო. ბორცვების თავზე მზე გამოჩნდა. ისინი ერთად მიდიოდნენ, ახლოახლოს — გიორგი და მარინე, მერე ჯუნა და გურამი. პირდაპირ მზისკენ მიდიოდნენ და მათს სილუეტებს ვხედავდი მხოლოდ, სილუეტები მუქი შავი იყო და მკვეთრად გამოირჩეოდა კაშკაშა ფონზე. თითოეულს გრძელი ჩრდილი მისდევდა უკან. ეს ჩრდილები ჩემსკენ თანდათან ვიწროვდებოდა და თანდათან შორდებოდა ერთმანეთს. უზარმაზარ მარაოს ჰგავდა ეს ყველაფერი.

„მშვენიერი კინოკადრი გამოვიდოდა“, — გავიფიქრე მე.

როცა ქედზე ავიდნენ, უკან მოიხედეს და ხელი დამიქნიეს. მხოლოდ ერთი არ მიქნევდა ხელს. ეს ალბათ ჯუნა იყო.

— ი! წავიდნენ? — მომესმა ზურგსუკან.

გოგია უკვე ამდგარიყო.

— რატომ არ გამაღვიძეთ, წავიყვანდი.

— ზარბაზანი არა გვაქვს და თოფის სროლა აღარ გაღვიძებს. არაუშავს, ახლოს მიდიან.

— ჰოო? მაშ თავისუფალი ვარ? — გაიღიმა გოგიამ. — დათოჯან! იცი რა?

— არ ვიცი, — ვუპასუხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რაც უნდა ეთქვა.

— რა კაცი ხარ, ვინც არ გიცნობს! — კბილები დაკრიჭა გოგიამ, — მოდი, იცი რა, მე წავალ და საღამოზე მოვალ, კარგი?

— სად მიდიხარ?

— აქვე აი, გლეხებმა შეშის ზიდვა დაიწყეს. ზოგს ურემი არა აქვს და ცოტას წავეხმარები, ჰა?

— წაეხმარები? რამდენად? — დამცინავად ვკითხე.

— ეჰ, დათოჯან! შენ გოგია არა გცნობია! ჩემიანებს ფულს გამოვართმევ? მარტოკა ბენზინის ჩავასხმევინებ და ეგ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე და ამდენს რომ ლაპარაკობ, დაჯექი და წადი რაღა! — შევუტია ხუმრობით.

— ვიცოდი, რო კაი კაცი ხარ!

— აბა, აბა! ქლესობა არ იყოს!

მანქანამ ხმაურით გადალახა იორი და მალე თვალს მიეფარა. მარტო დავრჩი. კარვიდან საწოლი გამოვიტანე და ხის ქვეშ დავდგი. თოფიც გამოვიტანე და ორივე ლული დავტენე, ერთში სამი ნიმფრი ჩავდე, მეორეში — ქაკანი. ზურგჩანთიდან პარაბელუმი ამოვათრიე, ქამარში გავირჭე. ჯიბიდან ჩემი უზარმაზარი დასაკეცი დანა ამოვიღე, გავხსენი და... კარტოფილის ფცქვნა დავიწყე. მერე მომაგონდა, რომ ჯერ ცეცხლი უნდა დამენთო. დავანთე. ქვაბით წყალი დავდგი. გიორგის დაწერილ რეცეპტს დავუწყე ძებნა და ვერ ვიპოვნე, ისიც კი არ მახსოვს — ჯერ კომბოსტო უნდა ჩავყარო, თუ ჯერ კარტოფილი. თუ ჭარხალი? ეშმაკმა უწყის! ინ ახლა კი მართლაც აჯაბსანდალი გამომივა. რაღა მე მომიწია მორიგეობამ პირველივე დღეს, როცა მარინეც აქ არის?!

შუადღისას, რაღაცნაირად, მოიხარშა ჩემი ნაცოდვილარი და მეც დავმშვიდდი.

ჩამოცხა.

აღარც მახსოვს, როგორ ჩამეძინა. ძაღლების ყეფამ გამაღვიძა. წამოვხტი და თოფს ვტაცე ხელი. ეს ჩვენი ნაცნობი მწყემსის, ისმაილას ფარა აღმოჩნდა, წყალზე ჩამოერეკა. მხოლოდ მისი ქოფაკები ყეფდნენ ამ ადგილებში ასე ბოხად და დიდხანს. ერთხელ კინადამ დამგლიჯეს ისმაილას ნაგაზებმა. მოულოდნელად შემომესივნენ და შემთხვევით თოფი რომ თან არ მქონოდა, აღარაფერი მიშველიდა. ლომებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ძაღლებს. თოფი ვისროლე ჰაერში და ამან გადამარჩინა. მას შემდეგ არ ვუყვარვარ ამ ძაღლებს და მეც სიამოვნებით ვერიდები მათთან სიახლოვეს.

— სალამ, ეფენდი! — ბობოხი მომიხადა და წელში ოთხად მოიკაკვა.

— ისმაილს სიცოცხლე! — თოფის ქნევით მივესალმე მეც. — ძაღლები მოაშორე აქედან!

ისმაილმა შეუსტვინა. მერე მომიბრუნდა:

— სანამ ისმაილ სოსხალი იყოს, ისმაილის ზაღლი...—მერე საჭირო სიტყვა ვეღარ მონახა და ხელი ჩაქნია, რუსულზე გადავიდა: — Не бойса-да! — მომიახლოვდა და მიწაზე ფეხმორთხმით მოიკეცა. სიგარეტი გამომართვა, გაბოლა და, როგორც ყოველთვის, შორიდან დაიწყო, ათას რაღაცას მიედ-მოედო, ჩვეულებრივი, აღმოსავლური ეშმაკობა მოიშველია. და ბოლოს მაინც ნაცნობ საკითხს დაუბრუნდა:

— თოფი დავაი რა! დავიდ-ეფენდი! შენ თოფი დავაი, მე ბირ სხვარი მოგესე, ჰა? სუფი სიტყვას გეუბნები?

ჩვენ „რამდენიმე ენაზე“ ვლაპარაკობდით ჩვეულებრივ, ხანდახან კი სულ უენოდაც — ხელებით, ფეხებით...

ამჯერადაც ხელით ვანიშნე ცივი უარი. არ მომეშვა. მთელი საათი აუღელვებლად იჯდა და მეთოდური სიჯიუტით ერთსა და იმავეს გაიძახოდა, ვიდრე ისევ ჩვეულებრივი დაპირება არ გამომტყუა:

— ახლა არა, ისმაილ! მუშაობას რო მოვრჩებით, მერე ვნახოთ, ყაბულ?

— აი მალადეს, დავიდ-ეფენდი! შენ კაი კასი ხარ! ყაბულ! ყაბულ! — და ისეთი კმაყოფილი სახე მიიღო, თითქოს თოფი უკვე მხარზე ეკიდა.

საწოლზე წამოვწექი და ისევ ძილი მომერია. სიზმარივით ვხედავდი, როგორ ერეკებოდა ისმაილა ფარას ისევ უკან, საიდანაც მოვიდა, როგორ დარბოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ წინ და უკან ერთგული ნაგაზები. ისმაილა ხან უსტვენდა, ხან საოცარი სიგრძის მათრახს ატყლაშუნებდა და აუჩქარებლად მიბაჯბაჯებდა ფარის უკან ამდგარ მტვერში თავისი მრუდე ფეხებით...

მერე კაჭკაჭი გადაფრინდა ხიდან ხეზე...

ნიავმა წამოუბერა დასავლეთიდან...

ის იყო საბოლოოდ უნდა ჩამძინებოდა, რომ ისევ სიზმარივით დავინახე: მარინე და ჯუნა ბანაკს უახლოვდებოდნენ. გამოვფხიზლდი, მაგრამ არ გავნძრეულვარ, თავი მოვიმძინარე.

გიორგი და გურამი არ ჩანდნენ.

— დასძინებია! გავადვიძოთ? — ძალიან ახლოს მომესმა ხმა.

— არა, — თქვა ჯუნამ ჩურჩულით. — ეძინოს.

მერე კარგა ძმიმე ზურგჩანთა მოიხსნა და კარავში შეიტანა.

— მაშინ რამეს დავახურავ, გაცივდება.

— მე დავიღალე, — თქვა ჯუნამ. — თქვენ?

— მე? არა, — მაგრამ ხმაზეც შევატყვე დაღლილობა. კინაღამ გამეღიმა.

მარინემ ნაბადი დამახურა. მესიამოვნა სითბო და ისევ სწრაფად მომერია ძილი. თავს ძალა დავატანე, რომ არ დამძინებოდა. „აქ რამე საინტერესოს მოისმენ“, — ვუთხარი ჩემს თავს. საერთოდ არც მაინცდამაინც ცნობისმოყვარე ვარ, მაგრამ რაც ჯუნას ეხება, ყველაფერი მაინტერესებს.

ჯუნამ ორი საწოლი გამოიტანა კარვიდან და ჩემგან მოშორებით დადგა. „არ მენდობა“, — გავიფიქრე და ოდნავ მეწყინა.

— წამოწექით, — თქვა ჯუნამ, — ცოტა დაისვენეთ და მერე დაიბანთ. გიორგიც და გურამიც ალბათ ერთ საათში დაბრუნდებიან და ერთად ვისადილებთ. ხომ არ მოგშივდათ?

— არა, არც ისე.

მარინე წამოწვა. ზამბარების ჭრიალით მიეხვდი ამას, თვალის გახელვისა მეშინოდა. მერე ცნობისმოყვარეობამ მძლია და გავბედე. ჯუნა თავის საწოლზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

— მე ხომ თითქმის ყველაფერი გიამბეთ გზაში ჩემზე, — თქვა მარინემ, — ახლა თქვენც მიამბეთ თქვენი ამბავი.

ყურები ვიქვიტე.

— ჩემი ამბავი? — ჩუმი ხმით თქვა ჯუნამ და ნაღვლიანად ჩაიცინა: — მე არაფერი მაქვს საამბობი... არაფერი საინტერესო... მე მარტო ვარ და...

— მარტო? — ვერ მიხვდა მარინე, — უცოლოდ, არა?

— არა! მე არავინ არა მყავს... — ჯუნა ღელავდა. — მე სულ მარტო ვარ...

მეც ყელში მომაწვა მღელვარება. რითი მოახერხა მარინემ ჯუნას ალაპარაკება? თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ჯუნას ვიცნობ და ერთი სიტყვაც არ გამიგია მისგან თავის თავზე, ეს გუშინდელი ნაცნობი კი...

ცხადია, ჯუნას უკვე უყვარს! ან აქამდე როგორ ვერ მივხვდი? თბილისშივე შეუყვარდა ალბათ. შეიძლება ადრეც ენახა სადმე, ვინ იცის?

აღარ ვცდილობდი ჯუნას ნალაპარაკევი მომესმინა. ეჭვი მახრჩობდა და ერთ მდგომარეობაში წოლამაც დამღალა. „გავიდვიძე“. საუბარი შეწყდა.

— დილა მშვიდობისა, — ხუმრობით მომესალმა მარინე და მომხიბლველად გამიღიმა.

„ტყუილად სწუხდებით, ქალბატონო, — გავიფიქრე, — მე არ ვთამაშობ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე დაბრუნდით? — ვითომ ნამძინარევი ხმით ვიკითხე და დავამთქ-ნარე. — ბიჭები?

— სადაცაა მოვლენ. — თქვა ჯუნამ. — არ გვინდოდა მარინეს დაღლა პირ-ველივე დღეს და ადრე დავაბრუნეთ. მე გამოვაცილე.

— გასაგებია, — თვალი ჩავუკარი ჯუნას გასაბრაზებლად. მიზანს მი-ვაღწიე: ჯუნა სერიოზული სახით მიყურებდა.

— სადილი მზად არის, — ვთქვი მე.

— გოგია რა იქნა?

— მალე დაბრუნდება, ბოდბისკენ წავიდა. ჭადრაკის თამაში გინდა?

— არა! — მკვახედ მიპასუხა.

„გეპატიოს, ტარაკანო!“ — გავიფიქრე და გამეცინა.

— რა გაცინებს?

— არაფერი, — ვუპასუხე, გიტარა ავიღე და რომელიღაც სევდიანი რომან-სი მომაგონდა.

— რამე სხვა დაუკარი, — მითხრა ჯუნამ.

— რასაც მარინე მთხოვს, იმას დავუკრავ, — რატომღაც თავმომწონედ ვთქვი მე. მაშინვე გავბრაზდი ჩემს თავზე, მაგრამ გვიანღა იყო.

— მე... — დაიბნა მარინე. — მე ვერაფერს გთხოვთ, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ვერ ვიტან გიტარას... და საერთოდ — მსუბუქ მუსიკას...

ბრაზი გამითკეცდა:

— მსუბუქი რა შუაშია? გიტარაზე ყველაფრის დაკვრა შეიძლება! ასეთ ადგილებში როიალს არავინ დაათრევს!.. — ხმასაც კი ავუწიე უნებურად.

ჯუნა ჩაერია:

— შენ რა? ბზიკმა გიკბინა? რას ცხარობ, რა მოგვივდა?

დავმშვიდდი და შემრცხვა.

— უკაცრავად, მაგრამ...— შევურბილე ხმას,— მე არ მიყვარს მხოლოდ სე-რიოზული მუსიკის თაყვანისმცემელნი! ადამიანს ყველაფერი უნდა უყვარდეს თავის დროზე, რაც კარგია, ცხადია. კარგი მსუბუქი მუსიკა კი არაფერით...

მანქანის საყვირმა შემაწყვეტინა „მონოლოგი“. გოგია ბრუნდებოდა. მარინე ნაწყენი მიყურებდა, თვალი ავარიდე.

— გამარჯობათ, ჯიგრებო! — გადმოგვძახა გოგიამ კაბინიდან და ხელის მუხრუჭი ღონივრად მოსწია. მანქანა ჩვენს წინ გაქანდა.

— დღეს ვქეიფობთ! ბიჭები არ მოსულან?

— არა.

გოგიამ ტიკი გადმოიღო:

— მაჭარია, მაგრამ დაუდექ!

— აფსუს, — ვთქვი მე. — ბორშჩს რა გვაჭმევს ახლა?

— ბორშჩი არა ისა, ჩვენ რომ ვიცით! — გაიცინა გოგიამ. — ისეთი სამწვა-დე მოვიტანე, რო... ბორშჩი მეორე დღისა სჯობია, ხვალ ვჭამოთ.

ჯუნამ ცეცხლი დაანთო.

მარინე ხახვის ჭრას შეუდგა.

ბინდდებოდა, როცა მწვადი მზად იყო და ბიჭებიც დაბრუნდნენ.

— რაღაც ბორშჩის სუნს არა ჰგავს! — თქვა გიორგიმ.

— ქეიფი! ქეიფი! — დასჭყივლა გოგიამ.

მაჭარი მართლაც მაგარი გამოდგა და კარგად შევჭიკჭიკდით. გიორგის ჭევრჩეტყველებას საზღვარი არ ჰქონდა; იმდენი ანეკდოტი ერთად არასოდეს მომისმენია. მარინე სიცილით იგუდებოდა. გოგიამ მწვადის ქებითა და ტრაბა-

ხით საქმე გაგვიჭირა. მე, ჯუნა და გურამი ბევრ მაჭარს ვსვამდით და სამივენი ჩუმად ვიყავით, მხოლოდ ხანდახან უნებურად გვეცინებოდა. გურამს დაეტყო, რომ დათვრა. ცოტა ხნის შემდეგ თვალი ჩამიკრა, გვერდზე გავიდეთო — მანიშნა.

— ახლავე მოვალ, — ვთქვი მე და კარავში შევედი.

გურამი შემომყვა. შეშფოთებული სახე ჰქონდა.

— ცუდად არის საქმე, — მითხრა ჩურჩულით.

— რა მოხდა?

— ვითომ არ იცი!

— რა საქმე?

— გიორგი გამომიტყდა: მარინე მომწონსო. შენ?

— რა მე?

— შენც მოგწონს?

— გიჟი ხომ არა ხარ!

— არც მე მომწონს! მატრაბაზია!

— მაშ რაღა გინდა? კარგად ყოფილა საქმე.

— ჯუნა?

— მოკლედ, ეგ ჩვენი საქმე არ არის!

— როგორ თუ არა! მა ვისი საქმეა?

— შენ მთვრალი ხარ, ხვალ ვილაპარაკოთ.

— მე? მთვრალი ვარ?

— რა გაყვირებს? ჩუმად იყავი!

გურამი მარტო დავტოვე კარავში და კოცონთან დავბრუნდი.

— მე ვიძინებ, — თქვა გოგიამ, — გემოზე ვიქეიფეთ!

— ჯუნა სად არის?

— დაწვა. მაგრად დათვრა ჯუნა, — სლოკინით მიპასუხა გოგიამ და მანქანისაკენ ბარბაცით წავიდა.

დაჩუტული ტიკი საცოდავად ეგდო კოცონის პირას.

გიორგი და მარინე გვერდიგვერდ ისხდნენ, ცეცხლს ჩასცქეროდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ.

— ღამე მშვიდობისა! — ზედმეტად ხმამაღლა ვთქვი მე.

არც კი მიპასუხეს. გავბრაზდი.

— ძილის დროა, გვიან არის! — და ცეცხლს წყალი დავასხი.

ჯუნა გაუხდელად იწვა საწოლზე. გვერდით, მიწაზე, პატარა რადიო ედგა — „ტურისტი“. მელოდიური ჯაზის ხმები ისმოდა კარავში. ჯუნას სახეს სიგარეტის სინათლე უნათებდა ოდნავ.

— ჯუნა... — დავპირე რაღაცის თქმა.

— ძალიანა გთხოვ: თავი დამანებე!

ხმა აღარ ამომიღია. დიდხანს არ დამეძინა მერე.

IV

რამდენიმე დღე ჩვეულებრივად, ერთფეროვნად გავიდა.

ჯუნა შეგნებულად გაურბოდა მარინეს და ნათლად ეტყობოდა, რომ დარდობდა. თითქმის არ ლაპარაკობდა, საქმეზე თუ იტყოდა მხოლოდ ორიოდ სიტყვას, ზარმაცად, უხალისოდ.

სამაგიეროდ გიორგის ვეღარ ვცნობდით: მხიარულობდა, ოხუნჯობდა. წამდაუწუმ ისმოდა მისი „мое почтение, мадмуазель!“, ან „пардон мадмуазель!“ ან რაღაც ამის მაგვარი იდიოტობა. გიორგი ჩემს ნერვებზე მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებდა უკვე. ერთხელ დავაპირე მერჩია — ნუ იქცევი ასე გულისამრევად-მეთქი, — მაგრამ ვერ ვაიგო, რას ვეუბნებოდი. მარინეს, როგორც ჩანს, მოსწონდა ასეთი ტონი და გიორგიც არ აპირებდა უკანდახევას.

„რა ჩემი საქმეა!?“ — გავიფიქრე მე და ჩემი ბიჭი გამახსენდა, პატარა კახა. ის უკვე თბილისშია, შინ. ნანაც. და ორივეს ალბათ ვენატრები. მეც ძალიან მომენატრა ორივე. მალეც ვნახავ. შვიდი ნოემბერი უკვე ახლოსაა და ალბათ ორიოდ დღით ჩავალთ შინ. თუმცა რა ვიცი როგორ გადავწყვეტთ, შეიძლება არც წავიდეთ.

— გურამ! საშვიდნოემბროდ რას ვაპირებთ? — ვეკითხები.

— რა უნდა დავაპიროთ? თბილისში წავალთ, აბა აქ რა გვინდა?

— რა კარგი! — უხარია მარინეს: — უკვე მომენატრა დედა, სახლი, ყველა.

— Не слишком-ли скоро? — იღიმება გიორგი.

„უხ! ერთი შენი ყბა გამასწორებინა!“ — ვფიქრობ ბრაზით.

— მეც მომენატრა რუსთაველზე გასეირნება, — ამბობს ისევ გიორგი, — გადასარევია თბილისი ამ დროს!

— რას გაჩუმებულხარ? — ვეკითხები ჯუნას! — არ გინდა თბილისში?

— რატომაც არა... თუმცა... გაინია... მგონი არც მინდა...—მალულად მარინეს უყურებს და ჩუმდება.

— ბანაკი გაბოს ჩავაბაროთ, — ამბობს გურამი, — და მაშინ არავინ დაისჯება, ყველა ერთად წავალთ.

— გაბო ვინ არის? — კითხულობს მარინე.

— მეველეა, აქვე ახლოს ცხოვრობს, კამჩების ფერმასთან.

— გაბო არ იკისრებს, — ამბობს ჯუნა.

— რატომ?

— ამას წინათ ვიჩხუბეთ. დილობით რომ ვისვრით ხოლმე, ჰგონია რომ ვნადირობთ.

— მერე რა, ნადირობა არ შეიძლება? — ისევ მარინე დაინტერესდა.

— არა, აქ ნაკრძალია.

— აა...

— მაინც ვთხოვოთ, იქნებ დაგვთანხმდეს.

— არა მგონია.

— მაშ რა ვქნათ? — კითხულობს მარინე.

— ჩვეულებრივ, ასეთ დროს კენჭს ვყრით ხოლმე, — ვეუბნები მე.

— Вы, разумеется не будете участвовать в жеребевке, — მარინეს უღიმის გიორგი.

— რატომ? მე არ მეშინია მარტო დარჩენის.

— ეს უკვე ზედმეტი ყოჩაღობაა,—ვბრაზობ,—ჯერ ასე არ გაგეჭირვებია.

— დღეს მარშრუტზე არ გავალთ, — ამბობს გურამი, — ნიმუშებია მოსაწესრიგებელი.

— გურამჯან! იცი რა? — კბილებს კრეჭს გოგია.

— არა!

— რა კაცი ხარ, ვინც არ გიცნობს! მოდი, იცი რა, მე წავალ და საღამოზე მოვალ, კარგი?

— წადი და კასრიც წაიღე, წყალი წამოგვიღე აქეთობას, იორი აღარ დაილევა.

— ალბათ იწვიმა მთაში. ვაი თუ აქაც გაგვიწვიმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვა! — გაკვირვებული ყვირის გოგია. — მანქანა რა იქნა?

აქეთ-იქით ვიყურებით. მანქანა არ ჩანს. არც გიორგი ჩანს.

— გასაღები შიგ დასტოვე, არა? — ვხვდები მე.

— ჰო! — ბრაზობს გოგია. — ე რა კაცია! მანქანის მუსუსია რა! მკითხოს მაინცა, ან ტარება მაინც იცოდეს. არ გადაადგოს სადმე.

— ისე როგორ გააპარა, რომ არც გაგვიგია! — უკვირს გურამს. — ცხენი ხომ არ არის — ნაბდით დაეჭედა!

— მე ვიცოდი, — გამოგვიტყდა მარინე, — მეც მეპატიჟებოდა...

შორიდან მანქანის საყვირის ხმა მოგვესმა.

— ბავშვია რა. — ამბობს გოგია, — უხარია, რომ აყვირებს. რამდენჯერ...

საყვირის ხმა გაბმულად ისმის, მერე წყდება.

— რამდენჯერ ვუთხარი: აკუმულატორები დაჯდება-მეთქი; არ იჯერებს!

მანქანა ისევ გაბმულად ყვირის.

— ე, რაშია საქმე?! — დაეჭვდა გოგია და როცა საყვირის ხმა ისევ გაისმა, უკვე შეშფოთდა — ნაღდად რაღაც მოუვიდა, აბა, წავიდეთ!

ყველა გავრბივართ იქით, საიდანაც ხმა მოდის. გოგიას თოფიც თან წამოუღია და ცდილობს არ ჩამოგვრჩეს სირბილში (ძალიან მოკლე ფეხები აქვს).

ჯუნა ყველაზე წინ გარბის. მარინე მალე დაიღალა და ჩამოგვრჩა. გურამიც უნელებს სირბილს, მარინეს უცდის. უცბათ მარინეს შეკავლება მესმის. ვჩერდები, ვიხედები უკან და ისევ მანქანისაკენ გავრბივარ: კურდღელი წამოხტომია მარინეს ფეხქვეშ და ამას შეუშინებია. შორს, ბუჩქებს შორის, მანქანის ტენტი გამოჩნდა. ისევ საყვირის ხმა ისმის იქიდან.

ბევრდით რაღაცამ გაიფაჩუნა. სირბილშივე ვიხედები იქით: ჩვენს ფეხის ხმას გაურეხა დაუფრთხია — მზეზე თუ თბებოდა — და სწრაფად შესრიალდა ბალახში.

გავრბივართ, მხოლოდ ჩემი გულისცემა და ჩექმების ბრაგაბრუგი მესმის.

მანქანა უკვე ახლოსაა, საყვირის ხმა გაბმულად ისმის.

ჯუნამ და მე ერთად მივირბინეთ და შემოვუარეთ მანქანას: გიორგი კიბეზე ზის, ცალი ხელი მუხლზე უდევს, ცალით მანქანას აყვირებს. სახე დაღრეჯილი აქვს.

— რა იყო? ბელემა ხომ არ გიკბინა? — ვეკითხები და ვნანობ, რომ შზამსაწინააღმდეგო შრატის ამპულაც და ნემსიც კარაგში დავტოვე.

— არა... — ძლივს ამბობს გიორგი.

ცოტა ვმშვიდდები.

— აბა რა მოგივიდა? ხმა ამოიღე!

— რა იყო?

— რა მოხდა? — სხვებმაც მოირბინეს.

— მოტორი ჩამიქრა...

— მერე?

— სტარტერით ვერ ავამუშავე... რატომღაც... და... იმითი ვცადე... აი... ტარით...

— ჰო! ვიცოდი! — აღშფოთდა გოგია. — მანქანა სიჩქარეში დასტოვე, არა?

— ჰო... მერეღა მივხვდი.. უცბათ ამუშავდა და...

— კიდევ კარგა გადარჩენილხარ! ისევ ჩაქრა მატორი, არა?

— ჰო... რა ვიცი... ალბათ...

— აი, რომ არ გჯერა... — ამბობს გოგია. მე ვაჩუმებ. რა დროს ეგ არის!

ჯუნა ფრთხილად ხდის ჩექმას. შარვლის ტოტი მაინც დახეულია უკვე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლომდე ვარდვევ. მუხლის გარშემო დიდი სილურჯეა. ბარძაყზეც.

— ვაი!.. ვაი!.. — ყვირის გიორგი.

— ძვალია გატეხილი, — ამბობს გურამი, — როგორმე კაბინაში უნდა შევსვათ.

ჩემი და მარინეს თვალები უცაბედად ხვდება ერთმანეთს და შეუგნებლად ვგრძნობ, რომ...

— გიორგი, ძალიან გტკივა? — აკანკალებული ხმით ეკითხება მარინე.

— არა... — იღიმება გიორგი, მაგრამ ვაი ამ ღიმილს!

მერე ჯუნას თვალებს აწყდება ჩემი თვალები და ისევ შეუგნებლად ვგრძნობ, რომ ჯუნაც ყველაფერს ხვდება.

„ახლა კი... ყველაფერი გათავდა!“ — ამბობენ ეს თვალები და სევდით ივსებიან.

გიორგი აღარ იღიმება, კვნესის.

დიდი ვაი-ვაგლახით ვსვამთ კაბინაში, ჩვენ საფეხურებზე ვდგებით აქეთ-იქით და გოგიას დიდი სიფრთხილით მიყავს მანქანა ბანაკისაკენ.

V

— დღესვე უნდა ნახოს ექიმმა, — ამბობს გურამი, — წითელწყაროში ჩავიყვანოთ.

— არა!.. თბილისში!.. — ჯიუტობს გიორგი. — თაბაშირიანი ფეხით მაინც ვიქნები შინ... მომენატრა იქაურობა.

— კარგი, კარგი, ნუ ღელავ.

მარინე გვერდით უზის გიორგის, არ სცილდება; ხან წყალს აწვდის, ხან სველ ტილოს ადებს შუბლზე — სიცხემ აუწია; ეს უკვე საშიშია!

— დათო! — მეუბნება გურამი, — წადი მანქანით და გაბო მონახე, თხოვე ორი-სამი დღით ბანაკი ჩაიბაროს. ცდა აღარ შეიძლება! ფულიც შესთავაზე. იქნებ დაგვთანხმდეს და...

— არ არის საჭირო, — აწყვეტინებს ჯუნა, — მე დავრჩები.

— არა, მაშინ კენჭი ვყაროთ, — ვამბობ მე, — ჩვენ სამში.

— არა! — ჯიუტობს ჯუნა. — მე დავრჩები. რა მინდა თბილისში?!

— მეც დავრჩები, — გადავწყვეტე მე. — ახლახან არ ვიყავი შინ?!

— არა! — ისევ ჯიუტობს ჯუნა. — მე მარტო დავრჩები.

გურამი ჩქარობს და ბუტრტყუნებს:

— რას ვეჭრობთ, როგორმე მორიგდით! მალე, მალე ჩავბარგდეთ... — მერე ჩუმი ხმით გვეუბნება: — არ შეიძლება ამდენი დროის დაკარგვა, განგრენა არ დაეწყოს!

ჯუნას განზე გავყავარ და შეცვლილი ხმით მეუბნება:

— მე მარტო მინდა დარჩენა, გესმის?

მე მესმის, უხმოდ ვუღიმი და სიყვარულით ვუცაცუნებ ხელს ლოყაზე. ჯუნა უკვე გასაპარსია. თვალებში მიყურებს და ნაღვლიანად მიღიმის.

— შენ ვაკაცი ხარ, ჯუნა! — ვეუბნები მე.

გიორგი საწოლიანად ავწიეთ და საწოლი მანქანაზე შევდგით.

— მე არ მინდა კაბინაში ჯდომა, — თქვა მარინემ და ზევით ამოძვრა.

— წავედით? — იკითხა გოგიამ.

— წავედით!

— ჯუნა! არ მოიწყინო! მაზეგ აქა ვართ.

— კარგად იყავით! — ხელს გვიქნევს ჯუნა. — გოგია, ნელა ატარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მა როგორ? — პასუხობს გოგია და მანქანა იძვრება.

ჯუნა კიდევ დიდხანს დგას და თვალებით გვაცილებს. მერე (შორიდან ვხედავ) კარავში შედის, თოფი გამოაქვს, მხარზე იკიდებს და ჭალაში უჩინარდება.

VI

გიორგი საავადმყოფოში დაწვინეს.

— ერთი დღეც და ცუდად იქნებოდა საქმე, — გვითხრა ექიმმა.

ხმაურიანი იყო თბილისი ზეიმის დღეებში. დავიღალე და ისევ ბაიდა მომენატრა.

მარინე თბილისში დარჩა, აღარ მახსოვს რა მოიმიზეზა, გურამი და მეღა ვბრუნდებოდით უკან.

ისევ გავჩერდით ჩაილურში, წავისაუზმეთ. არაყი არ დაგვილევია, მაგრამ მე მაინც გაბრუებული ვიყავი. არც გამიგია, როგორ გავლიეთ მთელი გზა, როგორ აღმოვჩნდით ბაიდაში. მაშინდა გამოვერკვე, როცა წინ, ახლოს, იორი ალაპლაპდა მზეზე.

თითქოს რაღაც შეცვლილიყო ბაიდაში. ყოველთვის გამოუცნობ სევდას აღმძძრავდა აქ ყოფნა. ჩამოსვლისთანავე მიპყრობდა ხოლმე ეს სევდა, ისე ძლიერად, რომ თითქმის მაზარმაცებდა. ახლა კი...

გული სიხარულმა ამივსო, როცა ჩვენი კარვებიც დავინახე.

გოგიამ მანქანა დააყენა. კარვიდან ჯუნა გამოხტა, მერე შებრუნდა, თოფი გამოიტანა და ორჯერ ისროლა. ალბათ მოსწყინდა მარტოობა.

იორზე გადავიარეთ.

ჯუნა ხელებგაშლილი შემოგვეგება. ისევ მოშვებული ჰქონდა წვერი და მაინც შავატყე, რომ ღიმილს იკავებდა.

— როგორ აროს საქმე? გიორგი როგორაა? — თითქოს არც შეუმჩნევია მარინეს არყოფნა.

— კარგად, კარგად.

— მაშ ყველაფერი კარგად ყოფილა! — და გულღია ღიმილმა სახე გაუბადრა.

დიდიხანია არ მინახავს ასეთი ჯუნა!

— მოგწყინდა მარტოს? — ვკითხე, როცა გავცალკევდით.

— ცოტა მომწყინდა, მაგრამ...

— რა?

— მე ძალიან მიყვარს ბაიდა. აქ რომ არ ვყოფილიყავი, არ ვიცი როგორ იქნებოდა ჩემი საქმე...

— ისე... როგორ ხარ? — გავუცინე ეშმაკურად.

— ხომ გეუბნები — ძალიან კარგად! მგონია, არასოდეს ვყოფილვარ ასე კარგად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავერი



ნახატი დ. ერისთავისა

ხანდახან ძალიან ყვითლდება ქალაქი. ვეებერთელა მზე ვეღარ ჩერდება ცაზე, ხელებს აფათურებს ყველგან: დაწესებულებებში, ქუჩებში, სახლებში, ბაღებში, აგარაკებზე, კლდე-ღრეებში. ცხელა. ადამიანებს ეზარებათ ყველაფერი, დინჯდებიან, ნელა ირჯებიან და ინერციით განაგრძობენ შრომასა და ცხოვრებას. ღია ფერის სამოსს იცვამენ, ჩრდილს ეძებენ გზაზე, არ ლაპარაკობენ ხმამაღლა, ნელ-ნელა მოძრაობენ და ერთმანეთთან ახლოს მხოლოდ შეყვარებულები, ან სტადიონზე და საზოგადო ტრანსპორტში მყოფნი სხდებიან. ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან შეყვარებულიცა ვარ, ფეხბურთის მოყვარულიც და ტროლეიბუსის მძღოლიც.

ჩემი ტროლეიბუსი რვა ნომერია და თბილისის გარეუბანს ცენტრთან აკავშირებს. მე ვდგები დილით, ადრე, როცა მხოლოდ მეეზოვეები არიან ქუჩებში. მზე ჯერ არა ჩანს და ყველაფერი ერთნაირად ნაცრისფერია, გარდა ცის იმ ნაწილისა, საიდანაც ნთელის მობრძანებას ელიან პაწია ღრუბლები.

მგზავრები ცოტანი არიან, ამიტომაც თავისუფლად მიჰქრის მანქანა და თავის გემოზე აჯაყჯაყებს მისაბმელ ვაგონს. შემდეგ მოქალაქენი მრავლდებიან, მრავლდებიან და დგება მოზღვავების წუთები. მზისგან აღრენილი მგზავრები ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთს ეჩხუბებიან, ეხუტებიან, ფეხს აბიჯებენ, ყვირიან და მშვიდდებიან. ათი საათიდან კი უკვე აუტანლად ცხელა. ჰაერი გაჩერებულია, თბილი, და მტვრით გაზავებული. ტროლეიბუსის მართვა არც ისე იოლია. ქალაქი სავსეა მოულოდნელობებით. ყოველი ქუჩის შესართავთან ნიფთია ჩასაფრებული. ყველაფერი ეს ნათელ გონებასა და სიფხიზლეს, ნერვების სიმშვიდეს და სისხარტეს მოითხოვს.

მე უკვე ვცნობ ჩემს მგზავრებს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მხვდებიან ყოველ გაჩერებაზე. თითქმის ყოველი მათგანის საქმიანობა ვიცი, რადგან თბილისი პატარა ქალაქია, ნაცნობები ბევრნი არიან და მათი ლაპარაკი ჩემს ყურამდესაც აღწევს ხოლმე მოტორის თანაბარ ხმაურში.

მეც, როგორც ყველა სპეციალისტს, ამოჩემებული, საყვარელი დრო მაქვს საშუშაო დღის მანძილზე. ეს გახლავთ მეოთხე წრის გაჩერება პედაგოგიურ ინსტიტუტთან. ის მეტად პუნქტუალურია და არასოდეს იგვიანებს, პირქითა, მიცდის ხოლმე. შავი თვალები აქვს, პაწია, აბზეკილი ცხვირი; კოხტაა და ერთობ მიმზიდველი. არ ვიცი სად სწავლობს, სად მუშაობს, რა ჰქვია. ამიტომაც „პრანჭია დალის“ ვეძახი. პრანჭია ნამდვილად არის: კაბებს ხშირად იცვლის, ტუჩების ლოკვა უყვარს და ლამაზია. ერთხელ ვერაფრით ვერ მოახერხა ტროლეიბუსში ამოსვლა. როცა მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, წინა კარს მოუახლოვდა და მანიშნა, ეგონა, ვერა ვცნობდი. თუმცა წესების დარღვევის არც ერთი შემთხვევა არა მქონია, კარი გავაღე და ისე სასწრაფოდ დავხურე, რომ იმის გარდა ვერავინ ვერ მოასწრო გაუფდილ ტროლეიბუსში შემოკვეხება. გამიღიმა და მადლობა მითხრა. ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც მისგან გავიგონე. მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა. ყოველ შეხვედრას ჯულისფანცქალით ველოდი და მთელი დღე მიმწარდებოდა, თუ არ შეეხვდებოდი.

დღეს დილადანვე ჩამუქდა ქალაქი. ნელ-ნელა ჩამოდის ქვევით ტალახისფერი ღრუბლები. ხშირფოთლიანი მცენარეები იტრუნებიან. მხოლოდ ჩიტები ჭყივიან და დაბლა ფრინავენ. არ მომწონს მათი ხმა. ღრუბლები კი არ იშლიან თავისას; აწვებიან მთებს და ხუთავენ ქალაქს. ქუჩები ელიან რაღაცას მოუთმენლად, ცისკენ იცქირებიან. ადამიანები ნერვიულობენ, ძლივსა სუნთქავენ და ჩქარობენ. მერე ღრუბლებს, დამძიმებულთ და წყლით გაჯირჯვებულთ, უვარდებათ კალთიდან ანცი და დაუდგარი წვეთები, რომლებიც ეცემინ ქვაფენილზე და ხმაურით სკდებიან. ღრუბლები ბრაზობენ და იღრინებიან. ღრუბლები ძუწი არიან; სწყინთ, როდესაც მოთმინებით დაგროვილ სიმდიდრეს კარგავენ, ამიტომ ცდილობენ უფრო კარგად შეიეკეცონ კალთები. ვერ ახერხებენ. წვეთები ეშმაკები და მოქნილები არიან. ხერელს პოულობენ და ცვივიან. ღრუბლებს ჯავრი მოსდით — ჭექენ და ქუხან. წვეთებს კი არ ეშინიათ, განაგრძობენ ცელქობას.

ადამიანები ტრანსპორტს ეტანებიან. წვიმა ძლიერდება. ჰაერი ეძებს თავისუფლებას. ქვაფენილი სველია და სრიალა, მგზავრებით დატვირთული ტროლეიბუსი კი ძმიმე და ურჩი. ფეხები თანაბრად მოძრაობენ. თვალები სწრაფად აღიქვამენ ყოველ ცვლილებას მაგნიტრალზე. შუქნიშნის ფერთა ცვლის თუ თეთრ წერტილებს, რომლებიც გადასასვლელს აღნიშნავენ. უფრო ძლიერდება წვიმა. ეს ერთი მხრივ კარგიც არის: ფეხით მოსიარულენი არ არიან და ქალაქს ტრანსპორტი იპყრობს. სასაცილოდ მორბიან მგზავრები ტროლეიბუსისაკენ, მოყავიფრო ნიაღვარში ტოპავენ და უყურთხებენ ამინდს. ვცდილობ რაც შეიძლება ახლოს გავაჩერო მანქანა ტროტუართან, კარი წესიერად დავხურო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაბარი სიჩქარით დავიწყო მოძრაობა და გრაფიკი ზუსტად შევასრულო. მიჭ-ქრის მანქანა, მიჰქრის. წვიმა ურეცხავს სახურავს.

ქუჩის შესართავი... ბურთი... ბავშვი... კივილი...

მუხრუჭი!! შევატყვე, ტროლეიბუსმა მოსაბმელი ვაგონი მოიქნია.

ანგარიშმიუცემლად ვაღებ კარს და წვიმაში ვდგეგარ. თუ დავიჭირე, აღ-ბათ, შუაზე გავხლეჩ იმ მამაძაღლს. ვხედავ: დიდი თვალები აქვს და შეშინებუ-ლი უყურებს გახეთქილ ბურთს. წამით შეშდებიან ყველანი და ყოველი წვეთის დაცემა მესმის.

— გახეთქა, არა?! უხ, ერთი... ყოფას გიტირებ!! — უყვირის „პირველი ყოჩი“, ხმაში ტირილი ერევა. ბავშვები ვერ გვიახლოვდებიან, ჩემი ეშინიათ. ის რაღაცას ფიქრობს, მერე მე მიყურებს წყლიანი თვალებით:

— წამიყვანე...

კისერში ხელს ვავლებ და ფეხს არ ვადგმევინებ საფეხურზე — ისე ვაგდებ კაბინაში.

— მილიციაშია მაგისი ადგილი!

—ამ წვიმაში ფეხბურთის თამაში გაგიგია?!

— ახია მაგაზე, წაიყვანს ახლა ბავშვთა ოთახში და იქ გამოასწორებენ!

კაბინის კარი მოვხურე და გასრიალდა ტროლეიბუსი. მოძრაობა განახლდა. ფერი დაგვიბრუნდა მეც და ბიჭსაც. მგზავრები თავს აქნევენ.

— რატომ დაგაგვიანდა, ლევან!? — მეკითხება დისპეტჩერი.

— ბიგელი აცდა, — ვეუბნები ფანჯარაში თავგაყოფილი: ბიჭმა არ მინდა, გაიგონოს.

— კარგია, წადი. — მეუბნება და ფანქრით მანქანის გვერდს უკაკუნებს, საწვიმარში ჩაყვინთული.

მივქრივართ. ხმას არ იღებს. მილიციელის ჯიხური გამოჩნდა. მისკენ არ ვიხედები, მაგრამ ვგრძნობ, როგორ მიყურებს და აკვირდება ჩემს მოძრაობას. ჯიხურთან სვლას ვანელებ და ვაჩერებ მანქანას. ბიჭი არ ინძრევა, მიყურებს. მე ფანჯარას ვუახლოვდები. მილიციელი მიცქერის. ბიჭი ხმას არ იღებს.

— ზაქრო, წამოხვალ კინოში?

— რა ენახოთ?

— დღეს ორშაბათია, ახალი იქნება რამე.

— ცხრაზე გამოგივლი, — მილიციელი პატარა სარკმელს კეტავს და თავის საქმეს განაგრძობს. ბიჭი არ ილიმება, ეშვება; სიხარულს ვერ ფარავენ თვალები. და კვლავ მივქრივართ.

— დედალი ხარ! — ვეუბნები.

— არა!

— შეგეშინდა!

— არა!

ქუჩის კუთხეში ქოლგიანი ქალი ელოდება ვიღაცას. ბიჭი ემალება და მიყუ-რებს. წვიმა წვრილდება, ადარა ჩქარობს.

— აიღე პირსახოცი და თავი გაიმშრალე, გაცივდები.

— . . .

— რა გქვია?

— დათო.

— აი იქ დაჯექი, რეოსტატზე.

— რაზე?

— რეოსტატზე. — თითით ვაჩვენებ.

ღრუბლებს მობეზრდათ ტირილი. ცას უკვე ეტყობა ის ადგილი, სადაც მზე იყო დამალული. ქუჩებს ძლივსშესამჩნევი ოხშივარი ასდით. აგრილდა. ქალი ისევ დგას, ქოლგადაკეცილი, ქუჩის კუთხეში. ბიჭი ისევ იმალება და ისევ მიყურებს.

— დედაა?

— დიახ!

— არ ჩახვალ?

— არა.

— ჯანდაბას შენი თავი! ვეღარ გიშორებ.

ბიჭი მიყურებს. მე მისთვის არა მცალია და მოძრაობის მომწესრიგებელს შევცქერი.

— გააჩერე!

— ახლა აღარ შეიძლება. გაჩერებამდე მოიცადე.

— . . .

— მიაგნებ სახლს?

— ნახვამდის.

ვერცხლისწყალივით ჩასრიალდა კარებიდან და ნაწვიმარზე სასეირნოდ გამოსულ ხალხში გაუჩინარდა.

*

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა ქუჩაში და სახლში, დათოს აღარ დაეძინა. ის ფიქრობდა. ფიქრობდა ბიჭებზე და ძია ლევანზე. ეცოდებოდა ბიჭები, უბურთოდ რომ დარჩნენ. ძია ლევანისა კი სცხვენოდა. მაინც რამ აუკანკალა მუხლები, რამ?! ძია ლევანი ღონიერი ჩანდა, ალბათ, არასოდეს არ შეშინდებოდა ასე. მაგრამ ბავშვმა მტკიცედ გადაწყვიტა არ გამოსულიყო ტროლეიბუსის მძღოლი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც წვიმის ხმაური შეწყდა და რეოსტატზე მჯდომს პირველად მოესმა ელექტრონების ზუზუნი და კონტაქტების ტკაცუნი. შემდეგ მან შემხვედრ ჰაერში პირველად გაარჩია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაწილაკები და ცნობისმოყვარე თვალები მიაბჯინა ზეცას, თუმცა არ იცოდა, სად თავდება იგი და რა არის ყველაზე ბოლოს. მას ისეთი ტრანსპორტი სჭირდებოდა, რომელიც მიიყვანდა იმ ბოლო გაჩერებამდე და გრძნობდა: ის ან მისი ტოლი სხვა ვინმე ააგებდა ამ საოცარ ხომალდს...

*

სწრაფად მიმავალი ტროლეიბუსიდან თვალი მოვკარი თავისი ქუჩის კუთხეში მდგარ დათოს, რომელსაც წითელი ყელსახვევი გვერდზე მოქცეოდა და ხელში ჩანთა ეჭირა. ჩემს დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მოძრაობა ულმობელია. თანაც ბოლო წრეს ვაკეთებდი და ძალიან დამედალა კუნთებიცა და თვალებიც.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ტანსაცმელი გამოვიცვალე, საერთო სასადილოში ვისადილე და შინისაკენ გავწიე. გასალები კარში ჩავტოვე. დირეზე ოთახის უწესრიგობა შემეგება. საწოლზე დავეგდე ტანსაცმელგაუხდელი, გულდაღმა. ყველასა აქვს ნება იყოს ასეთ ხასიათზე. ქალი იტირებდა — განსაკუთრებით მარტოხელა, რომელსაც ოთახის დალაგებაც შეუძლია, თავის მოვლაც და ბავშვის სიყვარულიც. მე იატაკს დავცქერი ხოლმე. იატაკი ხისაა და ერთ დროს წითელი იყო. საინტერესოდ იხლართებიან ხაზები, მრავალნაირ ქარგებს ჰქმნიან და ნუჟრში იკვეთებიან. ნუჟრი პრიალაა. მე ამ პატარა პრიალა ნუჟრში ვხედავ

ყველაფერს, ყველაფერს, რაზედაც ვოცნებობ, ვფიქრობ, რასაც მოველოდ-ინ-ინ-ინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყინდა ხეტიალი და ის-ის იყო სასახლეში დაბრუნება გადაწყვიტა, რომ შემთხვევით მეჯოგე დაინახა, ღონიერი და უბრალო. მეჯოგეს არასოდეს ენახა ასეთი მშვენი...

— კარი გააღე, კაცო, რამ გადაგრია!

— უკაცრავად, უკაცრავად... ჰოდა... სად გავჩერდი?

— მეჯოგეს არასოდეს ენახა ასეთი მშვენიერება.

— დადგა და თვალს ვერ აშორებდა. მაგრამ იმ ქვეყნად ცხოვრობდა კიდევ მოგალეობა, რომლის მორჩილებაც უბრალო მეჯოგისათვის ყოველ პირადულ განცდებზე ძლიერი იყო. ამოიოხრა და გზა განაგრძო. ცხენები, რომლებსაც მეჯოგეობდა, მეფეს ეკუთვნოდა. ამიტომ ვაჟი ხშირად ხვდებოდა მეფის ასულს. ის კი ყურადღებას არ აქცევდა მისკენ ხარბად მიპყრობილ თვალებს და უცხო ქვეყნის მეფისწულზე ოცნებობდა...

დალი კაბინის კართან გაჩერდა, ვიდრე პედაგოგიურ ინსტიტუტთან მივიდოდით, და ჩასასვლელად მოემზადა. მე სვლა შევანელე, გავჩუმდი და გავწითლდი. ბიჭს შევხედე. მან თითქოს ყველაფერი იცოდა: როდესაც დალი ჩავიდა, ისე გაეყოლა თვალი, რომ მიეხედი—ამბავი მისთვის მარტივი იყო და ამგვარ ზღაპრებს უკვე დიდი ხანია ალარ კითხულობდა...

— ბურთის პატრონმა გცემა?

— არა, გამებუტნენ. ეგ ერთი ბურთი გვქონდა და...

— ახალი რომ გქონდეს?

— მაშინ ყველაზე კარგი მოთამაშე მე ვიქნები!

— ხვალ გამოხვალ გაკვეთილების შემდეგ?

— ვნახოთ.

— „შატალო“ ალარ იყოს, თორემ არ აგიყვან.

— კარგი.

თავის ასახვევში გავუჩერე და დავემშვიდობე, საათის ისრები პირველს აჩვენებდნენ.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ სალაროსთან შეგიკრიბეთ ყველანი. მოლარე ძალიან სწრაფად თვლის ხელფასს და ბიუები თითქოს არც კი დაღლილან, ისე ოხუნჯობენ. უწყისზე ხელს ვაწერ, ფულსა ვთვლი, მეჩქარება. სამმართველოს კართან ზაჭრო მიცდის. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა ჩვენ წინასწარ არ დაგვითქვამს. თვეში ორჯერ, ჩემი და მისი ხელფასის დღეს, ნელ-ნელა ფეხით მივსეირნობთ შინ და უზუსტეს ბალანსს ვადგენთ ჩვენი ხარჯთაღრიცხვისას.

— საით გაუხვიე, ლევან?

— სპორტულ მაღაზიაში მაქვს საქმე. მიმყევი თუ არ გეზარება.

— ახალი განტელებია, თუ ესპანდერის ძარღვი გაწყვიტე ისევ? — სცადა ხუმრობა.

— ვნახოთ.

რუსთველის გამზირს დავუყევით, მწვანე გამზირს, მრავალხალხიანს და სიცოცხლით სავსეს. ნელ-ნელა მიგამიჯებდით და ესაუბრობდით... უეცრად დალის მოვკარი თვალი. კაცის გვერდით მაინც დამენახა, ხმას არ ამოვიღებდი. ან რა ეცვა, ან როგორ იბერებოდა! დალი კი, ჩემი პრანჭია გოგო, ისე ეკისკისებოდა, რომ... გავბრაზდი. ძალიან გავბრაზდი. რაზე? ვისზე? რატომ? რისთვის? ვიცი? — არ ვიცი. ფილტვები დამებერა. ხმა ვერ ამოვიღე. ადამიანებს რომ გული უსკდებათ—დაეჯერე. ძმაო! არა, ძმა კი არა—.ნათესავი! კარგი, ბატონო, იყოს! კი მაგრამ, ხომ არა მჯერა; რატომ ვიტყუებ თავს? იმიტომ, რომ თავის მოტყუება ყველაფერზე ადვილია; იმიტომ, რომ კარგი იქნებოდა, ასე ყოფილიყო; ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავი რაღა შუაშია, ჰა?! ისედაც ცხელა ამ ოხერ ქალაქში. და რა არის იმაზე [illegible] დი, როდესაც საკუთარი თვალითა ხედავ, როგორ ეხება მისი მკერდი ამ არაკაცის მკლავს. ნეტავ ამოისუნთქოს მაინც, რომ ენახო რა ვაჟკაცია. იქნებ საერთოდ არ არის ჩემი საქმე? იქნებ...

— იცი რა? მომბეზრდა ამდენი ფიქრი.

— მითხარი რამე, ლევან!

— მოდი დღეს რესტორანში ვისადილოთ. მე ვკისრულობ.

— მოიცა, კაცო. აი, მაღაზია. შედი, იყიდე, რაც გინდა. მე აქ ვიდგები. ნახე, რა გოგოები დადიან!

— ზაქრო, ძალიან გთხოვ!

— ტუუილად ნუ მთხოვ...

ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა; მეორეს მესამე... მერე ამხანაგებიც შემოგვეერთნენ და... დილით ისეთ ხასიათზე გამომეღვიძა — მუშაობა კი არა, ქუჩიდან მანქანების ხმაური რომ შემოდიოდა, იმის გაგონებაც არ მინდოდა.

დათო ისევ თავის ადგილას იდგა.

— რა მოგვიდა, ძია ლევან?

— რა შენი ძია ვარ, ბიჭო, პირდაპირ სახელი დამიძახე.

— ავად ხომ არა ხარ?

— ცუდად მეძინა.

— რატომ?

— მაგას შენ ვერ გაიგებ. ჯერ პატარა ხარ.

ჯიხურიდან ზაქრომ გამოჰყო თავი და დაუსტვინა. მერე გაჩერებულ ტროლეიბუსთან მოვიდა.

— ვიდაც ოხერი გოგოს გულისთვის მეც მომხვდება, შენცა და მაგ ბიჭსაც. მე ამიტომ, რომ ახლა წითელ შუქნიშანზე გამოიარე და არ ჩაგწერ; შენ — სინდისი დაგსჯის, წესგბს რომ მარღვევინებ, და ეგ ბიჭი კიდევა საჩუქარს ვერ მიიღებს. დაგრჩა მაინც ცოტა ფული?

— რას გადმოაგდე ენა! დამრჩა, მა რა... — ეუთხარი და ცარიელი ჯიბე გამახსენდა. ბიჭი გაისუსა. პედალს დავაწექი და ადგილს მოსწყდა მანქანა.

*

დგება დღეები, როდესაც თბილისში ასფალტი რბილია. მზე არბილებს მას; განსაკუთრებით ძნელია მაშინ კაბინაში ჯდომა. ელექტრონთა სწრაფი მოძრაობა ლიითონს ახურებს და ძალიან ცხელი. მინებს ვაღებ, რაც შეიძლება, მაგრამ ჰაერი არა მყოფნის, ამიტომ ხანდახან, თუმცა ეს აკრძალულია, ვიხდი პერანგს. ჩემი კუნთები ზეიმობენ მაშინ და რკინის დეტალებს ეჯიბრებიან მექანიკურ, სწრაფ და ზუსტ მოძრაობებში, თავისი მოქნილობის უპირატესობას უმტკიცებენ. მე ისე გავერთე ამ შეჯიბრებით, რომ ვერც კი შევნიშნე, როგორ მიეცქროდა პრანჭია გოგონა, ჩასასვლელად მომზადებული. მისი ცქერა ჩვეულებრივი არ იყო. არა, მე თავს არ ვიტყუებ. ბევრს რაიმეს გამოხატავდა ეს გამოხედვა. ეს ნამდვილად შევნიშნე. მიხარია და არ ვაჩერებ მანქანას იქ, სადაც დალი უნდა ჩამოვიდეს. მგზავრები რაღაცეებს იძახიან, მაგრამ მე სარკიდან შევცქერი მის თვალებს, რომლებიც მე მიყურებენ და რაღაცაზე ფიქრობენ.

ბოლო გაჩერებაზე, როცა ტროლეიბუსი დაცარიელდა, პერანგი გადავიცვი და უკვე სავარძელში მოხერხებულად მოთავსებულ დალის შევხედე. მან თვალი გამისწორა და მიგვიდი, რომ დამიმახსოვრა. მინდოდა დავლაპარაკებოდი, მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხა ნამდვილი სახელი, გავცნობოდი, მაგრამ ფეხები არ მომყვებოდნენ. დასაბრუნებელ ვუცქეროდით ერთმანეთს ასე დიდხანს. მერე მას შერცხვა და ქუჩისკენ მიაბრუნა თავი...

* * *

მთელ ღამეს წვიმდა, ეტყობა. ტალახის თხელი ფენა აკვრია ქუჩებს. ასფალტის ქონს ეძახიან მას მძღოლები. განსაკუთრებით საშიშია მოხვევა და მოულოდნელი მუხრუჭი. სრიალებს მანქანა და ბევრი რამ არის მოსალოდნელი.

ცხადია, ვიღლავ: დალის გაჩერებას ვუახლოვდები. ყველანი დგანან, მის გარდა! ხელში ქოლგები უჭირავთ. წვიმას აპირებს ისევ. ტროლეიბუსში უკანასკნელად სტუდენტი ბიჭი ამოდის. სამსახურში ეჩქარებათ მგზავრებს. საათს დაჰყურებენ, ოხრავენ, უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. მგზავრებს ვაკვირდები, რადგან, არ მინდა ვიფიქრო იმაზე, რომ დალი არ დამხვდა ჩვეულებრივ; რომ მან ეს შეგნებულად ჩაიდინა; რომ მიხვდა: წამიერი ვნებანი არაფერს არ სწყვეტენ და ნამდვილნი არ არიან. იქნებ მან არც კი იცის როდის ვმუშაობ. მეტის მოცდა აღარ შეიძლება, მაგრამ მანქანის დაძვრას არ ვჩქაროობ და ნამდვილად ვწუხვარ. მარჯვენა ფეხი დაუკითხავად აწევება პედალს, სისწრაფეს ვიღებ.

უცებ, და არც შეიძლება ეს უცებ არ მომხდარიყო, ვხედავ როგორ გამორბის დალი თავის სადარბაზო შესასვლელიდან. ცდილობს ახალდაძრულ ტრანსპორტს მოუსწროს და ჩქარობს, მუხლებს იჩენს. მე ვაჩერებ მანქანას და ვუღებ წინა კარს. ის მიყურებს და არაჩვეულებრივად იღიმება. შემდეგ დგება კბილის კართან და ქლოშინით მადლობას მიხდის.

მიჰქრის ტროლეიბუსი, მიჰქრის ნიავივით. ბედნიერება ყველა ადამიანის უცილობელი ხვედრია. რომ ეცადო, არასოდეს არ აგცდება შენი წილი სიხარული, კუთვნილი ბედნიერება იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი ადამიანს ეკუთვნის; ის არის მთავარი, ის, უბრალო, მშრომელი, პატიოსანი და გამრჯე. მე შემიძლია ახლა რკინა მოვღუნო ან საჭე დავტეხო პატარა ნაჭრებად — იმდენად ღონიერი ვარ, უფრო სწორად ძლიერი და ვგრძნობ: პრანჭია გოგონა, ატუზული ჩემს ზურგს უკან, მანიჭებს ამ ძალას.

სად არის ახლა ჩემი მესაიდუმლე, სად? ის ნამდვილად ღირსია დღევანდელი საჩუქრისა.

მესაიდუმლე ადგილზეა. კვლავ ვარღვევ წესს, ამჯერად უკანასკნელად. დათო მორბის მანქანისაკენ. დალი ეხმარება ამოსვლაში. უღიმიან ერთმანეთს. ეშმაკური თვალებით მიცქერის ბავშვი. „ჯერ ადრეა, დათო, ადრე“. — „რატომ?!“ — ისევ მეკითხებიან თვალები. „რა ვიცი“. — „მე მომეცი ნება“. — „არა!“ — „რატომ?, სახელი მაინც გავიგოთ“. — ისევ კითხულობენ დიდი და ცნობისმოყვარე თვალები. — „რა ვიცი. თუმცა რა დროს ეგ არის“.

— აბა თუ გამოიცნობ...

— ბურთი! — შეჰყვირა დათომ, დაინახა იმ მამაძაღლმა, დასტაცა ხელი, ვულში ჩაიკრა, მერე რეოსტატის გვერდით დასდო და ისეთი ძალით შემომახტა კისერზე ორმაგად გახარებული, რომ...

შუქნიშანზე ფერთაცვლა შევნიშნე, მაგრამ გვიანღა იყო.

მუხრუჭი...

ტროლეიბუსი გასრიალდა და გადაეღობა გზაჯვარედინზე მიმავალ მანქანას. მძღოლმა მოუხვია, ვერ მოასწრო და შეცდა. არაფრით არ შეიძლებოდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მინდში, დიდ სისწრაფეზე, მოხვევა და მუხრუჭი ერთად. კვილი და მიდ[illegible]ლის სასტვენის ხმა ყურს მჭრის.

— დათო, ჩადი! — დავიყვირე, რომ ეს ერთი დანაშაული მაინც ამეცილებინა თავიდან. ტროლეიბუსი გვერდით მივაყენე. მერე ყველაფერი დაშოშმინდა. მოძრაობა განახლდა. და როდესაც მილიციელს განყოფილებაში მივყავდი, თვალიდან არა მშორდებოდნენ დიდი და შეშინებული თვალები, პრანჭია გოგონას ლამაზი ტანი და რეოსტატის გვერდით დაგორებული ბურთი...

*

ყოველ დილას და საღამოს, გაკვეთილების შემდეგ, ბავშვი მოდიოდა ქუჩის კუთხეში, იცდიდა, ელოდა და ფიქრობდა. და ერთხელ, როცა შემთხვევით შეხვდა დალის, რომელიც იცინოდა, გაბრაზდა.

დალიმ თავის გამცილებელს ხელი გააშვებინა და შეეკითხა:

— რას აკეთებ?

— ველოდები!!

პრანჭია გოგონა ბიჭის ნიკაპს ხელით გაეთამაშა და გაუღიმა. მერე ხელკავი გაუყარა თავის გამყოლს, მკერდი მკლავზე მოუცაცუნა, წონასწორობა შეურყია და განაგრძო მეტად ძველისძველი და მოსაწყენი საუბარი.

ბავშვი?!

ბავშვი კი იდგა და ელოდა.

ვინ ვინ?

საზარელი ხმა აქვს ზარს.

თითქმის ასეთივე ტემბრი აქვს ქალს, რომელიც ამწევ მანქანაზე მუშაობს. შახტი ოთხას მეტრზე ეშვება დედამიწის ცენტრისაკენ. ყოველ ას მეტრზე სადგურია და იცვლებიან მუშები. დაღლილები, ტალახში დასვრილები და ოფლიანები ზევით მიემგზავრებიან, სუფთები კი — პირიქით. რკინის ქუდებში, ბრეზენტის უხეშ ტანსაცმელსა და სამოთა ხელთათმანებში ყველანი ჯავშნიან ხოჭოებსა გგვგავთ, ხოჭოებს, რომლებიც მიწას სთხრიან.

საზარელი ხმა აქვს ზარს. ვერ მივეჩვიე.

— მზადა ხართ? — გვიყვირის ქალი და პასუხს არ ელოდება. ფეხს აჭერს სამუხრუჭე პედალს და მიწაში უშვებს კაბინას, რომელშიაც ხუთ კაცზე მეტს აკრძალული აქვს დგომა. კაბინა ვიწროა ხუთი კაცისათვისაც. ერთმანეთს ვეკვრით და ერთმანეთის სუნსა ვგრძნობთ. სწრაფად ქრება დღის სინათლე და კარბიდის ნათურები ციმციმებენ მიწისქვეშა გიგანტური ციცინათელებივით.

მუშებს არ სიამოვნებთ ჩემი დანახვა, რადგან ვაცდენ, სანგრევს თავი უნდა დაანებონ და მიცადონ, სანამ მოვრჩები „ჩხირკედელობას“, — როგორც ისინი ამბობენ: დოკუმენტაციას, ჩაქუჩის ფხაკურს და გამადიდებელი ლინზით მაღნის თვალიერებას. ამას ყურადღებას არ ვაქცევ: რას იზამ, მე თვითონაც არ მსიამოვნებს ბევრი რამ.

ჩვენ ვცხოვრობთ მარტონი. მზარეულიდან დაწყებული მბეჭდავ მემანქანემდე ყველანი კაცები არიან. ერთადერთი ქალი, რომელსაც ვუცქერით, უშნოა, სქელი და შარვალი აცვია. ბევრ რამეს ამბობენ მასზე მუშები და ძმაკაცურად ექცევიან, მაგრამ არა მჯერა. ის ერთადერთი ქალია. მამაკაცებს კი არ შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიათ, რომ არ ილაპარაკონ ქალზე. ამიტომ არა მჯერა, რასაც აბრალებენ.

ქალები ვერ გაძლებენ აქ. ძალიან ცივა. გამუდმებით უბერავს ქარი, სუსხიანი, ნოტიო, შეუსვენებლად სისინებს; ამიტომ ის უფრო გულს გვიწვრილებს, ვიდრე გვეინავს. ჩვენ მზისგან, ქარისა და კარბიდის ნათურებისგან კანდახეფილი და გარუჯულები ვართ. ქალები ვერ გაძლებენ აქ: მათ ნაზი კანი უნდა ჰქონდეთ. მარგო, ასე ჰქვია შემანქანე ქალს, მარგო კი სძლებს.

უცნაურად შეეჩვიე აქაურობას. იშვიათად მახსენდება დედაქალაქი, მხიარული გაზწყობილება, ლამაზი გოგონები და ჩემთვის ყველაზე საყვარელი რამ ამ ქვეყნად — მუსიკა. არ ვიცი რატომ მედიმება, როდესაც ვიხსენებ საზეიმოდ გამოწყობილ ჩემს ორეულს, დარბაისლურად მოსაუბრეს გოგონებთან სიმფონიური კონცერტის ანტრაქტზე. ყველაფერს შეევთვისე, მხოლოდ ხანდახან მეტირება, ვდარდობ და ვფიქრობ მუსიკაზე. იდუმალი ბგერები თანდათანობით იძენენ შესაბამის გამოსახულებას და მალე ცხადად ვხედავ მათ. მარტო მათ კი არა. მე ვიხედები ჩემს გულსა და ტვინში. და როდესაც დავრწმუნდები, რომ არავინ მიფორიაქებს სულს, რომ არაფერი არ მიდლის ტვინს, რომ მზადა ვარ უკანასკნელ უჯრედამდე ვეკუთვნოდე ამ აღმაფრენას, მე ხარბად ვაცეცებ ჩემი ბუნების მხვიარა სხეებს, ვეძებ, ვპოულობ, ვენდობი და მივყვები მუსიკას. იგი ხელს მკიდებს და ერთად მიფრინავთ შორს, ცისფერ სამყაროში. მერე აქ მარტო მტოვებს, თუმცა შეუძლია დამტაცოს ხელი და ისეთი ძალით დამანარცხოს დედამიწაზე, რომ ნამტვრევებად ვიქცე; მას შეუძლია უფრო მაღლა წამიყვანოს, ზევით, სულ ზევით, სადაც პირქუში, ყრუ, დიდებული, მიუღწეველი და ამიტომაც უბედური და სევდიანი ღმერთი ცხოვრობს ჰანგისა. მას შეუძლია მატიროს და ფროვნი შემასხას, რადგანაც არ შემწევს ძალა წინ აღვუდგე განცდას, რომელიც მბოჭავს და მაღრჩობს, რომელსაც ძალუძს მყოს ბედნიერად და უბედურად; რადგან არ ვდგისარ წინ აღვუდგე მუსიკის კანონს. „შენი დარდი რომ არა მკლავდეს, — ვეუბნები ხშირად მას, — არასოდეს არ ვიფიქრებდი ქალაქზე“. ის ჩუმად არის. არ მპასუხობს.

ეს წელზე მეტია, რაც ეს საბადო აინტერესებთ ადამიანებს. ადრე ხშირი იყო ავარიები. ამიტომ შახტისაკენ მიმავალ გზაზე პატარა სასაფლაოა. არ ვიცი რატომ დაასაფლავეს პირველი მსხვერპლი ამ გზაზე. ეს ავარიის არ სიამოვნებს და ცდილობენ თვალი აარიდონ. სასაფლაოს კეთილინდისიერად ნაშენი და თეთრად შეღებილი ღობე აქვს გარს შემოკრული, აღმოსავლეთით დიდი და შავი ალაყაფის კარია, რომელიც ჯაჭვზე ჩამოკიდებული ბოქლომით იკეტება. გაღალები მარგოსა აქვს ჩაბარებული.

სასაფლაოს შემდეგ პატარა ღელეა. ღელეზე არყის ხისაგან ნაშენი ხიდია, მოაჯირებით. ამ პატარა ხეობას გაივლი და შახტიც აქვეა. ხიდზევე ისმის ამწე მანქანის ხმაური, ბაგირის ჭრიჭინი და მარგოს როხროხი.

— რომელ ხორიზონტზე მიდის უფროსი? — ღრიალებს მარგო.

— მეოთხეზე, — ვპასუხობ. მუშები რიგს მითმობენ და გზიდან მეცლებიან. ზარი გრიალებს ოთხჯერ.

— მზადა ხართ? — ცდილობს ზარის ხმა დაფაროს მარგომ. ფეხის უმნიშვნელო მოძრაობა, და კუდიანი დედაბერივით მიწაში გვაქრობს მარგო. მეოთხასე მეტრზე გადმოვდივარ ლიფტიდან. ჰორიზონტის მორიგე ანთებულ სანთურსა და რკინის ქუდს მაწვდის. გვირაბში ელმავალი გრიალებს და ნაპერწკლებსა ჭყრის. კაჯალებენ ეაგონები, ერთმანეთს ეჯახებიან, ლანდაგებს აწვებიან და ღრჭიალებენ. შტრეკში ეუხვევ და საინტერესო სანგრევისაკენ მივდივარ. გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალახიანია და წყლით სავსე. ეს შტრეკი სასაფლაოს ქვეშ გადის. უცნაური ფიქრები მაწვალებენ... აქეთ-იქით ვიხედები და რატომღაც ჩემთვის არადამახასიათებელი ბოხი ხმით ვამბობ: „ყველაზე დაბლა ვარ, ყველაფერზე დაბლა“.

შორს მუშების ფიგურები მოჩანს. სამნი არიან. მათი გიგანტური ჩრდილები სანთურის ალთან ერთად კანკალებენ და ცეკვავენ. მუშებს ცხელათ; ტანზე გაუხდიათ, მტვრით დაფარვიათ სხეული. მათ მხოლოდ ის კუნთები ებურცებათ, რომლებიც მუშაობენ; ამიტომ უშნო მკლავები აქვთ.

— გამარჯობათ! — ვამბობ, კარბიდის სანთურს ქანის ნაპრალში ვარჭობ სანგრევის კედელზე და ტალახიან მაღნის ნამსხვრევებზე ვჯდები. ისინი თავს ანებებენ სამუშაოს.

— მოგწიოთ!

ძლივს ვანთებ ნამიან ასანთს. სანთურზე პაპიროსის მოკიდება არ შეიძლება: კარბიდი აზარავს კბილების ემალს.

— როგორ მოგწონთ?

— კარგად გიმუშავნიათ.

— გეგმა იქნება?

— შეიძლება...

— მარტო გეგმა?

— გავზომავ თვის ბოლოს და...

— ახლა როგორ ატყობთ? — ცნობისმოყვარეობას იჩენენ.

მშვიდად ითმენენ, სანამ სამუშაოს მოვრჩები. ოფლს ვიწმენდ და კვლავ ვთავაზობ:

— მოვწიოთ.

ვაბოლებთ.

— სხვა, როგორა ხართ?

— ეეხ! — ამბობს ტანმორჩილი.

— ერთი სული აქვს, სანამ შინ დაბრუნდება. — აბეზღებენ.

— რატომ?

— ახალი ცოლშერთულია.

— მორჩით, კაცებო! — ამბობს ტანმორჩილი.

— ძალიან აქებს თავის ქალს, — ხარხარებენ ორნი და მტვერსა ყლაპავენ თამბაქოს კვამლთან ერთად. კვამლი ფართოვდება, მტვერში ერევა და ძლივს ვარჩევთ ერთიმეორეს.

— კარგია, კარგი, — ხუმრობს ტანმორჩილი, — ჯანმრთელი. ღია ფერის თმები აქვს, ჭროღა თვალები და ღონიერი მკლავები.

— მე კი ისეთი ქალი მიყვარს... — ამბობს მესამე.

— გაჩუმდი, შე ცინგლიანო! — სიცილით აწყვეტინებენ ორივენი.

მესამე იცინის და განაგრძობს:

— ისეთი, როგორიც...

— მარგოა! — უმატებს გოლიათი. მესამე განაგრძობს, მაგრამ საერთო როხროხი, რომელიც მიწისქვეშ გასაოცარ რეზონანსს იძენს, ფარავს მის სიტყვებს.

— დამაცა... მათქმევინე, მინდა დიდი მკერდი ჰქონდეს...

— ხო, ხო, ხო, ხო! — ხარხარებენ სამივენი.

— დიდი ტუჩები და მსხვილი ფეხები. — გული მისდის სიცილისაგან მოამბეს.

— ხი, ხი, ხი, ხი! — ხარხარებენ სამივენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალი ისეთი უნდა, რომ...

— პატარძალივით ცქრიალებდეს...

— კარგ საშმელს ამზადებდეს...

— ოჯახს უვლიდეს...

— ხა, ხა, ხა, ხა! — ხარხარებენ სამივენი.

ნელ-ნელა წყნარდებიან, ცრემლებს იწმენდენ და მშვიდდებ..ან. საოცარი სიჩუმე ვარდება ამ დროს მიწისქვეშ. თითქოს არავინ არის.

შუურები მზად არის. ამფეთქებელი ზუსტად მოდის, ამონალს ტენის და ზონარს უკეთებს.

— წადით, ბიჭებო.

— კარგი ერთი, მოუკიდე! — ამბობს გოლიათი.

— აი, უფროსიც აქ არის და უფრო მალე აგვიყვანენ ზევით, — დასძენს მესამე.

ამფეთქებელი ჯერ პაპიროსს უკიდებს, შემდეგ კი ზონრებს, რომლებიც სხვადასხვა ზომისაა იმიტომ, რომ აფეთქების რიცხვი დაითვალოს, მუშები იცვამენ და სამუშაო იარაღებს იკიდებენ ზურგზე. არავინ არა ჩქარობს. ხომ შეიძლება შეცდომა მოუვიდეს ამფეთქებელს, რომელიც დაღლილი და ნერვიულია!?. აქაურობა რომ აფეთქდეს, ისე აირევა ჩვენი ხორცი ერთმანეთში — თავსა და ფეხებს ვერ გაარჩევს კაცი. მაგრამ არ უნდა ვიჩქარო. რაკი აფეთქებას აქ ვესწრები, უნდა მოვითმინო. მუშები მაკვირდებიან. მაკვირდებიან ყოველთვის, მაკვირდებიან ხარბად, რომ შიშის გამომეტყველება დამიჭირონ სახეზე. თითქმის ყველაზე ბოლოს მოვდივარ. მესმის, მესმის კი არა, თითქოს ფიზიკურად ვგრძნობ, როგორ შიშინებს ცეცხლი და როგორ პატარავდება ზონრები. გული მიწვრილდება და ხორცი მაკლდება. არ მსიამოვნებს ეს აზარტული თამაში სიკვდილთან. როგორც იქნა გავედით გვრიაზში. ამფეთქებელი შედგა. პროვიზორივით ზუსტია ეს კაცი!

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... შვიდი! მადლობა ღმერთს!! — წყნარად დაითვალა აფეთქების დახშული, მაგრამ ძლიერი ხმები. ჩვენ სანთურები ჩავგიქრა და პირი დავაღეთ, რადგან ყურის ბარაბანს მტკივნეულად მისწვდა მიწისქვეშ დაგუბებული ჰაერის წნევა.

— მეშვიდე ზონარი გრძელი მომსვლია, — აღნიშნა ამფეთქებელმა და გაიფიქრა: „შეიძლებოდა პირიქითაც მომხდარიყო. მაშინ?“

— ყოჩაღ! — დაარტყა ტორი გოლიათმა. ამფეთქებელმა ჩაახველა.

— არაყი ხომ არ გექნებათ? — იკითხა მერე.

— არა! — ცივად უპასუხეს. ალბათ, ჩემი მოეხათრათ.

სანთურები ავანთეთ.

— გეგმა იქნება? — კვლავ კითხულობს ტანმორჩილი.

— ლიფტი გელოდებათ, უფროსო! — ყვირის შორიდან მორიგე.

— მოვდივართ.

ოთხჯერ საზარლად ზრიალებს ზარი.

ერთმანეთს ვეკრობით. მფეთქი მასალის, გამოღებული მადნისა და მიწის სუნი დგას ირგვლივ, რადგან ხუთიენენი ოფლიანები ვართ.

— მშვიდობით მოხვედით? — ხრიალებს მარგო.

— მშვიდობით, ჯიგარო! — ეუბნება ამფეთქებელი. — არაყი არა გაქვს?

— არა, — საჩქაროდ პასუხობს დედაკაცი.

— კარგი ერთი, გექნება, — ხელს ურტყამს მხარზე ამფეთქებელი.

— არა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარგო, ძმაო, გათხოვება არ გინდა? — ეკითხება ტანმორჩილი.

— გათხოვებას მოგცემ მე შენ! — მუშტს უღერებს დედაკაცი.

— რა მუშტი აქვს, ერთი შეხედეთ! — იოცებს მესამე.

— უფროსო, რა ამბავია ხორიზონტზე? — მეკითხება მარგო, რომ აბეზრება ჩამოიშოროს.

— მშვიდობა, მარგოჯან, ძველებურად.

— თქვენი ხორიზონტი მოწინავეა! მიყვარს ეგ ხორიზონტი.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ვეუბნები და მუშებთან და ამფეთქებელთან ერთად გზას მივუყვები.

— მართალს ამბობს მარგო. ჩვენი ჰორიზონტი მოწინავეა. მხოლოდ ეხლა არ ვიცი. ვეგმა იქნება? — ისევ ჭირვეულობს ტანმორჩილი.

მუშები სასაფლაოსთან თავის სახლისაკენ უხვევენ და მემშვიდობებიან. ამფეთქებელი უკან მოჩანჩალებს. მერე ჩქარი ნაბიჯებით მეწევა.

— ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ არაყი ხომ არ გექნებათ?

— მაქვს. წამოდი.

— გმადლობთ.

— სამუშაო დროს რომ გნახო ნასვამი, ხომ იცი რას გიზამ?

— ვიცი.

კარს ფეხით ვაღებ.

სულმოუთქმელად ცლის პირამდე სავსე ჩაის ჭიქას ამფეთქებელი, ცრემლებს იწმენდს და პურს ყნოსავს.

— უამე.

— არ მინდა.

— რა მოგივიდა?

— მომბეზრდა, ეშმაკმა წაიღოს, აქაურობა!

— შენ გგონია მე არ მომბეზრდა? მაგრამ რას იზამ! გაგვლის, ვიცი შენი ხასიათი. მალე მოვრჩებით დაზვერვას, მარაგს დავამტკიცებთ, საბადო საექსპლოატაციოდ გადაეცემა. მოვლენ დიდი მანქანები. ქალაქი აშენდება აქ. სასაფლაოს, ალბათ, აიღებენ. გააშენებენ ბაღებს. გაჩნდება სკოლები, საავადმყოფოები. მოვა სინათლე, სიხარული, მუსიკა. და როდესაც შევეჩვევით ყველაფერს, ისევ მოგვიწევს ავიკიდოთ გუდანაბადი და მოვუსვათ მთებში, სადაც შეგვცვივა კარვებში, სადაც სანთლები და ნავთის ლამპა გაგვინათებს, სადაც იქნება ღობეშემორტყმული პატარა სასაფლაო, რომლის გასაღებს მარგოს ჩავაბარებთ. ვიცი შენი ხასიათი: მოხვალ და მეტყვი...

— წამიყვანე, უფროსო!

— წაგიყვან, აბა არ წაგიყვან?! შენც, გოლიათსაც, ტანმორჩილსაც, თავისი ახალშერთული ცოლით...

— ჩვენი უბანი იქაც მოწინავე იქნება.

— რა იცი?

— ვიცი, უფროსო.

ამფეთქებელი ნახევარ ჭიქასაც ისხამს, ხუხავს და პურს ყნოსავს.

— უამე!

— არ მინდა.

— რა მოხდა?

— ბიჭებს ძალიან აინტერესებთ: გეგმა იქნება?

მე ვუყურებ როგორ იხურავს ქუდს ამფეთქებელი და როგორ იჯახუნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარს, მაგრამ ხმაური არ მესმის. შემდეგ ვავსებ ჭიქას, სულმოუთქმელად ვცლი და მადიანად ვსადილობ.

ფანჯრიდან საღამოს სუსხიანი ნიავი იპარება. სინათლეს ვაქრობ და საწოლზე ვეგდები. დავიძინო მსურს. თვალებს ვხუჭავ და ვიხედები ჩემს გულსა და ტვინში. მერე ხარბად ვაცეცებ დიდ ხელებს, რომელიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და რომლითაც ვეძებ, ვპოულობ, ვენდობი და მივყვები მუსიკას. იგი ხელს მკიდებს და ერთად მივფრინავთ შორს, ცისფერ სამყაროში. მერე აქ მტოვებს მარტოს, თუმცა ყოველ წამს შეუძლია დამტაცოს ხელი და ისეთი ძალით დამანარცხოს დედამიწაზე, რომ... ამფეთქებელი თუ ზუსტად არ იმუშავებს, რა ვიცი, იქნება გეგმა?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ლეონიძე

ადამიანები არ იკარგებიან

ჩვენი რესპუბლიკის პიონერები საამაყო მიღწევებით ხვდებიან ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს. ეს ნარკვევები ასახავს ქართველი პიონერების ცხოვრებისა და სწავლის ზოგიერთ ამბავს და მათვე ეძღვნება.

ბიუმბი ბურთს დაედევნენ. ბურთი კედელს გადაეკარ, ეზოში რამდენჯერმე ავარდა და ლიდ ფარჩენილი კარებიდან ოთახში შეგორდა. ოთახიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ამიტომ წუთით შეეყოვმანებული გუნდის კაპიტანი ყოველგვარი ნებართვის გარეშე შევიდა შიგ. ბურთს ხელი დაავლო და უკანვე გამოსკლას აპირებდა, რომ მოულოდნელად შენიშნა ათი-თერთმეტი წლის ბუთხუნა ბიჭი, რომელიც საწოლზე ოდნავ წამოწეულიყო და მონუსხულივით მისჩერებოდა მას. დიდრონ, ქლიავისფერ თვალებში გაოცება და ცნობისმოყვარეობა ეხატებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ოთახში არავინ მეგონა, მე ალბერტი ვარ, აქვე ახლოს ვცხოვრობ. შენ? მწოლიარეს თვალებსა და ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— დედა გრიშას მეძახის! ბურთი შენია?

— ჰემაა. წამოდი ვითამაშოთ, ლოგინის თელვას შემდეგაც მოასწრებ.

გრიშა შეიჭმუხნა, წამოწია, თითქოს წამოდგომაც დააპირა, მაგრამ თავი ისევ დატკბენილ ბალიშზე მიდო და ხელი გაიქნია.

— არა, ვერ წამოვალ!

— შენი ნებაა!

კარებთან შეჩერებულმა ალბერტმა ბურთს უყურეოდ ამოჰკრა ფეხი,

გასვლას აპირებდა, რომ გრიშას მუდარა შემოესმა.

— ალბერტ ნუ გწყინს, გეთაყვა, მაგრამ იცი...

სიტყვა არ დაამთავრა, ნაღვლიანად ამოიოხრა და დუმატა: — წყალი შემომელია, იქნებ შემომიტანო.

„უყურეთ ამ უქნარას, წყლის მოტანაც ვერ მოუხერხებია“, უარი უნდოდა ეთქვა ალბერტს, მაგრამ გრიშამ ისეთ თვალებით შეხედა, რომ ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა და პირთამდე სავსე ტოლჩა სკამზე დაუდგა. — გმადლობთ, როცა მოიცალო, კიდევ შემოიარე!

— შენ რა, გარეთ აღარ აპირებ გამოსვლას? არა, ძმობილო, ზარმაცებთან საერთო არაფერი მაქვს, ნახვამდის.

— მოიცადე, კეთილო ბიჭო... მე ხომ ადგომა არ შემძლია!! ალბერტი სილაგარტყმულივით შეტრიალდა. ბუთხუნა ბიჭს თეთრ, ბზეუკარება სახეზე ცრემლები სდიოდა. ალბერტმა ყელსახვევს ცერი გამოსდო, თითქოს ვიღაცამ მაგრად წაუჭირა და სული ეხუთვმაო, რამდენიმე ნამიჯი გადადგა, გრიშასთან ახლოს მოვიდა, გრუხა თმებზე ხელი გადაუსვა.

— ნუ ტირი, გრიშა... მაპატიე, მე ეგ არ ვიცოდი!

ცოტახანის შემდეგ დამშვიდებულმა გრიშამ აი რა უამბო ალბერტს.

დიდი სამამულო ომიდან მამა ნაჭრილობევდაბრუნდა. ოჯახში ერთდროულად ორი აკვანი დაირწა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ბედნიერება. გრიშას და ლარისა მეექვსე თვეზე ავადმყოფობამ იმსხვერპლა. მკერდნატყვიარმა კაცმა ვეღარ გაუძლო ამ უკანასკნელ ჭრილობას... დაიწყო მძიმე წლები, დედა დილაადრიან სამუშაოდ მიდიოდა, საღამოს კი ორნი მდუმარედ დასეირნობდნენ ზღვის ნაპირზე. დღე დღეს მიჰყვებოდა, გრიშა თამამი და თვალადი იზრდებოდა, ერთ დღეს ბურთის თამაშს დადაყვნენ პატარები. ქუჩაში გადავარდნილ ბურთს გრიშა თავაწყვეტით დაედევნა, ძძღოლმა მანქანის დამუხრუჭება ვერ მოასწრო და... ამ დღიდან გრიშა მიეჯაჭვა ლოგინს. ეერავითარმა წამლობამ ვერ უშველა. გრიშა და დედამისი სხვა ქუჩაზე გადავიდნენ საცხოვრებლად. ეესი-

წელია დილიდან საღამამდე მარტოდ-მარტოა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში, მისი მუდმივი თანამგზავრი მხოლოდ ფიქრები და ალბომი, რომელშიც ხატავს თავის ნაფიქრალს, ადრე განცდილსა და ნანახს...

ალბერტმა ახლოდა დახედა გადაშლილ ალბომს, რომელშიც ფერადი ფანქრით ზღვა იყო გამოხატული. ვემპანზე პატარა ბიჭუნა იდგა და ამომცავლ მზეს შესცქეროდა. ალბერტი მიხვდა, რომ გრიშკას აზვირთებულ ზღვასთან თავისი ოცნების ჯიდილი დაეხატა.

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ალბერტ თაალებზე მომდგარ ცრემლს ძლივს იკავებდა, კრიშკას გამხნევება უნდოდა, მაგრამ სიტყვებს კერ პოულობდა. ბოლოს წამოდგა, გამოერკვა, მზრხდილიეით გაიარ-გამოიარა და როგორც იყო ამოილაპარაკა:

— გრიშკა, დღეიდან შენს მეგობრად მიგუღე. ნუ დარდობ, ამიერიდან მარტო აღარ

ხდებიან და აბა გრიშკას როგორ ვერ განკურნავენ.

გრიშკა შუმკო იცხოვრებს, გაიზრდება, იგი არასოდეს აღარ იქნება მარტო, მასთან იქნებიან მისი მეგობრები, ბათუმელი ახალგაზრდები.

გრიშკას მხატვრობა იტაცებს, ამაში ხედავს თავის დანიშნულებასა და ბედნიერების განცდას. დე, ხატის პატარამ, ხატის იმ ნათელი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება, სადაც ადამიანები არ იკარგებიან.

გაგარინის რაზმელები

ტყემლის ხესავით აფეთქებული აპრილის ულრუბლო დილა იდგა. ნიავი ხევში განაბულიყო და სკოლისაკენ მიმავალ გოგო-ბიჭებს ისე მიმპარავად უთვალთვალებდა, გეგონებოდათ, სადაცაა წამომიმართება, დაიწვება და ხმაურითა და ანცად მიმავალ ბავშვებს ყელთან გამოსკვნილი წოთელი ყელსახვევების შეფრიალებით თვის არსებობას შეახსენებსო.

ნიავის ეს სურვილი გასაკვირიც არ იყო, რადგან მას ცოტა რამ როდი აკავშირებდა ამ ვერცხლისწყალივით დაუდგრომელ, მეოცნებე ადამიანებთან. ნიავს რომ ენა ჰქონოდა და ლაპარაკი შესძლებოდა მაშინ ბევრ რამეს მოგვიყვებოდა ქვიშხეთის პიონერებზე. მოდით, ასეც წარმოვიდგინოთ, ყური დავუგდოთ ნიავს, მისი თვალით დავინახოთ, მისი სათქმელი ვთქვათ, მიოუმეტეს, რომ ნიავს პატარა მეგობრების წინაშე გარკვეული დამსახურება მიუძღვის. განა ამას წინათ მისი დახმარებით არ იყო, რომ ტექნიკის მოყვარულებმა დიდიხნის ნანატრი წადილი ისრულეს? აბა, უიმისოდ რას გახდებოდნენ, დასავლეთიდან რომ არ დაებერა და გუბეში ჩაშვებული ვემბისათვის აფრები არ გაეშალა. მართალია, ზოგიერთი მათგანი იმდენად თავშეუკავებელი აღმოჩნდა, რომ შეჯიბრების დაწყებისთანავე ფრთადაჭრილ თოლიასავით შეფარფატდა და ისე ურცხვად გადატრიალდა, თითქოს მათ აწყობაში ამ ამბით გაწბილებულ პატარა ოსტატებს ერთი ღამეც არ გაეთითო, მაგრამ ნიავს რა შეელა შეეძლო? ამ შემთხვევაში სრულიად უძლური გახლდათ — ამდენი მათეამატიკისა და ფიზიკური თეორემების თავი მის არ ჰქონდა და რადგან ტექნიკისაც არაფერი გაეგებოდა, ვერავინ გააშტაფნებდა.

...აგერ თამარი, მას თამაზ მანჩხაშვილი ადევნებია და გუბეზე გადახტომაში შეელის ეს ვინღაა, ბარბე ჩანთა რომ გადაუდია, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად და სკუბ-სკუბით მოხტის? იცნო. კურდღლებზე შეაყვარებული ნარგიზი გახლავთ. მის დანახვაზე ნიავი ყოველთვის სიცილის ხასიათზე დგება, რადგან ახსენდება, რომ ეს ნაწნავებგაგრეხილი გოგონა დღენიადაგ ბაჭიებზე ფიქრობს და საქეციყნად გაიძახის: უჩემოდ ამ საცოდავებს დარდისაგან ნაღველა დაეტრგამათ და ერთ დღესაც ვერ იცოცხლებენო. ნიავს ეშეი აქვს, რომ ნარგიზამ დანამდვილებით ისიც კი არ იცის, აქვს თუ არა საერთოდ კურდღელს ნაღველა. მოდი და ამისთანებს კურდღლების მოელა-პატრონობა ჩააბარე!

სკოლის სიახლოვეს ბავშვების ჭრიალმუძმა იმატა. ნიავი ყველა მათგანის ჩამოთვლას ვეღარ ასდოდა. სალმით კი ყველას ესალმებოდა. იმათაც, დილადრიან სკოლის ნაკვეთში სიმინდის დასათესად კვალს რომ ავლებდნენ, ამათაც, კაკლის პატარა ნერგებს წყალს რომ აპკურებდნენ, დათოსაც, თუთის გამადრეული ტოტების ქვეშ აჩქარებით ლექსს რომ იზეპირებდა, რადგან წუხელ კინოში გაიპარა და გაკვეთილების სწავლას თავი ვერ მოაბა.

ასეთ სანახაობებს ნიავი შეჩვეული იყო, არ ეუცხოვებოდა. მხოლოდ ერთი ეშინოდა: საერთო ყივილ-ხივილსა და გატაცებაში დღეს რატომ გამოირჩეოდნენ მეექვსე კლასის პიონერები, რატომ ჰქონდათ იმედითა და იდუმალებით აღსავსე თვალები, რას ელოდებოდნენ?

ბოლოს სკოლისაკენ აჩქარებული ნაბიჯებით მომავალი თურმეტი წლის ქალიშვილი გამოჩნდა, ბოგირი სწრაფად გადმოიარა და მეექვსე კლასის პიონერები ჯგუფად რომ შენშნა, თავი ვეღარ შეიკავა, სირბილით გაეშურა მათკენ.

ლილის ხელში გაზეთი „ნორჩი ლენინელის“ ახალი ნომერი ეჭირა. მან სული მოითქვა და ცნობისმოყვარეობისაგან სულგანაბულ ბავშვებს აუწყა:

— ჩვენი გამოანგარიშება სწორი გამოდგა, კასპში მოწყობილი ექსკურსიით უკანასკნელი კილომეტრები დაეფარეთ, მეშვიდე ეკიპაჟი ორბიტაზე გავიდა, ამიერიდან თქვენს ეკიპაჟს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეიდწლეული თანამგზავრი რაზმის“ სახელი ეწოდება.

— აი, ამის დასტურიც, — განაგრძო ლილიმ, გაზეთი გაშალა და ამოიკითხა: ეკიპაჟის ყველა წევრი, ამ რაზმის ხელმძღვანელი და უფროსი პიონერხელმძღვანელი დაჯილდოვებული არიან „ნორჩი ლენინელის“ სიგელით. სალანტეთა-შორისო სადგური „მზიური“ ულოცავს ეკიპაჟს დიდ გამარჯვებას და უსურვებს ახალ წარმატებას თამაშის მეორე ეტაპზე.

ამ ცნობამ, რომელსაც მოსწავლეები მოუთმენლად ელოდებოდნენ, აღაფრთოვანა ისინი.

მეექვსე კლასის პიონერული რაზმის ხელმძღვანელმა ეთერ გელაშვილმა ადრე ნათქვამი შეახსენა ლილის. პირობის თანახმად სკოლის თავზე იმ რაზმის ალამი და ეკიპაჟის რაკეტა უნდა დამაგრებულიყო, რომელიც პირველი გავიდოდა ორბიტაზე. ამ სპპაკონი საქმის შესრულება ეკიპაჟის კაპიტანს ნანი შუბითიძეს და ეკიპაჟის რადისტს ნაზიბროლა ქალიაშვილს დაავალეს. სახეგამბარწყინებულმა გოგონებმა, პიონერთა ოთახიდან რაზმის ალამი და ფაფრისგან დამზადებული რაკეტა გამოიტანეს და აჩქარებით გასწიეს სკოლის შენობის უკან მოდგმული კიბისაკენ. ეზო მოსწავლეებით გაივსო. ყველას მეექვსე კლასელების გამარჯვება ეკერა პირზე.

...რაზმის ოცდაათი პიონერიდან სწავლაში ყველა ასწრებდა. ჯგუფში შვიდი ხუთოსანნი და ექვსი ოთხოსანი იყო, ეკიპაჟის კაპიტანი და რადისტი ხომ სანიმუშოდ სწავლობდნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ დაბალი ნიშნების გამოსწორებაში, მათ დიდიხანია დევიზად გიახდეს — „ისწავლე წარჩინებით და ჩამორჩენილიც აიყვანე შენს დონემდე“. სწორედ ეს სურვილი ამოძრავებდა ეკიპაჟის კაპიტანს ნანი შუბითიძეს, როდესაც სწავლაში ჩამორჩენილი პიონერი ჯაფარიძე მოწინავე მოსწავლეებს გვერდით ამოუყენა.

ისიც ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ეკიპაჟის წევრები სწავლასთან ერთად შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდნენ. თანასოფლელებს ხან ვაზის ახვევაში ეშველებოდნენ, ხან კი თოხით მესინდღეებს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ. შარშან ათი გრამი მურიდან ორმოცდახუთი კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი მიიღეს. სკოლის ნაკვეთზე კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანეს, სოფელში მტროვანებმა ბოლოს ბოლქნის მოცალ-პატრონობაში მოუხმარნენ, წელს კი ნახევარ ჰექტარზე სამოცი ცენტნერი სიმინდის მოყვანა ივალდებულეს. საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის მოწოდების საპასუხოდ ეზოში და მის გარშემო სამასი ძირი კაკლის ხე დარგეს...

ვინ მოთვლის კიდევ რამდენ სასარგებლო საქმიანობას არ ეწეოდნენ. სკოლის ახლადაშენებული დარბაზის მშენებლობაში პიონერების შრომაც იყო ჩაქსოვილი.

პიონერებს ეკსკურსიები და ლაშქრობებიც არ აკლებოდათ. წარსულის შესწავლა ხომ ასე იტაცებდა პატარებს, მოწიწებით ეცნობოდნენ მშობლიურ მხარეს, შემორჩენილ ტაძრებსა და ციხის ნანგრევებს, გარდასულ დღეთა ფურცლებს და ბალღური დარღითა და სიამაყით ეესმოდათ გული... პიონერებმა ახალდაბაში თამარის ციხე საბრძოლო თამაშით დალაშქრეს, სურამის ციხეზე ჭონქაძის ცრემლშეუშრობი გმირები გიახლენეს, ბოლმელის ციხეზე ქართველი გმირი დედების სადიდებელი ლექსები თქვეს, ვარძიის ციხის დარბაზები გულმოდგინებით დათვალიერეს.

ამასობაში სკოლის შენობის თავზე რაზმის ალამი და ეკიპაჟის რაკეტა გამოჩნდა.

პიონერებს ამის დანახვაზე ის იყო ვაში და ტაში უნდა აეტეხთ რომ მოულოდნელად ყველა ერთბაშად გაირინდა. ეთერში გაისმა კრემლის კურანტების ნაცნობი ხმა. წუთის შემდეგ დიქტორი ქვეყანას აუწყებდა, რომ საბჭოთა კავშირში დედამიწის ორბიტაზე გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „ალმოსავლეთი“, რომელშიაც სსრ კავშირის მოქალაქე მაიორი იური ალექსისძე გაგარინია.

ალტაცებული ყიეინა მთელ სოფელს მოედო, ახდა კაცობრიობის სანუკვარი ოცნება. ადამიანი კოსმოსში, — ოცნება, რომელიც ის იყო პიონერებმა თავის მდიდარ ფანტაზიაში განახორციელეს, — სინამდვილედ იქცა. ერთი პიონერული რაზმის საუკეთესო სწავლისა და შრომის შედეგად მიღწეული პირობითი გასვლა ორბიტაზე დაემთხვა სინამდვილეს.

განნდა სასწრაფოდ დაწერილი ლოზუნგები, პლაკატები. „გაუმარჯოს იური გაგარინს“, „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა ზეიმმა ამ დღეს სხვა ელფერი მიიღო. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლის შენობაში მოიწვიეს რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები, მშობლები და რაზმეულის საზეიმო პიონერული შეკრება მოაწყეს. გადაწყდა, ამ ეპოქალური მოვლენის აღსანიშნავად გამარჯვებული მეშვიდე ეკიპაჟის პიონერული რაზმისათვის მიენიჭებინთ მაიორ იური გაგარინის სახელი, ხოლო თვით გაგარინი ჩაერიცხთ რაზმის მუდმივ წევრად. ქვიშხეთის მეექვსე კლასის პიონერებმა სიხარულით აუწყეს მსოფლიოში პირველ პიონერ-კოსმონავტს, რომ ამიერიდან იგი მათი პიონერული რაზმის საპატიო წევრია და გადასცეს გულითადი მილოცვა გმირობისათვის.

ნიავი გარინდებისაგან გამოერკვა, სკოლის თავზე ამაყად ამართულ რაზმის ალამს ფრთა გაპკრა და მზის სხივებში შეთამაშა. პატარა მეგობრებს თმები აუკოჩრა, მიუალერსა. ესენი, რომ დაიზრდებიან, ალბათ, გაგარინის საგმირო საქმეს წინ წასწევენო და ახლაღა მიხვდა, რომ პიონერების დაუცხრომელ რომანტიკას, ოცნებით ორბიტაზე გასცლას რაღაც საერთო ჰქონდა ამ დიდ მოვლენასთან, რომ ეს საოცარი დამთხვევა სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. ამ პატარა ამბებსა და ბავშვურ ოცნებებში ეყრებოდა საფუძველი მომავალ საგმირო საქმეებს.

ნიავმა ეს აღმოჩენა სიხარულით აიტაცა ზეკით, მთებისა და ტყეებისაკენ გაქანა, იქიდან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი პიონერების გაბრწყინებულ სახეებს, მათ ზეიმს და მიხვდა, რომ ეს მეოცნებე, პატარა ადამიანებ არასოდეს არ შეარცხვენენ იური გაგარინის სახელს, ისწავლიან და იშრომებენ ისე, რომ მათმა შემხედავმა გაგარინმა სამაყოთ თქვას:

— იცნობდეთ, ესენი ჩემი რაზმელები არიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან სულაკაური

ნახატები თენგიზ მირზაშვილისა

ნოდარ კვარაცხელია

კოჩუბეი

რკინიგზის ლიანდაგები უსაზღვრო სივრცეზე გაჭიმულან. ამ ლიანდაგებზე მიგრიალებენ მატარებლები, ერთი კუთხიდან მეორეში გადაყავთ მგზავრები; ამ ლიანდაგებზე ძმიმედ მიაბიჯებენ ზზარმაზარი ეშელონები. ლიანდაგები მაშინ ახმაურდებიან, აცახცახდებიან, მერმე გაყუჩდებიან და გარინდულნი ყურს უგდებენ ტელეფონის მავთულების განუწყვეტელ სტვენას. ლიანდაგები სადღაც შორს მუდამ ქუფრი ღრუბლებით დაფარულ ჰორიზონტს უერთდებიან.

ობოლივით შეხიზნენა აქაურობას რკინიგზის სადგური. პატარა შენობითა და ტვირთის საწყობებით, სატვირთო ბაქანითა და ქარისაგან დაცრეცილი, ტანგაძარცვული ხეებით.

კოჩუბეი!..

კოჩუბეი!.. სტეპში მიყუჩებული რკინიგზის პატარა სადგური.

ამ სადგურში ჩამოდიან საქართველოდან წამოსული მწყემსები, ამ ლიანდაგების იქით ჰორიზონტს გახედავენ, მერმე გზას განაგრძობენ სტეპების სიღრმისაკენ. საკუთარ ოჯახებშიც ამ სადგურიდან მიეშურებიან.

კოჩუბეი! — ლეგენდარული გმირი რევოლუციონერის სახელობის სადგური ნოღაის ველზე. ამბობენ, თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში კოჩუბეი აქ დაეცა და სადგურსაც, რომელიც სამამულო ომის წლებში აშენდა, მისი სახელი ამიტომ შეარქვეს.

სადგურის გარშემო ათეულ კილომეტრებზე გაფანტულან ქართველი მწყემსების ფერმები და ბრიგადები. ასეული ათასი სული ცხვარი ზამთრობს უსაზღვრო ტრამალზე, ათეული ათასი კილოგრამი მატყელი მზადდება დალოცილ სტეპში, ასეული ტონა ხორცი ემატება სახალხო დოვლათს.

განთიადისას ჩამოდგა მატარებელი კოჩუბეიში. წამით შეჩერდა, სული მოითქვა, მერმე ამოიქშინა და ასტრახანისკენ გაეშურა. ბაქანზე ხურჯინწამოკიდებული რამდენიმე კაცი დარჩა. ამაოდ იხედებოდნენ აქეთ-იქით, ამაოდ ეძებდნენ მათი თვალები დამხვდურს. ავტომანქანა უნდა დახვედროდა, მაგრამ მანქანა კი არა, კაცის ჭაჭანებაც არ ჩანდა. იქნებ რაიმე შეემთხვათ, თქვეს და სადგურის პატარა მოსაცდელ დარბაზს მიაშურეს. სკამებზე ჩამოსხდნენ და გაიღიმეს. დარბაზში თბილოდა და სითბომ შეეპუხნული შუბლი გაუხსნა.

— წავიდეს?ოთ, მერმე კაი გრძელი გზა გვაქვს ბაკრესამდე, — წამოდგა რეზო იდიძე,

ალვანის საბჭოთა მეურნეობის ცნობილი ბრიგადირი, მეცხვარეები აორანას რომ ეძახიან. წამოდგა და ხუოჯინი გახსნა. ხუოჯინები მოქმეკეს ბრიგადირებმა გიორგი აბალოიძემ, როსტომ აშაძემ, არჩილ აშაძემ, ვახტანგ ნასიპაიძემ, ელიბო ქაძემ; მოქმეკეს და საგზლად წამოღებული ხორაგი ამოალაგეს.

— რა დაკლიოთ? — იკითხა გიორგიმ.

— ღვინო. საქართველოდან მოვდივართ და არაყს ხომ არ დავლევთ, სირცხვილია... დარბაზში ღუმელი გეზგეზუებდა. მწყემსები საგზალს შეექცეოდნენ.

— ჩვენს მშვიდობით ჩამოსვლას გაუმარჯოს!

— ყველა კეთილი მგზავრობისა იყოს!

— კოჩუბეისაც გაუმარჯოს!

— რომელ კოჩუბეის, სადგურსა თუ? — იკითხა არღანამ.

— ორივეს.

— არა. სადგურის სადიდებელი ცალკე შეეკვეთა.

— მაშ იმ კოჩუბეის შესანდობარი იყოს. — ჭიქა ასწია გიორგიმ.

— შესანდობარი კი არა, ეაქკაციისას შესანდობარს ქართველები არ სვამენ. ძველ დროსა,— სადღეგრძელოს ახსნა-განმარტება დაიწყო როსტომ აშაძემ, — შესანდობარს სვამდნენ იმისა, ვისაც ნახმელეკ-ნატყვიარი ზურგში ჰქონდა. ეაქკაცი კი მტრის მკერდი ეღობებოდა. ჰოდა, მკერდში დაკოდილის გამარჯვებასა და სახელის სადიდებელს სვამდნენ. კოჩუბეის გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს!

— ვინოც ყოფილა „კოჩუბეი“.

— წეგნიც.

— აი, სადგურიც არის.

— კოჩუბეის გაუმარჯოს!

— ამინ! აგრე იყოს!

ღვინომ მადა აღუქრა. ნამგზავრ, მოთენთილ სხეულში სითბო შეიტანა; თვალები გაუბრწყინდათ, საუბრის საღერღელი აეშალათ. სადოლეიდ შეებულებიდან ბრუნდებოდნენ ალავნელები: ორ-ორი, სამ-სამი, ჯგუფ-ჯგუფად. ჩამოდიოდნენ სადგურ კოჩუბეიში და თავის სამწყსოსაკენ მიეშურებოდნენ.

ცხვარ-მეცხვარეების სადღეგრძელო როცა შესვეს, არჩილ აშაძემ თავი ასწია:

— მონამგლეები ხომ ვართ?

— ვართ, ამა რა!

— ჰოდა, მაღე დოლიც დაგვწყება.

— მაინც რა გინდა თქვა? — გაეღიმა არღანას.

— ის, რომ ახლავე დავთქვათ.

— რა, ბიჭო?

— ვინ რას ეკისრულობთ.

— შენ რასა კისრულობ?

— ყოველ ას ცხვარზე — ას ბატკანი.

— კიდევ?

— ყოველ ცხვარზე ოთხ კილო მატყლს.

— სხვას რაღას?

— ოთხ კილო ყველს.

— სხვას არაფერს?

— კაი მონამგლე ვიქნები. ყორუღებს არც მოგიძოვებთ, არც მოგაძოვებინებთ. თქვენა?

— ჩვენ წინასწარ არაფერს ვიტყვით.

— რადა?

— მეცხვარეები წინასწარ არაფერს ლაპარაკობენ.

— ვითომ?

— ჰო, რა საჭიროა. ცოტა ლაპარაკი, მეტი საქმე. ავვიტოს ბოლოს დავითვალოთ შედეგები. ნაშრომიცა და ნაჯაფიც მაშინ გამოჩნდება. წინასწარ სიტყვების რახა-რუხი უსაქმურებს უყვართ. შენაც კაი ბიჭები გყავს, ნუ გეშინია. ეშრომებთ და ყველაფერს მიაღწევთ. — არღანამ ჭიქა აიღო. მონამგლეები ვართ, ყველა კაი მონამგლეს გაუმარჯოსო, თქვა და დალია.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში ისხდნენ. მანქანას უცდიდნენ და საგზალს შეექცეოდნენ. გარეთ დროდადრო მძლავრად უბერავდა ქარი. ქარი დარბაზის ფანჯრებსაც აწყდებოდა; მინებს აზრიალებდა. სადგურის პატარა ტერიტორია დუმილს მოეცვა. მკერდი ქარისათვის მიეშვირა, თითქოს შეჩვეული იყო ქარსა და ნისლს, ქარაშოტსა და გრეგალებს; თითქოს შეჩვეული იყო დუმილსაც. ქარი მავთულებშიც წოოდა...

კოჩუბეი!..

კოჩუბეი!.. რკინიგზის პატარა სადგურსტეპს შეეხიზნული სადგური — თბილი მოსაცდელი დარბაზითა და პატარა ბაკნით.

ᲒᲖᲐᲖᲔ

ღია სატვირთო „გაზ-51“ გვიან ჩამოდგა კოჩუბეიში. ძარაზე თავი ეყარა. შოფერმა ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. ვამიფუჭდა და მთელი ღამე ვაკეთებდიო, თქვა.

კოჩუბეიდან ბაკრესამდე კარგა მოზრდილი გზაა — მიხვეულ-მოხვეული, ღრმულებიანი გზის პირას ალაგ-ალაგ ბინა-ფარეხებია ზვინივით ამოზუტგული. ავტომანქანა ღმელითი მიჰქრიოდა, ძარაზე ჩამოსხდარ, ნაბადწამოსხმულ მეცხვარეებს ზოგჯერ შეანჯღრევდა. ერთმანეთს აწყვეტდა. მერმე მანქანა გიმანფოვბოდა; თითქოს სული მოითქვაო, რიტმულად გუგუნებდა და მისრიალებდა.

ისხდნენ და ხმას არ ღიებდნენ. იჯდა თავისთვის გიორგი აბალოიძე, ფიქრობდა არჩილ აშაძე, ვახტანგ ნასიპაიძეც ფიქრობდა: როგორ დახდებოდა თითოეულს ბრიგადა; შოფერმა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა, მშვიდობაო, მაგრამ მშვიდობა ბევრს არაფერს ნიშნავს მეცხვარისათვის.

— მაინც რატომ არ მოისურვეს სიტყვის დათქმა? — მერამდენედ ეკითხებოდა არჩილი თავისთავს, — რატომ? რა არის სათაკილო? — პასუხად არღანას სიტყვები ჩაესმოდა: „მეცხვარეები წინასწარ არაფერს ლაპარაკობენო“. როგორ უნდოდა არჩილს, რომ მის თითოეულ მონამგალეს წინასწარ აეღო ვალდებულება. როგორ უნდოდა გაჯიბრებოდა მათ, თუნდაც ნამატის შენარჩუნებაში. ბრიგადაში სულ ჯეელები ჰყავს, ახალგიდები. არღანა კი ყანგიანი ბრიგადირია და მეცხვარე ხომ არის და არის; ბრიგადაშიც გამოცდილი ბიჭები ჰყავს. სწორედ ამიტომ უნდოდა, რომ მათ გაჯიბრებოდა, მაგრამ არღანამ პირში წყალი დაუგუბა. გიორგი აბალოძესაც მარტო გაეღიმა მის სიტყვებზე, მეტი ხმა არც მას ამოუღია. არც როსტომ აშამეგ დაძრა კრინტი. ვახტანგ ნასიპაიძეს თითქოს რაღაც წამოცდა, არა, კი არ წამოცდა, რაღაც წაიბუტბუტა.

სხვდან მის გვერდით და სტეპს გასცქერიან. თავის ბრიგადებისაკენ მიეშურებიან და ფიქრობენ.

— წელს კაი ამინდებია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— თუ მარტმა არ აუარა, კარგია.

— ბალახი ცოტაა.

— ჯობდა კი ცოტა თოვლი და ყინვა.

— ჰო, ჯობდა.

— დოლამდე ჯერ დიდი დროა.

ბრიგადირები კიდევ დადუმდნენ. მაგრამ ფიქრებიც ღმუელით მიეწვედა წინ, ბაკრესისაკენ.

ბრიგადირებიც საახალწლო შვებულებიდან ბრუნდებოდნენ. ბრუნდებოდნენ სხვა მწყემსებიც: თითთ-თითო, ორ-ორი, ჯგუფ-ჯგუფად. შემოდგომაზე იალაღებიდან ჩამორეკის ფარები, დაბინავეს და დოლამდე შვებულებით საკუთარ ოჯახებში დაბრუნდნენ. ახლა საღოლედ მიეშურებიან ნოღაის ველისაკენ.

ბრიგადებში ოთხ-ოთხი კაციღა იყო დარჩენილი მთელი ორი თვე; საქმეც ოთხი კაცის საკმარისი იყო.

მონაგვლეები

ოთახს მკრთალად ანათებდა ნავთის ლამპა. წივაჩანთებული რუსული ღუმელი გეზგეზებდა. გიორგი აბალოძის ბრიგადაში მაგიდის გარშემო თავჩაქინდრეულნი ისხდნენ გოდერძი ქაცე, ფაზა თათარაძე და რაჟდო გაწირიძე. დაღლილები ისხდნენ და ერთხანს ხმას არ იღებდნენ. ტახტზე ნაბადში გახვეული როსტომ აბალოძე იწვა და გმინავდა.

ფაზას მწყოფრ სახეზე ოფლის წვეთები კიდევ ბზინავდნენ. ქღალი თვალებს ქუთუთოები დამძიმებოდა და ღრმად სუნთქავდა. რაჟდენი ნიდაყეს დაყრდნობოდა, გოდერძი წეკოს აბოლებდა.

გარეთ ქარი მძლავრობდა. ლერწმის ღობეებში წოიდა, ზოგჯერ მიეუჭიდებოდა, მერმე ერთბაშად დაიგუგუნებდა.

როსტომი ყრუდ გმინავდა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი სარკმელს ეხეთქებოდა, ჭიხის სახურავსაც უტეხდა.

— ვაი, თუ ჩვენი ფარეხი მოგლიჯოს, გაანავიოს! — სიმღერასავით თქვა გოდერძიმ.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია ქარსაც და ფარეხსაც. — რაჟდომ სარკმლიდან წყვდიადს გაეყო.

— წამლებიც გთოვდა. — ამოიოხრა ფაზამ და ოფლი ფარაჯის გაკუნლილი სახელოთი მოიწმინდა.

— აბა, მაშ რით ვუშველოთ?

— სიცხე რაშიები აქვს?

— ოცდაცხრამეტი.

— მესამე დღეა ტემპერატურას არ დაუწევია.

— ჰო, კაცი კვდება და მშველელი კი არაკენ არის.

— ვის რაში ედარდები, თუ ძმა ხარ. ავადუ ეგზდი — არავინ მოგაკითხავს. ექიმი ჩორნი რინოკონა: ბაჯიგანზეც არის — აქედან 75-80 კილომეტრზე. აქ არასოდეს ამოდიან მკურნალეები....

როსტომი დილიდან საღამომდე თითქმის უსატრონოდ იწვა ქოხში. ან კი ვის შეეძლო მისი პატრონობა: რაჟდო ერთ ფარას დაყვებოდა, ფაზა — მეორეს, გოდერძი ცხენებს უვლიდა. ისინი ბინიაღის განთიადისას გადიოდნენ და გვიან საღამოს ბრუნდებოდნენ დამზრალკაოთშინერნი. **როსტომი კი ქოხში** იწვა და ვირუსული გრიპი „ტრუბაში ამკრენდა“. ზოგჯერ გოდერძი მოირბენდა ცხენდაცხენ, იკითხავდა, როგორა ხარო და კვლავ სტეპში მიაჭენებდა ობოს.

— იქნებ მოვიდეს ვინმე, — თავი ასწია გოდერძიმ. პაპაროსს ერთი კიდეე მოქაჩა და ბოლი ხელით მიმოფანტა.

— ამ შუადამეს, ამ წყვდიადსა და ქარში ძაღლი არ გაიგდება გარეთ, ვინ უნდა მოვიდეს?!

ბაკრესში ალვანელი მეცხვარეების მეზობლად დაღესტნელი მწყემსები ბინადრობდნენ. მათი ბინები 4-5 კილომეტრზეა დაშორებული. შუაზე მიჯნა აქვთ და ხშირად ამ მიჯნასთან ხვდებიან. საუბრობენ დამტკრეული რუსულით, ხან ხელებსაც იშველიებენ, როცა სათქმელად სიტყვა შემოლეკვთ, ძლივს აგებინებენ და მაინც კმაყოფილნი არიან.

ამ საღამოს გოდერძი გვიან დაბრუნდა ბინაში. არავის უკითხავს, რატომ შეგვიანდაო. არც მას ამოუღია ხმა. არავინ არაფერს ეკითხებოდა და ისიც ჩუმად იჯდა. მწყემსები საერთოდ სიტყვაძვირი ხალხია. მითუმეტეს მთიელები, ვერც ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ დაიცდენინებ.

შებინდებისას გოდერძი ცხენებს დაღესტნელების მიჯნასთან ამოვებდა. ის იყო ბინისაკენ წასვლას აპირებდა, ძახილი შეესმა. მისი ხნის ჯელეი შამხალ სალთანოვი მუხლებზე წამომდგარიყო და ყიოდა. უზარმაზარი ფაფახი ქუდი ჯიხზე წამოეცვა და ანიშნებდა, მომეხმარეო.

გოდერძიმ სწრაფად მიირბინა მასთან. დაკრილ საგიაკს გამოვეკიდეო, აუხსნა შამხალმა, ფეხი გადამბიჯნდა და ვიღრძეო. შამხალი უმეღო ცხენის გავაზე მოისვა და დაღესტნელების ბინისაკენ გაქუსლა.

სტეპი შუუმნნეელად ბინდმა მოიცვა. აქა-იქ მწყემსების ქოხების სარკმელებში, სინათლეები აციმციმდნენ.

— ჯოგი რომ მიატოვე, სიბნელეში როგორღა იპოვი? — შეწუხდა შამხალი, როცა ბინას მიუახლოვდნენ.

— განა კაცი 10-15 ცხენის ფასია? შენ რომ ველზე დარჩენილიყავი?.. ბინაში ბრიგადის წევრებს გარდა, ფერმის გამგე უსუფ ახმედო�d დახვდა გოდერძის.

— როგორა ხართ, მეზობლებო? — იკითხა კულის რაიონის, სოფელ კულის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ.

— ცუდად.

— რა გაგიჭირდათ? — გაუკვირდა უსუფს.

— რისტომია ავად. წევს აგერ უკვე ორი კვირაა.

— რა ტკივა?

— ვირუსული გრიპი აქვს.

— ექიმთან არ ყოფილხართ?

— არა. ვერ წავიყვანეთ.

უსუფმა თანამემამულეებს ისე გადახედა, თითქოს უსაყვედურებდა, ეს არის თქვენი მეზობლობაო. ძლიერ იწყინნა მონამგლის ავადმყოფობა და საველე ჩანთა მოქექა. ჩანთაში ვერაფერი იპოვა. ხვალ ჩვენს ექიმს მოვიყვანო, აღუთქვა გოდერძის. ბოზა — ჩვენებური ლუდი დალიეო, ეხვეწნენ გოდერძის, მაგრამ გახარებული მეცხვარე სიბნელეში სადავე მიშვებულ იაბოს მიაჭენებდა თავის ბინისაკენ.

— ხვალ შეიძლება ლეკებმა ექიმი მოიყვანონ.

— ექიმი?

— ჰო. იმათ ბინაში ვიყავი. ფერმის გამგე ენახე.

— როდის?

— ეს-ეს არის იქიდან მოვდივარ.

— ცხენები?

— თვითონ მოსულან, ჭასთან დამხვდნენ.

კვლავ დუმილი ჩამოწვა. თავჩაქინდრულნი თავისთვის ფიქრობდნენ, შეიძლება არც ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდნენ; დაღლილობა და მოთენთილობა ფიქრს როდი აკარებს მეცხვარეებს ასლან. წყაოს ნილოვით დაცურავდა ოთახში.

*

ბაკრსში ალვანელთა ცენტრალური ბინიდან არჩილ აშაძე და გიორგი ბაალოიძე იმავე მანქანით გავშორნენ თავის ბრიგადებისაკენ. არჩილს ბინაში აკმესენტი აშაძე დახვდა. კარგობაალ, ახარა ბრიგადის ამბავი ქოხში შეუძღვა. გიორგი სათვალთვალო ბოძზე ავიდა და თავის ბინას გახედა. ირგვლივ გულდასმით მიმოათვალიერა. ყველა მონამგლის ქოხიდან ბოლი ამოდიოდა. ბოლავდნენ კულინელ დაღესტნელთა ქოხების საკვამურებიც.

— ჩემს ბრიგადაში რაღაც ამბავია, — თქვა ქოხში შემოსვლისთანავე, — კერა ხომ არ გამიციედა, ბიშო?! — მიუბრუნდა აკმესენტს.

— იმ წინაზე რაკდომ თქვა, როსტომი გრიმმა წააქციაო.

— მერე?

— მას მერე არც ჩვენ ვყოფილვართ, არც ისინი გადმოსულან; არც ფერმის გამგე ყოფილა. ამბობენ, ბაჯიგანზე სახატენების ასაშენებელ მასალას ეზიდებაო. ერთხელ შოფრებმა კომბინირებული საკვები მოგვიტანეს და მას მერე აქ არავინ გამოჩენილა.

— ეგი, ოქვენისთანა მონამგლეს! — ამოიგმინა გიორგიმ და მანქანაში ჩაჯდა. ქოხის წინ მანქანა შენიშნეს.

— დაღესტნელების მანქანაა, — თქვა შოფერმა, — ნომრებზე ეტყობა.

ქოხში მარილაც დაღესტნელები დახვდნენ მოსულებს — ფერმის გამგე უსუფი, ახალგაზრდა ექიმი ქალი და ორიც სხვა მწყემსი. ექიმი როსტომს დასტრიალებდა. გიორგის უსუფი შეეგება. ნუ გაშინაოთ, ახლა ყველაფერი რიგზეაო, უთხრა.

— მადლობთ, მეზობლებო!

— რას ვიზამთ, — გაიღიმა ექიმს, — ერთმანეთის ჭირიც უნდა გავიზიაროთ და ლხინიც. — მარტო შეჯიბრება კი არა, გასაჭირშიც მხარში უნდა ამოუდგეთო, — თქვა უსუფმა, — თუ გაგიჭირდათ, საძოვარსაც დაგითმობთ, ნამატი ორივე ფერმამ ისე უნდა შევინარჩუნოთ, როგორც ეს მწყემსის სინდისს შეეფერება.

გიორგიმ საქართველოდან ჩამოტანილ საგზალზე მიიპატიჟა დაღესტნელი მეზობლები.

სტეპი შეუმჩნევლად ბურუსში გაეხვია. ირგვლივ ჩამობნელდა.

ფლი იყეგოდა

არჩილ აშაძესაც გულმა ვეღარ მოუთმინა. მოსაგები ცხვრის ფარა უნდა ენახოო, უთხრა აკმესენტის და ქოხიდან გამოვიდა. საწვიმარის საყელო აიწია. ბამბური ძაღლს ანიშნა, ფარისაკენ გამოძეხო.

ჰორიზონტზე ბურუსი იდგა. ქარი დაბერებულ დრო უბერავდა, წელში მოკაკვულ ხმელ ბალაბებში სისინებდა. ზოგჯერ ბღუჯა-ბღუჯა ნამქერს გადმოისროდა, მიმოფანტავდა. ბურუსი ნაცრისფერი საბანივით გადფარებოდა სტეპს.

სადღაც შორს ქოფაკი ყეფდა. რაღაცას ეტეტვებოდა. უხმოდ მიაბიჯებდნენ არჩილი და ბამბური ქოფაკი. ბურუსის სიღრმიდან ძახილი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა. ნისლი ძმიმედ დაცურავდა ტრამაღზე. რამდენიმე ნაბიჯის იქით არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა.

— ეჰეეჰეეე!.. უხმობდა ბურუსში დაკარგული მწყემსი მაშველს. საიდანღაც თითქოს უპასუხებდნენ, თითქოს იგივე ხმა მკვრივ ნისლში უტყდებოდა.

ძახილი ხან მარჯვნივ გაისმოდა, ხან—მარცხნივ;

ქარი მძლავრობდა, თოვლის ნამქრის ზოგჯერ წისქვილის ბორბალივით დაატრიალებდა, ზევით აიტაცებდა, მერმე მიწას აწყვეტდა და მიმოფანტავდა.

ქარი მძლავრობდა და ნისლიც ნელ-ნელა ზევით იწევდა. ჩაბნელებული ჰორიზონტი თანდათან იხსნებოდა, წინ თვალწვდენი სივრცე იშლებოდა.

ნოღაის ტრამალები!..

უსაზღვრო სტეპები!.. ქარისა და ნისლის სამეფო, მაგრამ დალოცვილი მიწა. ამ მიწას საზამთროდ ქართველები შეხიზნვიან, აქ ათენებენ და აღამებენ ზოგჯერ ბურუსში, ხანდახან გრიგალისებურ ქარში, ხანდახან თოვლქუხაშიც.

ახლა შეშინებული ნისლები ცისკენ გარბოდნენ, იშმუშნებოდნენ, იწეწებოდნენ. არჩილის წინ, ოციოდე მეტრის იქით ფარა გაშლილიყო. ცხვრები თავაუღებლივ კორტნიდნენ ხმელ ბალახს, ძოვდნენ და ნელა მოაბოტებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარის უკან თვალებამდე ფაფახჩამოფხატული, ჯერ უწვერულვაშო ჯარაფ იდოიტე იდგა. საწვიმრის საყელოთი ყურებს იფარავდა, ქარს ზურგს უშვერდა, ხურჯინში მალიმალ იხედებოდა და იღიმებოდა.

არჩილმა ნაბიჯს აუჩქარა.

— ხუთი მყავს, ხუთი! — ოქროსფერ ვერ ფარავდა ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი. თითო-თითოდ ამოაყოფინა სამ ბატკანს ხურჯინიდან თავი. ორმაგ უბეში დაიკიკინა.

— ესენი ტყუპებია! — უბეში იხედებოდა ჯარაფი, მერმე გაკვირვებული მიაშტერდა ბრიგადირს. წყდან მონამგალე ფაზა ეგონა, ახლა მის წინ რაკი ბრიგადირი აღმოჩნდა, რატომღაც ენა დიგბა.

— რა გაკვირებდა, ბალღო! — ხმას აუწია ბრიგადირმა.

— რა და, დოლი იწყება, დოლი!

— გამარჯობა, ბალღო! — ხელი გაუწოდა ბრიგადირმა.

— გაგიმარჯოს!

— დოლი იწყება, ჰა?

— ჰო, იწყება, ერთიც კიდევ იგების, მგონი ისიც ტყუპებს და სალამიდან შვიდი ბატკანი ზურგით როგორ მეტარებინა.

— დოლი იწყება! — გაიმეორა წყლან ნათქვამი არჩილ აშაძემ და ბორკცეზე წამოქიმელ ბინა-ფარეხს გახედა.

დოლი მარილაც იწყებოდა ალვანელ მეცხვარეთა ერთ ბრიგადაშიაც. მეურნეობის 56 ათას სულ ცხვარს 5 ბატკანიც შემატებოდა და ახალგაზრდა მეცხვარესაც ეს ახარებდა.

განთიადისას გამოდის ველზე ჯარაფი. ფარასთან ერთად. ფარეხიდანვე ფარის წინ ეაცებს ყადენის და კავით ხელში მთელ დღეს მათთან ატარებს. ეაცები მეთაურებივით დინჯად მიუძღვებიან ფარას, მერმე მთელი სტეპი გადათვრთდება. იქით ფარას გაშლის გიორგი აბალოიძის ბრიგადის მეცხვარე ფაზა თათარაძე, აქეთ არღანას ყანგიანი მეთოხლე ღირი, და სტეპი მაშინ დათოვლილს გავს.

დღეც ბევრჯერ მოსაწყენი ხდება ჯარაფისათვის და ღამეც ხშირად გაუთენებელს გავს. ირგვლივ ველია და მეტი არაფერი, ნისლით დაბურული ველი. მზეში გაზრდილ კაცს მზეც ენატრება ხშირად, ერთი წუთით მაინც ნახავდეს, თუნდაც ღრუბლებიდან გაუცინებდეს, მაგრამ მზე მთელი კვირაობით ნისლების იქით იმალება. ქარიც მობეზრდა ჯეელს. ტრამალში სიცივეცა და ქარს რა შეაჩერებს, რა გამოლეს...

ზემო ალვანის საშუალო სკოლა 1960 წელს დაუმთავრებია ჯარაფ იდოიტე. მას შემდეგ მწყემსობს. 11 თვეა დაუსვენებლივ, გადაფენილი ველი დღეების გარეშე მწყემსობს.

ზოგჯერ სოფელიც მოგნატრებია. ჩაფიქრდება ჯეელი მეცხვარე, სტეპის სიღრმეში დაკარგულს რომ გავს; მოგნატრება გულის ტოლეც. მერმე ჯოხსდაყრდნობილი დიდხანს დგას ხოლმე და ფიქრობს; ჯეველია და ფიქრობს. ვინ იცის, რაზე არ ფიქრობს. მასაც ხომ ფეხით ფარასთან ერთად პირველად გამოუელია 800 კილომეტრი; მწყემსის მწარე ხვედრი მასაც უგემია; გული 800 კილომეტრის იქით დაუტოვებია და ფიქრობს. ფიქრი კი ამ ტრამალივით უსაზღვროოა, აქაურ ქარივით მოუსვენარი.

ირგვლივ გადათვრებული სტეპია!..

ჯარაფ სამწყსოს გახედავს და გული სიხარულით ეესება; მან კარგად იცის, რომ ვაქაცური საქმიანობით იწყება თავის შრომითს ცხოვრებას.

საღამობით სარკალ აკვსენტი აშაძესთან ერთად უზის რადიოს, მერმე დაძინების წინ აკვსენტი მერამდენედ უყვება თუ როგორ ებრძოდა ფაშისტებს, უყვება იმის შესახებ, თუ როგორ სკდებოდნენ ბომბები და ყუმბარები. როგორ იცავდნენ მამეულს, როგორ უტეევდნენ ამ სტეპებში გერმანელ დამპყრობლებს.

მტარვალი აკეფან ბერლინამდე კოჭებზე ვატარეთო, ეუბნება აკვსენტი. ჯარაფს ეღიმება, მერმე სარკლის ნათქვამს დაუმატებს: ახლაც ხომ მებრძოლები ვართ, ჯარისკაცებივით შინიდან ველად გასული შრომის ყველაზე ძნელ წინააღმდეგ. რაკი გამარჯვება ომში გისწავლია, სხვებს შრომაში როდი ჩამოვრჩებითთ.

ყოველი დღე ერთმანეთს გაედა. ნისლი ხან იიწევდა, ხან ფარის გარშემო მუქ ფარდასავით დიეშვებოდა. ზოგჯერ ცა ნამქერსაც აყრიდა. ის დილიდან საღამოამდე იდგა ფარასთან და დარაჯობდა თავის სამწყსოს.

დღეკვნელი დღე სხვა ელფერით დაიწყო ჯარაფ იდოიტისათვის.

შეშინებული ნისლი ცას ეკვროდა. ქარი დროდადრო წამოიქროლებდა. მწყემსის უბეში ფარის პირველი ენძოლება — ახლადშობილი, ტანგამხარი ბატკნები თოლემდნენ.

*

ნოოლის ტრამალები!..

სტეპები, ცხვრის ფარებით თეთრად გადაპენტილი სტეპები!.

რა შორი ეზაა მწყემსისათვის რვაასი კილომეტრი — სიარულში შეუმჩნეველად გაეკეული რვაასი ათასზე მეტი ნაბიჯი. ახლა ნემთვის ეზიარ და ყველაფერს ვიგონებ; ქარიც მინდა წარმოვიდგინო, იქაური გრიგალისებური ქარი; სტეპში ზვინივით ამობურცული ბინა-ფარეხები, ღრმელიანი, მიხეიულ-მოხეიული გზები და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შორი გზაა ნოღაის ველამდე! იქ ხომ ასობით ჩემი თანატოლი, ასობით ჩემზე უმცროსი და თმა-წვერ-ჭაღარა მეცხვარე ველზე დგას და ფარას დასტრიალებს, ამრავლებს სახალხო დოვლათს.

შორია ბურუსიან სტეპებამდე — მატარებლით ორი დღე-ღამე სავალი გზით!.. სტეპებს შეხიზნენან გიორგი აბალოძე თავისი ბრიგადის 7 წევრითა და 750 სული მოსაგები ცხვრით; ახლა ალბათ ერთიორად გაამრავლეს ფარა; სტეპს შეხიზნენა თავისი ჯეელებით არჩილ აშაძე — თავისი ჯარაფითა და აქსენტით, გოდერძი ლუხუმაძითა და გურამ კარდლიძით; სტეპში ათენებენ და აღამებენ არღანას ჟანგიანი მეცხვარეები — გრძელა და ღირღი, წინასწარ ვალდებულებებზე არასოდეს რომ არ ლაპარაკობენ და ყოველთვის მოწინავენი რომ არიან მთელ ფერმაში.

სტეპში ზამორობენ ალვანელთა მეზობლები— კულის რაიონის მეცხვარეები დაღესტნიდან, 47 ათასი ცხვარითა და 147 მეცხვარით, შავთვალა ექიმ ფატიმათი, გაპირვებისას ქართველურსაც რომ არ აკლებს მკურნალობას, ქალიშვილია და ალბათ ბევრს გულსაც უკაწრავს.

სტეპში დაჰქრიან დღისით და ღამით ალვანელი ყოჩაღი ბოფრები, დღეში 500—600 კილომეტრ გარბენს რომ აკეთებენ, ყოველ ბრიგადას კომბინირებული საკვებითა და პროდუქტებით რომ ამარაგებენ; საშესთან ულამდება და გზაზე უთენდება ტარიელ ქაძეს, შოთა ცისკარიშვილს, შოთა სისაურსა და 15 სხვა შოფერს.

ახლა რაღა დაძინებს მოუსვენარ ფერმის გამგე შოთა ლაგაზიძეს, ტკბილად რომ ეგონებს ხოლმე თბილისის ზოოვეტინსტიტუტში გატარებული ხუთ წელს.

მალე გაზაფხულის სამოსელს ჩაიცვამენ მთები. ნოღაის ველის ხიზნები, რვასაკილომეტრიან გზას გაუდგებიან იალაღებისაკენ. რა ძნელია მეცხვარის მომთაბარული ცხოვრება, მაგრამ ისინი ბედს არასოდეს ემდურიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი

გაზეთი „პრავდა“ და ქართველი საზოგადოებრიობა

ორმოცდაათი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს (22 აპრილს), სახალხო რეფოლუციური აღმავლობის ბობოქარ დღეებში პეტერბურგის მუშების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთ „პრავდას“. „პრავდის“ გამოსვლა რუსეთისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

„პრავდის“ პირველი ნომრის მიღებამ თბილისის მუშებში დიდი სხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. ამ განწყობილების შესანიშნავი დადასტურებაა თბილისის ელექტროტექნიკოსი მუშების მისასალმებელი წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს 1912 წლის 11 მაისს გაზეთ „პრავდის“ რედაქციას.

„ჩვენ, მუშათა ჯგუფმა, — წერდნენ ისინი, — შევიტყვეთ, რომ გამოვიდა ყოველდღიური მუშური გაზეთი. მიეესალმებით ამ ყეთილწამოწყებას და გიგზავნით ჩვენს მცირე წვლილს“ [1].

1913 წლის 2 იანვარს რეფოლუციონერი მუშა ბაგრატ ჯუმბერიძე „პრავდის“ რედაქციის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა:

„ჩვენ, მუშები თბილისის გუბერნიიდან და განსაკუთრებით პროვინციის მუშები, კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენთვის არ არსებობს სულიერი საზრდო, არ არის ხელმძღვანელი პრესა, რომლის დახმარებით შეიძლებოდეს ჩვენი თვითშეგნების გაფაართოება.

თუმცა ქართველებს გვაქვს ჩვენს ენაზე მარქსისტული გაზეთი, მაგრამ ისე ხშირად იხურება, რომ ვერც კი ვასწრებთ 10-13 ნომრის მიღებას. ამის გამო ჩვენთვის აუცილებელია გაზეთი სატახტო ქალაქისა, სადაც ნაკლები რეპრესიებია, ვინემ ჩვენთან კავკასიაში.

თუმცა ჩვენთან ძალიან ცოტამ იცის რუსული ენა, მაგრამ რას იზამ: ვიკოჭლებთ, ძლიერ ძლიერით ჩვენკოთხავთ რუსულ ანბანს, მაგრამ თვით ინსტიქტი დაგვეხმარება გავიგოთ, რა გზას გვიჩვენებს გაზეთი“.

წერილის დასასრულს ჯუმბერიძე გაზ. „პრავდის“ რედაქტორს სთხოვს, დაეხმარონ და შეაძენინონ მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლეხანოვის ზრომები[1].

„პრავდა“ გამოსვლის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული გულისხმიერებით ეხმაურებოდა და იცავდა საქართველოს მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს. ამას დასტურებს 1912—1914 წლებში „პრავდის“ სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილები და სტატიები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საქართველოში მშრომელთა რეფოლუციურ-გამთავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ განვითარებაზე, მეფის მთავრობის მკაცრ რეპრესიებზე, მუშა-მოსამსახურეთა ძმიმე ექსპლოატაციაზე, კლეხთა შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე და სხვ.

1912 წლის 10 მაისს „პრავდა“ ვრცლად აღწერს თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების დაქირავებულ მუშაკთა ზრომის ძმიმე პირობებს. ეს მუშაკები მოითხოვდნენ სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის მომატებას და „პრავდა“ ურჩევს, საერთო ძალით იმოქმედეთო.

„პრავდა“ მრავალ საინტერესო ცნობას ბეჭდავდა საქართველოში მეფის მთავრობის მკაცრი რეპრესიების თაობაზე.

1912 წლის 24 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „ონის (ქუთაისის გუბერნია) საპატიმროდან მიწისქვეშა ხვრელის გაყვანისა და კედლის გარღვევის შედეგად გაქცეულა 5 პატიმარი; ამათგან ერთი მოუკლავთ და 4 დაუჭრიათ“. 29 მაისს

[1] ჟურნ. „კრასნი არხივ“, 1936, № 4 (77), გვ. 22.

[1] საქ. სსრ სსცა., ფ. 3, საქმე 623, ფურც. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი მკითხველებს აცნობებს პოლიციის მიერ გაზეთ „ბათუმის“ რედაქციის დარბევისა და რედაქტორის დაპატიმრების ამბავს.

10 ივნისის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ გლეხებს: სიპანავას, ხუბულავას, კიკავას და სხვებს, პოლიციისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გამო ბათუმის დროებითმა სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა.

იმ მძიმე წლებში ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი „პრავდა“ ერთადერთი გაზეთი იყო, რომელმაც გაბედულად დაუჭირა მხარი ქართველი ხალხის სასამართლან მოთხოვნილებას თბილისში უნიკერსიტეტის დაარსების შესახებ.

1913 წლის 9 ივნისს „პრავდის“ ნომერში „ოზურგეთელის“ ფსევდონიმით მოთავსებული წერილი „მოკლე ანგარიშის გასწორება“, დაუზოგავად ამხილებს ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ სლავინსკესს, რომლის განკარგულებითაც ოზურგეთის მაზრის სოფლებში შეიარაღებულმა პოლიციამ ძალადობა გამოიჩინა. წერილში მოტანილია გურული მოსახლეობისადმი გუბერნატორ სლავინსკის მმართველ, რომელშიც ნათქვამია: „... თუ სოფლის მოსახლეობა არ შეიპყრობს ყაჩაღებს და არ გადაცემს მთავრობას, მაშინ ყველანი დაჯარიმდებიან 10-25 მანეთამდე და სოფლებიდანაც გასახლებიან. გარდა ამისა — წერს შემდეგ კოლეგსპონდენტი — გუბერნატორი იმუქრება რამდენიმე სოფლის განადგურებას“. 1913 წლის 19 აგვისტოს ქუთაისის ყანდარმთა სამმართველო თბილისის გუბერნიის ყანდარმთა სამმართველოს ატყობინებდა, რომ „ოზურგეთელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილის ატორია მასწავლებელი გიორგი ელიზარის ძე ბერეკიანი, რომელიც მანამდეც ითვლებოდა „პრავდის“ თანამშრომლად. აღნიშნული წერილის გამოქვეყნებას გარკვეული შედეგი მოყოლია — პოლიციის რეპრესიები გურიაში შესუსტებულა.

საქართველოში გაზეთ „პრავდის“ ფართოდ გავრცელება ძლიერ აწუხებდა მეფის მთავრობას. ოხრანკას დავალებული ჰქონდა დადგენა იმ პირთა მამასთანები, ვინც „პრავდას“ იწერდა, და დაეწესებინა მეთვალყურეობა. ყანდარმერიამ განსაკუთრებული რეჟიმი დაწესა ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებზე, საფოსტო კანტორებში. იყო შემთხვევები, როცა ყანდარმერიამ შეაჩერა „პრავდის“ აკრძალული ნომრების შემაკვლი ამანათები. მიუხედავად მეფის ყანდარმერიის მკაცრი რეპრესიული ზომებისა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციები მაინც ახერხებდნენ გაზეთის გავრცელებას საქართველოს ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ჭიათურა, სოხუმი, ფოთი, თელავი, ოზურგეთი და სხვ.).

საქართველოს მშრომელებს „პრავდა“ მუშათა კლასის ინტერესების დამცველ მებრძოლ ორგანად მიიჩნდათ და იმ დროს, როდესაც მენშევიკ-ლიკვიდატორები ცდილობდნენ „პრავდისა“ და „ლუჩის“ ერთ ორგანად გაერთიანებას, საქართველოს მშრომელები გადაჭრით იცავდნენ „პრავდის“ დამოუკიდებლად არსებობას; ამას მოწმობს 1913 წლის 13 მაისს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების კრებაზე მიღებული რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჩვენ, ამიერკავკასიის რკინის გზების მთავარ სახელოსნოების მუშათა ჯგუფი, ვკითხულობთ რა გაზეთებს „პრავდასა“ და „ლუჩს“, ვხედავთ, რომ თანამიმდევრული მარჯსისტული გაზეთის „პრავდის“ გაერთიანება ლიკვიდატორულ გაზეთ „ლუჩთან“ შეუძლებელია“ [1].

„პრავდის“ გამოცემის ერთი წლის თავის აღსანიშნავად კომეფსნერი პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ფ. მახარაძის რედაქტორობით ქალაქ ბაქოში გამოვიდა ყურნალი „ჩვენი წყარო“, სადაც დაბეჭდილი იყო 1913 წლის 5 მაისს „პრავდაში“ გამოქვეყნებული ანგარიში. „ანგარიშზე“ თანდართულ მოკლე შესავალი წერილით „ჩვენი წყაროს“ რედაქცია ასე მიმართავდა ქართველ მკითხველ საზოგადოებას:

„გასული თვის აპრილის 22 რიცხვს შესრულდა სწორედ ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც პეტერბურგში გამოდის მუშათა ყოველდღიური გაზეთი „პრავდა“. საიუბილეო ნომერში, რომელიც გამოვიდა 23 აპრილს, მოთავსებულია მეტად საყურადღებო ცნობა როგორც გაზეთის დაარსების, ისე იმ ნაყოფიერი გავლენის შესახებ, რომელიც მისმა ერთი წლის არსებობამ იქონია რუსეთის მუშა ხალხზე.

ჩვენ მოგვყავს ქვეყანი ზოგიერთი უფრო საყურადღებო ცნობები“.

ამ ცნობებში „ჩვენი წყაროო“ მკითხველთა ყურადღებას ამახვევს გაზეთ „პრავდის“ წარმოშობის ისტორიაზე, მეფის მთავრობის მიერ გაზეთის გამოშვების აკრძალვასა, ხშირ კონფისკაციასა და ჯარიმებზე.

ყურნალი არ კმაყოფილდება „პრავდის“ წლიური ანგარიშის უბრალო გამოქვეყნებით, ალაგ-ალაგ თავის კომენტარებსაც ურთავს.

„ერთი წლის განმავლობაში, — ვკითხულობთ ყურნალის კომენტარში, — „პრავდამ“ სძლია გამოუთქმელი დევნა და თუ ის აქედან გამარჯვებული გამოვიდა, ამას იგი სულ ერთთავად მუშათა დახმარებას უნდა უმადლოდეს, ამიტომ

[1] საქ. სსრ სსცა, ფ. 3, საქმე 643, ფურც. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პრავდა“ შეიქმნა როგორც მუშათა გაზეთი არა სიტყვეთი, არამედ საქმით... „პრავდის“ მიმართულება არის ორთოდოქსული მარქსიზმისა. იგი შეურყეველად დგას სოციალისტური პროლეტარიატის თვალსახედვის წერტილზე“ [1].

ჟურნალში დაბეჭდილმა „პრავდის“ წლიურმა ანგარიშმა დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია, რასაც ადასტურებს ლენინისადმი ნიკო კიკნაძის წერილი, რომელიც მან 1913 წლის 16 ივნისს გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

კომუნისტური პარტიის ძველი წევრი კირილე ჯაბეულის ძე უჯამაჯურიძე, რომელიც სოხუმის პარტიული ორგანიზაციაში მუშაობდა, თავის მოგონებაში წერს:

„პარტიულმა ორგანიზაციამ დამავალა მუშაობა დამეწყო სოხუმის საგაზეთო ბიუროსთან გაზეთების გამყიდველად, იმ ვარაუდით, რომ ანდერმარილის შეუშნეველად გამეერცელებია ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, არალეგალური ლიტერატურა, პროკლამაციები და სხვა.

„პრავდის“ რამდენიმე ნომერი ერთად მივიღე ამ ცალმხედ. საჩქაროდ მოწვეული იქნა ორგანიზაციის არალეგალური კრება; ეულდასმით გადავიკითხეთ ყველა ნომერები, რომლებშიც გაშუქებული იყო პარტიული საკითხები... გადაეწყვიტეთ ამხანაგების განაწილება მუშათა უბნებში „პრავდის“ წასაკითხავად. მე ნავსადგურის მუშებს წავუკითხე „პრავდის“ ნომრები, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე და იქ იმავე კრებაზე სამმა მუშამ მოაწერა ხელი „პრავდის“ გამოწერაზე. გავაჩინე ხელმოწერა და სულ მალე 30-მდე ხელმოწერი მოვაგროვე.

სოხუმში 1912—1914 წლებში 70 ცალზე მეტ გაზეთ „პრავდას“ ვიერცელებდი. აგრეთვე მე და ვასო აბაშიძე გურიაშიც ვგზავნიდით „პრავდის“ ნომრებს. გურიაში გაგზავნილი და ჩატანილი შეკნეს 200 ცალამდე „პრავდის“ სხვადასხვა ნომრები“.

„პარტიის დავალებით, — იგონებს შემდეგ კ. უჯამაჯურიძე, — გამოყოფილი ვიყავი „პრავდის“ მუშათა კორესპონდენტად, რომელსაც ვაწვდიდი წერილებს და ინფორმაციებს მუშათა ცხოვრებაზე „აქაური მუშის“, „სოხუმელი მუშის“ და სხვა ფსევდონიმებით. კორესპონდენციების დიდი ნაწილი უვარდებოდა ხელმძღვანელობას და ზშირად რედაქციამდე ვერ აღწევდა“ [2].

საქართველოს კომუნისტები გაზეთ „პრავდას“ შესანიშნავად იყენებდნენ, როგორც კოლექტიური აგიტაცია-პროპაგანდის მძლავრ საშუალებას მშრომელთა ფართო მასებში.

1913 წლის 22 მარტს გაზეთ „პრავდის“ რედაქციის სახელზე თბილისის მუშებმა გაგზავნეს წერილი, რომელშიც გამოთქვამდნენ სურვილს, დაეარსებინათ „პრავდის“ მსგავსი გაზეთი: „სამწუხაროთ, ჩვენ, თბილისელი მარქსისტები, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას გვქონდეს ჩვენი ორგანო... იმედი გვაქვს ახლო მომავალში გვექნება ჩვენი გაზეთი, რომელიც დაგვაკავშირებს მკითხველებთან, რომელიც ამქამად იძულებულია ექვებს ბურჟუაზიული ნაციონალური პრესით... გაზეთი იქნება „პრავდის“ მაგვარი“ [1].

„პრავდის“ რედაქციის სახელზე საქართველოდან გაგზავნილნი წერილები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი ქანდარმერიის საარქივო მასალებში, „შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ რა ძლიერ იდეურ გავლენას ახდენდა „პრავდა“ საქართველოს მშრომელთა მოწონაკე საზოგადოებრიობაზე“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ის დიდი მუშაობა, რომელიც მათ ჩაატარეს 1914 წლის 3 მაისს (22 აპრილს) „პრავდის“ ორი წლის თავზე ბოლშევიკური პრესის დღის პირველ დღესასწაულთან დაკავშირებით. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიეძღვით თბილისის ბოლშევიკებს, რომლებიც სთავევში ჩაუდგნენ ბოლშევიკური პრესის დღის მოწყობას და „პრავდის“ „რკინის ფონდისათვის“ ფულადი სახსრების შეგროვებას. ამ მიზნით არალეგალურად დაიბეჭდა ფურცლები, რომლებშიც გაშუქებული იყო მუშათა პრესის დღის ჩატარებისა და გაზეთ „პრავდის“ რკინის ფონდის შეგროვების მნიშვნელობის საკითხი. ეს ფურცლები არალეგალურად ვრცელდებოდა როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

თბილისის ბოლშევიკებმა პრესის დღის მხარდასაჭერად იმდროინდელ ქართულ ლეგალურ პრესშიც გამოაქვეყნეს წერილი. 1914 წლის 14 აპრილს გაზეთი „ფიქრი“ აღნიშნავდა:

„22 აპრილი უნდა იყოს მუშათა პრესის დღე, ეს დღე მუშათა გაზეთის გასაძლიერებელ დღედ უნდა იქნას აღიარებული, იმ პრესისა, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს თავის ირგვლივ ყველა ეროვნების მარქსისტულად მოაზროვნე მუშები.

22 აპრილი მუშათა პრესის დღეა, იმ პრესისა, რომელმაც უნდა დაამყაროს ერთობა, მთლიანობა მუშათა მოძრაობის ყველა ფორმებში, როგორც კულტურულ-განმანათლებელ, ისე პოლიტიკურ ეკონომიურში.

---

[1] „ჩვენი წყარო“, 1913 წ.

[2] კ. უჯამაჯურიძის მოგონება ინახება ჩემთან.

[1] საქ. სსრ სსცა ფ. 3, საქმე 623, ფ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 აპრილი მუშათა პრესის დღეა, იმ პრესისა, რომელიც აერთებს და აკავშირებს მარქსისტულად მოაზროვნე მოწინავე მუშებს და არ უხვევს არც ოპორტუნიზმისაკენ და არც ანარხო-სინდიკალიზმისაკენ.

მოწინავე მუშები და მუშათა გაზეთების მკითხველები, რომელთათვის ძვირფასია ეს საქმე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მუშათა პრესის გავრცელების და გაძლიერების საქმეს“.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პრესის დღისა და გაზეთ „პრავდის“ სასარგებლოდ რკინის ფონდისათვის ფულადი სახსრების შეგროვებისათვის მზადებას დიდი აღმავლობა გამოუწვევია მშრომელთა ფართო ფენებში. ამ ფაქტს დიდად შეუშფოთებია მეფის მთავრობა, რის გამოც თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს თავისი განყოფილებების მოხელეებისათვის შემდეგი დაკალება მიუცია:

„...სოციალ-დემოკრატები მთელ რუსეთში აწყობენ ფულის შეგროვებას მარქსისტული ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის ორი წლის არსებობის აღსანიშნავად, რომლის საიუბილეო დღეა 22 აპრილი, ამასთან ლეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პუტ პრავდი“ ამ დღეს 10 კაპიკად გაიყიდება თითო ნომერი.

ხსენებული ფონდის დანიშნულებაა დაბეჭდვა გაეწიოს ბეკების ე. ი. ბოლშევიკური გაზეთის შემდგომ განვითარებას. გაუწყებთ რა ყოველივე ამას თქვენდასაყურადღებოდ, გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ არ დაუშვათ ხსენებული ფულის შეგროვება. შედეგი მაცნობეთ“.

ამგვარად, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და მობილიზებული მეფის მთავრობის ერთგული მოხელეები, რომ მუშებისათვის არ დაენებებინათ მუშათა პრესის დღესასწაულის ჩატარება და გაზეთ „პრავდის“ სასარგებლოდ ფულადი თანხების შეგროვება.

მიუხედავად მეფის მთავრობის მიერ მიღებული სასტიკი რეპრესიული ზომებისა და ბევრი აქტიური ბოლშევიკისა და მოწინავე მუშის დაპატიმრებისა, საქართველოში ბოლშევიკური პრესის პირველი დღესასწაული და „პრავდის“ სასარგებლოდ რკინის ფონდისათვის ფულადი სახსრების შეგროვება წარმატებით ჩატარებულა.

ყოველივე ეს შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, თუ რა პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“ საქართველოს მშრომელთა ფართო ფენებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ბაქანიძე,
ჩიმიკოსი

ალექსანდრ გერცენი

(დაბადებიდან 150 წლის გამო)

რუსული და მსოფლიო კულტურის ისტორიაში იშვიათია ისეთი მრავალმხრივი ნიჭის მქონე ადამიანი, როგორიც ალექსანდრ გერცენი იყო. დიდი მწერალი და პუბლიცისტი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე — ასეთია იგი მაღლიერი შთამომავლობის თვალში, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გერცენი იყო დიდი რეოლუციონერი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა ადამიანების ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. „ბრძოლა — ჩემი პოეზია“, — ამბობდა იგი და ეს სიტყვები იყო დევიზი მთელი მისი ცხოვრებისა, რომელიც მან თავისი ხალხის კეთილდღეობასა და ნათელი იდეალების განხორციელებას შესწირა. შესაძლოა იგი ყოველთვის ვერ პოულობდა სწორ გზას, ზოგჯერ ცდებოდა კიდეც ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობის არსი ზუსტად გამოხატა ვ. ი. ლენინმა: გერცენი „იბრძოდა ცარიზმზე ხალხის გამარჯვებისათვის... მან აღმართა რეოლუციის ალმა“.

ა. ი. გერცენი დაიბადა 1812 წ. მდიდარი მოსკოველი მემამულის ი. ა. იაკოვლევის ოჯახში. მისი პირველი შთაბეჭდილებები განსაზღვრა პირველმა სამამულო იმმა და საზოგადოებრივი აზრის შემდგომმა აღმაღლობამ რუსეთში, რამაც საფუძველი შეუქმნა დეკაბრისტების იდეოლოგიას. მომავალი მოღვაწის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა ბატონყმობის სინამდვილის კარგად გაცნობამ, ეპოქის მოწინავე იდეების შესწავლამ, აგრეთვე რუსულმა და ევროპულმა (განსაკუთრებით ფრანგულმა) ლიტერატურამ. 1825 წლის დეკემბრის აჯანყებამ, რომელიც ნიკოლოზ I სისხლში ჩაახშო, დიდად იმოქმედა გერცენზე. მისი ბავშვობა შეარყია „ქვემეხების აქუხებამ სენატის მოედანზე“. თოთხმეტი წლის ყმაწვილმა თავის მეგობარ ოგარევთან ერთად შეჰფიცა დეკაბრისტების ხსოვნას, რომ შურს იძიებს.

ოგარევი იგონებს გასეირნებას ვორობიევის მთებზე და წერს, რომ ეს დღე იყო „დიდი მეგობრობის შექმნის, საკუთარი გზის პოვნის დღე“...

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას გერცენი დაუახლოდდა მოწინავე იდეების მქონე ახალგაზრდობის წრეს. მაღე მან მთელი მოაზროვნე მოსკოვის ყურადღება მიიქცია, როგორც ახალგაზრდობის წრის (გერცენ-ოგარევის წრის) ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. სტანკევიჩის წრისაგან განსხვავებით ამ წრეში, თეორიულ საკითხებთან ერთად მსჯელობდნენ პრაქტიკულზეც. „ჩვენ ექადაგებდით კონსტიტუციასა და რესპუბლიკას... მაგრამ ყველაზე მეტად ექადაგებდით ყოველგვარი ძალადობის, ხელისუფლების ყოველგვარი თვითნებობის სიძულვილის.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1834 წლის 21 ივლისს, გერცენი დაუპატიმრეს. ოცდაორი წლის გერცენს „საქმეში“ ნათქვამია, რომ ეს „ახალგაზრდა მგზნებარე ჭკუისაა... თავისუფლად მოაზროვნეა და ფრიად სახიფათოა საზოგადოებისათვის“. იგი გადასახლეს პერმში და ვიატკაში. მაგრამ სასჯელმა ვერ დათრგუნა მომავალი მწერალი. პირიქით, მისი რევოლუციური თვითშეგნება სწრაფად იზრდება. გადასახლებამ ერთი შედეგი გამოიღო — გერცენი ღრმად გაეცნო ცხოვრების სინამდვილეს. იგი მოსკოველ მეგობრებს სწერდა: „ჩვენ ცხოვრობთ რუსეთის ცენტრში და არ იცნობთ რუსეთს, მე კი ბევრი გავიგე მასზე ვიატკაში ცხოვრებისასო“.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ — 1940 წლის გაზაფხულზე — გერცენი იდეური ბრძოლის ცენტრში მოექცა. მას დაზედა დაყო-

ფილი ბანაკები, და არა მარტო „დასავლეთელები“ და „სლავიანოფილები“, როგორც წინათ მიიჩნდათ, — საქმე გაცილებით რთულად იყო. „სლავიანოფილების“ რეაქციონელ ბანაკს, რომელიც ქადაგებდა „რუსეთის განსაკუთრებულ გზას“, სინამდვილეში კი ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩამორჩენილობას, უპირისპირდებოდა ლიბერალური მემამულეურ-ბურჟუაზიული ბანაკი, რომელიც მხოლოდ დასავლეთისკენ აპყრობდა მზერას, ხოლო მათ უპირისპირდებოდა ორმოციანი წლების მოწინავე ახალგაზრდობის ბანაკი.

ორმოციანი წლების მძაფრი პოლიტიკურ-იდეური ბრძოლის დროს გერცენი მხარში ედგა დიდ რუს კრიტიკოსსა და დემოკრატს ბელინსკის.

გერცენი სისტემატურად სწავლობდა რუსული და ევროპული ფილოსოფიისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს (განსაკუთრებით ჰეგელს), იღებდა მონაწილეობას მსჯელობაში რუსეთის მომავალზე, აკრიტიკებდა ბატონყმობას, ქმნიდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს; ყოველივე ამისთვის იგი კვლავ გადაასახლეს, ამჯერად ნოვგოროდში, ოღონდ საბაში უმნიშვნელო იყო — ერთ კერძო წერილში გერცენი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პოლიციელს თვითნებურად მოეკლა გამეული.

გადასახლების წლები გერცენისათვის იყო რუსეთის სინამდვილის შეცნობისა და ისტორიის ღრმად შესწავლის სკოლა. იგი ისევ და ისევ უბრუნდება ლიტერატურასა და ფილოსოფიას (ფრანგ სოციალისტ-უტოპისტებს, ჰეგელის ფილოსოფიას, ფოიერბახს). გერცენის ლექციებმა ფილოსოფიის საკითხებზე დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. მისი წერილები „დილეტანტები მეცნიერებაში“ და განსაკუთრებით „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“ საუკეთესო იყო მათ შორის, რაც კი დაიბეჭდა ჟურნალში „Отечественные записки“ 1843-45 წლებში.

გერცენი საზოგადოებრივი აზროვნების დამოკიდებულებას ყოფიერებასთან მატერიალისტურად წყვეტდა, მიიჩნდა, რომ ბუნება განუწყვეტელ მოძრაობაში — დიალექტიკურ განვითარებაში იმყოფება, ხოლო ყოველგვარი ფილოსოფიური მოძღვრება მოწოდებულია იბრძოლოს ხალხის მონობიდან განთავისუფლებისათვის. ვ. ი. ლენინის სიტყვებით, გერცენი უკვე მე-19 საუკუნის ორმოციან წლებისათვის „ახლოს მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინ“.

მთელი რიგი მიზეზების გამო, მე-19 საუკუნეში ლიტერატურის განსაკუთრებულად დაჩაგვრა თავისუფალი იდეების გამოხატვის შესაძლებლობა, როგორც შემდგომ წერდა რეაქციონერი პრესა — ბელინსკი იმიტომ აჯანყდა ჟურნალის გვერდებზე, რომ არ შეეძლო აჯანყებულიყო მოედანზეო. ამ სიტყვების გამეფორება შეიძლებოდა გერცენისა და სხვა დემოკრატების შესახებაც.

დეკაბრისტების იდეოლოგია და ორმოციანი წლების მოწინავე იდეები, თავის გამოხატულებას ლიტერატურაში ჰპოვებდა. რუსი მწერლები ახერხებდნენ თვალი აეხვიათ ცენზურისათვის. რუსი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენდა გერცენის ლიტერატურული ნიჭი, დაიხვეწა მისი მხატვრული ოსტატობა.

რა პრობლემები აინტერესებს მწერალს? ძველისა და ახლის ბრძოლა, ანნენკოვ-რევოლუციონერის ტრაგედია, რომლის იდეალებიც ნიკოლოზ I-ის ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის უპირისპირდება; მაშინდელი რევოლუციონერ-პოლიტიკური იდეოლოგიის ასპექტში დასმული და გადაჭრილი ეგრეთ წოდებული მუდმივი პრობლემებიც: სიყვარული, ოჯახი, რელიგია, მორალი, რომლებიც განუყოფელად იყო შერწყმული იმდროინდელ სინამდვილესთან; „შეხვედრა“, „ელენე“, „მათხოვარა“, „ეიღლიგრენი“, „ერთი ახალგაზრდა კაცის ჩანაწერები“, „ისევ ერთი ახალგაზრდა კაცის ჩანაწერებიდან“ და სხვ. ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებების მქონე ნაწარმოებებია; მათ ჯერ კიდევ ატყვია გერცენის შემოქმედებისათვის 30-იან წლებში დამახასიათებელი „მოვარდისფერი ფერი“. ეხედებით მისტიკურ ელემენტებსაც, მაგრამ მათში უკვე იგრძნობა მომავალი რევოლუციონერ-დემოკრატის იდეოლოგია, დიდი მწერლის ოსტატობა და „თანდათანობით ნათდებიან სახეები, როგორც ხეები და მთები ნისლში“.

ორმოციან წლებში, გერცენი წერს თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს: „ვინ არის დამნაშავე?“ (1845—1847 წ. წ.), „ექიმი კრუპოვი“ (1847 წ.), „ქურდბაცაცა კაკაკაზი“ (1846 წ.). ისინი დაწერილია ბელინსკის რეალიზმისა და ხალხურობის დიდი გავლენით.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ ორმოციანი წლებიდან სამოციან წლებამდე საზოგადოებრივი საკითხები განსაზღვრებოდა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლით და მისი ნაშთის ლიკვიდაციით. გერცენის ნაწარმოებების ძირითადი შინაარსიც მთავარი ბორკოტების, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპია.

სხვა პრობლემები: ოჯახი, პიროვნება, რუსი ინტელიგენცია, რუსი ქალისა და აჭრრისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა და ა. შ. — ერთვის მთავარ თემას და ძირითადი პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

თხზულებაში „ვინ არის დამნაშავე?“ დიდი ოსტატობითაა ასახული იმდროინდელი სინამდვილე და მძაფრადაა დაყენებული პრობლემები. აკეთრი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ბანაკს, მემამულეთა-ობროლი ნეგროესა და ბელტოვ-კრეტიფერსკების ოჯახს. კომპოზიციურად ნაწარმოები შედგება ცალეული პერსონაჟების ბიოგრაფისაგან, რომლებიც ოსტატურადაა გაერთიანებული. რეკომენდერი ლიტერატურის მესვეურმა ბელაკრინმა სწორად შეაფასა გერცენის თხზულება და მეფის „ოხრანკის“ III განყოფილებაში დაასმინა. იგი წერდა: „ახნაურები გამოყვანილია როგორც ფლიდები და პირეტყვები, მასწავლებელი, მეურნალის ვაჟი და ყმა ქალისგან შეძენილი ქალიშვილი — სათნოების განსახიერებაა“.

გერცენმა ასახა, თუ როგორ განწირავს არსებული წყობილება ჭკვიან და მაძიებელ ადამიანებს უმოქმედობისათვის. ისინი ვერ იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იღუპებიან. ბელტოვი „ზედმეტი ადამიანი“ ხდება. გერცენი ბრალს დებს საზოგადოებას, რომელშიც ბელტოვი ცხოვრობდა.

„ქურდბაღაცა-ეკუკაშენ“ მწერალი ისევ ასახავს პატნესკობის დამდუღველ გავლენას პიროვნებაზე, მაგრამ ამჯერად უფრო ვიწრო წრეში. გერცენი მოგვითხრობს რუსი ქალის, ნიჭიერი ყმა მსახიობის ბედზე. ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია „სლავიანოფილებისა“ და „დასავლეთელების“ დავა ქალის მდგომარეობაზე. მეორე ნაწილში კი, რომელიც წინა ნაწილის ილუსტრაციაა, მოთხრობილია მსახიობი ქალის ცხოვრება, რომელიც მემატონის თვითნებობამ დაღუპა.

ასე უპასუხა გერცენმა თანამედროვეობის ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხებს, რითაც დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი აზრისა და ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის განვითარებაზე.

გერცენის ფილოსოფიური და ბელეტრისტული ნაწარმოებები უნერგავდა ახალგაზრდობას მომავლის რწმენას, ულიციქებდა მათ აქტიური მოქმედების სურვილს. მაგრამ გერცენს მსგავსი გავლენა საკმარისად არ მიაჩნდა. ბოლოსდაბოლოს ეს გავლენა მხოლოდდამხოლოდ საზოგადოების განათლებულ ნაწილზე ვრცელდებოდა, რაც ხალხის ბედის შეცვლაზე არავითარ პრაქტიკულ ზემოქმედებას არ ახდენდა. გერცენი ეძებდა რევოლუციური მოღვაწეობის რეალურ გზებს, რაც ორმოციანი წლების რუსეთში ძნელი საპოვნი იყო. და 1847 წელში მიემგზავრება საზღვარგარეთ, საიდანაც თვითმპყრობელობას შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს. „მე.. მიყვარს რუსი ხალხ“, და სიყვარულთა გამო დაკუთვე ივი, მე არ შემეძლო გულხელდაკრეფილს ჩუმად მეცქირა იმ საშინელებისთვის, რასაც მემამულეები და მოხელეები ჩადიოდნენ. განშორებას არ შეუცვლია ჩემი გრძნობები... მე არ დამიხრია ჩემი ალამი“.

იწყება გერცენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეორე პერიოდი. საფრანგეთში იგი 1848 წლის რევოლუციის კვირაძაღზე ჩავიდა. მის შემოქმედებაშ„ აირეკლა თვითმპყრობელობის კრიზისად განთავისუფლებული კაცის სიხარული, აირეკლა ერისა და კულტურის აყვავების იმედი, იმედი შესაძლებელი „თავისუფლებისა“ დასავლეთში. მაგრამ მალე ძინისა ილუზიები ინგრევა. მან თვალნათლივ დანახა ბურჟუაზიული საზოგადოების მრჩევნებითი ცივილიზაცია, გაერკვა მის არსში, ნახა მედლის მეორე მხარე. იგი თავის „წერილებში პარიზიდან და იტალიიდან“ ლაპარაკობს ორ პარიზზე, წერს იტალიაზე, საღაც ვერ ნახა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობა.

1848 წლის რევოლუციის დროს იგი დაბრუნდა პარიზში, სადაც მოწმე გახდა, თუ როგორ შეიარაღდა ხალხი, როგორ შენდებოდა ბარიკადები, როგორ დახვრიტა კავენიაკმა ალაყაფებელები. რევოლუცია სისხლში ჩაიერჩვენ. გერცენი დაიკავეს, მისი ბინა გაჩხრიკეს. რეაქციის ალეიბსნნლმა ზეიმმა თავზარი დასცა გერცენს. პარიზიდან და იტალიიდან გამოგზავნილ წერილებში, წერილში „იმ ნაპირიდან“ ბელგატეხილობა იგრძნობა; იგი დიდ სულიერ დრამას განიცდიდა, ამ დრამას უფრო ამძაფრებდა პირადულიც. 1851 წელს დაიღუპა გერცენის დედა და ვაჟი. 1852 წელს ნიცაში გარდაიცვალა მისი ცოლი, რომელმაც ვერ აიტანა თავსდატეხილი უბედურება. გერცენი მარტოდ დარჩა, მოწყვეტილი სამშობლოსა და მეგობრებს. იგი წერს: „ყველაფერი დაინგრა, ზოგადიც და პირადულიც. ევროპის რევოლუციაც და ჩემი ოჯახიც. ქვეყნის თავისუფლებაც და ჩემი ბედნიერებაც; ძველი ცხოვრებიდან ქვა ქვაზე არ დარჩენილა“.

ნიკოლაზ I-ის მთავრობამ გერცენს სამშობლოში დაბრუნება მოსთხოვა. მან უარი განაცხადა, რის შემდეგაც დაუსწრებლად გასამართლეს და „რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებიდან სამუდამოდ განდევნეს“. გერცენი გახდა ემიგრანტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას გერცენს შეგნებული ჰქონდა უტოპიური სოციალიზმის შეცდომები, ხოლო 1848 წლის კლასობრივმა ბრძოლამ და რეაქციის გამარჯვებამ საბოლოოდ აუხილა თვალი. გერცენს მიაჩნდა, რომ გადამ-

წყვეტი როლი ინტელიგენციას ეკუთვნოდა, ხოლო როცა ინტელიგენციისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის იმედი გაუცრუვდა, იგი პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობაშიც დაეჭვდა. გერცენი რუსეთის მომავალის რწმენას უკავშირებდა ნაროდნიკულ თეორიას — გლეხური თემებიდან სოციალიზმში გადასვლის თეორიას, რომელშიც „გრამიც აი იყო სოციალიზმისა“.

1852 წელს გერცენი ლონდონში გადაიყარა და შეუდგა დიდიხნის ოცნების განხორციელებას — მას სურდა დაარსებინა რუსული ტიპოგრაფია, რომელიც ცენზურას არ დაექვემდებარებოდა და გამდებოდა „რუსეთის პროტესტი“, მისი თავისუფლებისა და ტკივილის ხმა. მან მიზნად დისახა გაეცნო დასავლეთისათვის სიმართლე რუსეთზე, სიმართლე ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავ ვლეხობაზე, მოეთხრო მემამულეთა და ჩინოვნიკების თვითნებობის ამბავი, მოეთხრო, თუ როგორ ბრძოდოა რუსი ხალხი და მოწონავე საზოგადოებრიობა მონობის წინააღმდეგ. მას სურდა გაეცნო ევროპისათვის რუსეთის დიდ კულტურა.

გერცენმა გამოსცა რევოლუციური სტატიები და ბროშურები. რუსეთთან კავშირის დამყარების შემდეგ იგი იღებდა უამრავ ხელნაწერებსა და წერილებს რუსეთიდან, რამაც საშუალება მისცა გამოეცა ალმანახი „პოლარული ვარსკვლავი“. შემდეგ კი კრებული „ხმები რუსეთიდან“.

„პოლარული ვარსკვლავის“ (ასე ერქვა რილეევის ჟურნალსაც) პირველი ნომერი გამოვიდა 1855 წელს. ჟურნალის ყდაზე მოთავსებული იყო სიკვდილით დასჯილი ხუთი დეკაბრისტის სურათი, რაც იმას მიუთითებდა, რომ გერცენი თავს დეკაბრისტების მემკვიდრედ თვლიდა. „პოლარულ ვარსკვლავმა“ **აღიდგინა** დეკაბრისტების ტრადიცია“, — წერდა ვ. ი. ლენინი.

ჟურნალის გვერდებზე გამოქვეყნდა პუშკინის, ლერმონტოვის, რილეევისა და დეკაბრისტების ხანმეტი დაკბეჭდვი ლექსები, ბელინსკის წერილი გოგოლისადმი და სხვ. გერცენის ინიციატივით მოგროდდა და გამოქვეყნდა 1825 წლის აჯანყების მასალები (წერილები, მოკლნგბები და მემუარები). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დემოკრატიის უკვე ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო, გერცენს ალმანახისა და კრებულის გამოცემა საკმარისად არ მიაჩნდა.

1856 წლის გაზაფხულზე ლონდონში ნ. პ. ოგარევი ჩავიდა, ხოლო 1857 წლის 1 იანვარს გამოვიდა ცნობილი გაზეთის „კოლოკოლის“ პირველი ნომერი.

ათი წლის განმავლობაში (1857—1867 წ. წ.) გაზეთი მოწონავე რუსეთის სულისკვეთებასა და იმედებს გამოხატავდა. „რუსეთში მოვლენები სწრაფად მიმდინარეობენ, ისინი სწრაფადვე უნდა აღიქვა და იმწამსვე გამოეხმაურო“ — ასე განმარტა თავისი გაზეთის დანიშნულება გერცენმა.

გაზეთის ნომრებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მთავრობისა და მემამულეთა ბოროტმოქმედების, პოლიციისა და მოხელეთა თვითნებობისა და ძალადობის, მიტაცებისა და მექრთამეობის ფაქტები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განყოფილებას — „ნარევი“, რომელიც დანაშაულებრივი მოქმედების ერთგვარ ქრონიკა იყო და რედაქციის კომენტარები ერთვოდა. გაზეთის პირველსავე ნომერში გერცენმა გამოაქვეყნა თავისი „პროგრამა-მინიმუმი“, რომელშიც ნათლად ჩამოყალიბა **თავისი და რედაქციის** იდეოლოგიური მრწამსი.

„კოლოკოლი“ იყო პირველი და ერთადერთი გაზეთი, რომელსაც ცენზურის კონტროლი არ ზღუდავდა. შეუძლებელია სამოციან წლების წარმოდგენა უამგაზეთოდ. მან დაარღვია „მონური დუმილი“ და რუსეთის პირუთნელი მსაჯული გახდა. თვით რეაქციონერებიც აღიარებდნენ გერცენის ძალას. მაგალითად, გერცენს შეურიგებელში მტერმა ბ. ჩიჩერინმა განაცხადა: „თქვენი ხართ ძალა, თქვენს ხართ ხელისუფლება სახელმწიფოშიო“.

1852 წელს გერცენმა დაიწყო თავისი **ავტობიოგრაფიის** „ნამოსა და ნაფიქრი“-ს წერა, რომელშიც მხატვრულად ასახა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საზოგადოების ყოფა დეკაბრისტებიდან მოყოლებული პარაზნის კოშუნამდე. იშვიათია მოღვაწე, რომლის ცხოვრებაც ისე მჭიდროდ ყოფილიყოს დაკავშირებული თავისი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან“ და ხალხის ბრძოლის ისტორიასთან, როგორც გერცენის ცხოვრება; „ნამყო და ნაფიქრი“ „ისტორიის ინარეკლია ადამიანში“, რომლის მიხედვით შეიძლება საზოგადოების ისტორია აღდგეს და აისახოს.

მე-19 საუკუნის მხატვრულ ავტობიოგრაფიებში გერცენის წიგნს ვერცერთი ვერ შეედრება ვერც სინამდვილის ასახვის მასშტაბებით, ვერც აზრის სიღრმითა და სითამამით, ვერც გულწრფელობით, სახეების დასრულებულობითა და სრულყოფილ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი რუსულ ენას გერცენის მემუარებით სწავლობდნენ.

ყირიმის ომისა და ნიკოლოზ I-ის სიკვდილის შემდეგ რუსეთში დიდი საზოგადოებრივი აღმავლობა დაიწყო. გერცენის სახლი ლონდონში, განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. იგი ათასი ძაფით იყო დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებელი რუსეთთან და ათასობით კორესპონდენტი ჰყავდა. თავისებული ტიპოგრაფიის გაელენა უფრო და უფრო იზრდებოდა. გერცენთან სტუმრობამ ერთგვარი მარტყელობის ხასიათიც კი მიიღო. ერი მემუარისტი იგონებს: „მოდიოდნენ გუბერნატორები, ეკჰერები, ლიტერატორები, მანდილოსნები, მოხუცები, სტუდენტები"...

ყოველ რუს მოგზაურს თავის მოვალეობად მიაჩნდა ენახა გერცენი, მიეტანა მისთვის კორესპონდენცია, ეკითხა რჩევა ან უბრალოდ ხელი ჩამოერთმია. გერცენი ინახულეს ლ. ტოლსტოიმ, ტურგენევმა, ჩერნიშევსკიმ, ა. ივანოვმა, ვოვჩო�ა და სხვ.

გერცენი გამამთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება როგორც რევოლუციონერი-იაზბარი, ამატომაც მის მოღვაწეობაში ზოგჯერ მერყეობა შეიმჩნეოდა, ორმოცდათიანი წლებისთვის მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი ლიბერალებთან. 40-50-იან წლებში იგი ვერ ხედავდა რევოლუციურ მასას რუსეთში და მიაჩნდა, რომ მისი იდეების მშვიდობიანი გზით განხორციელება შეიძლებოდა, ამატომ მან ალექსანდრე II-ს მიმართა. ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი მას მკაცრად აკრიტიკებდნენ „დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისკენ გადახრისათვის".

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „გერცენის ხსოვნას" განსაზღვრა გერცენის იდეოლოგიის განვითარების გზები და აღნიშნა, რომ უკვე 60-იან წლებში იგი უშიშრად მიემხრო რევოლუციონერ-დემოკრატებს ლიბერალების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი იბრძოდა ცარიზმზე ხალხის გამარჯვებისათვის და არა ლიბერალური ბურჟუაზიის მეფესთან შეთანხმებისათვის, „მან აღმართა რევოლუციის დროშა".

გერცენის ცხოვრების უკანასკნელი წლები მძიმე იყო, რუსეთში რეაქცია ზეიმობდა, გაზეთის გამოშვება შეწყდა, ყოველწლიური ალმანახი „პოლარული ვარსკვლავი" შვიდი წლის მანძილზე არ გამოსულა. გერცენმა მიატოვა ლონდონი, ვერ აეწყო მისი ოჯახური ცხოვრებაც. თითქოს მისი სახელიც მივიწყებას მიეცა. მაგრამ სწორედ ამ წლებში განსაკუთრებით გაღრმავდა მისი ეზოჩვენება და მისი ფილოსოფიური ნაწარმოებების მნიშვნელობა უზომოდ გაიზარდა.

იგი თანდათანობით აღწევდა თავს ილუზიებს და 1848 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულ პესიმიზმს, თანდათანობით ხედავდა პროლეტარიატის მნიშვნელობას, და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იმედებს ამყარებდა ინტერნაციონალზე, რომელსაც კარლ მარქსი ხელმძღვანელობდა.

ალექსანდრ გერცენი 1870 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა. იგი საფრანგეთის დემოკრატიულ ელემენტებს ინტერნაციონალ და მუშებმა დასაფლავეს. მიუხედავად პოლიციის ჩარევისა, რომელმაც ნეშტის გამოსვენების საათი გადაატანა, პროცესია დემონსტრაციად იქცა. ფრანგმა ხალხმა „დიდი რუსი ემიგრანტის" პატივისცემა გამოხატა.

გერცენის დასაფლავებას ვერ დაესწრო მისი უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი ოგარევი, მაგრამ მისი ცხედარი საფლავამდე მიაცილეს ოთხმოცი წლის ნ. ი. ტურგენევმა, დეკაბრისტების ერთ-ერთმა იდეოლოგმა და ხელმძღვანელმა, და 27 წლის ვ. ა. ტიმირიაზევმა, მომავალმა დიდმა სწავლულმა, რაც თითქმის სიმბოლურად გამოხატავდა თაობათა კავშირს. როგორც დეკაბრისტებმა გამოიფიზიტლეს გერცენი, მან და მისმა „ალოყოლმა" თავის მხრივ დიდი როლი შეასრულა „ჩაზნონჩინელების" მოძრაობის გამოცოცხლებაში.

დიდია გერცენის როლი რუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიაში, იგი აერთიანებს დეკაბრისტებისა და რევოლუციონერ-დემოკრატების ეპოქებს, ხოლო მისი თავისუფალი ტიპოგრაფია „მეშთათა ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედია". სამშობლოს მოწყვეტილი გერცენი ორგანულად იყო დაკავშირებული რუსეთის საზოგადოების განვითარებასთან და ყველა სოციალურ პროცესთან, მისი ტრადიციები განაგითარეს და გაღრმავეს რევოლუციონერ-ჩაზნონჩინელებმა.

•

გერცენი აქტიურად გამოეხმაურა 1863 წლის პოლონეთის აჯანყებას; „ჩვენ გვსურს პოლონეთის დამოუკიდებლობა, რადგან რუსეთის თავისუფლება გვინდა; ჩვენ ერთი მიზანი გვაკავშირებს" — წერდა გერცენი. მართალია, „განათლებულმა რუსეთმა" ზურგი შეაქცია გერცენს, მაგრამ მან, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „რუსეთის დემოკრატიის ღირსება იხსნა".

გერცენს მიაჩნდა, რომ არარეს ხალხს რუს ხალხთან ერთად უნდა ებრძოლა თავისუფლებისათვის. „მთელი ჩვენი სწრაფვა და მონდომება უნდა მოვახმაროთ იმას, რომ არარუსი ხალხების დამოუკიდებლობა და რუსი ხალხის თავისუფლება დაფუძნებული იყოს ძმურ მოქმედებაზე პეტერბურგის დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლაში".

გერცენი ყურადღებას აქცევდა ავრეთვე ქართველი ხალხის ბედიღბალს; ჯერ კიდევ 1861 წელს გამოაქვეყნა „ალოყოლში" ქართული მასალები, ხოლო შემდგომ სისტემატურად აქვეყნებდა წერილებსა და კორესპონდენციებს საქართველოდან.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი ქართ-

ველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობის „კოლოკოლში“. ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა გერცენის სტატიებმა. 1861 წელს გაზეთ „კოლოკოლში“ მოთავესა სია იმ სტუდენტებისა, რომლებიც სტუდენტთა მეღვაინრებაში მონაწილეობისათვის დასჯილნ; ამ სიაში მოხსენებული იყო ნ. ნიკოლაძეც. ნ. ნიკოლაძე იგონებს — „ჩვენ სიხარულით ცას ვეწიეთ... ჩვენი სახით იღეიძებდა რუსეთი“.

გერცენმა შენიშნა ქართველი პუბლიცისტი. 1864 წლის შემოდგომაზე ნ. ნიკოლაძს პარიზში ესტუმრნენ გერცენი და ოგარევი, რომელთაც ძლ ვს მიაგნეს ლაბირინური კვარტალის ერთ-ერთ მანსარდას თავშეფარებულ სტუდენტს. ამის შემდეგ პარიზში ყოველი ჩასვლისას გერცენი ეწვევოდა ხოლმე ნიკოლაძეს და ამ ხნიდან იწყება ქართველი პუბლიცისტის გერცენთან თანამშრომლობაც.

გერცენი მოხოდად დამეწერა „კოლოკოლისათვის“ სტატია საქართველოში ბლეხთა განთავისუფლების შესახებ; დიდხანს ეოკავებდი თავს, ვიმიზეზებდი მოუმზადებლობას; ბოლოს დაეწერე სტატია, რომელმაც მთელი ქარაშბალი გამოიწვიაო, — იგონებს ნ. ნიკოლაძე. უნდა აღინიშნოს, რომ სტატია მოგვიანებით, 1865 წელს დაიბეჭდა; თუმცა ბლეხები რუსეთში 1861 წელს და საქართველოში 1864 წელს განთავისუფლდნენ, მაგრამ ბლეხობის საკითხი გადაჭრილი მაინც არ იყო. ნ. ნიკოლაძის სტატიამ ამიტომ გამოიწვია დიდი გამოძახილი, რომ გაშუქებული იყო, თუ რა პირობებში მოხდა ბლეხთა განთავისუფლება საქართველოში (განთავისუფლება უმიწოდ).

გერცენი ნ. ნიკოლაძის სტატიებს მაღალ შეფასებას აძლევდა, ხოლო ოგარევმა „პოლარული ვარსკვლავის“ გამოცემის განახლებისას იგი თანამშრომლად მოიწვია. გერცენმა ოგარევსა და ნიკოლაძს დაავალა „კოლოკოლის“ სტატებმრის ნომრის რედაქტორობა.

1865 წელს ნ. ნიკოლაძე გერცენსა და „კოლოკოლს“ ჩამოცილდა — ამის მიზეზი იყო იდეური უთანხმებანი, ეკრძოდ, გერცენის წერილი ალექსანდრე II-თან.

„კოლოკოლშიეკ“ გამოქვეყნდა მასალები თბილისელი ხელოსნების გამოსელებზეკ, რაც გამოწვეული იყო ახალი გადასახადების დაწესებით. გერცენს უხდებოდა დავა იმ რეაქციონერებთანაც, რომლებიც ქართველ ხალხს ქედმაღლურად ექცეოდნენ, ცილს წამებდნენ მას და მის ისტორიას.

გაზეთი გამოთქვამდა თავის შეხედულებას ამის თაობაზე, რომ ადგილობრივ მოსახლეობასა და რუს ხალხს შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებას ხელს უშლიდა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა, რომელსაც ადმინისტრაციული ხელისუფლება ატარებდა.

გერცენი საქართველოში დიდად პოპულარული იყო. მაგალითად იმ დროს, როცა ეხსახელის ხსენებაც კი სახიფათო იყო, გ. წერეთელმა თარგმნა „ექიმი კრუპოვი“ და ჟურნალ „კრებულის“ 1870 წლის პირველ ნომერში გამოაქვეყნა (ცენზურის თვალის ასახვევად მოთხრობას სათაური შეუცვალეს). როგორც მკვლევარებმა დადგინეს, ქართველი საზოგადოება ხელნაწერით გაეცნო გერცენის სტატიას — „რევოლუციური იდეების განვითარება რუსეთში“. ცნობილია აგრეთვე, რომ მოწინავე ქართველები „კოლოკოლს“ პირველივე ნომრიდან იცნობდნენ, ხოლო 1858 წელს გაზეთის ნომრების კომპლექტი ჰქონდათ. „კოლოკოლს“ კითხულობდნენ არა მარტო 60-იან, არამედ 70-80-იან წლებშიც. გერცენის გაზეთმა დიდი გავლენა მოახდინა იმ დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.

გერცენი ნ. ნიკოლაძის გარდა სხვა რამდენიმე ქართველ მოღვაწესაც იცნობდა; 1834 წელს ეიატკში გადასახლების დროს მან გაიცნო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ი. ს. მამაცაშვილი, რომელთან ერთადაც საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში მუშაობდა. ეიატკაშივე იქნა გადასახლებული 32 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოლომონ დოდაშვილიც, რომელიც გადასახლებაში გარდაიცვალა. „მე ვინახულე იგი საკვდილის წინა დღეებში — წერდა გერცენი, — იგი სიკვდილის კარზე იყო მისული“... სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები გერცენსა და ზემოთ მოხსენიებული ქართველი მოღვაწეების ურთიერთობაზე.

დიდია ალექსანდრ გერცენის დამსახურება რუსეთისა და საერთოდ მოწინავე საზოგადოებრიობის წინაშე, ამიტომაა, რომ მაღლიერი შთამომავლობა დიდი სიყვარულითა და სიამაყით იგონებს ადამიანის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სახელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა იმედაშვილი

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“

შარშან „მნათობში“ გამოქვეყნდა ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა“, „ცისკარში“ სოსო კორინთელის „სანამ ცოცხალი ხარ“. წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“. ეს არც თუ ისე ცოტაა.

„ვარსკვლავთცვენა“ ომის გამოძახილია: აქ აღწერილია საქართველოს ერთი სოფელი, სოფელი — მიტოვებული ბავშვებისა და ქალების ამარა. ომს ჩვენ ახლა თხუთმეტზე მეტი წელი გვაშორებს და გასაგები რომ იყოს ამ თემით ახალგაზრდა მწერლების დაინტერესება, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელიც ომის დროს ბავშვი იყო, მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში, მაგრამ მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე ომმა დიდი გავლენა მოახდინა. მისთვის უცნობია რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების პათოსი, მაგრამ მან სამაგიეროდ თავის ბავშვობაში გამოსცადა სამამული ომის სიმძიმე, ევაკაცური შემართებით შეეშალა ყამირს და დაიპყრო კოსმოსი. ეს სხვა სახის გმირობაა. მაგრამ არანაკლები, ვიდრე გმირობა მათი მამებისა და უფროსი ძმებისა. უფრო სწორედ, ეს არის მათი გმირობის გაგრძელება. ახლა, როცა ეს თაობა წამოიზარდა, მან სცადა ეთქვა თავისი სათქმელი და, რა თქმა უნდა, გვეყოფ ვერ აუარა იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც ომის დროს მიიღო.

ომზე ახლა უფრო სხვაგვარად წერენ, ვიდრე ომის დროს. ბრძოლის ხმაური და ცეცხლი თითქოს მიეწყუბას მიეცა. მაშინ იწერებოდა, თუ რა ხდებოდა ბრძოლის ველზე, ბრძოლის დროს, ახლა, როცა ომი ისე თუ ისე შორეული წარსულია, გაჩნდა სხვა ჭრილობები, ახალი განცდები, რომელიც ღრმადაა დაკავშირებული ომთან, მაგრამ განსხვავებული გამოხატულება აქვს.

შორიდან უკეთ ჩანსო, ამბობენ, ახლა მართლაც შორიდან უკეთ ჩანს, რა ხდებოდა ფრონტზე და ზურგში. და იქნებ იმიტომ, რომ ბრძოლის ხმაურზე უკეთ ბევრი დაიწერა, ახლა მომეტებულად წერენ ზურგზე და ჩვენს მწერლობაში გაჩნდა ახალი თემა — ომის დროს გატარებული ბავშვობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ომში დაკარგული ბავშვობა.

ოტია იოსელიანის გოგიტა რიკტაფელს თამაშით შეხდა ომს. მასთან ერთად იყვნენ გოჩა, ბუდუ, ტუხუია. მოირბინნ გოგიმან და თქვა, ომი დაიწყოო. „რიკი და ტაფელი ლოდის ძირში დარჩა. ტაფელის თავი სამ გოჯზე გაცდა რიკის შეაწევლს და მოქცეული თეთრი ჯვარივით დარჩა“. აქ ყველანი ერთად არიან: გოჩა, ბუდუ, ტუხუია ბროლიანი, გოგონა... იქვე, საღიცა ახლოს ტრიალეს ფატი, ახალი პატარძალი. მერე მთელი რომანი მათზე მოგვითხრობს, მათი ხასიათის ცვლაზე, მათს ტკივილებზე, რომანის ბოლოს ისევ მათს სახეებს ვხედავთ, ოღონდ ახლა ისინი ბავშვები აღარ არიან და თანაც ომმა დააშორა ერთმანეთს: გოგონა და გოჩა თვალს არიდებენ გოგიტას, ფატი მამამთილმა მოჰკლა, გოგიტა ყველას ერიდება, ტუხუს აწვალებს ნატეხი ქადისთვის მოკლული ბროლიას ცოდვა, ყველი დაიღალა და გადაეჩვია ღიმილს. და თან რომაში შემოვიდა ახალი გმირი, ფატისა და გოგიტას ბავშვი, უკანონოს რომ ეძახიან. რომანი მართლაც გვიჩვენებს ამ ბავშვების დავეკაცებას; მათი ხასიათის ჩამოყალიბება იქცევა რომანის კომპოზიციურ ღერძად. თუმცა, აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კომპოზიცია რომანისა არ არის კლასიკურად მკაცრი, ეს არის თავისუფალი თხრობა, გოგიტას მოგონებები ომზე და, როგორც ყველა მოგონება, ფრაგმენტული და არამთლიანი. მაგრამ ერთი კანონზომიერება მაინც არის დაცული — დროის თანმიმდევრობა, ყველაფერი ხდება ერთმანეთის მიყოლებით. რომანის მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირის გამოყოფა ერთის შეხედვით თითქოს ჭირს, ისეა ერთმანეთში გადახლართული ამ ბავშვების ბედი; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეული მოელენა რომანში დანახული გოგიტას თვალით, მაშინ სწორედ გოგიტა უნდა მივიჩნიოთ მთავარ გმირად. რომანის პირველსავე გვერდებზე ვხედავთ თუ როგორ გადაიქცა თერთმეტი-თორმეტი წლის ბავშვი მამაკაცად. გარეგნულად ეს მოხდა ერთ დღეს, როცა მამა ომში წავიდა და გოგიტამ იგრძნო, რომ მისი მაგირობა უნდა გაეწია, მაგრამ ფიქტიურად ეს მტკივნეული დაჭაქაცება მთელი რომანის მანძილზე გრძელდება. გოგიტამ შეძლო მამის მაგირობა გაეწია, შეძლო მამის მაგირად ეთხნა ეზარა, მაგრამ მან ჯერ მხოლოდ თოხნა იცოდა—მეტი არაფერი. ის გაკვირვებული შესცქეროდა ფატის, რომელმაც მის დანახვაზე „მუხლებზე იტაცა ხელი, კაბა წაიფარა და ნაკვერჩხლებივით წამოენთო“ და ვერ გაუგია „რატომ იყო ასე სასირცხო მუხლების გამოჩენა“. ის ქვეშეცნიერად გრძნობს, რომ მას ეწვია დიდი სიყვარული — გოგონა და ვერ გაუგია რატომ აღელვებს ფატი, მას ვერ გაუგია თავისი ინსტინქტების ბრძოლა. მან უბრალოდ იცის, რომ გოგონას დაკარგვა და ფატის სიკვდილი არაა მისი ბრალი. ის გრძნობს ამას, მაგრამ არ იცის რატომ. ალბათ მერე მიხვდება გოგიტა, რომ სწორედ ეს იყო ცხოვრების შეცნობის ძნელი გზა.

გოგიტა გახდა ფატის ბავშვის მამა, მისი ღალატის მონაწილე და ფატის სიკვდილის მიზეზი, მაგრამ მწერალი არ ადანაშაულებს გოგიტას. მწერლის თვალსაზრისით, ეს უნებური დანაშაულია—შეუგნებელი და გარემოებათა ლოღიკით გამოწვეული. მწერალს აქვს უფრო დიდი, ადამიანური მორალი და ამ მორალით ამართლებს გოგიტას. მაგრამ აქ ეჭვი იბადება: ძალზე მკაცრი, თანმიმდევრული და გარდუვალი ხომ არ არის გარემოებათა ის ლოღიკა, რომელმაც შეაცდინა გოგიტა, ნატეხი ჯადისთვის ტუხუოს მოაკვლევინა ბროლია, ხომ არ თამაშებენ გარემოებანი ადამიანებს? ამას ადამიანის სისუსტისა და სიმცირის შეგრძნებამდე მიეყავართ. ძნელი გზა გაიარა გოგიტამ—ძალიერი ხასიათის ბავშვმა. გაჭირვებამ, შიმშილმა და შრომამ გამოაწრთო მისი და მისი თაობის ხასიათი, რა საწყენია, რომ რომანის ბოლოს ასე დაანია, დაანორა მწერალმა გმირები, ასე გატეხა გოგიტა და სინანულით თქმევინა: „გთხოვდა ომი, რომელიც ოთხი წლის წინ თამაშით დავიწყე, დავიწყე თამაშით და წარუბეკრულმა დავამთავრე. ენახე ეველაფერი: ენახე ზღვა ცრემლი და მწუხარება, მოვასწარი დიდი სიყვარული და ღალატი, გავხდი ... და...

სიკვთეს დრო უნდა! მე დრო არ მეყო და უნებურად ბოროტებაც ჩავიდინე.

მე ხომ წმინდა სიყვარულ ეუღალატე! მე ხომ მამა ვარ მთელ სოფელში ოთხი წლის მანძილზე დამადებული ერთადერთი ბავშვისა, რომელიც ახლა ბავშვთა სახლში იზრდება“.

ეს გოგიტასი კი არა, მწერლის ნაკარნახეკი სიტყვებია, თუნდაც იმიტომ, რომ გოგიტასი და მისი ტოლების ცხოვრება ყოველდღიურად სიკეთის კეთება იყო, დიდი სიკეთის. ამას გოგიტა მთელი რომანის მანძილზე ამტკიცებს. მაშინ რატომ უარყოფს ბოლოს ამას?

და თუ გოგიტას თავისი უნებური შეცდომების გამო ვერ ეკადაგებლობა შეპპარეია, აუცილებელი არაა ყველას გადაედოს მისი განწყობა. აქ გოგიტა, გინა, გოგონა ხომ მთელი თაობის განსახიერებაა, ეფაკაცურისა და ეულგაუტეხელის? ხომ არ ცდება აქ მწერალი?

ალბათ სწორედ ამიტომ წერს შემდეგ ავტორი: „ჯერ ჩვიდმეტი წელი არ შემსრულებია! მომავალი წინ არის, დიდი იმედით და ნათელით გაბრწყინებული მომავალი“.

ეს პუბლიცისტიკა და ნაძალადევი პათოსი კი უკვე ხამდვილად არაა გოგიტასი.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ხარვეზი მაინც ვერ ამაფილებს ძირითადს — ხასიათების ნიშიერად და მთლიანობაში ძერწვის ოსტატობას. რომაწში დაანლოვნით თუთიმეტ პერსონაჟი მოქმედებს და მიუხედავად ამ სიმრავლისა, ყველას აქვს თავისი ელფერი, სთქმელი და არც ერთი არ სტოვებს სტატისტის შთაბეჭდილებას, მაგრამ რომანს აქვს ერთიორი სერიოზული ნაკლიც, რაზეც შეჩერება, ვფიქრობთ, აუცილებელია.

ზევით უკვე ვთქვით, რომ რომანი ფრაგმენტულია. უფრო მეტიც, ხშირად მასში გამოიყოფა ცალკეული ნოველები: ბროლიას მოკვლა, ღამისთევა თივის ზვინში, მშიერი ტუხუოა, ღამე ფატისთან, რომლებიც ერთმანეთთან ისევე პირობითად არის დაკავშირებული, როგორც ყოველი თავისუფალი თხრობის ცალკეულ ნაკვეთი.

„ვარსკვლავთცვენის“ ამ ფრაგმენტულობაში ელინდება თანამედროვე რომანის ერთი თვისებაც — თავისუფალი თხრობა, რომლის შესანიშნავი მაგალითებია კოლდუელის „ჯიროჯიელი ბიჭი“ და სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“.

უმჯობესს შემთხვევაში ამ ცალკეულ ნოველებს ესა თუ ის კარგად მონახული დეტალი აკავშირებს. და აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოტია იოსელიანი ნიჭიერად არჩევს იმ უმნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელო საგანსა თუ მოვლენას, რომელიც შემდეგ გათამამდება. მაგრამ რაც არ უნდა კარგი იყოს ეს ხერხი, მისი ხშირი ხმარება და დაკანონება მოსაბეზრებელია. მით უფრო, რომ ასეთ სიმბოლურ დეტალებად ქცეულ ნივთთა (ლოდი, რიტაფელა, მჭადის ნატეხი, წყალდასმული კერია...) ჩამოთვლა იქამდე მიგვიყვანდა, რომ რომანის მოკლე შინაარსს გადმოვცემდთ.

„ვარსკვლავთცვენა“ ინტერესით იკითხება, რომანის დასაწყისი, ჩვენის აზრით, ტრაფარეტული: მშვიდობიანი ცხოვრება, ბავშვების უწყინარი თამაში და უცაბ ომი — წყდება თამაში, წყდება ქეიფი ცხოვრება. მართალია, ცხოვრების სინამდვილეში ეს ასეც მოხდა, მაგრამ ხელოვნების სინამდვილეს ხომ თავისი კანონები აქვს, ერთი ნაწარმოების სიმართლე არ უნდა ჰგავდეს მეორის სიმართლეს (მით უმეტეს დეტალებში, ეპიზოდებში); თუ სხვამ მოვასწრო რაიმეს დანახვა და შენიშვნა, მწერალი ვალდებულია უკვე სხვა თვალით დაანახოს მკითხველს იგივე მოვლენა. ასევე ტრაფარეტული ბრძოლაში მიმავლების გაცილების ეპიზოდიც. ეს ეპიზოდები ნაცნობია ლიტერატურაში და არაფრის ახალს არ ამბობს.

საერთოდ, ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს ერთი ნაკლი აქვთ; რომლის დაფძლეველადაც დიდ მწერლობასთან მისვლა შეუძლებელია. მხედველობაში მაქვს ლიტერატურული რემინისცენციები. მართალია, სწავლის და დავიკაკცების პროცესში მწერალი ხშირად შეეცდნობოდა იმეორებს ამა თუ იმ სახეს, მოტივს, პასაჟს თუ სხვა რაგეს, მაგრამ ნამდვილი მწერლის თვითკონტროლი სწორედ ის არის, რომ გაკბჯნილს თავისი შემოქმედება ასეთი დანაშრეგებისაკან.

ახალი არაა ის ამბავი, რომ არც ერთი მწერლობა არ შექმნილა გაელენის გარეშე, მაგრამ გაელენაც არის და გაელენაც. როცა მწერალი ეცნობა თავის წინამორბედს და თანამედროვეს, იგი ან იმეორებს წაკითხულს და, რა თქმა უნდა, გამეორებული უფრო ცუდია ორიგინალზე, ანდა ავითარებს და მაღალ საფეხურზე აჰყავს იგი. მსოფლიო მწერლობაში ხშირია მაგალთი, როცა პატარა მწერალს მიუცია ბიძგი დიდი მწერლისათვის და ერთის შეხედვით უბრალო და უპრეტენზიო ნაწარმოებს წარმოუქმნია დიდი ხელოვნება — რა თქმა უნდა, ეს უკვე ნამდვილი მწერლობის შექმნის გზაა. სწავლა ყოველთვის და ყველგან არის საჭირო. მაგრამ იგი ეპიგონობად არ უნდა იქცეს.

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ ბევრად მოიგებდა, სწორედ ეს ლიტერატურული რემინისცენციები რომ არ უშლიდეს ხელს. მაგალითად, — რომანი ასე თავდება: გაგიეკბული დედა დადის სოფელში და ბავშვებს ეძებს. თავისი დაღუპული ბიჭის ამბავს.

— ჩემი ამბავო არ გინახავთ?

არ შეიძლება ამ ქალის სახემ და მისმა ტრაგედიამ არ გაგახსენონ მიხეილ ჯავახიშვილის „ტყის კაცი“ და შეშლილი მეტყევე. ამავე თემაზე თვით ოტია იოსელიანს აქვს შესანიშნავი, ორიგინალურად გადაწყვეტილი მოთხრობა „ლევანა“. რომანში იგივე საკითხი არ არის ახლებურად გადაწყვეტილი და ვერ ჰპატებს რომანს ღირსებას.

ოტია იოსელიანს აქვს მოთხრობა „ოჯახის ამბავი“, რომელიც პატარ-პატარა მოთხრობებისაგან შედგება და ამ რომანის კომპოზიციური წინამორბედია და ასევე შეიცავს რომანის ძირითად ნაკლს — ფრაგმენტულობას და მასალის არაერმად წვდომას. ჯერ კიდევ „ოჯახის ამბავში“ ავტორი ცდილობდა ეთქვა ბევრი რამ ერთბაშად, ერთი სულის ამოთქმით, ისე როგორც „ჩქარი მატარებლით“ თქვა. ვფიქრობთ, ახალი არაა, რომ სხვადასხვა ამბავი, ამბის ხასიათი — დრამატიზმი, მნიშვნელობა განფენილია მოითხოვს სხვადასხვაგვარად წერას. ეანრების წარმოშობის ერთი მიზეზი, ალბათ, ესეც იყო. ამბავი მწერალმა მთლიანად ფუნდა ამოსწურის. როცა ოტია იოსელიანმა „ოჯახის ამბავში“ სცადა ნაჩქარევად გადმოეცა ამბავი სკოლის მერხზე დამაგებულ სიყვარულისა, ოჯახის შექმნისა, ახალი სიცოცხლის ჩასახვისა, ჩვენ ეს მხოლოდ გამოუცდელობა და კალნის სისუსტე ვვეგონა, მაგრამ როცა იგი ცდილობს მიაფუჩეჩოს ფატის ტრაგედია, აქ ორი რამ უნდა ვივარაუდოთ — ეს ან მწერლის დაუდევრობაა, ან მისი სტილის თავისებურება.

„ვარსკვლავთცვენაში“ სასიყვარულო ინტრიგა ორი ხაზით ვითარდება (გოგიტა-გოგონა და გოგიტა-ფატი). პირველი ბავშვური გატაცებაა, ხოლო მეორე სქესობრივი ინსტინქტების გამოვლენა. მწერალი გვიჩვენებს გოგიტას აფორიაქებულ სულს, უპირისპირებს ამ ორ ხაზს ერთმანეთს და მიეყავართ დასკვნამდე, რომ მათი შეთავსება შეუძლებელია. თავისთავად ის ამბავი, რომ მწერალი დაინტერესდა იმ ადამიანური ინსტინქტებით და იმ ადამიანური გარემოებთ, რომელიც არა მარტო გოგიტასათვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, ნამდვილად კარგია. მაგრამ ოტია იოსელიანი, ეფიქრობთ, უფრო ღრმად უნდა ჩასწვდომოდა ფატისა და გოგიტას ურთიერთობას. გოგიტას ვერ გაუგია რა ემართება, თითქოს რაღაც ბნელი ძალები დაატარებენო თვალკაკულს; მწერალი მკითხველსაც აჯერებს ამ ბნელი ძალების არსებობაში. ფატი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი თვისების — სქესის განსაზიერებად იქცევა.

რომანში ერთმანეთის გვერდით გვხვდება შესანიშნავად დაწერილი და შედარებით სუსტი ადგილები, და ექსპრესია, ექსპრესია ყველგან და ყოველთვის, რასაც ზოგჯერ სიკეთე მოაქვს და ზოგჯერ ზიანი.

ოტია იოსელიანის რომანის მთელი რიგი ადგილები ხალასი ლირიკული გრძნობით არის დაწერილი, მაგრამ მწერლობას ყველფერში ზომიერება უყვარს. ზოგჯერ ლირიზმი სენტიმენტალობად იქცევა. ეს ძალიან ენებს ამ რომანს, იქნებ ყველფერზე მეტადაც. მისი ვმირები ყოველთვის არიან უაღრესად ფაქიზნი, უაღრესად მიმხვედრნი, გულჩვილნი, ერთმანეთს უთქმელად უხვდებიან და ყველა ერთმანეთს ინდობს, უელის, ეფერება, ფოსტალიონ თომადან დაწყებული ბებიათი გათავებული. მხოლოდ დედას არ უყვარს გოგიტა, მაგრამ საქმე ისაა, რომ გოგიტა ვერ ხვდება, თორემ როგორ არ უყვარს... რომანის პირველი გვერდებიდან და თითქმის ბოლომდე კარგად დახატულ უარყოფით ტიპს—კლემენტისაც ისე ესათუთება მწერალი და ისე ელოლიავება, რომ ბოლოს ისიც იძულებულია გულჩვილი და კეთილი გახდეს. მწერალს ესიმპათიურება იგი და მკითხველსაც ახვევს თავის სიმპათიას. ზედმეტი გულჩუყვება ზოგჯერ ენაშიც ელინდება და ბანალურს ხდის მას.

ამ ხარვეზების მიუხედავად, რომანი თავლინნინო მოგლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ჩვენ უფრო მეტი ყურადღება ნაკლზე შევაჩერეთ, რადგან დიდი ლიტერატურა ვერ იტანს კომპრომისებს. ისიც უნდა თქვას, რომ შეუძლებელია და არცაა სასურველი ყველა ცუდისა და კარგის თქმა, მაგრამ როცა ნაწარმოების შეფასების საკითხი დგება, უნდა გავითვალისწინოთ რა მოგვიტანა მწერალმა და რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი.

„ვარსკვლავთცვენას“ მკითხველამდე მოაქვს დიდი ადამიანური სიმართლე, სიმართლე მთელი თაობისა და მძიმე წლებისა. მწერალი კარგად გვიჩვენებს გოგიტას თაობის ხასიათის წრთობას. სხვადასხვა გმირის ხასიათი ერთდება ერთ მთლიანად, და ეს მთლიანი იქცევა თაობის თვისებად, ბავშვობადაკარგული და აღრე დავაჟკაცებული თაობის თვისებად. ოტია იოსელიანი გვიჩვენებს ომის ავბედობას და ჩვენ ვიცით, რომ ეს თაობა არასოდეს არ დაიწყებს ომს. ესეც თავის მხრივ ზრდის „ვარსკვლავთცვენის“ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ვფიქრობთ, ყველა ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ოტია იოსელიანის პირველი რომანი თანამედროვე ქართული პროზის მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენაა და, ალბათ, გარკვეული დამუშავების მერე იგი ჩვენი ახალგაზრდობის კარგ მეგობრად იქცევა, რადგან მასში კარგად არის ნაგრძნობი მათი ცხოვრება და მათი ბედი.

ნოდარ კაკაბაძე
ნოდარ რუხაძე

ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები საქართველოზე

ვენაში ერთ-ერთ ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლებს შორის აღმართული ცნობილი ავსტრიელი მოქანდაკის ზიგფრიდ შარუს სკულპტურული ჯგუფი, რომელშიც მშვიდობისაკენ აღამაინთა სწრაფვაა გამოხატული. დედას, რომელსაც თავისი ორი ბავშვი შემოხვევია კაბის კალთაზე, ხელები ოდნავ ზეაღუმართავს და სასოებით შესცქერის ზეცას. ეს სკულპტურული ჯგუფი ამ ადგილას შემთხვევით არ არის აღმართული. იგი დგას იმ სკვერის წინ, რომელიც ბერტა ზუტნერის სახელს ატარებს. ეს ქალი, რომელსაც შტეფან ცვაიგმა სპეციალური ესეი მიუძღვნა და თავის მემუარებში „ჩვენი დროის დიდებული სულგრძელი კასანდრა“ და „პაციფიზმის ფუძემდებელი“ უწოდა, უკვე სამოცდაათი წლის წინათ თავდადებით იბრძოდა მსოფლიო მშვიდობისათვის. ბერტა ზუტნერი მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამ სამშვიდობო მოღვაწეობის გამო 1905 წელს მან ნობელის პრემია მიიღო. ცნობილმა გერმანელმა კინო-რეჟისორმა ჰარალდ ბრაუნმა ფილმიც კი შექმნა ბერტა ზუტნერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ — „მსოფლიო გული“.

ბერტა ზუტნერი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მინნეფილია ერთ-ერთ ყველაზე გამორჩნილ მწერალ ქალად. მას საკმაოდ მრავალი პროზაული ნაწარმოები აქვს დაწერილი, რომელთა შორის მსოფლიო დიდება მოიპოვა მისმა სახელგანთქმულმა რომანმა — „ძირს იარაღი“. ეს რომანი თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებთაგანი იყო.

და ეს სახელგანთქმული მწერალი ქალი ბედმა საქართველოსთან დააკავშირა. იგი ჯერ კიდევ საქართველოში გამომგზავრებამდე მრავალ ქართველს გაეცნო და დაუახლოვდა, განსაკუთრებით კი ჩვენი სახელოვანი მწერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ეკატერინესა და მის ოჯახს.

ბერტა ფონ ზუტნერს დაწერილი აქვს ძალიან საინტერესო მოგონებები. იგი სხვადასხვა დროს შეხვედრია თავისი ეპოქის ბევრ გამოჩენილ მწერალსა და მოაზროვნეს, მას ურთიერთობა ანდა მიმოწერა ჰქონია XIX საუკუნის მიწურულის თითქმის ყველა სახელმოხვეჭილ ადამიანსა და მოღვაწესთან: ლევ ტოლსტოისა და ჰენრიკ იბსენთან, ბიორნსონ ბიორნსონსა და ემილ ზოლასთან, ფრიტიოფ ნანსენსა და ალფრედ ნობელთან, ადელინა პატისა და პოლინა ვიარდოსთან, მაქს ნორდაუსა და ერნესტ რენანთან, ალფონს დოდესა და მარკ ტვენთან და სხვებთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერტა ზუტნერის მეგობრობა ვეფ ინგერეთთან, შემდეგში სახელგანთქმულ ალფრედ ნობელთან. ბერტას თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ნაწილობრივ ამ მწერალმა ქალმა შთაგონა დინამიტის გამომგონებელს იმ ზარალის საზღაურად, რაც მისმა გამოგონებამ კაცობრიობას მიაყენა, დაეწესებინა პრემია მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ბერტა ფონ ზუტნერის „მემუარებში“ დიდი ადგილი უჭირავს ქართველებსა და საქართველოს, და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ბერტა ზუტნერმა თავის მეუღლესთან[1] ერთად ცხრა წელი (1876 — 1885 წ. წ.) დაჰყო ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ მისი მოგონებების იმ ნაწილს შეეხებოდეთ, რომელშიაც საქართველოს

[1] მისი მეუღლე გახლდათ არტურ გუნდაკარ ზუტნერი, რომელმაც 1884 წელს გაზეთ „Кавказ“-ის რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა წერილების სერია „ვეფხისტყაოსანზე“ და რაც იმდროინდელმა ქართულმა გაზეთებმა უმალ გადაბეჭდეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველ ნაშრომთაგანი შოთა რუსთაველზე, დაწერილი უცხოელი ავტორის მიერ (იხ. გაიორ იმედაშვილი, „რუსთაველოლოგიური ლიტერატურა“, 1957, გვ. 90-91).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბებია მოთხრობილი, საჭიროა თვალი გადავაგლოთ ბერტა ზუტნერის ბიოგრაფიას [1].

ბერტა ზოფია ფელიციტა კინსკი დაიბადა 1843 წლის 9 ივნისს ქ. პრაჰაში. ბერტას დაბადებისას მამა უკვე ცოცხალი აღარ ყოლია. მამამისი, გრაფი ფრანც იოზეფ კინსკი იყო ავსტრიელი არისტოკრატი, ვენის მობინადრე; დედა კი იყო გვარად კორნერი. მალე დედამისი ბერტასთან ერთად პრაჰიდან ავსტრიის ქალაქ ბრუნში გადასახლებულა.

ბერტა ბავშვობიდანვე დაეწაფა ლიტერატურასა და ფილოსოფიას. იგი თავისი დროის ერთ-ერთი უგანთლებულესი ქალი იყო.

ბერტას პირველი შეხვედრა ქართველებთან

1864 წლის ზაფხული 21 წლის ბერტამ დედასთან ერთად გაატარა გერმანულ ადგილზე, ჰომბურგში [2].

ბერტა მოგვითხრობს: ერთხელ ნაშუადღეს პარიზელ ბანკირს მოხუც კონიგსვარტერს უთქვამს ბერტას დედისათვის: „სამეგრელოს მთავრის ცოლს სურვილი აქვს თქვენი გაცნობისაო“. ბერტამ და დედამისმა იცოდნენ, თუ ვინ იყო სამეგრელოს მთავრის ცოლი, რომელსაც ისინი ყოველდღიურად პარკსა და თეატრში ხედავდნენ. ბატონი კონიგსვარტერი ბევრს მოგვითხრობდა მისი ცხოვრების შესახებ. ბერტას აღწერილი, ეკატერინე დადიანი იმ დროისათვის იქნებოდა 46-47 წლისა, ელეგანტური და მოხდენილი ქალი, თავის ახალგაზრდობაში, როგორც ჩანს, იგი განსაცვიფრებელი სილამაზისა უნდა ყოფილიყოო, დასძენს ბერტა. ავსტრიელი მწერალი ქალის სიტყვით, სამეგრელოს დედოფალი ქართველი ქალის ტიპი იყო. თავისი ბავშვების აღზრდის მიზნით რამდენიმე წელია ევროპაში ცხოვრობდა, მოგზაურობდა პატერბურგსა და პარიზში, ზაფხულობით კი დედოფალი რეგულარულად ჩამოდიოდა ჰომბურგის წყლის სასმელად. ყოველ დილით 7 საათზე მიდიოდა წყაროზე. შემდეგ სამოიარნეში შეივლიდა, თუმცა თვითონ ათასობდეს არ თამაშობდა. ნაშუადღეღვის კონცერტზე ყოველთვის ერთ ადგილას იჯდა კურპაუზის ტერასაზე და ყოველთვის გარს ეხვია მცირე ამალა. მისი ოჯახი შესდგებოდა ორი ვაჟისა და ერთი ასულისაგან. უფროსი ვაჟი, ნიკო მაშინ 17 წლისა, კალიშველი სალომე 16-სა, ხოლო უმცროსი ვაჟი ანდრე 14 წლისა იყო. ეკატერინე თავისი შვილებითურთ დაბინავებული იყო ეკეკერლის სახლის პირველ სართულზე. ამ ოჯახის მოსამსახურე პერსონალში შედიოდნენ: ერთი მდივანი, გუვერნანტი ქალი სალომესათვის, ჰოფმასტერი ვაჟებისათვის, ერთი ყმაწვილბიური და ორი მოახლე ქალი.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე უფროსი ვაჟის მეურვე გამხდარიყო და დროებით ქვეყნის მართვა-გამგეობა ეკისრა. თურქმენისგან შეეწროებული ერთსულ თვით დედოფალი წაუძღვა მხედრებს ტბრის წინააღმდეგო. მაგრამ დამოუკიდებელი არსებობა ეკატერინეს დიდხანს არ შეეძლო და მას რუსეთის პროტექტორატი უნდა მიეღო, პროტექტორატი, რომელიც ფაქტიურად ანექსიას უდრიდა. სამეგრელოს მთავრის ვაჟი ინარჩუნებდა მთავრის ტიტულს, მაგრამ მთავრატის უფლებებით, ტახტზე მას უარი უნდა ეთქვა.

ეკატერინე დადიანის მახლობლობაში ყოველთვის ეხვედვდით რამდენიმე ქართველ მანდილოსანს, რომელნიც თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდნენ. თვით დედოფალი კი სამოსელს ცნობილ ვორტს უკვეთავდა და ნამდვილი ევროპელი ბანოვანნის ელეგანტობითა და მოხდენილობით ატარებდა ამ ტანისამოსსს. ეკატერინე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად; თავის ბავშვებთან მეტწილად ქართულად საუბრობდა.

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. მე ბავშვურად აღტაცებული ვიყავი სამეგრელოს დედოფლის პიროვნებით და მანაც სულ მალე შემიყვარა და შემითვისა. მე ეიქეცი მათი ოჯახის წევრად. თავდაპირველად მე მხოლოდ კონცერტის დროს ვიჯექი მათ წრეში; შემდეგ კი დედოფალმა მთხოვა დილ-დილობით ეხლებოდი მას წყაროზე წასვლისას, ხშირად მივსულიყავი მათთან ბინაზე, ერთად გვესადილა. დედაჩემს თავი ცოტა შორს ეჭირა, რამდენჯერმე ოფიციალურად ეწვია ეკატერინეს, ისიც რამდენჯერმე მიიღო თავის ბინაზე და ამით ამოიწურა მათი დაახლოება. სულ მოკლე ხანში მე უკვე დედოფლის ინტიმური მეგობარი ვიყავი, რომელსაც ახალგაზრდობა ძალიან უყვარდა. დედო-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ აღრიდანვე ჩვენში შეეცდომით წერდნენ ამ ამბობნენ სუტნერს, რაც ყოველად გაუმართლებელია. ეს ფერვეი, რომ ზიგფრიდის ნაცვლად სიგფრიდი ანდა ზეგერსის მაგივრ სეგერსი ვთქვათ.

[2] ჰომბურგი ფონ დერ ჰოე მდებარეობს მაინის ფრანკფურტის ჩრდილოეთით, იგი საავადმყოფო ქალაქია, განთქმული თავისი მინერალური წყლით.

ალის აგრეთვე ქ. ჰომბურგი საარის მხარეში, ქ. ზაარბრიუკენის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

„დიმიტრი ყიფიანის არქივში“ (თბილისი 1951 წ., ნაკვეთი პირველი) ჰომბურგის ნაცვლად ყველგან შეცდომით ჰამბურგი წერია, საიდანაც თითქოს ეკატერინე ჰაეკეფაძე-დადიანისა წერილებს უგზავნიდა ფ. ყიფიანს. სინამდვილეში კი ეკატერინე თავისი შვილებითურთ ამ წლებში ზაფხულს ატარებდა ადგილ ჰომბურგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლის ქალიშვილი სალომე ჯერეჯერობით ჩემგან თავს შორს იქერდა, რადგან იგი 16 წლისა, მაშასადამე, ბავშვი იყო და ჩვენ საერთოს ვერ ვპოულობდით. სალომე თავის გვერდნინ ქალს არ შორდებოდა.

თანამეძალეული ეკატერინეს „ედოფალს" ეძახდნენ და ასე მიმართავდნენ კიდეც. ბერტა აქვე განმარტავს, თუ რას ნიშნავს ედოფალი და თვითონაც ამიერიდან ეკატერინეს ყველგან მოიხსენიებს როგორც „Dedopali".

ბერტა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როდესაც იგი ქართველებთან სტუმრად მიდიოდა, ყოველთვის მხიარულება და კმაყოფილება ეუფლებოდა მის სულს. აქ ორიენტალური, ეგზოტიკური ერწყმოდა ევროპულს, პარიზულს. ეს კი სპეციფიკურ მომხიბლელობას ქმნიდაო. ბერტა შენიშნავს, მართალია ეს იყო ჩვეულებრივი, მეფურ სიმდიდრესა და ბრწყინვალებას მოკლებული ბინა, მაგრამ იგი თავისი ორიგინალური ნივთებით, ყვავილებით, თავისებური ავეჯით საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდაო. უადრესად სპეციფიკური იყო ამ ბინაში გამეფებული სურნელი: ეს იყო ფორთოხლის ყვავილის, რუსული პპპოროსისა და ტყავის ორიგინალური სუნის ნაზავი. ბერტა დასძენს, დდოფალი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში მინახავს და ყოველივის და ყველგან, პარიზსა თუ ზუგდიდში, მის ბინაში მუდამ ასეთი სპეციფიკური სურნელი იდგაო. მრავალი საათი გამიტარებია დედოფლის სალონში, სადაც იგი თავისი ცხოვრებიდან ბევრ რომანტიკულ ამბავს მომითხრობდა. კიდევ რამდენიმე წელი დავრჩები ევროპაში და შემდეგ შვილებიანთან სამშობლოს მიეშურები; სალომე აპაოსაში, ალბათ, გათხოვდება კიდევ და თქვენც, კონტესინა, თქვენს მეუღლესთან ერთად კავკასიაში მეწვევიანი, არა? დედოფალმა ღვთაებრივი სლამაზის ბერტას მაღე გათხოვება ურჩია და თან საჭორწინო სანუკვარს შეპირდა. ეს იყო ბრილიანტის სამკაული.

ერთსელ დედოფალი გამოუტყდა ბერტას: ამას წინათ კინაღამ ხელმეორედ გავთხოვდიო. წარსულ ზაფხულში ბიარიცში[1] ესპანეთის უდიდეს და უმდიდრეს არისტოკრატს, ჰერცოგ ოსუნას მისი ხელი უთხოვია. მაგრამ დედოფალს საბოლოოდ უარუყვია ესპანეთის უდიდესი არისტოკრატის წინადადება: ის ხომ თავისი ბავშვების მომავლისათვის ცხოვრობდა უმთავრესად და, ამას გარდა, ეკატერინეს საოცრად ენატრებოდა თავისი სამშობლო, საოცნაც იგი ნიკოს მოწიფულობამდე გამოძევებული იყო იგი.

[1] ბიარიცი ფრანგული საზღვრისა და ესპანეთის საზღვრებთან მდებარეობს.

ბერტა საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს. მსოფლიოში სახელგანთქმული მოდელიერი ადელინა პატი სწვევია სამეგობროს დედოფალს. ადელინას თან ახლდა მეგობარი ქალი და მათ საკმაო ხანი დაუყვიათ ეკატერინეს სალონში. აქვე ყოფილა ბერტაც. საუბარი შეეხებოდა უმთავრესად, რასაკვირველია, მუსიკას და, როდესაც ადელინა პატის დედოფალმა ჰკითხა, რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი როლიო, მომდერალმა ქალმა უყოყმანოდ უპასუხა, გუნოს „ფაუსტში" მარგარიტის როლიო.

ერთ დღეს დედოფლის წრეში ბერტამ უცნობი მამაკაცი იხილა. ის იქნებოდა დაახლოებით 40 წლის მიღწეული, საშუალო ტანისა, მოხდენილი აღნაგობისა, ჰქონდა სახის სწორი ნაკვთები და სეფდიანი, თითქმის ბუმბერაზე გამოხედვა. ატარებდა გრძელ, წვრილ შავ ულაკაშს. ეკატერინე დედოფალმა ბერტას წარუდგინა უცნობი მამაკაცი: ჩემი საყვარელი ბიძაშვილი, საქართველოს პრინცი ერეკლე ბაგრატიონი, რომლის შესახებაც შენთვის ძალიან ბევრი რამ მიამბნიაო[1].

ბერტას ქართველი პრინცი მაშინვე მოსწონებია. მათ შორის მაღე დამყარებულა მეგობრული ურთიერთობა. საღამოობით ეკატერინეს ბინაზე საზოგადოება მუსიკით ირთობდა თავს. ნიკო პიანინოს უკრავდა და მღერიოდა ათასნაირ კუპლეტებსა და რომანსებს. ბერტა უკარგდა ზოშენის ნოტტიერნებს, მენდელსონის კაპრიჩიოებს, ლიტის რაფსოდიებს და მღერიოდა სხვადასხვა რომანსებს.

დედოფალი ზწირად ესაუბრებოდა ბერტას ერეკლეზე. ის საქართველოს უკანასკნელი მეფის შთამომავალი ყოფილა. მისი გვარი ბაგრატიონი იყო. თბილისში მას სასახლე, ხოლო მთებში ძველი სამეფო კოშკი ჰქონია. ერეკლე ზნირად იყო ევროპაში. საქართველოში მას ხალხი ჯერ კიდევ მეფედ მიიჩნევდა. ტემპერამენტით იგი მელancქოლიური უფრო იყო, ვიდრე მხიარული. შესაძლოა, ამის მიზეზი მისი არც თუ მთლად ბრწყინვალე ჯანმრთელობა იყო: მას ღვიძლი სტკიოდა. ამიტომ იგი სვამდა ჰომეოპატიის, კარლსბადისა და ვიშის წყლებს. ეკატერინე თურმე ბერტას ეუბნებოდა: უკეთესი იქნებოდა ერეკლეს თავისი სნეულებისათვის ახალგაზრდა ქალით ემკურნალა, რომელსაც ითხოვდა და რომელიც პრინცს გაამხიარულებდა და გაამედნიერებდა. ეს უნდა იყოს ისეთი ახალგაზრდა სანდომიანი ქალი, როგორიც თქვენ ხართ. შეეცადეთ, ჩემო ბატარა კონტესინა, თავბრუ დაახვიოთ მას. ჩემი დიდხანის სურვილია ერეკლეს დაკორწინებაო. ბერტაზე დედოფლის ამ სიტყვებმა

[1] ეს იყო ერეკლე II შვილიშვილი.

ზეგავლენა იქონია. მას ძალიან მოსწონდა ეს ეგზოტიკური უფლისწული, შავგვრემანი ბაგრატიონი, რომელიც ამავე დროს ევროპული ყაიდის „სალონის ლომიც“ იყო; და ბერტა გვიყვება ერთ ამბავს, რომელიც მას მრავალი წლის შემდეგ თავისი რომანის „Trente-et-quarante-ს“[1] ეპიზოდად გამოუყენებია.

ერთხელ ბერტა სადილად ეკაترინინის ვილაში ყოფილა მიწვეული. სადილობისას მისი მაგიდის მეზობლები ყოფილან იხვლისელი ლორდი ჰილსბორო და ერეკელი. სადილის შემდეგ საზოგადოება სალონში გასულა. ეკატერინეს ბერტასათვის უთხოვია, რიმზე დაეკრა. ბერტას შოპენის ვალსი შეუსრულებია. იქვე მდგარა ერეკელე. თქვენ ნამდვილი ხელოვანი ყოფილხართო, უთქვამს მას ბერტასთვის, როდესაც ამ უკანასკნელს დაკვრა დაუმთავრებია. ყველანი შეთანხმებულან, რომ საღამოთი ერთად წავიდოდნენ ოპერაში. როდესაც ლოჟაში შესულნენ, წარმოდგენა უკვე დაწყებული ყოფილა. გადიოდა „რიგოლეტო“. ერეკელე მთელი სპექტაკლის განმავლობაში დაკიცნენ უყურებდა ბერტას. ახალგაზრდა ქალში თანდათანობით იღვიძებდა სიყვარულის ძლიერი გრძნობა. ერეკელე და ბერტა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ერთად უყურებდნენ დიდ დარბაზში გამართულ მეჯლისს და ამ დროს ერეკელე ქალს ეზიარებულებოდა: თქვენ შესანიშნავი ქალიშვილი ხართ, თქვენ გაქვთ ყველა ის თვისება, რომლითაც შეგიძლიათ თავგზა აუბნიოთ საკმაოდ დინჯ, მძიმე, შუახნის მამაკაცებსაც. მე არ ვიცოდი, რომ ამ ქვეყნად არის კიდევ ისეთი არსება, რომელსაც ისეთი მომხიბვლელობა ექნებოდა, როგორც თქვენ, და საბოლოო ბერტასაც მეტი არ ეფიანებოდა: მას იმ ღამეს არ სძინებია. ამის შემდეგ სამი დღე გავიდა და ბერტას ერეკელე არ უნახავს. უფლისწული პარიზში წასულიყო. მის ჩამოსვლამდე, წერს ბერტა, დროს კაკაესის შესახებ წიგნების კითხვაში ვატარებდით. ვეძებდი ლეჭსოკონებში ცნობებს საქართველოზე და გულდასმით ვკითხულობდი დიუმის წიგნს კაკაესიზეო. მეორე დღეს ბერტას პარიზიდან მოეკითა პაკეტი და წერილი. პაკეტში ბუასიეს ძვირფასი კონფეტები ეწყო და ბარათში რამდენიმე თავაზიანი ფრაზა ეწერა. მესამე დღეს, როდესაც ერეკელე ბაგრატიონი დაპირებისამებრ უნდა ჩამოსულიყო ჰომბურგში, ბერტა გაეშური ეკატერინეს ვილაში. შეეკრებიო ქალს სამუშაოო ამბავი დახვდა, ერეკელე ჰომბურგში ადარ ბრუნდებიდა, იგი წინა დღით პარიზიდან ხანგრძლივი დროით პირდაპირ თბილისში გაგზავნილიყო. ბერტას ტირილი აუვარდა. დედოფალმა გაუკვირდა და ბერტას ქვითინით წარმოთქმულ სიტყვებზე: „ო, რა სისასტიკეა!“, მიხვდა, რომ საბრალო ბერტას ქართველი უფლისწული შეყვარებოდა. ეკატერინეს ასე უნდოგეშებია მტირალი ქალი: არცერთი მამაკაცი არ იმსახურებს იმას, რომ ქალიშვილმა მისი გულისათვის იტიროს. თუმც შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს; იქნება ერეკელე კვლავ მობრუნდესო. ბერტა აღნიშნავს, დიდხანს ამ იმედით ცხელდებოდნენ. მეგობნა, ერეკელე წერილს მაინც მომწერდა საქართველოდანნ, მაგრამ საქართველოს უფლისწულს აღარასოდეს მოუკითხავს სანდომიანი და მომხიბლავი პატარა კონტესისნ...

1866 წლის ზაფხული ბერტამ და დედამისმა კვლავ ჰომბურგში გაატარეს. ეკატერინე დედოფალიც თავისი ოჯახითურთ ისევ აქ იყო. ბერტა კვლავინდებურად მათ წრეში ტრიალებდა. სალომე, უკვე 18 წლისა, ბავშვობის ასაკს გასცილებოდა, და ბერტასა და ახალგაზრდა ქალიშვილს შორის მეგობრული ურთიერთობა გაიბა. ისინი ერთად სწავლობდნენ ცხენოსნობას. ყოველ დილით პარკის ხეივანში ახალგაზრდა მეგობრები ცხენებით დაჯირითობდნენ. სალომე მომაყალ ზამთარში პეტერბურგის სამეფო კარზე უნდა წარედგინათ და მაღალ საზოგადოებაში პირველად შეეყვანათ. ბერტა თავის ქართველ მეგობარს გამოუტყდა, რომ მას ორი წლის წინ თავდაყრუებით უყვარდა ბიძაშინა — ერეკელე ბაგრატიონი. სალომე სიცილით მოკვდა: როგორ შეგიძლია ჩაყვითლებული მოხუცი კაცის შეიყვარა, არა, არა, კონტესინა, თქვენ სულ სხვა მამაკაცს შეხვდებითო.

დედოფლის ვაჟები დავაკაკაცებულიყვნენ და დამშვენებულიყვნენ.

უფროსმა ეიმა ნიკოლ თავისიანებსა და ბერტასაც შიში აჭამა. ნიკოლ მეტის-მეტად ენებიანად გაარშიყებოდა ერთ პარიზელ მანდილოსანს და ამის გამო მისი თაყვანისმცემელი საშინლად განრისხებულიყო. მეტოქენი წალაპარაკებულიყვნენ და ნიკოლ მოწინააღმდეგეს ქართველი უფლისწული დუელში გამოეწვია. ეკატერინე აეცახეხებინა და ატირებული მოუხერხებდა ამ ამბავს ბერტას. ბერტაც თავის უფროს მეგობართან ერთად ატირებულა. გამოსავალი არ ჩანდა. ეკრცერთი თავმომწონე არისტოკრატი ვერ აარიდებდა თავს დუელს. მაშინ დუელის საწინააღმდეგო ლიგა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ორთაბრძოლა, საბედნიეროდ, არ შემდგარა: ბერტას ზუსტად აღარ გაგონდება, იმის გამო ჩაშალა დუელი, რომ მოწინააღმდეგე გიმგზავრა მოულოდნელად ჰომბურგიდან, თუ სეკუნდანტებმა მოახერხეს „მტრების“ შერიგება. ამ

[1] „Trente-et-quarante“ — ფრანგული და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ოცდათი და ორმოცი“; გადატანით მნიშვნელობით ბანქოს თამაშში იღებოდან ხელს აღნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიამოვნების გამო ბერტას შიში, მწუხარება და შეშფოთება ხელს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დამახსოვრებია.

1867 წელს ბერტა კვლავ პარიზშია დედასთან ერთად. ამ დროს პარიზში ბავშვობებდნენ აგრეთვე დადიანებიც. რასაკვირველია, ბერტა მათი ხშირი სტუმარი იყო. დადიანებს იგი ყველა დღესასწაულსა და დარბაზობაზე ახლდა. ეკატერინე თავისი ოჯახითა და მსახურებით ლუვრის სასახლეში ცხოვრობდა. მათთან მყოფ ბერტას ხშირად ახსენდებოდა ერეკელ ბაგრატიონი და წარსული წუთების გახსენება ყრუ სიმძიმილს გვრიდა. ერთხელ ბერტამ ერეკლეს ამბავი ჰკითხა ეკატერინეს. დედოფალს გაუკვირდა, ნუთუ ჯვრიკა არ დაგვიწყებია იგიო. მოკლე ხანში პარიზში უნდა ჩამოვიდეს და, თუ მასთან შეერთება არ გიწერია, მაშინ სხვა საქმროს აღმოგიჩენთ აქ პარიზშია, დაიმედა დედოფალმა თავისი უმეცროსი მეგობარი. შემდეგ დასძინა, მალე ჩემს სალომეს დავაქორწინებო. უკვე საქმრო გამოძებნილი მყავს, სამეფო გვარის შთამომავალია. ეკატერინე და მისი ქალიშვილი საფრანგეთის დედოფლის ევგენიას მიერ გამართულ არცერთ „Petits lundis“ არ აკლდებოდნენ. და სწორედ საფრანგეთის დედოფალს მოსვლია აზრად სალომეს აშილ მიურატზე დაქორწინება. იმ ხანებში თურმე ოპერაში ძალიან ხშირად დაინახავდით საფრანგეთის იმპერატორის ლოჟაში მსხდომ ეკატერინესა და სალომეს. და ზოჯეერ მათ გვერდს უმშვენებდა ხოლმე ბერტა კინსკიც.

ერეკელ ბაგრატიონი პარიზს არ ჩამოსულა. ბერტა წერს, ის რომ ჩამოსულიყო, ჩემს გულში კვლავ სიყვარულის მძლავრი აღი ინთებოდაო.

შემდეგი ზაფხული დადიანების ოჯახმა კვლავ ჰომბურგში გაატარა.

1868 წელს ეკატერინე და მისი ოჯახი, აგრეთვე ბერტაც პარიზში არიან. ზამთრის მიწურულში ერთ დღეს ბერტამ სალომესგან დავეშვა მიიღო: „გაიზიარეთ ჩემი ბედნიერება: ესეს არის დავინიშნე პრინც აშილ მუირატზე“. იმავე დღეს ბერტამ საფოსტო ბარათიც მიიღო. ეს ბარათი მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენახული ჰქონდა. თავის „მემუარებში“ ბერტა სრულად გადმოსცემს სალომეს მიერ ფრანგულად დაწერილ ბარათის ტექსტს, რომელშიაც სალომე თხოვს ბერტას მივიდეს მასთან და საქორწინო სამზადისში მიიღოს მონაწილეობა. ბერტა დაუყოვნებლივე გამგზავრა დადიანებთან. აქ დაწერილებით შეიტყო ამბავი და აშილის ნიშნობის ამბავი. ჯერ კიდევ წინა ზამთარში საფრანგეთის დედოფალ ევგენიას მიერ შემოწვევებული გეგმა ამ უკანასკნელ კვირაში განხორციელებულიყო. საფრანგეთის იმპერატორს უკისრია თავისი ახლო ნათესავისაგან ყოველწლიურად 50.000 ფრანკის მიცემა, ამდენივე შემოსავალი ჰქონდა მის საცოლესაც. იმპერატორს უკისრია აგრეთვე აშილის ქალების გადახდა, ვალები კი აშილს ბლომად ჰქონდა, რადგან ის შეჩვეული იყო ხელგაშლილ ცხოვრებას და ხელმომჭირნეობა არ უყვარდა.

სალომე პეტერბურგელ და პარიზელ ნაცნობ-მეგობრებს თავისი გაბედნიერების მაუწყებელ ბარათებს უგზავნიდა. მისამართების წერაში ბერტაც ეხმარებოდა.

1868 წლის მაისის პირველ რიცხვებში აშილი და სალომე დაქორწინდნენ. საინტერესო ისაა, რომ ეს ქორწინება სამი ჯვარისწერისაგან შესდგებოდა: პირველად ახალგაზრდები სამოქალაქო წესით შეუღლდნენ პარიზის მერიაში, შემდეგ მათ ჯვარი დაიწერეს საფრანგეთის იმპერატორისა და დედოფლის თანდასწრებით ტუილრიში კათოლიკური რიტუალი „ბეჭდვით, და იმავე საღამოს დაქორწინდნენ ბერძნულ ეკლესიაში მართლმადიდებლური რიტუალით. ამ უკანასკნელი ცერემონიალის დროს ბერტა სალომეს მეჯვარე იყო. მას ჯვარისწერის დროს საცოლის თავზე ვეარგვინი ეჭირა. სალომეს შემოხვეული ჰქონდა თავსაბურველი, რომელიც მისთვის სპეციალურად ბრიუსელში მოუქსოვიათ. ამ თავსაბურველზე გამოხატული იყო დადიანების საგვარეულო ღერბი, ოქროს საწმისი. თავზე ბრილიანტის დიადემა ედგა, რომელიც მისთვის საფრანგეთის დედოფალს ევგენიას ეჩუქებინა.

ჯვარისწერის შემდეგ დადიანების სახლში პატარა ბალი გაიმართა. ბერტა იგონებს, რომ ცეკვის დროს მისი პირველი პარტნიორი ერთ-ერთი პრინცი ბუბუნინი იყო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ პატარა სასახლეში დაბინავდნენ. ბერტას აქ მრავალი საათი გაუტარებია. ის თითქმის მუდამ თან ახლდა სალომესა და აშილს თეატრში. ახალი ცოლ-ქმარი რამდენიმე კვირით ჰერცოგ მუში-ნოიის კოშკში გაემგზავრნენ.

იმავე 1868 წლის ზამთარში ბერტამ ანეტა ბაკუბაძის ბარათი მიიღო, რომლითაც ანეტა თხოვდა პარიზის გრანდ-ოტელში მოვნახულე-

ბინა, სადაც იგი თავისი ორი ასულით ლიზათი და თამარით დაბინავდებულიყო. ბერტა ანეტას ჰომბერგიდან იცნობდა.

ბერტა აღნიშნავს, ანეტას ცხოვრებიდან ჩემთვის ზნირად უამბნალი ერთი შემზარავი ამბავიო. ერთხელ იგი გიუტაცანა ჩერქეზების ცნობილ ბელადს შამილს, ეს მოხდა 50-იანი წლების დასაწყისში, კახეთში. ახალგაზრდა ქალი თავისი ორი შვილითა და გუვერნანტი ქალით სასახლის ეერანდაზე იჯდა. უცად მხედართა რაზმი მიიჭრა სასახლესთან. ქალები შეშფეს და ცხენებზე დააჯრეს. ანეტას ორივე ბავშვი ხელში დააჭერინეს და მოჰხტიერები იქაურობას გაეცალნენ. ანეტას ერთი ბავშვი ხელიდან გაუვარდა და ცხენებმა ფლოქვებით გაკულიტეს. ქალები შამილის სახლში მოთავსეს. ანეტა თავისიანებმა გამოისყიდეს. მაგრამ სბრალო ქალს ვერასოდეს ვერ დავეიწყნა ის სბარელი წუთი, როცა საკუთარი ბავშვი ხელიდან გაუვარდა [1].

ბერტას გრანდ ოტელში ანეტა ჰაეკვაძესა და მის ასულებთან ერთად დახვდა ძველი ნაცნობი, ერეკლე ბაგრატიონი. იგი ანეტამ ბერტას წარუდგინა, როგორც თავისი ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის თამარის დანიშნული...

„ამილ მიერატი ფრანგული არმიის ოფიცერი იყო. ამიტომ მან ბრძანება მიიღო გამგზავრებულიყო ალჟირში და იქ გარნიზონში ემსახურნა. სალომე ქმარს თან გაჰყვა. ერთხელ ბერტამ სალომესგან ცნობა მიიღო, რომ ალჟირში შეეძინა ვაჟიშვილი ლუსიენი.

ბერტა თავის ქართველ მეგობრებთან არ სწყვეტდა წერილობით ურთიერთობას. ეკატერინემ, რომელიც სკართველოში დაბრუნებულიყო, თავისთან მიიპატიჟა ბერტა. დადოფალი თავის რეზიდენციაში, ზუგდიდში აგებდა ახალ სასახლეს. ძველი თურქებს გაენადგურებიათ. ახალი სასახლის გეგმა ბერტას ადრევე ენახა. განნრახული იყო სასახლის დარბაზების სხვადასხვა სტილით მოწყობა. ერთი იქნებოდა სპარსული დარბაზი, მეორე კი ლუი XIV სტილით მორთული. ეკატერინე ევროპაშიეე იძენდა ავეჯსა და ხელოვნების ნიმუშებს და ზუგდიდში აგზავნიდა. ბერტას დავალებული ჰქონდა მუსიკალური აუთის ყიდვა, რომელიც დაუკრავდა საორკესტრო ნაწარმოებებს...

ალეკიერდან დაბრუნებული სალომე პარიზის გარეუბანში ცხოვრობდა. აქ შეეძინა მას მეორე ვაჟი. მისი ნათლია საფრანგეთის დედოფალი ევგენია იყო და ვაჟს ნაპოლეონი დარქვეს. ნიკო დადიანი რუსეთის იმპერატორის ადიუტანტი იყო და იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა.

1874 წლის გაზაფხულზე ეკატერინე დადიანმა ბერტას შეატყობინა, რომ ნიკომ შეიყვარა ალსეიის ბეგის სიყმის მეგობრის გრაფ ალექსანდრის ქალიშვილი; ხოლო შემდეგ წერილში დედოფალი უკვე იტყობინებოდა მათი დაქორწინების ამბავსაც. მესამე წერილში კი დაწერილებით იყო აღწერილი ახლად შეუღლებული ცოლ-ქმრის გრძნობა ჩასვლა, სამეგრელოს მთავართა საზაფხულო რეზიდენციაში. ბერტას თავის „მემუარებში“ მოთხრობილი აქვს ნიკო დადიანისა და მერი ადლერბერეის საკართველოში ჩასვლის ამბავი. ცოლ-ქმარი ოდესიდან საგანგებოდ მათთვის განკუთვნილი ვაგონი ფოთში ჩასულა, ხოლო ფოთიდან კი ასევე საგანგებო მატარებლით ქუთაისს გამგზავრებულა. ყოველ სადგურზე წარჩინებულთაგან შემდგარი სპეციალური დეპუტაცია. მათ პატივსაცემად მღერიო�ენ, შემახლილნი ეგებებოდნენ და თოფს თოფზე ცლიდნენ. ცოლ-ქმარი იძულებული იყო ყოველ სადგურზე ჩაპოსულიყო და პური გაეტეხა. გარშემო კი ყვავილების მთები იყო აღმართული. ქუთაისში მექორწინენი ორი დღე დარჩენილან, სადაც მათთვის ქუთათურებს ღირსეული პატივი უეიათ. გაბმულ დროსტარებას ბოლო არ უჩანდა. ცოლ-ქმარი იძულებული გახდა ჩუმად გაპარულიყო გორდში. ეოველტეხილზე მთის მდინარეზე ხიდი ყოფილა გადებული. აქ, წერს ბერტა, ჩვეულებრივ მგზავრები ეტლიდან ჩამოდიან და ცხენებზე სხდებიან, რადგან ამის შემდეგ მხოლოდ ცხენით შეიძლება მაღალ მთებში ასვლაო [1]. ყველანი ჩამოქვეიდნენ და ხალიჩებით მოფენილი ხიდი ფეხით გაიარეს. ხიდზე ყვავილის თაღები იყო აღმართული. ხიდს გაღმა გემოვნებით მორთული პატარა პავილიონი დაედგამ. აქ შეისვა ახლადდაქორწინებულთა სადღეგრძელოები. მამაკაცები ცხენებზე შესხდნენ, ხოლო მერი ტახტრევანზე დასვეს. ცხენოსნები გარს შემოერტყნენ ტახტრევანს და პროცესია გორდისაკენ დაიძრა. ზარბაზნის გასროლამ ყველას აუწყა მექორწინეთა მოახლოვება. ეკატერინე

[1] იგივე ამბავი მოთხრობილი აქვს ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას თავის წიგნში კავკასიაზე. ალ. დიუმას 1858 წ. ეს ამბავი უშუალოდ ანა ჰაეკვაძისაგან მოუსმენია. ეს შემთხვევა თავისი რომანის „შამილის“ ეპიზოდად გამოყენებული აქვს ა. გ. ზუტნერს.

[1] იგიეულისმეგბა ხონიდან გორდისაკენ მიმავალ გზაზე სოფელ ხიდთან ცხენის წყალზე გადებული ხიდი, რომელსაც იქაურები ბუმბუთს ხიდს ეძახიან (ბომბეფოსს ხიდი). ბერტა ზენიშნავს, ეს მდინარე (ბერტა შეცდომით წერს Tzchenitz-Atzchali) სამეგრელოსა და იმერეთის ბუნებრივი საზღვარიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამალით გამოვიდა გორდის სასახლის აივანზე. ჯერ ამან ლენინგრადის თავადი მიიღო ამალითურთ, რომელიც მექორწინეთ წინ მოეძღოდა, შემდეგ მოდიოდა ნიკოს ბიძა გრიგოლი ამალით, ბოლოს გამოჩნდნენ ახლად ჯვარდაწერილნიც. მთებში გრგვინავდა ზარაბანის ხმა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ეკატერინესაკენ გაემართა, მის წინაშე დაიჩოქა და სამეგრელოს დედოფალმა ვაჟი და რძალი დალოცა. შემდეგ ყველანი გორდის ეკლესიაში შევიდნენ და პარაკლისი გადაიხადეს — აჩქმანნდერიტმა და ეკატერინეს კარის მღვდელმა სიტყვები წარმოთქვეს. ცოტახნის შესვენების შემდეგ დაიწყო საქორწინო დღესასწაული, რომელიც შუადამემდე გაგრძელდა. უკრავდა ორკესტრი, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თოფებს ისროდნენ, გაიმართა სხვადასხვა თამაშობანი და ჭიდაობა. მექორწილეთა რიცხვი სამასს აღემატებოდა, რომელთა ნაწილი ღია ცის ქვეშ, დიდრონი ხეების ძირას მაგიდებს შემოსხდომოდა. მეორე დღეს ქორწილი კვლავ გაგრძელდა. ამ დღეს სწორედ მერის დაბადების დღე დამთხვა. გორდის ფეიერვერკი და ბენგალური ცეცხლი ანთებდა. ყველფერი ეს ზღაპრული სანახაობის შთაბეჭდილებას სტოვებდაო, წერს ზუტნერი.

ზუბნერების საქართველოში

როგორც უკვე ზემოთ ვთქვეთ, ბერტა დაქორწინდა ინტენდანტ გუნდაკარ ზუტნერზე და ახლადჯვარდაწერილებმა საქართველოს მოაშურეს.

ბერტას ვენიდან დედოფლისა და ნიკოსთვისაც მიუწერია წერილები, რომელშიაც აღწერდა თავის სასიყვარულო ურთიერთობას ბარონ ზუტნერთან; აგროთვე უცნობებია თავიანთი ბიძაფალი სტუმრობის შესახებ. დედოფალსაც ასეუნი არ დაუყოვნებია და დეპეშით უცნობებია: კეთილი იყოს საქართველოში თქვენ მობძანებაო.

ცოლ-ქმარს იმედი ჰქონია, რომ ნიკო, სამეფო კართან დაახლოებულები, ბერტას უფროსი მეგობარი გუნდაკარისათვის იმპერატორის კარზე ხელმწიფის ადიუტანტის ადგილს, ან რაღაც ამდაგვარს გამოძებნიდა. ცოლ-ქმარი ოდესაში ჩამოსულა, ხოლო იქიდან კი გემით ფოთში. ფოთში მათ დედოფლის კაცი დახვედრია და გადაუცია ეკატერინეს წერილი. წერილში შემდეგი ეწერა: დადინების საზოგადოენო რეზიდენციაში, გორდში გამგზავრება რეა დღით უნდა გადადებულიყო, რადგან მასპინძლები ჯერ კიდევ ზუგდიდში იყვნენ და ავარაჯზე ასელას საკმაო ხანი სჭირდებოდა. დედოფლის კაცი კი მანამდე ქუთაისში წაგვიყვანდა და დროებით სასტუმროში მოგვთავსებდაო. ჩოხაში გამოწყობილი ბაშლაყიანი დედოფლის მსახური ცოტაოდენ ფრანგულს ამტკრევდა. რაგდაგნაირ ლაპარაკ ქუთაისისაკენ მეტი მატარებელი აღარ გადიოდა, ამიტომ ცოლ-ქმარს ფოთის ერთ საკმაოდ ბუჟეაინ სასტუმროში მოუხდათ ღამისგათევა.

ფოთიდან ცოლ-ქმარი ქუთაისს წასულა. აქ მას დედოფლის ახალგაზრდა ინტენდანტი, მსაქანი, ყბედი სომეხი დახვედრია, რომელიც ფრანგული ამტკრეკედა და ეკრთაულად იყო გამ ფწყობილი. მას ზუტნერები ქუთაისის საუკეთესო სასტუმროში მოუთავსებია, რომელიც ფოთის ჯგაბახანა ფუნდუკთან შედარებით პალას-ოტელის შთაბეჭდილებას სტოვებდა: ყოველ თთახში იდგა პირსაბანი, ეკიდა პირსახოცი და ქვეშაგებელი სუფთა იყო. და, რამაც განსაკუთრებით აღფრთოვანა ზუტნერები, იყო ის, რომ მათ იხილეს სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანები, კოსტუმები, სახლები... ქუთაისში და ქუთაისის მისადგომებთან ძალიან ბევრი კამეჩი ყოფილა, რომელთაც ტკიცოსა აზიდვინებდნენ და ჭველიანენ კიდეკვე. ქუთაისში ეუტანელი სიცხე ყოფილა. ზუტნერები დღის უდიდეს ნაწილს იივანზე ატარებდნენ, აქვე საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ. მეტწილად ცხვრის ხორცით ვიკვებებიდიოო — აღნიშნავს ბერტა. ორი დღის შემდეგ სომეხი ინტენდანტი გამგზავრებულა და მის მაგივრად ჩამოსულა მოხუცი ფრანგი არისტოკრატი, დადიანების ოჯახის მეგობარი გრაფი დე როსმორდიეკი. იგი ბრეტანში დაბადებულა, დაახლოებით 25 წლის წინ საქართველეში ჩამოსულა (ბერტა წერს, რა მიზეზით, არ ეკითხა) და საბოლოოდ დამკვიდრებულა აქ. დაქორწინებულა ერთ მეგრელ ქალზე და ზუგდიდში დასახლებულა. გრაფ როსმორდიეკს ზუტნერები ქუთაისის მაღალი საზოგადოებისათვის წარუდგენია. პირველად ცოლ-ქმარი მოხვედრილა გენერალად წოდებულის სახლში (ბერტა დასძენს, ეს იყო ქუთაისის პირველი სახლიო). წერეთელს სპეციალური დარბაზობა გაუმართავს უცნოელი სტუმრებისათვის და მოუწვეავი ქუთაისის რჩეული საზოგადოება. წერეთლის ქალიშვილმა ნინომ თურმე თავისი სილამაზით განაცვიფრა ცოლ-ქმარი ზუტნერები. თუმცა ის 25 წლისა იყო, მაგრამ შინაბერად ითვლებოდაო. ბერტა აქ შენიშნავს, კავკასიელ ქალები უკვე 15-16 წლის ასაკში ქორწინდებიანო. წერეთლის ოჯახში გამართულმა საღამომ ზუტნერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა: აქ იხილეს ქართველი თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ქართული ცეკვა, ქართული სუფრა თამადის ხელმძღვანელობით და ყანწებით ღვინის სმა. პირველი სადეგრძელო თამადას აესტრიელი სტუმრების პატივსაცემად შეუსვამს. მასპინძლები სუფრას არ უსხდნენ, ისინი სტუმრებს დასტრიალებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს. სტუმართა შორის თერმე ბეგი ღაპარაკობდა ფრანგულად, და თუკი ისეთი თანამეუფერე აღმოჩნდებოდა, რომელსაც ფრანგული არ ესმოდა, მაშინ ქართული ენის მცოდნე გრაფი როსმორდიეკი თარჯიმნის მოვალეობას სწუდა. დარბაზში პიანინო იდგა. ბარონმა ზუტნერმა დაუკრა რამდენიმე საკუთარი ვალსი[1] და იქ მყოფმა საზოგადოებამ მუსიკის ტაქტზე ცეკვა წამოიწყო.

შემდეგ ბერტა აღწერს ქართულ ცეკვას და მის თანმხლებ მუსიკას. ის გერმანულ მკითხველებს აცნობს ქართველი ცეკვის სიმბოლური შინაარსს.

ნადიმის დასასრულს ბერტას შეუსრულებია ერთი იტალიური არია, ამის შემდეგ უმღერია ფონ-ზეკი კომპოზიტორის ობერის „სიცილის სიმღერა" (ეს იყო შარლოტე პატის საყვარელი სიმღერა). ბერტას „ეოკალური" სიცილი მთელს საზოგადოებას გადასდებია და მოქეიფები გენლერად ამღერებულან.

მეორე დღეს ავსტრიელი სტუმრები გორდში უნდა წაეყვანათ. გრაფმა. როსმორდიეკმა ეტლი დაიქირაკა და მათთან ერთად გორდისაკენ გასწია. გზა შესანიშნავი იყო. ხშირად ხვდებოდნენ პატარა ჩანჩქერებს, ველური ვარდები ჰყვაოდნენ ბარაშემი, რამდენიმე საათის შემდეგ მგზავრები პომპეუსის ხიდს მიადგნენ; აქ ისინი ეტლიდან უნდა ჩამოსულიყვნენ და გზა ცხენებით უნდა გაეგლო, ეს იყო ერთი გადასასვლელის მისაღგომი. ციცაბო მთები აღმართულიყო მათ გარშემო. მდინარე, რომელიც ამ ხიდის ქვეშ მბაყრობდა, ალბათ კლასიკური აღტორების „პიპოსი" იყოო. შესაძლოა, იაზონის ნავი, როდესაც იგი ოქროს საწმის იტაცებდა, ამ მდინარის ტალღებზე იჩქეოდაო. ეს ის ადგილი უნდა ყოფილიყო, ბერტას ვარაუდით, სადაც ახალგაზრდა ეკატერინეს და მის მეუღლეს ყვავილებისაგან ტრიუმფალური თაღი აღუმართიეს, ხოლო ხიდზე ხალიჩები გაუფინეს.

[1] აღსანიშნავია, რომ 1884 წ. გაზეთი „დროება" (12 ოქტომბერი, № 220) შემდეგს იუწყება: „თბილისის ერთს მუსიკალურ მაღაზიაში ისყიდება ბარონ სუტნერისაგან დაწერილია ნოტები, რომელნიც შეიცავენ ორს ვალსს. ერთსა ჰქვიან ვალსი თამარისა და მეორეს ენგენრის ვალსი. ეს პატივცემული ბარონი სუტნერი დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის, აკვირდება ჩვენს ცხოვრებას და, როგორც ჩანს, ბევრია ამ მეფესიკეს, ქალაქზე ბევრ გადაკეკნ თავისი დაკვირვებათა ნაყოფი..." (ამ ცნობაზე მიგვითითა საქართველოს სახელწიფო ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა სოლომონ ლეკაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ეწერავთ).

მართალია, ამჯერად პომპეუსის ხიდზე არ იყო აღმართული ტრიუმფალური თაღი, მაგრამ ავსტრიელ სტუმრებს ხიდზე შეეგება ნაკო დადიანი ამალითურთ. იქვე დადგმული იყო კარავი, კარავში სუფრა იყო გაშლილი. მგზავრებმა აქ ცოტა ჭაიხეკილს და სტუმართა კეთილი მობრძანების რამდენიმე სადღეგრძელო შეისვა. ყველანი ცხენებზე შესხდნენ და გორ დისაკენ გზას გაუდგნენ. ბერტა ხაზგასმით აღნიშნავს, შვიდი კილომეტრი მთის ბილიკებით უნდა გვეკლო. ნიკოს ამალა სტუმართა პატივსაცემად სხვადასხვა მხედრულ ილეთებს ასრულებდა, რითაც აღტაცებაში მოყავდა ზუტნერები. როდესაც მხედრებმა გორღს მიაღწიეს, ეზე უკვე მთვის მოპფარებოდა. შემდეგ ბერტა მოყლედ აღწერს გორღს, აგრეთვე დადიანების სასახლესა და პარკს.

დადიანების სასახლის ტერასაზე სტუმრებს ეკატერინე დედოფალი ელოდებოდა. მას გარს ეხვია ბანოვანები, ფარეშები, მოახლეები. დედოფალი გადაეხვია ბერტას, ხოლო გენდაკარს შუბლზე ეთხვია. სტუმრების პატივსაცემად გამართული ეახშმის შემდეგ, ყველანი მთვარის შუქით გაკაშკაშებულ პლატოზე გამოშალნენ. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაშნი, გაისმა გენდური სიმღერები, ჰაერში მაშხალებს ისროდნენ.

პირველი ზაფხული ზუტნერებმა გორდში გაატარეს. და როდესაც მასპინძლები საზაფხულო რეზიდენციიდან წავიდნენ; ნიკო პატერბურგში, ხოლო დედოფალი ზუგდიდში, ზუტნერებმა ქუთაისში დაბინავება და აქ ენისა და მუსიკის გაკვეთილებით თავის რჩენა გადაწყვიტეს. ოდღოფლის ერთი ნათესავი ქალი, რომელიც მათთან ერთად გორღში სტუმრად იყო, ისე კი ქუთაისის ბინადარი გახლდათ, უცხოელ სტუმრებს დახმარების აღმოჩენას დაპპირდა. ქუთაისში, მართლაც, მოკლე ხანში ენისა და მუსიკის შესწავლის მრავალი მსურველი გამოიძებნა. ბერტა ქუთაისურ გოგონებს ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას, ხოლო გენდაკარი გვრმანულ ენას.

და სწორედ ამ დროს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. ქუთაისს საფრთხე ემუქრებოდა, რადგან შესაძლოა საქართველო ბრძოლის ველი აღმოჩენილიყო. ბერტა და გენდაკარი დუაშვილს დეპშენზე იღებდნენ ავსტრიიდან, ასწრაფოდ თავს უშველეთო. ზუტნერები საქართველოდან წასვლას არ აპირებდნენ. ისინი მისულან გუბერნატორთან, თავად მირსკისთან და სურვილი გამოუცხადებიათ, სანტრებად ვიმუშავებთო. მაგრამ რადგან ცოლ-ქმრის ერთად მუშაობა ვერ მოხერხდა, მათ განცხადება უკან გამოიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდაკარ ზუტნერი კორესპონდენციებს აგზავნიდა ომის ამბებზე ვენის ცნობილ ჟურნალში „Neue freie Presse“, ბერტა კი მონაწილეობას იღებდა ქუთაისური მანდილოსნების მიერ გამართულ ყოველ საღამოსა და დღესასწაულში, რომელიც იმართებოდა ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დედოფალისგან ზუტნერები წერილებს იღებდნენ, ეკატერინე შეშფოთებული იყო: მისი ეიეები ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ.

1878 წლის 3 მარტს მეომარ ქვეყნებს შორის ზავი დაიდო.

გუნდაკარ ზუტნერი იწყებს საქართველოსა და მისი ადამიანების შესახებ წერილების წერას და მათ გერმანული ჟურნალების რედაქციებში აგზავნის (უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სამწერლო მოწოდება არტურ გუნდაკარ ზუტნერმა პირველად საქართველოში აღმოაჩინა). საინტერესოა, რომ აგრეთვე ბერტა ზუტნერიც საქართველოში დაიბადა, როგორც მწერალი. 1878 წელს ქუთაისში ბერტამ დაწერა თავისი პირველი ლიტერატურული ცდა „ბარათ და წინსაფარი“ და გაუგზავნა „Neue freie Presse“-ს. ბერტას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სულ მოკლე ხანში მიიღო ჟურნალის საავტორო ეგზემპლარი და პირველი ჰონორარი 20 გულდენი. და ამის შემდეგ მწერალ ქალს კალამი ხელიდან არ გაუგდია.

1878 წლის ზაფხული ცოლ-ქმრმა კალავ გორდში გაატარა. აქვე იყო სხვადასხვა ორდენებით მკერდდამშვენებული დედოფლის ორიეე ეიეი. გორდში იმყოფებოდნენ ნიკოს მეუღლე მერი ადლერბერგი და ცოლ-ქმარი მიეტატები თავიანთი ბიჭებით. ბერტა განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებს ამ ზაფხულს, რადგან გორდის სასახლეში ბევრ ძველ მეგობარს მოეყარა თავი. ენაწყლიან გრაფ როსმორდიუკს სიცოცხლე და ხალისი შეჰპერნია ამ საზოგადოებაში. ამ გამეგრელებულ ფრანგს საოცარი უნარი ჰქონდა ჭკუამახვილური ანეგდოტების მოთხრობისა.

ზამთარი დადგა და გორდის საზოგადოება დაიშალა. ზუტნერებმა გადაწყვიტეს ამჯერად თბილისს სტუმრებოდნენ. მათ თან წაიღეს საუკეთესო სარეკომენდაციო ბარათები. თბილისში იმ დროს ცხოვრობდა ერეკლე ბაგრატიონის ქვეროვი, თავადის ქალი თამარი. ერეკლე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილიყო. თამარმა ცოლ-ქმარი ზუტნერები გულთბილად და ხელგაშლილად მიიღო. ბერტა ზუტნერი აღწერს იმდროინდელ თბილისს. თბილისი ნახევრად აღმოსავლური, ნახევრად დასავლეთ ევროპული ქალაქია. ქალაქის ევროპულ ნაწილში იგივე ცხოვრება სუფევს, როგორიც ევროპის დიდ ქალაქებშია. ევროპული სამოსელი, ევროპული ჩვეულება, ფრანგი მზარეულები, ინგლისელი გუვერნანტები, იგივე საღამოები, იგივე დღესასწაულები და საუბარი ფრანგულ ენაზე. თავადის ქალ თამარს ჰქონდა საკუთარი გემოვნებით მოწყობილი სასახლე და მის სალონში თავს იყრიდა თბილისის მაღალი საზოგადოებაო. თამარის უმეცრისა და, მასავით მოჭიხლავი და ლამაზი, გენერალზე იყო გაბოხეიღი და ისიც თბილისში ცხოვრობდა. ბერტა სხვადასხვა ოჯახებში დადიოდა მუსიკის გაკვეთილზე, ხოლო გუნდაკარ ერთ ფრანგ შპალერის მწარმოებელთან მუშაობდა მოანგარიშედ და შპალერის ნიმუშების მხატვრად.

ბერტა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას თბილისშიც განაგრძობდა. აღსანშნავია, რომ ბერტამ მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოება თბილისში შექმნა. ბოლო ხანებში გუნდაკარმა სპეციალური დავალება მიიღო თავისი „პატრონისაგან“. მას უნდა დაეხაზა საცხოვრებელი სახლის პროექტები და მართლაც თბილისის გარეუბნებში აშენდა რამდენიმე სახლი მისი პროექტით. გუნდაკარმა ქართელი ენა იმდენად შეისწავლა, რომ ქართველ მეუზეთან საუბარს ახერხებდა. თბილისიდან ზუტნერები ქუთაისს წავიდნენ, იქიდან გორდში, ხოლო ბოლოს ზუგდიდში დაბინავდნენ. რამდენიმე მშვენიერი წელი — როგორც ბერტა ამბობს — გაატარეს მათ ზუგდიდში. ბერტა აღწერს იმდროინდელ ზუგდიდს. ზუგდიდში მაშინ ერთ წუთად ჩამწკრივებული ყოფილა აღმოსავლური ტიპის სახლები. ღუქანი ღუქანს მისდევდა, მაღაზია მაღაზიას ეკვროდა, ამიტომ ამ ადგილს „ბაზარი“ ერქვა; ეძახდნენ მას აგრეთვე „ბულვარსაც“, რადგან ქუჩის ორივე მხარეს უზარმაზარი ხეები იდგა, ოღაც ხეები ჰყვაოდა, იქაურობა გამაბრუებელი სურნელით იყლინთებოდა. ამ აღმოსავლური უბნის გარდა ზუგდიდში იყო აგრეთვე პატარა ქოხები, რომლებშიაც ვიურტემბერგელი გლეხები ცხოვრობდნენ; ეს იყო „ვერმანული კოლონია“. სიმინდის ყანებში ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ერთსართულიანი კავკასიური ხის სახლები იდგა. ამ სახლებს გარშემო აივნები ერტყა. ეოტა მოშორებით ერთ ბაღში იდგა გრაფ როსმორდიუკის ვილა. დიდ პარკში დედოფლის დროებითი საცხოვრებელი სახლი აეშენებიათ. პარკის შუაგულში კი აღმართულიყო დაუმთავრებელი ბრწყინვალე სასახლე.

„ამილ და სალომე მიურატებს გადაეწყვიტათ ზუგდიდში დასახლება. ბერტა და გუნდაკარ ზუტნერებმა კი გერმანელი კოლონისტის პატარა სახლი იქირავეს. მართალია ეს სახლი ფეშენებელურ ნაგებობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ცოლ-ქმარმა ბინა ევროპული გემოვნებით მოაწყო. მათი საცხოვრებელი სამი ელეგანტურად მორთული ოთახისაგან შესდგებოდა; ერთსართულიან სახლს წინ ხის აივანი ჰქონდა. მთ ემსახურებოდა სახლის პატრონის ქალიშვილი. მათი მოძრავი ქონება ხუთი ბატისაგან შესდგებოდა.

ზუგდიდში დაწერა ბერტა ზუტნერმა რომანები „ცუღი ადამიანი“, „ჰანა“ და „სულის ინვენტარიეპი“. არტურ გუნდაკარ ზუტნერმა კი ზუგდიდშივე შეთხზა მოთხრობები და რომანები ქართულ თემაზე: „დარეჯანი“ [1], „ზზნაური“ და მოთხრობების კრებული „კავკასიის შვილები“ (წიგნი პირველი).

1882 წლის ზაფხულში დედოფალი ავად გახდა. ზუტნერები მაშინ სტუმრად იყვნენ ჯორდში. ექიმებმა, რომლებიც თბილისიდან გამოიწვიეს, ეკატერინეს კარლსბადში მკურნალობა ურჩიეს, მაგრამ სნეულმა დედოფალმა უარი ვინაცადაა სამშობლოდან სამკურნალოდ უცხოეთში წასულიყო. მას ამის თაობაზე ბერტასათვის უთქვამს: „იმედი მაქვს, რომ მოვრჩები, მაგრამ თუ ნამდვილად ამ ავადმყოფობით მიწერია სიკვდილი, მაშინ მე კვ მსურს მოკვდე, მარტვილის მონასტრის მახლობლად, სადაც მე უნდა ‹ ‹ ‹

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს კი ზუტნერები ველური ბუნების წიაღში აკარკბენენ. რადგან სოფელში პიანინო არ იყო, ამიტომ ცოლ-ქმარს თან წამოეღო ციტრა, რითაც შესვენების დროს თავს იქცევდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში, წერს ბერტა, ჩვენს წინაშე სულ ახალი და საინტერესო სამყაროა გადაშლილი. ქართველები სამრეოლიანი სიამაყით იკოწესენ იმ ეპოქას, რომელშიც წარმოიქმნა მათი ნაციონალური ეპოსი. ეს ის ეპოქაა, როცა საქართველოს მართვდა თამარ მეფე.

ამ დიდებული პოემის გაცნობასთან ერთად ბატონი მ. ბეგრს მოგვითხრობდა თავისი სამშობლოს ბრწყინვალე წარსულზეო. საქართველოში, დასძენს ბერტა, თამარ დედოფლის სახელი უადრესი მოწმეწერებითაა შემოსილი. ქართველებს ოცდაერთ-საუკუნოვანი ისტორია აქვთ. პირველი მეფე, ფამაჯაზი [1] ქრისტემდე ასორი წლის წინ იქნა არჩეული, ხოლო ქრისტიანობა საქართველოში წმინდა ნინოს მიერ IV საუკ. იქნა შემოტანილი. ისევე როგორც ყოველი ერის ძველი ისტორია, საქართველოს ისტორიაც არის ომების ისტორია. საქართველო გარშემორტყმული იყო მტრული ერებითა და ტომებით, განსაკუთრებით ხშირად ესხმოდნენ თავს ქვეყანას ოტომანები და სპარსელები. აქვე ბერტა გერმანელ მკითხველებს აცნობს ქართული სიტყვების „გამარჯვებას“ და „გაგიმარჯოს“ შინაარსს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზუტნერებისეული თარგმანი არასდროს არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მთარგმნელები ამაოდ არ დამაშვრალან, როგორც ბერტა აღნიშნავს. ამ მთარგმნელებმა მუშაობითა და იმ საუბრებით, რომელთაც ამასთან დაკავშირებით უტარებდა მათ მეუნარეა, ავსტრიელი მწერალი ეზიარნენ ქართველი ხალხის სულსა და ბუნებას, მის ისტორიასა და კულტურას. ჩვენ გიყვაცნიათ, წერს ბერტა, იმ გამოჩენილი გვარების ქრონიკებს, რომელთა ოჯახებში ხშირად ეყოფილეართო. ესენი იყვნენ: ორბელიანები, წერეთლები, ბაგრატიონები, დადიანები, მუხრანბატონები, ჭავჭავაძეები, რომლებიც ისევე ცნობილნი არიან საქართველოში, როგორც ჩვენში ბორგეზები, ლიჰტენშტეინები, მონმორენსები და სხვათ.

ჩვენი მასპინძელი არა მარტო თავისი ქვეყნის ისტორიას გვაცნობდა, არამედ მას თავისი ხალხის ადათ-ჩვეულებებს შესასწავლად დაეყვანდით ქორწილებზე, ნათლობებზე და სატარაგლებზონ.

ბერტა წერს, ნაღვლიანად გამოვეთხოვეთ საქართველოსო. ჩვენ შეეიყვარეთ ეს შშვენერი ქვეყანა და მასპინძლებიც გულდაწყვეტილნი გვეშშვიდობებოდნენ. მთიანი საქართველოს ლანდშაფტი, სადაც ლეგენდის მიხედვით მიწიერი სამოთხე მდებარეობდა, გაცილებით ლიადი და გრანდიოზული იყო, ვიდრე ჩვენი ქვეყნავსტრიული ბუნება, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ეს ხომ ჩვენი სამშობლო იყოო... და ზუტნერები ავსტრიას გაემგზავრნენ.

საქართველოდან დაბრუნების შემდგ

1885 წელს ზუტნერებმა ავსტრიაში ფრიდრიხ ბოდენშტეტის აღფრთოვანებული წერილი მიიღეს. „ბირზა შაფის“ ავტორი დიდხანს ცხოვრობდა კავკასიაში და მას ძალიან ინტერესებდა არტურ გენდაკარ ზუტნერის კავკასიური მოთხრობები.

ბერტა აღნიშნავს, ევროპაში დაბრუნების შემდეგ ხშირად გვაგონდებოდა კავკასიაო. გვიგონდებოდა, თუ როგორ ვიდექით მაღალ მთებში უფსკრულის პირას, გვიხდებოდა გასვლა ეიწრო ბონდებზე: ზოგჯერ მივადგებოდით ბორანს, მდინარის მეორე ნაპირზე გვინდოდა გადასვლა, მაგრამ მემორე უარს გვეუბნებოდა გადაყვანაზე იდიდებული წყლის გამო, იძულებული ვხდებოდით შესვლოყავით ხის ქოხში და პურითა და კაბური ღვინით დაენაყრებულიყავით, დაეწოლილიყავით ხმელ სკამ-ლოგინზე და ასე გაგვეთია ღამეო.

იმავე წლის ოქტომბერში ბერლინში შეკრებილა მწერალთა კონგრესი და ზუტნერებიც მიუწვევიათ. უამრავ ნაცნობს შორის ზუტნერები კონგრესზე ბოდენშტეტსაც შეხვედრიან. ბოდენშტეტს საუბარი კავკასიაზე ჩამოუგდია. მან ხომ თავისი შემოქმედების პირველი პერიოდი იქ გაატარა. ბოდენშტეტი ალტაცებით ლაპარაკობდა თბილისზე, სამეგრელოს ტყეებზე, ალმოსავლური სასლების ბანებზე, სადაც მთვარის შუქზე ლამაზი ქალები მესიკობდნენ და ცეკვავდნენ. კონგრესის მმდინარეობისას ბოდენშტეტი ყოველთვის ზუტნერებს მიეკედლებოდა ხოლმე და განუწყვეტლივ საქართველოზე ელაპარაკებოდა.

იმ ხანებში ალფრედ ნობელს ზუტნერები საკმაოდ ცნობილ მწერალ ქალ ჯულიეტა ადამისათვის გაუცანია, რომელსაც გენდაკარისთვის უთქვამს: თქვენ ძალიან მესიმპათიურებით, რადგან ქვეყანა, რომელიც თქვენს წიგნებში ასე

[1] ჩვენ აქ უცვლელად და უკომენტაროდ გადმოვცემთ იმას, რაც ბერტას თავის „მემუარებში“ უწერია საქართველოზე, რადგან ბერტას მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა თუ უზუსტობა ყოველი ქართველი მკითხველისათვის ეიღი შესამჩნეველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინებულად აღწერეთ, ჩემთვის მეტად მიმზიდველია.

1886 წლის ზამთარში ზუტნერები პარიზში არიან. აქ ისინი შეხვდნენ თავიანთ ძველ ქართველ მეგობარს, თავადის ქალ თამარს, ეროკლე ბაგრატიონის ქვრივს. ის თავისი ორი პატარა გოგონათი პარიზში დასახლებულიყო. ზუტნერები თამარის ხშირი სტუმრები იყვნენ. ოთხი წლის შემდეგ თამარი თავისი უკვე წამოჩიტული ქალიშვილებით ვენეციაში დაბინავდა. ბერტა 1889 წელს აქაც შეხვედრია თამარს.

1890 წელს გუნდაკარ ზუტნერმა ჰარმანსდორფში დაწერა კავკასიური რომანი „შამილი“, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა „კავკასიის შვილების“ მეორე წიგნი.

ცნობილ გერმანელ პოეტს დეტლევ ლილიენკრონს ბერტამ წერილი მისწერა და გაუგზავნა თავისი ქმრის კავკასიური მოთხრობები. ლილიენკრონმა ერთერთი ნაწარმოებე „ქართულ თემაზე „დარეჯანი“ ლაკონიურად ასე შეაფასა: „დარეჯანი — ზეადმტაცია“[1].

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ მარია ბიუჰნერის, ცნობილი ეულგარული მატერიალისტის ლუდვიგ ბიუჰნერის რძლის აღტაცება გუნდაკარ ზუტნერის კავკასიური მოთხრობებით. განსაკუთრებით, აღუფრთოვანებია მარია საქართველოს ბუნების აღწერას. „ალბათ ბედნიერებაა ასეთ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრება“, ასე ამთავრებს თავის წერილს მარია ბიუჰნერი.

ქართველ ნაცნობ-მეგობრებთან ზუტნერები მიმოწერას არ წყვეტდნენ. მიურატები კვლავ ზუადიდში იყვნენ, ნიკო მეტწილად პეტერბურგში ცხოვრობდა. ერთ დღეს ზუტნერებს ჰარმანსდორფში ანდრე დადიანის წერილი მიუღიათ და ისიც ვენიდან: ვენაში გავლილი ვარ და თქვენი მონახულება მინდა. ბერტასა და გუნდაკარს სწორედ მაშინ ვენაში საქმე ჰქონდათ, სახელდობრ, უნდა შემდგარიყო მშვიდობის საზოგადოების კრება. ბერტამ ანდრე კრებაზე მიიწვია. ანდრე მართლაც დასწრებია მშვიდობის საზოგადოების კრებას და შემდეგ გამართულ ვახშამსაც. მეორე დღეს ზუტნერებს თავიანთი ქართველი სტუმარი ჰარმანსდორფში წაუყვანია, სადაც ანდრე რამდენიმე ხანს დარჩენილა.

...ბერტა ზუტნერი 1914 წლის 21 ივნისს გარდაიცვალა. ერთი კვირის შემდეგ სარაევოში მოკლულ იქნა ფრანც ფერდინანდი, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა. ბედმა დაინდო ბერტა ზუტნერი და არ შეესწრო თავისი იმედებისა და ოცნებების სრულ გაკამტვერებას.

---

[1] ეს არის გუნდაკარ ზუტნერის პირველი ნაწარმოები ქართულ და საერთოდ კავკასიურ თემაზე.

ᲐᲦᲐ ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

როდესაც შემომთავაზეს, ნონაზე სტატია დაწერეო, თავდაპირველად სიხარულით დავთანხმდი, მერე ეშეშა შემიპყრო: მასზე იმდენი დაწერილა და ახლაც კვლავ იმდენს წერენ, რომ ჩემი ამოცანა ძალზე ძნიმე მეჩვენა. მაგრამ ერთი გარემოება დამეხმარა: ყველა, ვისაც კი დღემდე დაუწერია ნონაზე — მწერლებისა, ჟურნალისტები, სპორტის კომენტატორები — ბევრად უფროსნი იყვნენ მასზე და მის საჭდრაკო ტრაექტორიას თვალს აღევნებდნენ თავიანი ასაკის, გამოცდილების, საჭადრაკო მოგონებებისა და დაპირისპირებათა პრიზმაში.

მე ასეთი პრიზმა არ გამაჩნია; მე და ნონა ტოლები ვართ. და, ამის წყალობით, მთელი ეს ბოლო ოთხი წელიწადი, შეიძლება ითქვას, „განწირულნი“ ვიყავით შეეხვედროდით ერთმანეთს არა მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონატებში, არამედ ქვეყნის გუნდურ პირველობაზეც ყმაწვილთა შორის, და „დიდების“ შეჯიბრებებშიც, სადაც გოგონების დაფაზე ეთამაშობდით. და მოსკოვ-საქართველოს მატჩი იქნებოდა თუ „ქარაბმალა“-„ტრუდის“ მატჩი, ანდა რომელიც გნებავთ სხვა შეხვედრა, ჩვენ უცვლელი ღიმილით ვესალმებოდით ხოლმე ერთმანეთს პარტიის დაწყებისას, ხოლო მერე იწყებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა... მაგრამ, თუმცა ორივენი საბრძოლო სულისკვეთებით ვიყავით გამსჭვალულნი, ჩვენი შეხვედრები მეტწილად ყაიმით თავრდებოდა. სამაგიეროდ სულ პირველი და სულ უკანასკნელი შეხვედრა უშედეგოდ არ დარჩენილა.

ჯერ არც ვიცნობდით ერთმანეთს, რომ მე უკვე კარგად ვიცოდი, რას მიაღწია ნონამ და რა დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. ჩვენი პირველი შეხვედრა კი მოხდა 1956 წლის აგვისტოს ლენინგრადში.

„ჯინდა, ნონა გაფრინდაშვილი გაჩვენო?“— მკითხა ჩემმა ამხანაგმა ლუსია ბელავენეცმა. ჩვენ ორივენი მოსკოვის ყმაწვილთა გუნდში გამოვდიოდით, და გავეშურეთ იქით, სადაც საქართველოს გუნდი იბრძოდა. ნონა გამოოგა თხელ-თხელი, შავნაწნავიანი გოგონა — მაშინ მან მთლად კარგად არ იცოდა რუსული და თითქმის სულ ერთთავად მორცხვად იღიმებოდა და სდუმდა (რასაც ვერ იტყოდით ჩვენზე — საშინლად დაუდეგარი გოგონების სახელი გვქონდა და სულმოუთქმელად დავეყარეთ ათასი ამბები და კითხვები).

მართალია, იმ წელს ჩვენ არ მოგვიხდია ერთმანეთთან შებმა — ნონა საქართველოს გუნდის „ქალიშვილთა“ ჯგუფს ედგა სათავეში, მე კი მოსკოვის გუნდში გამოვდიოდი სულ ბოლო — 4-ე დაფაზე.

მეორედ, ვლადიმირში, ჩვენ ისევ არ მოგვიხდია შეხვედრა. თუმცა მაშინ უკვე მეზობლები ვიყავით — ნონა 1-ლ დაფაზე თამაშობდა, მე— 2-ზე.

და აი, ბოლოს, 1958 წელი. ისევ ლენინგრადის საჭადრაკო კლუბი. უკანასკნელ ტურში თამაშობდნენ მოსკოვისა და საქართველოს გუნდები, ამასთან მოსკოველებისთვის ფუცილველი იყო მოგება თუნდაც მინიმალური ანგარიშით. მე ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედებოდი ნონას. თეთრებით უნდა მეთამაშა. ტურის წინ ჩვენი გუნდის მწერვნელმა გ. ა. გოლდშერგმა ლაკონიურად დამარიგა: „იკვეტე და იფიქრე!“. მე ზედმიწევნით შევასრულე ეს მითითება და უჩვეულო რამ მოხდა: მთელი პარტიის განმავლობაში ერთხელაც არ ავმდგარვარ, არც კი გამიხედია, რომ მენახა, როგორ თამაშობდნენ დარარჩენი მოსკოველები. ძალიან მინდოდა მომეგო, მინდოდა მრაველი მიზეზის გამო, და, განსაკუთრებით, იმიტომ, რომ სწორედ ნონა გაფრინდაშვილს ვხედებოდი.

ნონასთვის ყაიმიც სავსებით ხელსაყრელი იყო. მაგრამ მას ფიქრადაც არ გაუვლია „გადუჭეშტლიყო“ და ეცადნა, როდის „გადაინიზებინა“ თეთრები იერიშისასო. შავებით მოთამაშე ნონამ დებიუტშივე გასწორი პაიკი, და საკმაოდ დახლართული პოზიცია შეიქმნა. ორივენი კარგა დიხანს ვფიქრობდით და ცაიტნოტში აღმოვჩნდით. დაიწყო ფიგურების გაცვლა-გამოცვლა, და თეთრების ზედმეტი პაიკი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც, რაკი „მაირაღზე“ თამაშობდა, ე. ი. რაკი დროის ამოწურვის საფრთხე იყო, ნონამ თვალი ვერ მიატანა ფიგურასა, დაჰკარგა, და დამნებდა. გული დაწყდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად იღიმებოდა.

სსრ კავშირის მოკადრაკე ქალთა პირველობის ერთ-ერთმა მონაწილემ ერთხელ თქვა: ნონა ძალზე საყვარლად ავგბსო.

ვფიქრობ, ნონას მოგება ურჩევნია, მაგრამ, მაინც, ძნელია არ შეგშურდეთ მისი მხნეობა და თავდაჯერა წაგებისას. მე მინახავს რა დიდხნობით მჯდარა ხოლმე ის და გაურჩევია დასანანად წაგებული პარტია, და არასოდეს ბოდმა არ გადმოუთხეევია არც მოწინააღმდეგეზე, არც ირგვლივ მყოფებზე, — ასეთი რამ კი ხშირად ემართებათ ხოლმე სხვებს.

 იმავე 1958 წელს მე პირველად მომიწია სსრ კავშირის მოკადრაკე ქალთა პირველობის ფინალში თამაში და მას უკან მე და ნონა ყოველ წელს ვხვდებოდით ერთმანეთს ამ ტურნირებში. პირველად ყიმით დავამთავრეთ შეხვედრა ჩემპიონატში, მეორედ მე მოვიგე. თუმცა, როგორც ეტყვიან ხოლმე, ეს პარტია მე კი არ მომიგია, ნონამ წააგო — მან როგორღაც თვალი ვერ მიატანა ფიგურას, დაჰკარგა, და თითქმის მაშინვე დამნებდა.

ამის მერე დადგა „სიმყუდროვე“. ჩვენ ერთმანეთს ვებრძოდით სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და სხვადასხვა გუნდურ პირველობებში, მაგრამ ვერც ერთმა ვერ ვძლიეთ ერთმანეთს.

მაგრამ აი, 1961 წლის დეკემბრის მიწურულს კვლავ შეეხვედით ერთმანეთს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა გუნდური პირველობის ფინალში. მე ძალიან კარგ გუნდაზე მივდიოდი ნონასთან სათამაშოდ; მართალია, ჩემი მოწინააღმდეგე ის იყო ტრიუმფით დაბრუნდა იუგოსლავიის პრეტენდენტთა ტურნირიდან, მაგრამ მასთან ჯერ არც ერთხელ არ წამეგო, და, თანაც თეორიით უნდა მეთამაშა. მაგრამ მხარეული გუნდაგაწყობილება მაღე გამიქრა; ნონამ დებიუტშივე ხელი იგდო ინიციატივა და ძალე შემოშენარა ხარისხი. თეორიების მეფე კარგახნით გაეჩხირა ცენტრში და შავი ფიგურები „მასიერად უტევდნენ“. რამდენიმე სვლის მერე ნონამ კვლავ დაიბრუნა ხარისხი და მომგო ჯერ ერთი, მერე მეორე პაიკი. წინააღმდეგობის გაწევის აზრი აღარ ჰქონდა, და მეც დავნებდი, — დავნებდი თითქმის დაუნანებლად, რადგან მე თვითონ მომეწონა ნანაირად გამანაგდგერეს. ამ პირველობაზე ნონამ მშვენიერად თამაშა და ფენომენალური ასპროცენტიანი შედეგიც ჰქონდა.

ახლა, ვიღრე ვილაპარაკებდე ნონას მომავალ ძნელ გამოცდაზე, მინდა ჯერ მცირე ხნით უკან მივიხედო.

ჩემი აზრით, ამ ერთ წელიწადში, ქვეყნის პირველობაზე როგორი ჩატარებული ჩემპიონატის მერე, ნონამ ერთბაშად ისეთი დიდი ნახტომი გააკეთა და იმდენად უფრო ძლიერად თამაშობს, რომ ახლანდელი ნონა ნამდვილად დიდი ანგარიშით მოუგებდა მატჩს შარშანდელ ნონას.

საქმე ისაა, რომ მე და ნონა მუდამ თითქმის ანტიპოდ მოკადრაკეებად ვითვლებოდით — ის ერთთავად ისწრაფოდა გართულებისკენ, მწვავე სიტუაციებისკენ, მე კი პოზიციურ ბრძოლას ვამჯობინებდი. უთუოდ სწორედ ამიტომ იყო, რომ მე განსაკუთრებით მხვდებოდა თვალში მისი თამაშის ნაკლოვანებანი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებში, როცა საჭიდაკო ბრძოლა კომბინაციური ქარაშლებით არ მიმდინარეობდა. ხანდახან შემომჩნეევია ხოლმე, რომ პოზიციურ შეცდომებს უშვებს, მაინცდამაინც არ უყვარს მანევრული ბრძოლა და უხალისოდ გადადის ენდშპილში. ეს ძალიან უშლიდა ხელს თამაშში და, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა ტურნირების შედეგებზე. ახლა კი, ჩემი აზრით, მისი ბრწყინვალე გამარჯვებების საიდუმლო ნაწილობრივ იმაში მდგომარეობს, რომ ნონამ კიდევ უფრო გაბასრა თავისი კომბინაციური იარაღი და ამავე დროს ძალზე გაიწაფა პოზიციურ თამაშში, რის მეთხებითაც უფრო ჰარმონიული მოთამაშე გახდა.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი რამ: თუმცა ნონა მოეკი ამ ბოლო წლების მანძილზე საჭიდაკო სამყაროს „დიდ ამომავალ ვარსკვლავად“ ითვლებოდა, მაინც ეგონათ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდრაკე ქალად მის საბოლოო აღიარებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. და, მიუხედავად მისი ბრწყინვალე გამარჯვების თაობაზე გამოთქმული მრავალი წინასწარმეტყველებისა, იუგოსლავიის ტურნირში მისი გამარჯვება ბევრისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. გამარჯვებას უკიდდნენ ბორისენკოს, ეოლპერტს, ზატულოვსკაიას, იუგოსლავიის ორივე წარმომადგენელს, და ძალიან ცოტა ვინმე თუ ელოდა ნონას ასეთ გამარჯვებას, ეგ კი არა, მისი ჩინებული სტარტის მერეც იყენენს სკეპტიკოსები, რომლებიც ირწმუნებოდნენ: „ახალგაზრდაა, ფეხს წაიმტვრევსო!“. გულუბტკივართა მილიონიანი ლაშქარი (და მათ შორის მეც) ძალზე მოხარულია, რომ ეს არ მოხდა.

ახლა ნონას დარჩენია მსოფლიო მოკადრაკის გვირგვინისთვის ბრძოლის დასკვნითი, ყველაზე მძიმე ეტაპი — მატჩი ე. ი. ბიოოვასთან. და სულით და გულით მინდა, რომ ეს უკანასკნელი სიმაღლე მან პირველი ცდითვე დაძლიოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენსინგ ნორგეი

ევერესტზე შვეიცარიელებთან ერთად

(შემოდგომა)

— მაგრამ, ახლა ხომ შემოდგომაა, — მითხრა ანე ლამეს.

— კი, შემოდგომაა.

— შემოდგომაზე შენ არასოდეს წასულხარ მთებში.

— არასოდეს.

— მერე, ახლა რატომ მიდიხარ?

— ხელმორიგდ უნდა ეცადოთ, — ვუპასუხე მე, — ყველაფერი უნდა ეცადოთ.

ევერესტზე შემოდგომით წასვლას დიდი ხანია ფიქრობდნენ. ზამთარში ასვლაზე, ცხადია, ლაპარაკიც ზედმეტია. ზაფხულში კი ქარბუქებითა და ზვავებით სავსე მუსონების პერიოდი დგება. შემოდგომაზე ასვლა ზოგიერთს შესაძლებლად მიაჩნდა; ფიქრობდნენ, იქნება შემოდგომით გაზაფხულზე უკეთესი ამინდიც დადგესო. მაგრამ, ასეთი ასვლა პირველად მხოლოდ შვეიცარიელებმა სცადეს 1952 წელს. ძმაცვალ გაზაფხულს რაღაც დაელოდებოდნენ, როცა 1953 წლისთვის ევერესტი ნეპალის მთავრობამ ინგლისელებს აღუთქვა. თუ შვეიცარიელები ფიქრობდნენ, ერთხელ კიდევ ეცადათ ბედი, მაშინ იმავე 1952 წელს უნდა განეხორციელებინათ ასვლა, რადგან ნებართვა ამ წელს მხოლოდ მათ ჰქონდათ. ზაფხულზე სამშობლოში დაბრუნდნენ, იქ მოითათბირეს და გადაწყვიტეს — შემოდგომაზე ხელმორიგ ექსპედიცია მოეწყოთ.

გაზაფხულის ექსპედიციის მონაწილეთაგან მხოლოდ ორმა შესძლო მეორეჯერ ჩამოსვლა; ესენი იყვნენ: ახალი ჯგუფის ხელმძღვანელი გაბრიელ შეგალეი და რაიმონ ლამბერი. მე მეორნი, ლამბერი თოკთაც რომ დაებათ, მაინც წამოვიდოდა. მათთან ერთად ოთხი ახალი მთასვლელი ჩამოვიდა: არტურ შპაკელი, გუსტავ გროსი, ერნსტ რეისი და ალან ბუზიო. მათთან ახლდათ ფოტოგრაფი-მთასვლელი ნორმან დიერენფურტი, — ჰიმალაების სახელგანთქმული ქალლეკარის ვაჟიშვილი, რომელმაც ამერიკის ქვეშვერდოზობა მიიღო. მეც მიმიწვიეს. მიმიწვიეს სირდარადაც და ექსპედიციის სრულფლებიან წევრადაც. ასეთი სპპატიო მიწვევა სიამაყით მივიღე. ისევე, როგორც გაზაფხულზე, ახლაც შევარიბე შერპები ‘დარჯილინგში; ჯგუფში გაზაფხულის ექსპედიციის ბევრი მონაწილე შევიდა. სექტემბრის პირველ რიცხვებში ისევ კატმანდუში გავჩნდით.

მონაწილეთა რიცხვით ეს ექსპედიცია ცოტათი ჩამორჩებოდა გაზაფხულისას. სამაგიეროდ, აღჭურვილობა უკეთესი ვქონდა. გაზაფხულზე ზოგიერთი რამ შემოგვაკლდა. ამჯერად შვეიცარიელებს ყველაფერი ბლომად წამოეღოთ, მით უმეტეს, რომ შემოდგომაზე უფრო ცივი. ჩვენი ქარავანი ოთხასამდე კაცს ითვლიდა — შვეიცარიელებს, შერპებს და ნეპალელ მზიდავებს; და თუ მე აღრე ექსპედიციას სამხედრო რაზმს ვადარებდი, ახლა მთელ არმიაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ჯერ არ მახსოვს, თუნდაც ერთი ექსპედიცია წასულიყოს სალაშქროდ, რომ გართულებები და სიძნელეები არ შეგვხვედროდა. ამჯერად დიერენფურტი გვაბრკოლებდა. ამერიკული პასპორტის გამო მან ვერ შეძლო ნეპალის ვიზის მიღება და ისევ ინდოეთში იჯდა. კატმანდუში შერპი ანგ დავა

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეტოვეთ. მას ორი კვირა უნდა ეცადა დიფერენციტორისათვის ეთ, თუ ის თავის საქმეებს კეთილად დაადგირგვინებდა, ჩვენთან მოეცალა.

სექტემბრის მთელი მეორე ნახევარი ზევითაქვეითი ვიარეთ ნეპალის მთებში. ამ წელს მუსონმა დაგვიანებით დაპბერა და, ამიტომაც, დიდხანს გასტანა. უმეტესად საშინელი ამინდი იდგა. ამდენი წვიმა და ტალახი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ბევრი ავად გახდა. მათ შორის შევალეიც. სოლო ქუმბუს რომ მიეუახლოვდით, მდგომარეობა გაუარესდა — რაც უფრო მაღლა მივიწევდით, სინესტესთან ერთად, სიცივე უფრო და უფრო მატულობდა. ნეპალელი მზიდავები, თუ სპეციალური ტანსაცმელი არ ჰქონდათ, თავს ცუდად გრძნობდნენ. მეთოთხმეტე დღეს შამუნგ-ნამრეკანი ლას უღელტეხილი გადავლახეთ. ამ უღელტეხილის სახელს ძველად ასე განმარტავდნენ: „უღელტეხილი, სადაც თქვენი ქუდი ცას წვდება". ისეთი ამინდი იდგა, გეგონებოდათ მაღალ მთაზე მივხვდით ძლიერ ქარტეშარი. ბევრ ნეპალელს არაჰქონია გამოფლია. მოგვიანებით ორი გარდაცვალა კიდეც, რაც, ცხადია, სამწუხაროა დასაწყისი იყო.

ყოველივე ამის გამო, ბევრმა მზიდავმა მიგვატოვა. მაგრამ ჩვენ ქუმბუში დროულად შევატყობინეთ, რომ შერპა-მზიდავები გვესაჭიროებოდა. როცა თვის ბოლოს ნამჩე ბაზაზში ჩავედით, მუსონი ჩადგა, ცაზე ერთი ღრუბელიც აღარ ჩანდა. შერპები ისევ შეეხვედით ჩვენს ოჯახებსა და მეგობრებს. მე დედა დედები მოვეხალხეს. ისევ ვიცეკვეთ, ვიმხიარულეთ, ვსვეთ ჩანგი. ახლაც ბევრი ადგილობრივი შერპა დავიქირავეთ ნეპალელებს ნაცვლად და მთელი ჩვენი ტვირთი გზა განვაგრძეთ. არასოდეს დამინახავს ევეერესტის მწვერვალი ისე გარკვევით, როგორც იმ დღეებში. ქარმა თითქმის მთლიანად გადაუფეტა თოელი შავი კლდიდან და მხოლოდ მსუბუქი თეთრი ღრუბლელა დარჩა მწვერვალის თავზე.

საბაზო ბანაკი, ჩვეულებისამებრ, მყინვარ ქუმბუს ზედა ნაწილში გავშალეთ, და ყინულყარცნილზე გზის გაკვლევა დავიწყეთ. ზაფხულში ყველაფერი შეცვლილიყო. იქულებული ვიყავით ახალი მარშრუტი გვეძებნა, ახლა შემეწინელი გამოცდილება მუშაობას საგრძნობლად გვიადვილებდა. ნაპრალთა გადასალახავად მოვემზადოთ: ნამჩე ბაზრიდან ფიცრები და ლატანები წამოიღეთ და ხიდები გავდეთ. დიდი ნაპრალსთვის, რომელიც ყინულყარცნილის ზემოთ იყო და რომელმაც ხათაბალაში ჩაგვაგდო გაზაფხულზე, გრძელი ხის კიბე მოვიმარაგეთ. ჩვენი თოკის კიბე ახლაც მთელი იყო, მაგრამ ზაფხულში მოსულ თოელს რამდენიმე მეტრით დაბლა დაეწია.

ამ დროისთვის დიფერენციტორი და ანგ დაეაც წამოგვეწინენ, ამგვარად ჯგუფი მთლიანად შეიერთა. მაგრამ, სინამდვილეში, ეიოაც ავადმყოფი გვაყოლა, ეიოაც მუდამ ავად იყო. ერთ-ერთ ლილერ ავად გახდა შერპა ანგ ნორბუ, კისერზე დიდი სიმსივნე გამოუვიდა. ექიმმა შევალეიმ პენიცილინით გაჯერა, მაგრამ საშველი არ დაადგა. მაშინ, ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს. პირველი ბანაკის კარავი-სასადილო ლაზარეთად გადავაკეთეთ. რეინსა, შპეკელსა და მე ანგ ნორბუ გავაკავეთ და ექიმმა კისერი გაუკვეთა. ვერ ვიტყვი, რომ დავალება მესიაზოფნა — ვერ წარმომედგინა თუ ერთ ადამიანს ამდენი სისხლი და ჩირქი ექნებოდა. მაგრამ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და რამდენიმე დღის შემდეგ ანგ ნორბუ გამოჯანსაღდა.

ყინულყარცნილიდან დასავლეთ ცირაში, ანუ ღუმილის ხეობაში გავედით. მაგრამ იქ ღუმილი როდი დაგვხვდა. ღღე და ღამე ძლიერი ქარი ქროდა. ხანდახან ქარი მიმართულებას იცვლიდა და მისი ზუზუნი მაღლა მწვერვალებიდან მოისმოდა. დროდადრო ისევ თავზე გვესმოდა გაადფიტული ეელური ზხეცივით, რომელიც ღმერთებმა ჯაჭვიდან ახსნეს. ამ დროს არც მეშუბაობა შეგვეძლო, არც მოძრაობა, მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვზრუნვდით. და მაინც ნელ-ნელა მივიწევდით ზევით. ამასობაში ზამთარიც მოახლოვდა. აღუბერელობა შესანშნავი გვქონდა. განსაკუთრებით მომწონდა მალალყელიანი ირმის ტყავის ფეხსაცმელი, რომელიც მუხლამდე გვწვდებოდა. ფეხები არავის არ წაჰყინენია. მაგრამ ახლა უკვე სიაქვი იყო, გაეძლებდით თუ არა საერთოდ უფრო დიდ სიმაღლეებზე, როცა აქ, ცირაში, ასეთი ყინვა იდგა და ასეთი ქარი ჰქროდა.

ოქტომბრის ბოლოს ლოტსეს კიდლის ძირში მეხუთე ბანაკი გავშალეთ და სამხრეთ უნაგირის საყრიბშიდ გავემზადეთ. გეგმის მიხედვით, ძირითადად გაზაფხულის მარშრუტით უნდა გვეკლო ზევით თოელიანი კალთებთა და დერეფნებთან ყინვეელთა კონტრფორსამდე. რაზმებად დავიყავით და საფეხურების გამოჭრა და თოკების დამაგრება გადაეწყვეტეთ. მაგრამ მეშუბაობა არც კი დაგვეწყო, რომ უბედურება შეგვემოხვა. ეს იყო 31 ოქტომბერს. შევალეი და შპეკელი თერთმეტ შერპასთან ერთად მეორე ბანაკის მახლობლად ციცაბო კალთაზე იმყოფებოდნენ. ოთხ ჯგუფად იყენენ დაყოფილნი. ყოველ ჯგუფში სამი კაცი შედიოდა. უეცრად ზემოდან გუგუნი მოისმა და თავზე ყინულის ნამსხვრევები დაეცვიდათ. ეს დიდი ზვავი არ ყოფილა. უბრალოდ რამდენიმე ნამტვრევი მოწყდა ფერდობის ზემო ნაწილს; ჩვეულებრივ ასეთი ზვავი საშიში არაა. თორმეტი კაციდან თერთმეტი უვნებლად გადარჩა: თავზე ხელები დაიფარეს და, რაც შეეძლოთ, მჭიდროდ მიეკრნენ მთის კალთას, ასე რომ, უკი-

დურეს შემთხვევაში, ნატეხები მხოლოდ მხრებზე აცვივდათ. მაგრამ შერპი მინგმა დორჯე, რომელიც აჯიპასა და ჩემს ახალგაზრდა დისშვილთან, ტოპგეისთან იყო გადამტული, როგორც ჩანს, იმ დროს ზევით იყურებოდა, ყინულის ნატეხი შიგ სახეში მოხვდა. იმავე წამს პირდასისხლიანებული მინგმა დორჯე უსიცოცხლოდ დაეცა თოკს და აკვნესდა. მას დანარჩენი ორი ამხანაგი იჭერდა.

ასეთ ეკიპაჟი ადგილზე შეუძლებელია სწრაფად მოძრაობა, კარგა ხანი გავიდა, სანამ ამხანაგები მათ მიეახლოვდებოდნენ. შევალეი, შპეკელი და მათთან მომუშავე შერპები დაჭრილთან მივიდნენ და ნელ-ნელა დაუშვეს მეორე ბანაკისაკენ. მაგრამ, ამ დროს, ახალი უბედურება მოხდა. აშკენაგ უბედურება თავს დაატყდათ შერპებს: აილს, ნორბასა და მინგმა ჰრტანს. მომხდარი ამბით გაოგნებულ ერთ-ერთ მათგანს ფეხი დაუხლტა და დაეცერდა. და აი, უკვე სამივე ფერდობზე მიგორავს; ისინი მხოლოდ სწორ ადგილს შეჩერდნენ, დაახლოებით სამოცი მეტრით დაბლა.

ისევ კარგა ხანმა განვლო, ვიდრე მათთან დასახმარებლად მივიდოდნენ. დანარჩენებს ფრთხილად ჩაჰყავდათ ძირს მინგმა დორჯე. ბოლოს ყველანი ჩავიდნენ და დაზიანებულებს ექიმმა შეკალეიმ აღმოუჩინა პირველი დახმარება; ისინი მერეხე ბანაკიდან მოტანილ გასაბერ ლეიბებზე დაწვინეს. მომწყდართაგან მხოლოდ მინგმა ჰრტას გაეტეხა ლავიწი, აილა და ნორბუ მარტო გაფსაჭნილები და დალილავებული იყვნენ, საეჭვო იყო, რამე სარგებლობას მოეტანდნენ ისინი ექსპედიციას მომავალში, მაგრამ, სამაგიეროდ, იმედი იყო, რომ გამოჯანსაღდებოდნენ. მინგმა დორჯეს საქმე ცუდად იყო. ის მარტო სახეში ოდი იყო დაჭრილი: ყინულის წვეტიანი ნამსხვრევი ლავიწს ახლოს შესობოდა და ფილტვი დაეზიანებინა. ექიმ შეკალეის ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა, რამდენიმე საათის შემდეგ მინგმა დორჯე გარდაიცვალა.

ამ დროს, სხვებთან ერთად, მეც მეოთხე ბანაკში ვიყავი. სამწუხაროა ამბავმა ჩვენამდე მალე მოაღწია და ზევით გავეშურეთ. შერპები, რა თქმა უნდა, შეწუხებულნი დაგეხდნენ, მაგრამ არანაკლებ წუხდენ შვეიკარიელებიც. ისინი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას მზიდველის მიმართ და დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. მთხოვეს კიდეც, ხალხს მოელაპარაკებოდი: თუ, ამ ტრაგედიის გამო, გზის გაგრძელებაზე უმოდელობა იტყოდა უარს, მთასვლელები უსიტყვოდ შეწყვეტდნენ ლაშქრობას. ჩვენ, შერპები, გვიან ღამემდე ვისხედით და ვთათბირობდით. ცხადია, ყველანი ცუდ ხასიათზე ვიყავით. ზოგიერთები საკმაოდ უიმედოდ უყურებდნენ ექსპედიციის პერსპექტივებს, მაგრამ, საბოლოოდ, შეეთანხმდნი, რომ შვეიცარიელებს ვერ დავალატებდით. უნდა ვეცადეთ, სანამ ფეზზე ვიდგეთ. მეორე ღღეს დაზიანებულები საბაზო ბანაკში გადაიყვანეს. მინგმა დორჯე მეოთხე და მეხუთე ბანაკებს შორის ცირკის გერდთთა მორგნაზე დავკრძალეთ. საფლავზე მაღალი ქვის პირამიდა აღვმართეთ და ხის ჯვარი დავამაგრეთ, ზედ გარდაცვლილის სახელი და დადაღულების თარიღი დავაწერეთ. შემდეგ გამოვეთხოვეთ ჩვენს მეგობარს, მორის ეიოლონს შემდეგ, რომელიც მარტოდმარტო წავიდა ევერესტზე 1934 წელს, მინგმა დორჯე ევერესტის პირველი მსხვერპლი იყო.

გადავწყვიტეთ, რომ სამხრეთ უნგგირზე მიმავალი ახალი გზა მოგვეძებნა. ჯერ კიდევ გაზაფხულზე გვაშინებდა მცურავი ყინული ეფნეველთა კონტრფორსის დერეფანში; ახლა კი უბედურება მოხდა, ადამიანი დაიღუპა და სხვა მსხვერპლი აღარ გვინდოდა. ახალი მარშრუტის ძებნას მთავალი დღე მოვანდომეთ — მივდიოდით არა პირდაპირი გზით ცირკიდან უნგგირამდე, არამედ ცოტათი მარჯვნივ, ლეოტსეს კალთებით, აქ ზვავების საფრთხე ნაკლები ჩანდა. პირველი ექსპედიციის დროს დავადგინეთ, რომ ცირკიდან ბასეინამდე მისვლას ერთი დღე არ ეყოფოდა. ძველი მარშრუტითაც რომ წვეულ., ერთი ბანაკი კიდევ დაგვჭირეფოდა; ახლა მარშრუტი გაცილებით გრძელი იყო და ორი ბანაკის გაშლა გადავწყვიტეთ. ისევ უნდა დაგვეწყო ძმიმე, დამღლელი სამუშაო, რომელიც დაკავშირებული მაღალმთიან ასელებთან: გზის დაზვერვა, საფეხურების გაჭრა, თოკების დამაგრება, ძმიმე ტვირთის გადაზიდვა. გზის ამ უბანზე დაახლოებით ზვიდას ორმოცდაათი მეტრი თოკი გავაბით და მთის თეორ კედლზეც კიდევ ორი ბანაკი გაჩნდა — მეექვსე და მეშვიდე.

უფრო და უფრო მაღლა მივიწევდით. ლამბერი და მე ისევ წყვილად მივდიოდით და, მეტწილად, ჩვენ ვკაფავდით გზას. ორივენი შესანიშნავ ფორმაში ვიყავით — „Ga va bien!“ ჟანგბადითაც ზნარად ვსარგებლობდით; ამჯერად აპარატები გაცილებით უკეთესად მუშაობდა, ვიდრე გაზაფხულზე. მაგრამ ასეთ დიდ სიმაღლეზე, ისიც ასეთ ყინვასა და ქარში ადამიანს არათუ მუშაობა, უბრალოდ დიდხანს გაძლებაც არ შეუძლია. ზამთარი დღითიდღე გვიახლოვდებოდა. არავითარი ღრუბელი, არც ქარბუქი; ცა მოწმენდილი იყო. მაგრამ ისეთი ყინვა იდგა, რომ ყველაზე თბილ ტანსაცმელშიც ანტენდა. დღეებიც მოკლედებოდა და მოკლედებოდა. ნაშუადღევის ორი საათისთვის მზე ნუპტსეს ქედს გადაღმა იკარგებოდა. და ამ დროიდან მეორე დილამდე ხსნა არ იყო გამყინვაი სიცივისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდიოდით ქვევით, ზევით, ისევ ქვევით. ერთხელ ღამით, მეორე ბანაკში, ცირაზე, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. მე და აჯიბა ძლივს ვამაგრებდით კარავს ადგილზე. უეცრად ყვირილი მოგვესმა. როგორც იქნა, გამოძვებერით გარეთ და დავინახეთ, რომ ნორმან დიერენფიერტის კარავი წყაპეულიყო. დიერენფიერტიც ავად იყო — ლარინგიტი და მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. დასუსტებულს ბრეზენტისთვისაც ვეღარ დაღწია თავი. მე და აჯიბამ, რის ვიეიგლახით, ისევ დავდგით კარავი, მაგრამ ქარმა კინაღამ კარავთან ერთად გაგვიტაცა.

ამინდმა არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც ცუდად იმოქმედა. ზოგიერთმა შერპამ საშოშოსადმი ინტერესი დაკარგა და ახლა მხოლოდ იმასღა ფიქრობდა, როგორ ჩასულიყო ქვევით, თავი დაეღწია ქარისა და ყინვისაგან. დიდხანს ვეკამათებოდით მათ, ხანდახან ელანძღავდი კიდეც და იძულებით ვამუშაებდი. ამას თან ისიც ერთვოდა, რომ რომელიმე მოდგმა იყო ავად და ზოგიერთი ძალად იგონებდა ავადმყოფობას. მყინვარზე გაშლილი სპარზო ბანაკი ლაზარეთად იქცა. ლტბტესეს კალთებზე მაღალ სულ მარტონი დავრჩით. მზიდავები შემოგვაცილნენ. იძულებული გავხდი, სპარზო ბანაკამდე წყვსულიყავი და ხალხი მეშოვნა. ბაზაში ბევრს ლაპარაკობდნენ იეტიზე. ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ მზიდავს, დაახლოებით იმ ადგილს, სადაც გაზაფხულზე ნაკვალევს წაეაწყვიდთ, იეტი დაენახა. მისი გადმოცემით, იეტი დაახლოებით მეტრნახევარი სიმაღლისა ყოფილა. ტანი დაფარული ჰქონია სქელი ყავისფერი ბალნით და უკანა ფეხებზე მდგარა. თავი წაგრძელებული, ფართო ყურიმალები, ძლიერი ყბები. თვალებგადმოკარკლული და კბილებდაკრეჭილი ისე დაეინებია მიაცქერდა თურმე მზიდავს, — უფიქრია, საცაა თავს დაგსხვებმო. მერე დაუსისინებია, მიბრუნებულა, გაქცეულა და აღარც გამოჩენილა. მე თავად ველაპარაკე იმ მზიდავს. დავწმუნდი, რომ სიმართლეს ამბობდა. მისმა ნაამბობმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ იეტი მთის დიდი მიმეფნია და მეტი არაფერი.

მაგრამ, თავი ეანებოთ იეტს. ისევდაც ქვეყანის საქმე გვქონდა.

— წავიდეთ! წავიდეთ! — ვეკეზებდი ხალხს ბაზაში. — აუცილებლად უნდა ავიდეთ მთაზე. ამა, ჰე, ჩქარა!

როგორც იქნა პატარა ჯგუფი შეეადგინე და ყინულვარდნილსა და ცირკის გაელილ ლტბტესეს კალთებთან ავედით. იქ სამუშაო გველიდა.

ერთ კვირაში ყველაფერი მზად იყო: საფეხურები, თოკები, ზემო ბანაკები და აღჭურვილობა. სამხრეთ უნაგირზე და კიდევ უფრო ზემოთ ასევა გვინდოდა. უნდა აეგზავნოდა ყავეთ: უკვე შუა ნოემბერი მოახლოდა და ზამთარიც კარს მოგვდგა. პირველი ცდისთვის ალაკიანი ჯგუფი შეადგინეს. ჯგუფში შედიოდით: ლამბერი — ხელმძღვანელი, რეინი და მე — მთასელიანი და შვიდი ყველაზე ღონიერი შერპი, რომლებიც ბარგის ატანაში გვშველოდნენ. ესენი იყვნენ ანტ ტემპა, პემბა სულდარი, ანგ ნიმა, ანგ ნამიალი, გუნდინი, პემბა და ტუპკეი — უმთავრესად გამოუცდელი ახალგაზრდები. მაგრამ ისინი ბევრ ვეტერანზე უკეთ იტანდნენ სიცივეს. მე ვამყოფ იმით, რომ ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის ჩემი დისწული ტუპკეი იყო — იმხანად მას მხოლოდ ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა.

ცირკიდან ჯერ მეექვსე ბანაკამდე, შემდეგ მეშვიდემდე. 19 ნოემბრის უკვე სამხრეთ უნაგირისკენ გავედით. ალმართი მაინცდამაინც ცალბო არ იყო, რადგან მეშვიდე ბანაკი უკვე საკმაოდ მაღალ მდებარეობდა ჰპოტსეს კალთაზე. გზის უმეტესი ნაწილი დიაგონალურად მიდიოდა ჭეზეველთა კონტრფორსისა და მის იქით მდებარე უნაგირამდე. მიეხედოდად ამისა, მაინც ნელა ვმოძრაობდით. გზას თოვლში ვამაკლევდით. ხშირად მზიდავები იძულებულნი იყვნენ, ეცადათ, ვიდრე მე, ლამბერი და რეინი საფეხურებს გაეჭრიდით და თოკებს დავამაგრებდით. ასევა დაახლოებით 9 საათზე დავიწყეთ. 16.30 წუთზე შვიერლს თავზე მოვეეცით. ცოტა ხნის შემდეგ უნაგირისაც მივაღწიეთ. ამ წელს უკვე მეორედ მოვეეფინთ აქ. დაბნელდა. ქარი გაძლიერდა. ყინვამ საშინლად მოიუპრა. ალბათ, არა ერთი და ორი საათი გავიდა, ვიდრე, გაზაფხულის ექსპედიციის ოდნავ შესამჩნევი ნიშნების ახლოს, ბანაკს გავშლიდით. ძლივს მოვასწარით ორი კარავის გამართვა, რომ შერპები მაშინვე შეეაღწნენ შიგ. მათთან კამათი არ ღირდა. ლამბერს, მე და რეინს, ასევის დროს, მნიშვნელოვანნი უპირატესობა გვქონდა, ყანგბადს ვიყენებდით. შერპები უკანგბადოდ მიდიოდნენ და ქანცი აღარ ჰქონდათ. ასე, რომ კარგი ხანს ვიჯაბიერეთ, სანამ კიდევ ორ კარავს გაეშლიდით. ახლა ჩვენი დასვენების ჯერიც დადგა. თითქმის მთელი საღამელი ქვად იქეა. ცოტაოდენი შოკოლადი მაინც მოვადეთ და ყველს დავალეკენე. კიდევ ერთი ღამე უნდა გაგვეთია დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილზე.

ცირკის ზემოთ, უკვე ორმაგ კარვებს ედგამდით, ერთს მეორეს შიგნით, მაგრამ ესეც ეკრავდეს გვშველოდა. რიცა მშრალი და ცივი ქარისგან პრეზენტები ერთმანეთს ეხახუნებდა, მათ შორის დარჩენილი ვიწრო სივრცე ელექტრონის ნაპერწკლებით იესებოდა და ზედ ჩვენს თავებთან გაპქონდა ტკაცანი. ლამბერს თან ჰქონდა პატარა თერმომეტრი, რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაათი გრადუსი ყინვა აჩვენა. მოგვიანებით რაიმონმა განსაზღვრა ქარის სიჩქარეც: სეკუნდში ოცდაშვიდი მეტრი. თანაც ეს მუდმივი სიჩქარე იყო. ახლა ლამბერისთვისაც ნათელი გახდა, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. როგორც იქნა, გითენდა. ქარბუქი ისევ მძვინვარებდა, მაგრამ ჩვენ მაინც გზის გასაგრძელებლად ვემზადებოდით. სხვა არჩევანი არცა გვქონდა ან უნდა გვემძიმაცვა ან არა და გავიყინებოდით. მხოლოდ ჩაის გათბობა მოვახერხეთ და ამით ვისაუზმეთ. ეს იყო და ეს. მერე გზას დავადექით. დანარჩენ შერაბებს უკან დაბრუნება უნდოდათ. სასაუკეთესოდ არაფერი გვქონდა, მიეხედავად იმისა, რომ მათ შორის მხოლოდ ერთი — გუნდინი იყო ნამდვილად ავად. ბოლოს მაინც დავითანხმეთ და გზა განაგრძეთ. ჩვენი ბანაკი უნაგირზე როგორ მერეკა იყო; მზიდავებს ზურგით მოკრნდათ აღმურეილობა მეცხე პატარა ბანაკისთვის. იმედი გვქონდა, რომ ამ ბანაკს მწვერვალის წინა თხემზე გავწელიდით.

მაგრამ მეცხე ბანაკი ისევ მზიდავთა ზურგზე დარჩა. უკვე 11.30 წუთი იყო, როცა გზას გავუდექით. თითქმის ერთი საათი გავიდა, სანამ უნაგირი გადავლახეთ და თხემისკენ მიმავალ თოვლიან კალთაზე დავიწყეთ ასვლა. ყინულის კედელზე დალეწილი არწივის გვამი დავინახეთ. მართალია, ჩვენ არ მიეფრინავდით, მაგრამ მთელი ძალღონის დაძაბვა გვიხდებოდა, რომ ქარს არ წავეღოთ. ეანგბადის წყალობით ჩვენი სამეული დანარჩენებს ოდნავ უსწრებდა წინ. ნახევარი წლით ადრე მე და „დათვი“ ამ ადგილზე გაცილებით იოლად ავდიოდით, თუმცა მაშინ ეანგბადის बალონები არ გვეთარგოდა. ახლა აღარც კარგი აპარატები გვშვეოდა. ყინვა აუტანელი გახდა. თითებმა სამ წყვილ ხელთათმანებშიც დაკაკანეს მგრძნობიარობა. ტიჩები, ცხვირი და პირისახე გაგვილურჯდა. მზიდავები ძლივს მოგვეკვეხოდნენ. ერთადერთი ჭკვიანური და ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება-და დაგვრჩა: უკან დაბრუნება. ეს კარგად ეიცოდით. მაგრამ, ლამბერისთვის და ჩემთვის ეს საშინელი გადაწყვეტილება იყო. ჩვენ უკვე მეორედ ვცადეთ. ჩვენნი ცხოვრების ოცნებად ეეეოოსტის ერთად აღება იქცა. ახლა, თუ უკან დავიხიეთ, ვინ იცის, მოგვეცემა კი ოდესმე ასეთი შემთხეევა? მარტონი რომ ეყოფილიყავით, შესაძლოა, გზა გაგვეგრძელებია. მე დაბეჯითებით როდი ვამბობ — წყვიდოდით ან შეგვეძლო წასვლა-მეთქი. მე ვამბობ, „შესაძლოა“-მეთქი. ისე ძალიან ვანდოდა ასვლა. მაგრამ ჩვენს უკან ქანცეგწყვეტილი შერაბები მოდიოდნენ, გვერდით კი რვისა იდგა და ნაღელიანად აქნევდა თავს. შეეჩერეთ და, ქარისაგან მოკუნტულები ცოტა ხანს ვიდექით ასე. ნამდვილად აეტრიდებოდი, მაგრამ ისეთი სიცივე იყო, რომ ცრემლი თვალებზეც შემეყინებოდა. მე და ლამბერი ერთმანეთს ვერ ვეუყურებდით. უხმოდ შემობრუნდით და ძირს დავეშვით.

ყოველივე ამის შემდეგ მწვერვალის განმეორებით ეერიშს არავითარი იმედი აღარ იყო. ტვირთის უმეტესი ნაწილი იმ ადგილს დავაყარეთ, სადაც ფარ-ხმალი დაეყარეთ — უნაგირიდან სამასიოდე მეტრზე. უნაგირზე შეეჩერდით ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც საკრო იყო გუნდინის წამოსაყენებად. (კიდეე ეოტაც და ის გაიყინებოდა კიდეე). აქ დაატოვეთ დაახლოებით ას ორმოცდაათი კილოგრამი ტვირთი, რომლის ამოზიდვაც იმდენი შრომა დაგვიეჯდა. მაგრამ ახლა აზრი არაფერს ჰქონდა. ოღონდაც ჩქარა გაგვეღწია ამ ცასთან მდებარე ჯოჯოხეთიდან. ეს იყო ყინვასთან, ქარბუქთან და სიკვდილთან ჭიდეილი.

სულ მთლად ქანცგაწყვეტილებმა ღამე მეშვიდე ბანაკში გავათიეთ. იქ ეექიმი შეეალეი დაგვხვდა. მეორე დღეს ჩამოვედით ცირკში მეტეთე ბანაკამდე. ხელმორე ცდაზე კრინტიც არაფის დაეძრაგს; ჩვენს შორის, მეორნი ისეთი არაკინ მოიძებნებოდა, რომელიც დათანხმდებოდა თუნდაც სამი მეტრით აბრეკნებულიყო ზეკით, მწვერვალისკენ... ერთი ფერეოი გვაულლგმლეებდა — დაგშეებულიყავით ქვეკით, ქვეკით, შორს ამ ყინეოსაგან, მოგხვედრილიყავით იქ, სადაც შეიძლება სუნთქვა, ჭამა, ძილი, სადაც შეიძლება ხელ-ფეხისა და ძვლების გათბობა. და ჩვენ მოვდიოდით ცირკისა და ყინულვარდნილის გაკლილ ქვეკით და ქვეკით. იმის შემდეგ, რაც თავს დადგეხდა, ვეეკონა ცხელ ინდოეთში მოვხვედით. რაღაც საწყალი, სერიოზულად არავინ არ მოყონულა, თითიც არ დაუკარგავს. ეს, ალბათ, ჩვენი ტანსაცმელისა და აღქურვილობის საუკეთესო ხარისხს უნდა მიეწეროს. ასე იყო, თუ ისე, საწყალი მინგმა დორჯეს გარდა, ყველანი უფნებლად ჩამოვედით ძირს. შემდეგში შეეიცარიელები ამბობდნენ „შეგვანჯღრიეს“ და გამოგვაქციეს კიდეე, მაგრამ სიკვდილს გადავრჩითო.

ნამჩე ბაზარში დედა და დები ისევ ვინახულე. თურმე აქაც გაეგოთ მინგმა დორჯეს სიკვდილი და ჩემი ერთ-ერთი და ძალიან შეწუხებულა. წამოეყვანია ბავშვები და ყინულვარდნილის ძირას გაშლილ პირველ ბანაკამდე აპოსულა. მას თან წამოეღია სხვადასხვა ნივთებით სავსე კალათა, რაც, მისი აზრით, გამომადგებოდა. მაშინ არ მინახავს ჩემი დ#, რადგან მაღლა ვიყავი, მთაზე, სამგიეროდ, ახლა, რაკა დავბრუნდი, დიდი მადლობა გადაეუხადე.

— გაისად კიდეე ვნახავთ, — ეუთხარი მათ და ეკადილობდი მწუხარება არ დამტყობოდა. მაგრამ, ცხადია, არ ეიცოდი, რას მოპიტანდა შემდეგი წელი.

დეკემბრის დამდეგს ნეპალის გორაკებით ვბრუნდებოდით უკან. მაღლა დარჩა ზამთრის ქარბუქებით შესხურული ევერესტი. „ეული ნაღველით გვეცსება“. — ჩაიწერა დღიურში ექიმმა შეგალემ, როცა ჩვენს მეორე მარცხზე დფიქრდა. და ყველანი ამას ვფიქრობდით. მაგრამ ნაღველს, მე მგონი, ცოტა სიმაყეც ერია, რადგან, კარგად ვიცოდით, რომ მსაგავსს პირობებში მეტს ვერავინ მოახერხებდა. წინ გრძელი გზა გველო. განეწყვეტლივ წვიმდა. ყველაფერ „სიკეთესთან“ ერთად, ფეხიც ვიღრძე. ეს იყო პირველი „უბედური შემთხვევა“. რაც ევერესტზე დადიოდი. გზის დანარჩენი ნაწილი, ყავარჯნების ნაცვლად, თხილამურების ჯოხებზე დაყრდნობილმა გავიარე.

მთელი დღეები თავით ფეხებამდე დასველებულები მივდიოდით. ფეხი მტკიოდა, მაცივდა. და თუ ევერესტი ჩემი ოცნება იყო ისევ, ეს ოცნება ახლა ავადმყოფის ბოდვას წაგავდა.

ახლა ან არასოდეს

კატმანდუში ისე მივგიოეს, თითქოს დამარცხებულები ვი არა, გაბარჯვებულები დავბრუნებულიყავით. მეფეს პირადად მიბოძა ნეპალური მედალი, პრატაპ ბარდხაკი. მაგრამ ამ დროისთვის ისე ავად ვიყავი, რომ თითქმის ალარაფერი გამეგებოდა, ციებისაგან მაძაგძგებდა, სიცხემაც ამიწია, და, რაც მთავარია, თავი იჩინა ერთ წელიწადში ორი ექსპედიციის დაძაბულმა მუშაობამ. ევერესტიერები ახლაც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ. კატმანდუდან თვითმფრინავით გადამიყვანეს ჩრდილო ინდოეთში, ქალაქ პატნაში. ათი დღე ვიწევი ამერიკელ კათოლიკე-მისიონერების მიერ დაარსებულ საავადმყოფო „წმინდა ოჯახში“.

შემდეგ ევერესტიელები სამშობლოში გაემგზავრნენ. დანარჩენი შერაბი მატარებლით დაბრუნდნენ დარჯილინგში; მე საავადმყოფოში დავრჩი. დროდადრო მაღალი სიცხისგან ვბოდავდი. მეჩვენებოდა, თითქოს ისევ ევერესტზე ვიყავი და ყინვასა და ქარს ვებრძოდი. შემდეგ სიცხე კლებულობდა და საათობით გაუნძრეველად ვიწევდი. ხელის აწევის ან თვალის გახელის ძალაც არ მქონდა... „დიახ, — ეფიქრობდი ჩემთვის, — ზედმეტი მომივიდა. ორი ექსპედიცია. ქარი და ყინვა. და თანაც ორი მოვალეობა ერთად — სირღარი და მთასველი. უამრავი სამუშაო, ძალიან დიდი პასუხსმგებლობა...“

საავადმყოფოში შვიდი კილო დავიკელი. დარჯილინგში რომ დავბრუნდი, ნათესაობას თავზარი დაეცა.

— შენ ახლა დასვენება გჭირდება, — მითხრა ანგ ლამემ. — მთელი წელი გინდა, რიგიანად რომ მოიკეთო.

თავდაპირველად მხოლოდ თავს ვუფიქრობდი. ლაპარაკი მეზობრებდა.

ამასობაში 1953 წელიც დადგა. შეეიცარიელთა ორი ექსპედიციის ამბავი მსოფლიოს მოედო. სხვადასხვა ქვეყნიდან წერილი წერილზე მომდიოდა. მთავაზობდნენ საგაზაფხულო ექსპედიციებში მონაწილეობას. ჯერ კიდევ პატნას საავადმყოფოში წოლისას მივიღე მაიორ ჩარლზ უილის წერილი, ისევ ევერესტზე მიწვევდა ინგლისურ ექსპედიციასთან ერთად; თვითონ მს ტვერთის გადაზიდვისათვის უნდა ეხელმძღვანელა. შემდეგ ჰილაოის კლუბის მდივანმა მისის ჰენდერსონმა მომაკითხა.

— თქვენ ხომ ხშირად დადიოდით ინგლისელებთან ერთად, — მეუბნებოდა მისის ჰენდერსონი. — ახლაც სწორედ თქვენ გთხოვენ ბაყოლას.

მაგრამ ანგ ლამე უარზე იდგა და ეკამთვბოდა. მე კი ისე დასუსტებული და დაღლილი ვიყავი, რომ ევერესტი გადამეწყვიტა. მისის ჰენდერსონი ხედავდა ჩემს დგომარეობას და მოთმინებით მელოდა. მთელი კვირის განმავლობაში მიგზავნიდა რძესა და „ოვალტინს“, რათა მაღე დავმზგარიყავი ფეხზე.

თან ვისვენებდი და თან ვფიქრობდი. ვფიქრობდი შეეიცარიელებზე, მათ შეუდარებელ მამაცობაზე, ისაზე, რა ბედნიერი და ამაყი ვიყავი, მათთან ერთად რომ წავედი ევერესტის დასაპყრობად. იმ ჩილინა-ნგადან, რომლებსაც მე შევხვედრივარ, — ამ ხნის მანძილზე კი ძალიან ბევრს შევხვდი, — შეეიცარიელები ყველაზე მეტად მომეწონა. თუ ისინი ოდესმე ისევ ჩამოვლენ სოლო ქუმბუში, შერპები ბუნების გასწვრივ ჩამწკრივდებიან და მაღლაფუფუთი ჩანგით სავსე თასებს შეაგებებენ. ევერესტზე წასვლა ყველაზე მეტად ისევ მათთან ერთად მინდოდა. მინდოდა მეველო ღრუბლებზე მაღლა ჩემს მეგობარ ლამბერთან ერთად და სიმღელოდან მიმეღწია მიზნისათვის, მაგრამ შეეიცარიელების ლოდინი ამაო იყო. მათ უკვე გამოიყენეს თვიანთი შესაძლებლობა; 1953 წელს ინგლისელების ჯერი დადგა. თუ მწვერვალს ვერც ახლა აიღებდნენ, 1954 წლისათვის ნეპალის მთავრობა ევერესტს უკვე ფრანგებს პირდებოდა. თუ მწვერვალი სამი წლის მანძილზე დარჩებოდა აუღებელი, ისევ შეეიცარიელები დაბრუნდებოდნენ.

მწვერვალის აღება უკვე ეშვს აღარ იწვევდა. გაზაფხულის ექსპედიციის, დროს მე და ლამბერი ძალიან ახლოს ვიყოფით მწვერვალთან. უკეთესი ალგზაფის პპარატები რომ გვქონოდა და ამინდსაც ხელი შეეწყო, მივალწევდით კიდეც მიზანს. და აი, ახლა ეწყობოდა დიდი ინგლისური ექსპედიცია. უფრო დიდი ექსპედიციის წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელიაა.

1952 წელს, როცა ჩვენ ევერესტზე ვიყავით, ინგლისური ჯგუფი, შიპტონის ხელმძღვანელობით, ახლომდებარე მწვერვალ ჩო ოიუზე ავიდა. ჯგუფში რამდენიმე ახალზელანდიელიც შედიოდა. ასევე სავარჯიშოდ და ახალი აღჭურვილობის გამოსაცდელად მოპოვეს. ინგლისელებს ძალიან უადვილებდა საქმეს შვეიცარიელების მიერ ჩატარებული დახვეწვა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ინფინ ექსპედიციისათვის ემზადებოდნენ. ევერესტს დიდი ხანია „თავიანთ“ მთად თვლიდნენ და არ სურდათ იგი ვინმესგის დაეთმოთ. ინგლისელებამდე შვეიცარიელებმა მიიტანეს იერიში. რიგში ფრანგები იდგნენ, შემდეგ ისევ შვეიცარიელები. 1952 წლის გვიან შემოდგომაზე ტიბეტიდან ნანგა ლას უღელტეხილით სოლო ქუმბუში გადმოსულმა მოგზაურებმა თქვეს, დაახლოებით იმ დროს, როცა ჩვენ მწვერვალის ალებას სამხრეთიდან ვაპირებდით, ჩრდილოეთიდან რუსულ ექსპედიციას მიჰქონდა იერიშიო. მოსალოდნელი იყო, რომ რუსები კვლავ განაახლებდნენ ცდას. მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ. თუ ინგლისელები ახლაც ვერ მიაღწევდნენ მიზანს, გამარჯვება სხვას დარჩებოდა.

ახალი ექსპედიციის მონაწილეებს არ ვიცნობდი. თავდაპირველად მას სთავეობენ ერიკ შიპტონი ჩაუფდა, შემდეგ ის პოლკოვნიკმა ჯონ ჰანტმა შესცვალა; ჯონ ჰანტი დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში და ისა ერთ ასელაში მიეღია მონაწილეობა, მაგრამ პირადად არასოდეს არ შეეხვედრიერან. ჰანტთან ერთად უნდა ჩამოსულიყო მთელი ინგლისური ალპინიზმის ნაღები, აგრეთვე ორი ახალზელანდიელი (ჩილინა-ნგას ახალი სახეობა ჩემთვის!) ერთ-ერთი მთგანი — ედმუნდ ჰილარი — როგორც ევერესტზე 1951 წელს სადაზვერვო ლაშქრობის, ისე 1952 წლის ჩო-ოიუს ექსპედიციის მონაწილე იყო. 1951 წლის უსიამოვნებებიც გამახსენდა. იმ წელს ნეპალელი მზიდავებს კუთვნილი ბაქშიში და ჯადამგირი სრულად არ მისცეს და ეს ამბავი მისის ჰენდერსონს ვუამბე.

— სწორად ამბობთა ბატონო! ჩვენი მონაწილეობა აუცილებელი, — მიპასუხა მან — სხვებზე ადვილად მოერიგებინი ნეპალელებს; თქვენ თუ წაგვალო, არავითარი გართულებები აღარ იქნება.

— ცოტა კიდევ მაცალეთო, — ეუთხარი მე და ფიქრი განვაგრძე.

აქამდე ყველაფერს გულახდილად ვყვებოდი და შემდეგშიაც მინდა გულახდილი ვიყო. დაუფარავად ვიტყვი, ევერესტზე წასვლა შვეიცარიელთან ერთად მერჩია. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისელები არ მიყვარდა, როგორც ზოგიერთებს ჰგონია. ყველაზე ხშირად ინგლისელთან მიელია საღამოშიც და თავსაც ყოველთვის ინგლისურად ვგრძნობდი; ხოლო ზოგიერთ მთგანს, მაგალითად, მისტერ გიბსონს, მაიორ ოსმესტონს, მაიორ უოიტს, მისტერ ტილმანს, მისტერ სმაისს, ლეიტენანტ მარჩს ჩემს საუკეთესო და ახლობელ მეგობრებად ვთვლიდი. და მაინც, ფიქტია, რომ ინგლისელები ჩვეულებრივ უფრო თავდაჯერილნი და ქედმაღალნი არიან, ვიდრე სხვა, ჩემთვის ცნობილი ხალხის წარმომადგენლებში; ინგლისელთა ეს თვისებები განსაკუთრებით მეღაღნდება მათ ფრთიერთობაში ხსენ რასის ადამიანებთან. შესაძლოა ამის მიზეზი ის იყოს, რომ ინგლისელები დიდხანს ბატონობდნენ აღმოსავლეთში, ან იქნება ბუნებით არიან ისეთნი. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტია, და ჩვენ, შერპები კარგად ვიცნობთ მას, რადგან წლების მანძილზე დადეგარეთ მთებში სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. შვეიცარიელები და ფრანგები ისე მექცეოდნენ როგორც ამხანგს, თანასწორს; ინგლისელებისთვის ეს უჩვეულო ამბავია. ინგლისელები ალერსიანი, გულადი ხალხია. ისინი ყოველთვის სამართლიანად იქცევიან. მაგრამ ასევე ყოველთვის არსებობს უჩინარი ზღვარი მათსა და დანარჩენებს შორის, საგიმსა და მზიდავს შორის; შერპებისთვის, რომლებიც შეჩვეული არიან ყოველგვარი „ზღვარის“ გარეშე ცხოვრებას, ამას შეიძლება სიძნელეები და გართულებები მოჰყვეს.

„ყველაფერი ეს მართალია, — ეფიქრობდი მე — მაგრამ აქვს კი ამას დიდი მნიშვნელობა? ადრე ხომ ეფუებოდი ინგლისელებს, ახლაც შეეწყობი. მერე და საქმე დარბაზობას ან წვეულებას როდი ეხება, საქმე ეხება ევერესტს... ევერესტი — შენი სიცოცხლეა, შენი ოცნება ფრანგებს ან შვეიცარიელებს რომ უცადო, რა გამოვა აქედან? ერთიც ნნახთ და ინგლისელებმა მწვერვალი უშენოდ აიღეს, რა გუნებაზე დადგები? შენთვისაც არა ნაკლები სიმწვავეთ დგას საკითხი: ახლა ან არასოდეს!“

თქვენ ფიქრობთ, ფიქრისაგან თავი გტკივათ. ღეტულობთ გადაწყვეტილებას, მერე ისევ ყოყმანობთ, მერე ისევ წყვეტთ... „თითქმის ოცდაცხრაქეტი წლისა ვარ, — ეფიქრობდი ჩემთვის, — ჩემი „კრიტიკული“ ასაკის დასასრულს ვუახლოვდები. რამდენ ხანს შეეძლება კიდევ ასეულობა მონაწილეობას? ან იქნება მწყობრიდან გამოვედი გადაღლილობისა და ახლახან გადატანილი ავადმყოფობის გამო? რამდენჯერ წასულხარ ევერესტზე? ექვსჯერ, დენმანის ჩათვლით. ეს იქნება მეშვიდეც... შვიდი ბედნერ რიცხვად ითვლება შერპებში და ბევრ სხვა ხალხშიც. ჩვენს თამაშში, ისევე, როგორც ჩილინანგასთან, „შვიდიანი“ — კარგი ციფრია. თუ საქმეს შვიდნი კიდებენ ხელს, მათ წარმატების მეტი

შანსი აქვთ. შვიდი ბავშვი ოჯახში — ყველაზე ბედნიერი რიცხვია. ჩემს დედას შვიდი კაკი ჰყავდა. იქნება ამ ჩემმა მეძველი ლაშქრობამ ეეერესტზე...“

ჩემი ჯანსაღობა მაფიქრებდა. ახლა უკვე აღარ ავადყოფობდი, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი და წონაც ვერ აღვიდგინე; რაღა დამემარობება კიდევ ერთი დიდი ექსპედიციის შემდეგ? ეს უკვე მესამე ექსპედიცია იყო წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის განმავლობაში. ამ ექსპედიციაშიც სირდარიე და მთასელელიყავი ერთსა და იმავე დროს. მე კი უკვე ეუთხარი ჩემ თავს, რომ ასეთი კომბინაცია — მეტისმეტია. მაგრამ როგორღა მოვიქცე? განუწყვეტელი ფიქრისაგან ღამეებს თითქმის თვითოდ ვათენებდი. „ასე თუ გაგრძელდა, — ისევ ავად გავხდები“. და აი, ერთხელ, სახლიდან გამოვედი, მისის ჰენდერსონთან მივედი და ვეუთხარი: „ეკეთილ, თანახმა ვარ“. ხელიანად ვერც მას ეუთხარი და ვერც ახლა ვამბობ: იმიტომ წავედი, რომ არ შეშეძლო არ წავსულიყავი.

მაგრამ მისის ჰენდერსონისთვის თანხმობის მიცემა ერთი საქმე იყო, ანგ ლამუს დაყოლიება კი — მეორე.

— ძალიან სუსტად ხარ, — მეუბნებოდა ანგ ლამუ — ისევ ავად გახდები ან ყინულზე დაცხლტები და დაშავდები.

— რას ამბობ, ფრთხილად ვიქნები, — ვეუბნებოდი მე — როგორც ყოველთვის.

— ძალიან მეშინია.

— მე ასკლისთვის მაძლევენ ფულს და არა თამაშისთვის. უნდა გავაკეთო ის, რისთვისაც ფულს მაძლევენ.

— სისუულეა, — დაიკივნა ანგ ლამუმ. — შენ არ გაინტერესებს არც ჩემი და არც ბავშვების ბედი, რომ დაშავდე, რაღა გეეშველება.

— ნუ გეშინია. რას იზამ, ასეთია ჩემი სამუშაო, ჩემი ცხოვრება. როგორ ვერ ხვდები? ოჯახიერ საქმეებში მე არ გერევი, შენა ხარ სრული ბატონ-პატრონი, მაგრამ როცა საქმე ეეერესტს ეხება, ნურას უკაცრავად და ნურავინ ნუ ჩამერევა.

— შენ მგონი გაგიჟდი! ხომ იცი. ან თავს დაიშავებ ან მთებში ან და შეიძლება სულაც დაიღუპო.

— თუ დაიღუპები, დაიღუპო! მაგრამ, თუ სიკვდილი მიწერია, შენთან სიკვდილს ეეერესტზე სიკვდილი მირჩევნია!

ამისთანა რამეს ხანდახან მგონი ყველა ცოლქმარი ეუბნება ერთმანეთს. ჯერ ეიჩხუბეთ, მერე შეერიგდით, მერე ისევ ვიჩხუბეთ, ოღონ და ბოლოს ანგ ლამუ დარწმუნდა, რომ სიტყვას არ გადავიდოდი და მითხრა:

— კეთილი, როგორც გენებოს.

ასე და ამოიგდო, ეს საქმეც კეთილად დაგვირგვინდა. მაგრამ ცოლზე ნაკლებ როდი მაწუხებდა ფულზე ფიქრი. რითი უნდა ერჩინათ თავი ჩემს დაბრუნებამდე. ან სულაც რომ ვერ დაბრუნებულიყავი მაშინ?

ძველი გაგებით კარგ გასამრჯელოსაც მთავაზობდნენ: თვეში სამასი რუპია ძირითადი ხელფასი (რიგითი შერპები ას-ასოდოდუთს იღებდნენ), ჩემი დაღუპვის შემთხვევაში ოჯახს კომპენსაციის სახით ორი ათას რუპიას მისცემდნენ. ესე იგი, ორჯერ მეტს, ვიდრე შვეიცარიელები მპირდებოდნენ ან ოთხჯერ მეტს, ვიდრე წინათ გვაძლევდნენ. მაგრამ მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა, ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა და ასეთი გასამრჯელოც არ წარმოადგენდა ფუფუნებას. გადაეწყვიტე ახალგაზრდა განათლებულ ბენგალელს რაბინდრანატ მიტრას მოვლა-პარაკებოდი. მიტრას ტიპოგრაფია ჰქონდა დარეკილნგში. ორი წლის მანძილზე დავმეგობრდით და ის ჩემი მრჩეველი გახდა. მიტრა შემპირდა, თუ რიმე შეგვმთხვევა, შენი ოჯახის სასარგებლოდ თანხებს შეეგროვებო.

ამავე დროს, მთელი დატვირთვით ვეარჯიშობდი. მინდოდა ძველი ფორმა აღმოდგინა. დილით ადრე ვდგებოდი, ზურგჩანთას ქვებით ვავსებდი და ირგვლივ მდებარე გორაკებზე ავდიოდი. ასე ვიქცეოდი წლების მანძილზე, როცა დიდი ექსპედიციებისთვის ვემზადებოდი. თამბაქოს არ ვეწეოდი, არ ვსვამდი, ჩემთვის საყვარელ წვეულებებსაც გაეუბრობი. თანაც მედგამ ვფიქრობდი, ვემეშინ ვაწყობდი და ვვარაუდობდი, როგორ წარიმართებოდა ჩემი მეშვიდე ლაშქრობა ეეერესტზე. „ამაღერად შენ უნდა აიღო მწვერვალი, — ვუმტკიცებდი ჩემს თავს. — უნდა აიღო ან დაიღუპო...“ და კიდევ: „ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მწვერვალს მარტო მაინც ვერ აიღებ. ვიღაც იქნება შენთან ერთად. დიდ მთაზე ვერსად წაუხვალ თანამგზავრებს და მწვერვალზე მარტო ვერ ახვალ. ესეც რომ გაკეთო და იქიდან ცოცხალი დაბრუნდე, სულ ერთია არავინ დაგიჯერებს... ამაღერად შენთან ერთად არ იქნება ლამბერი. მაშ ვინ იქნება? ვინმე უსათუოდ იქნება და ჩვენ მწვერვალზე ერთად ავალთ. ავალთ. უნდა ავიდეთ. ან ავიღებ მწვერვალს, ან დავიღუპები...“

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/V-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 449. უე 03728. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

6178/131

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ"